

114
1938/2



მნათობი

6

გ უ ი ლ ი ს ი

1938

პროლეტარებო უფალა მზიენსა, შიპიტლით!



გეორგიული
პროლეტარია

მნათობი

სრულიად საფართოელთს საბჭოთა მწერლუბის
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურთ,
სახელთვნთ დგ საბოტკადოუბრიფ-სამოლიცევთ
ქერნალი

წელიწადი მეთხუთმეტი


6



036060

ს ა ს ე ლ ბ ა მ ი

1938



რედაქცია:

ტფილისი, მანაბლის, 13
მწერალთა სასახლე
ტ 3-71-84

კანტორა:

ტფილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მზ. რედაქტორი — ალიო მახაზვილი

პ/მზ. მდივანი — ლ. ასათიანი

გად. წარმ. 1/VI 38; ხელმ. დისაბ. 23/VI 38
შეკვ. № 1259; მთავლ. რწმ. № 1036 ტირ. 8.500

სახელგამის, პოლიგრაფკომბინატი, ეორესის ქ. № 5.

გალაკტიონ ტაბიძე

ანეკდოტები

ჩემო ლექსებო, მუდამ

გჭონდეთ მსუბუქი ფრთები...

აყვავებული მდელო, გასაოცარი შთები!

რუსთაველი და მშვიდი? დამშვიდება და ვაჟა?

(ანეკდოტები დიდებულნი და დღეს მომავალს — ვაშა!)

ჩვენი სტალინის მარად ძლევაგოსილი დროშით

წინ! ახალაზალ ნათელ გამარჯვებისკენ, მხარე!

განადგურებულს ძველი ყინვით, სუსხით და თოშით

აწ მარგალიტად გთელიან, სხვა ქვებში რომ ვერ გარე!

გალაკტიონი ზედავს, რა სასწაულებს ახდენს

ის გამარჯვება, რითაც სუნთქავს მშობელი ერი,

იმ უბოლოოდ მედგარ და საიმედო საყრდენს —

წინსვლას, რომელსაც ვერ სძლევს ვერავითარი მტერი!

ი. ზარიზაშვილი

ჯ ა მ ბ ე უ ლ ს

შენ მზე არა ხარ! რა არის თვით მზე,
როცა მტერსაც კი სხივით აშუქებს?
შენ დომბრით მოხველ შოთას ზეიმზე
და მიესალმე ქართველ აშუღებს.

არა, არ ჰგეებარ არც მაღალ არწივს,
არწივთა შორის არა გყავს ცალი,
დღეს აღარ გვიდგას, ჯამბულო, თვალწინ
ორთავიანი არწივის ბრწყვალი.

გლეჯავდნენ მარჯვნივ, ვსერავდნენ მარცხნივ,
თქვენს სისხლს ღუშმანი ხმარობდა ინათ,
მაინც მღეროდით — და არ დამარცხდით —
ბელადის სიტყვამ გადაგარჩინათ.

ო, რა კარგი ხარ! ო, რა წარმტაცი!
არ მისდევ ძველ დროს, შარიათს, ნამაზს,
მიყვარხარ, რომ შენ, ასი წლის კაცი,
სოსო ჯულაშვილს ეძახი მამას.

კონსტანტინე გამსახურდია

ხოგაის მიწია

ნოვოლა

დავლიდან „ქართული ლოგინა“

!

გულანის ხატში ქადაგი დასევს ხეცსურებმა. სამეკობროდ მოუწოდა გულანის ჯვარმა. მეკობრეთა ბელადად ხოგაი აირჩიეს, მრავალნაცადი მეომარი, იგავმიუწვდენელი მსროლელი და მოკვეწავე.

მერმე ის იყო ქისტებს აულები გადაუბუგეს არხოტიონებმა, ხოგაის ვაჟებმა უთურგვამ და ბერდიამ თან გამოიტაცეს თავიანთი უმრწემესი ძმა მიწია, რომელიც შვიდ წელს ტყვედ ჰყავდათ ქისტებს. დიდძალი ხეასტავი გადმოლალეს. მაგრამ ძვირად დაუჯდათ ხეცსურებს ეს გამარჯვება.

ასზე მეტი რჩეული ვაჟაკი მოუკლეს, ასიოდეს მარჯვენა წააცალეს. და მიძმედ დასჭრა თავათ ხოგაი ცალხელა დოლაიმ, ქისტების ბელადმა. შვიდმა სოფელმა მხარით გადმოიტანა ნაბადში გახვეული, დაჭრილი მხედარი არხოტში.

ყვერფნის პირად ჩალაზე დაუგო სამძიმარამ ლოგინი თავის ქმარს. შემოხსნეს ნაბადი და წამოაყენეს ხოგაი დათვიამ და ძალლიკამ — სიყრმის მეგობრებმა. ნახანჯლარებით დადაღულ თავიდან რკინის ჩაბალაზი მოხსნეს და ჯაჭვის პერანგი გახადეს.

ლაფიწი დაემსხვრია მეომრისათვის ხირიმის ტყვიას, ხოლო მეორე, გულისკოვზიდან ირიბად წასული, ნეკნებს ქვემოდ გამოსულიყო.

ჯიბისაკენ ზელი წაიღო დათვიამ, ნაცადმა დოსტაქარმა, ხელსაწყოს ამოსაღებად. სწორედ ამ წუთში თვალი დააფახულა და დაიკენესა ხოგაიმ:

„სანთელი!“

„ვაჰმე ხოგაი!“

შეჰკივლა სამძიმარამ, დაფათურდა, კარადასთან მიიჭრა, თავლის სანთელი მოარბენინა, გამოწვდილ მარცხენაში შეაჩენა ხოგაის.

„ხრმალი!“

მოსმა გმინვა. გააძრო დათვიამ მუნვე გდებული ფრანგული ქარქაშს და მარჯვენაში მცაცა სულთმოზრდაეს.

„მახკალით!“

დაიხროტინა ზოგაიმ, ჩამოზნელებულ სივრცისკენ გაისაგსავა უმწეოდ ხელები. ხმლები იშიშვლეს დათვიამ, ლომიკამ, უთურგვამ, ბერდიათ და მინდიათ.

„მავხკლავით!“

შესძახეს მომაკვდავს ხმალამოწვედილმა ვაჟაკებმა, მაგრამ ეს ხმა აღარ მისწვდენია ზოგაის სმენას.

ისევ მიფათურდა სამძიმარა და მარილი ჩააყარა ზოგაის პირში.

ლოგინი გამოუცვალა მიცვალებულს. ცეცხლს მისცა ძირსნაგები ჩალა, „სალოგინე“ დასწვეს, ტანზე გახადეს ცხედარს, სამი პერანგი ჩააცვეს ზედიზედ ხევსურული წესით, ჯერ თეთრი, მერმე ლურჯი, ხოლო მათ ზემოდ „კლარტისა“, სისხლისფერი ფარჩის პერანგი.

გამოეყო ბნელს ლომიკა ზვიადური, თავი ჩაჰქინდრა, თელგამიანი, ჩამჭრალი თვალები მიაშტერა მიცვალებულს და მორთო ბუტბუტი:

...„იალიმც შახვალ, იახში გზაიმც ხსნილი გაქვს, სულიმც იალი, გზათაც ინათლები, ბნელშიაც ნუ დარჩები, ნუმც რა დაგაშინებსა, ხმლითაც ილალო, მტერსაც იბრუნებო, გულმაგრადაც ხარო, თავისებსაც შეეყრები, ცნობა, ნდომითა, განათლებითა“.

აართვა სანთელი მკვდარს, გვერდით მოუსვენა. ოღონდ ეს იყო, ხრმლის გამოართმევა გაუძნელდა ფრიად, ზოგაის გაყინულ თითებს ძლივს გამოვლიჯეს სამოცწლიან ბრძოლებში ნაცადი ხრმალი.

„ერემლობის დღეს“ „სულის ცხენი“ დააყენეს მიცვალებულს თავზე და წარსთქვა ხევისბერმა ხირჩლა ბალიაურმა:

„ეგ ცხენი საფერხედ გყვანდეს,

ძალლი საყარაულოდ,

ციცაი თავგების სამთხოზლად,

თავგები შენი სულის მხსნელად.“

„ამინ“, შესძახეს თანადამსწრეთა.

უმაგალითო დოდი გაუმართეს ზოგაის შატლიონებმა და არხოტიონებმა. ძაძებით შეიმოსნენ ქალ-რძალნი. მთელი ხევსურეთი მისტიროდა ამ სიმძიმის, რადგანაც იმ დროს ქისტების შულლი ჰქონდათ ხევსურებს და ვერავის ხედავდნენ მის შემცვლელს.

ისკორტაზე დაჰკიდეს ზოგაის ფარები, ხირიმები, დავითფერულები, ხოლო მისი საყვარელი ფრანგული წითელ-ყვითლად მოოქვილ ზანდუტაში ჩაჰკეტა სამძიმარამ, რადგან უპატრონოდ დარჩა ზოგაის ხრმალი. ვერც ბერდია, ვერც უთურგვა ორივე ხელითაც ვერ შემართავდნენ მამისეულ ფრანგულს, ხოლო მინდია, სიყრმიდანვე ქისტების მმუსგრელი,

სახეებით გამოეცვალა ტყვეობას. გარდა ამისა, სიოცარა სენი შეძეროდ-
და ზოგაის მინდიას: ტილი უაჟოდა დღენიდაგ ტანზე და ვერა წამლით
ვერ ეკურნათ მისთვის.

ზნე და ტალავარიც შეცვლოდა მინდიას. დიდი ხნის შემდეგაც დე-
დამ და ძმებმა ძლივს ვახადეს ქისტური ჩოხა, უბრალო, ჯვალოს ჩოხა,
რომელსაც არც ხევსურული ფერადი მძივები ამკობდა არც ხატოვანი
შიბები, არც ხევსურული თავწაგრავნილი ჯვრები.

ქისტური ფაფაზი მოხადეს, ქორის ბუღისებრ გაბურძგენილი. ხევ-
სურული ტალავარი ჩააცვეს ტანზე, წითელ-ყვითლად მოქარგული პა-
ქიკები, და ხევსურული ჯვრიანი ქუდი დაჰხურეს თავზე.

ხოგაი გამოიგლოვეს თუ არა, აშექალა შერთეს მინდიას, აკევანში და-
ნიშნული სასძლო.

დარღობდა სამძიმარა მინდიას გაუცნაურებას ასეთს. ძილფზიზლობდა
კერასთან ზამთრის გრძელსა და ბნელ ღამეებში. დაიცლებოდა თუ
არა ყვერფნის გარშემო როგორც სამამაცო, ისე სადიაცო, ვაგები ქერხო-
ში ავიდოდნენ დასაძინებლად, ბეჭავდა სამძიმარა სელს და მოესმოდა,
თუ როგორ ხშიანობდა ზანდუკში ზოგაისეული ფრანგული. არ ისვენებ-
და უპატრონოდ შთენილი ხრმალი, მდუღარე სდიოდა სამძიმარას თვალ-
თაგან, უნიათო შვილების სვით გულგამებხილს.



სწორედ ერთი წლის შემდეგ მოჰგვარეს მინდიას ოჯახს აშექალა მი-
სივე ძმებმა. ქმარმა პირველსაკე ღამეს არ ისურვა პატარძალთან წოლა.
ნავახშმევს „ჯინში“ ჩაწევა ვაგლანად მოკრუნჩხული აშექალა, ზოლო მინ-
დია ძირს ჩამოვიდა ქერხოდან, კერაზე ცეცხლი გააჩაღა ჩრაქვით, და-
ლონებული მიუჯდა ყვერფნს.

ნადირობიდან მობრუნებული ბერდია ყუთხეში მიგდებულიყო ჩა-
ლაზე, საქონელი ხენეშოდა ბაგაზე, სიბნელიდან მოისმოდა ჩალის ხრა-
მუნი, თავგი ფაჩუნობდა სკივრში.

ირგვლეე უწესრიგოდ ეყარა კასრები, ქვაბები, გოდრები, ელავდნენ
ისკორტაზე დაკიდული ფარები, დავითფერულეები და თოფები, მიცვა-
ლებული მამის მუზარადი და ჯაჰვის პერანგი. იქვე ეკიდა კედელზე
ცამეტი გარუჯული მარჯვენა ქისტების.

სამი მათგანი თავათ მოჰკვეთა მინდიამ სამ ქისტს. ერთის პატრონა
შიბუ ღელეში ნადირობის დროს მოჰკლა, ტყეში ჩაუსაფრდა სანადი-
როდ მიმავალს. ირემივით მორთო ბლავილი მინდიამ, თოფისსასროლზე
მოიტყუა ქისტი, მერმე ვადააგდო თოფი. გაესწორდეთო, შესძახა და მარ-
ჯვენა წააცალა.

მეორე შატილის ქალაში წაისწრო. მას აღოსფერი ჩოხა ეცვა, ლაფ-
ში ჩაფლოდა ცხენი, დიაცივით ჰკივოდა. ახლაც მოესმის ზოგაის მინ-

დიას მისი ამაზრზენი ყვილი. ხოლო მესამე, კაცმა რომ სთქვას, ეს მესამეა ხოგაის მკვლელი.

მინდიას ძმობილის აღდიძის მეზობელი დოლაი — ქისტემა — მელა-
დი. ამ ცალხელა დოლაიმ ესროლა ხოგაის ორჯერს სხეულს, და
აულიდან გამოტაცებულ ხეასტავს მოელალებოდნენ ხევსურები.

შემობრუნა ცხენი მინდიამ, ალალივით ჩაუქროლა ოტებულს, ფრან-
გულით მოათალა მარჯვენა, ძირს ჩამოუსვლელად დასწვდა მკლავს და
გამოიტაცა.

ამ უპატრონო, გამხმარმა მკლავებმა ქისტეთი მოაგონა. თავისი ლაღი
სიჭაბუკე, გამუდმებული ნადირობა. გაიპარებოდა მინდია შინიდან, და-
ხოცავდა ჯიხვებს, აპკიდებდა ცხენს, ჩამოიტანდა არბოტში და ხალხს
ეტყოდა:

„წამაქდით, წამაიღით, ოქეაცნო, ვისაც გინდათ, უფასო, უმადლოი
ას, ფასს არავის გამაგართომთ“.

ერთს დღეს დასძინებოდა მინდიას მენადირის ქვაბში.

სამი ქისტი თავზე წაადგა. თვალის მოფშენვტა ვერ მოასწრო, ერთი
მათგანი შეიცნო მინდიამ — დოლაი, ქისტების ბელადი. შეპკრეს მინდია,
უმცროსს დაუსვეს ტახტზე, აიყვანეს აულში და მიზვითის ეზოში
დასვეს.

ჩაქოლოთ ეს ვიარა, გაპკიოდა ქალი და კაცი.

მერმე ის იყო გამოეყო ბრბოს ქისტი აღდიძე:

რად უნდა მოჰკლათო, ხალხო, ეს ხევსური, ხოგაის ვაჟია იგი, ხე-
სურთა ბელადისა. მძევლად გვეყავდეს აულში, ასიოდე ქისტს მოგვეცე-
მენო მასში.

მოიწონეს ქისტებმა აღდიძის თათბირი.

მძევლად გამოაცხადეს მინდია, აღდიძეს მიაბარეს, თანაც შეუთვა-
ლეს ხევსურებს, ტყვე ქისტებზე გადაეცვალოთო ამანათი.

შეიზიზნა თავის ციხეში მინდია აღდიძემ. მოეწონა ვაჟკაცი ვაჟკაცს,
ფარულად „ფიც-ვერცხლი“ სქამეს ხევსურული წესით. ჯიხვზე სანადიროდ
ერთად დადიოდნენ, ყაზახების სარბეველ და საქონლის მოსატაცებლად.

აღრე დაჭრივებულყოფა აღდიძე, წამოსწრებოდა ერთად-ერთი ქალი
ხადიშათი, და ძმანი ეგონათ მამაშვილი უცხოთ.

სიმძამილი და სიხარული ურთიერთს გადაეწვნენ მინდიას ხსოვნაში.
ხადიშათის თეთრმა კბილებმა იელვა მის თვალწინ.

აღისფერი ტალავერი ეცვა ხადიშათს, წითელ-ყვითლად მოქარგუ-
ლი შეიღებები, წითელი მაშიები, გრძელი საყურეები ამშვენებდნენ მის
სალუქს, თეთრყირმიზ სახეს და ხმა პქონდა ხადიშათს, ხატის ზარივით
წკრიალა ხმა, ყელმკერდი — ნუსისგულივით თეთრი, თმა პქონდა ხადი-
შათს ისეთი მოყვითანო, როგორსაც ძროხის შარდით იყენებენ ხოლმე
ხევსური ქალები.

ხევსურეთშიაც გავარდნოდა სახელი მის სილამაზეს. ^{მის ფერს} ქალაი ჰყავსო აღდიძეს, ქისტს.

ხომ ასეთი პირმშვენიერი იყო ხადიშათი, ვაყკაცს ტყუილდებდა იგი სამამაცო საქმეში. გადაიცვამდა ქისტურ ჩოხას, სწორედ სწორტყამდა წელზე, ხირიმს მხარზე გადაიდებდა, ჯირითში, ნადირობაში ეჯიბრებოდა ვაყკაცებს, სამეკობროდ წასულ მამასთან იბრძოდა მხარდამხარ. როცა აღდიძე, მინდია და ხადიშათ სტანიცებში გადადიოდნენ, მთელ რაზმეულებს უმკლავდებოდა ეს სამი მხედარი. ხევსურული მუშარადი და ჯავშანი ენატრებოდა მუდამ.

ხადიშათ, სადა ხარ ეხლა?

ეგებ კერასთან ზიხარ სწორფერო ამ დროს და შესცქერი დაღველილ ცეცხლს?

ან სალიაცოში იწვე მარტოკა, გაყინულ საწოლში. ბალიშს ეხუტებოდე ისევე, როგორც შენს ძმობილს მინდიას ზამთრის ბნელ ღამეში, როცა ქისტი აღდიძე ჯიხვზე სანადიროდ მიდიოდა, ან ხევსურების ხვასტაგის მოსატაცებლად.

მამლები ახმიანდნენ უკვე აულში, შენს თვალებს ძილი არ ეკარება ხადიშათ, ოქროს ბრე იფრქვევა ქისტეთის ლურჯ ვარსკვლავეთიდან და ჰყვიის მუეძინი აულის მიზგითის კოშკიდან.

ხადიშათ, სადა ხარ ახლა, ხადიშათ, მზისფერო ქალავ?

შეერთა უცნაურად ზოგაის მინდია.

თავი აფაჩუნდა პურის კიდობანში.

დაცუცქულა კართან ზოგაის მგელაი, ყმუის და შესცქერის მთვარეს. ცუდათ დაცდილი აქვს მინდიას ამ ძაღლის ყმუილი. სწორედ ქისტების ტყვეობაში ჩავარდნის კვირბადალში ასევე ყმუოდა ამაზრზენი ხმით მგელაი და შორეული სოფლიდან ეხმაურებიან მას სხვა ძაღლები.

გამოელვია ბერდიას უეცრად.

ხედავს, მინდია წამომჯდარა ჩივაზე, იდაყვები მუხლებზე დაუყრდენია, ზის პერანგგაღებული და შესცქერის ყვერფნს.

ტუჩები უტოკავს წამდაწამ, ესიტყვებაო თითქოს ჩანაცრულ ღველფს.

გაოცდა ბერდია: ახლადშერთული ცოლი რად დასტოვაო მინდიამ მარტოკა?

„ეჰ, ასე უთავებო იყვ ბალობიდან მინდია!“

გაიფიქრა ბერდიამ და ჯიხვის ტყავში გაეხვია შემცივნებული.

II

ერთხელ მზემ მოიწყინა.

სანადიროდ წასვლა მოენატრა მინდიას.

უთენია ბანზე გამოვიდა, გადახედა საირმეს მთას. უთვალთვალა მყინვარწყევრებიდან დაძრულ ფრთილებს აღისფერ ღრუბლისას. თეთრი წე-

როების დარად მიმოდიოდნენ მხარგაშლილნი ყაზიბეგმა და როშკას შორის.

ფარების რაჩხუნი შემოესმა მინდიას, მამისეულ ცაქცივეს უფებდა. ხუთმეტრიოდე წლის საღირა, ბერდიას ვაჟი, ეფარიკაქებრძანს შეჭბლი-ანთ ჩაჩაურს.

ჩაჩაური უკვე შეღერებული ყმაწვილი იყო, ბეიტის ნარკტენივით უღვაშით მოსილი. იქვე მგელჯიხვობას თამაშობდნენ ბალღები, მშვილდ-ისარს ესროდნენ პურისაგან ნაკეთებ მგელჯიხვთა ქანდაკებს. ფარ-ხმლის ღღერაზე თამაში მიატოვეს, მეფარიკავეთ მიაშტერდნენ.

შესცქერის გახარებული მინდია, თუ როგორ მიაქვს საღირას უფროს ტოლბიჭის წინააღმდეგ იერიში.

ახლა ჩაჩაურმა მიიმწყყედია საღირა პაპისეულ ციხის კედელთან. ერთ-ბაშად ხმალი ხმლით აუკრა საღირამ მოპირდაპირეს, ხელმარჯვეთ იფარა ფარი, ხელახლა დაწინაურდა.

რა დაინახა მინდიამ უფროდაუფრო ცხარდებოდნენ მოცენწლავენი, ხმლის წყრიალი და ფარხმალის ქახუნცი მატულობდა თანდათან, შეეშინდა, შუღლი რამ უეცარი არ ჩამოვარდნილიყო გაფიცებულ თამაშის დროს.

ძირს ჩამოვიდა, მიაშურა მოფარიკავეთ.

ისევ მოიკრიბა მხნეობა ჩაჩაურმა, მიეძალა საღირას, მაგრამ კვლავ უკუაქციეს იგი.

„გამოდგებისა!“ ამბობს ხოჯაის მინდია, ძმისწულის ხელმარჯვეობით გახარებული.

მალე სამეკობროდ წაიყვანს მინდია საღირას, მამისეულ სისხლის აღებაში შეეშველება ხოჯაის ვაჟებს.

ზამთრის პირზე სამეკობროდ აპირებენ არხოტიონები ქისტეთს გადასვლას, ცალხელა დოლაი აპოხტივით უნდა აკეპონ, საქონლიანად მოსთხარონ ქისტები.

„ნუ ღბალლობთ!“ წარმოთქვა მინდიამ მტკიცედ, ხმალი აუკრა მოფარიკავეთ.

თუ ასეთი ვოჟაკია საღირა, ჯიხვზე სანადიროდ წაჰყვეს ბიძას. თვალი გაუბრწყინდა საღირას, ამის გამგონეს. ამოდ ევედრა მაშას. ჯერ ადრეაო, ღრინავდა ბერდია.

უთენია გაიპარნენ მეორე დღეს მინდია და საღირა შინიდან.

არანაკლებ გახარებულია თავათ მინდიაც: შვიდი წელია სანადირო გუდა-ნაბადი არ აუღია მას. სექტემბრის მიწურულია და წითელ-ყვითელი გაპრეგია წიფელას და ჯახველს.

ტყეებში იღუმალი ჩქამია ფოთლის ცვენისაგან გამდგარი. ლაინის ფერი გადაჰყვრია მახლობელ ქედებს. ალაგ-ალაგ ჩამოთოვლილ მთის უბებში მოსჩანს თოვლის ღილაკრელო თეთრი და ცისფერი. შუროებისაგან გავლებული ხაზები ნამათრახალივით დასტყობია მთის ზურგს.

უხმოდ მიჰყვება მინდია დაცურებულ ბილიყებს, სიკაბუჯის დღენი აგონდება გზადაგზა.

ციხეები დაუნგრევიათ და სახლები აუგიათ, ბილიყები შეუცვლიათ. ტყეები გაუჩეხიათ, ბონდები მოუშლიათ, სხვა ბონდები სხვაგან, მეწყერებს კლდეები შეუღუნიათ ალაგ-ალაგ. ბნობოდ ეს მეყინვარწყვერი დარჩენილა უცვლელად, ეს საყვარელი ქიუხი აღისაი და მთაი საირმე, ჯიწვების საუფლო.

არწივები ფრთხებიან მგზავრის ფეხის ჩქამზე, დინჯად დაიძრებიან, მხარს გაშლიან და იწყებენ რიას მზით გავსილ უფსკრულებს გადაღმა.

იმ ხვეის თავზე კოშკმორღვეულ ციხესთან ქისტებს შეეტაკენ ხოვაი და მისი შეილები; იმ ქალაზე მოჰკლეს მინდიას უმცროსი ძმა ქისტებმა; იმ მთას გადაღმა ერთი წისქვილია, სამი ქისტი დაატყვევეს მანდ ხოვაი, მინდიამ და ბერდიამ, იმ ქიუხის ძირში ნადირობის დროს წაისწრო ორი ძმა ქისტი მინდიამ. ხედახევი მიეპარა, კლდე ისაფრა და ამოხოცა.

უამბობს ამას ყოველივეს მინდია საღირას, ასწავლის, როგორ უნდა იაროს მთაში, კლდე როგორ იფაროს, როცა მტერი თოფისმისაწვდენ მანძილზეა მოსული, მღვეარი თუ გამოუღდა, გვირაბები როგორ უნდა გამოიყენოს, დაწოლილმა როგორ ისროლოს, როგორ უნდა დაცუქდე ტალავარის კალთაზე და გადაეშვას დაცურებულ ქარაფებიდან.

ყველაზე ადრე ნადირობა უნდა ისწავლოს საღირამ.

ნადირობა საშუალოდ ვარჯიშობააო, ხოლო შუღლობა საომარი ვარჯიში.

მტერი და მანე არ უნდა შეგებრალოს, თუ მტერი შეგებრალება, დიაცს დაგარქმევენ, სამაგიეროდ არც მტერი დაგინდობსო მოსისხარს.

ფლათიდან გადახედეს, ხევში ყვავები დასეოდნენ გაბრდღენილ ლეშს ქორისას.

მინდიამ შეაყენა ძმისწული და ასეთი იგავი უამბო:

ერთმა ყვავმა არწივისაგან მძიმედ დაკოდბლი ქორი იპოვნა ერთხელ. ქორი სიკედლილს მიახლებოდა. წესი ჰქონიათ ყვავებს ამგვარი, ყივილს მორთავენ ხოლმე ასეთ დროს, თავიანთ ნათესაეთ უხმობენ საშველად, საერთო ძალით დაპკორტნიან ღონემიხდილ მტერს.

არა ჰქნა ყვავმან თავის რჯულის წესი, არამედ სათნოდ შეიწყნარა ქორი. უვლიდა დაკოდილს, უზიდავდა მკალსა და გველს.

ქორს ფრთენი მოესხა. მაინც დრტვინავდა უკმაყოფილო: მკალითა და გველით მზრდიდაო დედობილი ჩემი, მიტომაც არ ძალმიძსო ფრთამალთა ფრინველთა მიწვენა და შექმა მათი.

მოდო შევიპყრაო გამზრდელი ჩემი, შევქამო და ამრიგად ძალმოცემულმა სხვა ფრინველზედაც ვინადიროვო.

ჰკვიანმა ქორმა შეისრულა მყის/დანაქადი: შეიპყრო კიდევაც და მამათა წესისამებრ შესქამა არაწესისამებრ გარჯილი ყვავი.

გაიგონეო?

ეუბნება მინდია სალირას.

ყმაწვილმა ცბიერად გაიღიმა, არა მიუგო რა ბიძას, მოწივდა სალირას, ლოლოს ქამას ხელი მიჰყო, გზა და გზა ჩამოიჩია ფიქრში გართულ მინდიას.

ეცნაურა მინდიას კიდევანას ქიუხი, უფსკრულში ჩაკიდებული ჩანჩქერები, ხახადაფრენილი გვირაბები, დეკით მოფენილი გორმახეხი.

მზე გაეყარა კავკასიონს. მდეგებივით წამოწვენენ ტაფობზე ჩრდილები.

უკვე მოთავდა მწვანინანი, ძირს დარჩნენ ფიქვენარები და ბუჩქნარები, დათოვლილი კლდეები და ჩალამებული ხეები დაიწყო, მოლიბროთოვლით კიდემდი გავსილი.

წრიაპები მოირგეს მონადირეებმა.

ოჩონპინტეს შეევედროთ, ამბობს მინდია.

ოჩონპინტესო?

„თუ მენადირე წინწინ ნადირთ მწყემსო არ შეხვეწნეს, ნადირს ვერ მახკლავს.“

„ენახავთა ოჩონპინტეს?“

ეკითხება სალირა.

„ოჩონპინტე საფარველ დებულას. როსაც მენადირე ჯიხვს მიეპარების, ოჩონპინტე ჯიხვთ ეტყვის: აბა, მაიქცენით, მენადირე გეპარებისთ, და ჯიხვენ მაიქცევიან. ამით საჭიროა მენადირემ სრუ მუდამ სთხოვას ხელის მომართვა ოჩონპინტეს: ნადირთ მწყემსო ოჩონპინტე, ჯიხვთ თავი მამეცი, სულნი ხომ შენია ნადირისანი.“

მყინვარწვერისაკენ გაიხედა მინდია. აჩქარებს სალირას:

„სიჩქარე გეინდა, სახარის ქარმა არ მოგვასწრას.“

არჩივით გარბის სალირა. მინდიას აოცებს უწვევრული ყმაწვილის ასეთი სიმარადე.

ადრე მოიქანცა მინდია თავათ, კვლავინდებურად ველარ ნავარდობს უფსკრულების პირად დამრეცილ, გაყინულ ბილიკზე.

გაისმა უეცარი გრიალი, დადუმებულმა ქიუხებმა ხმა მისცეს გვრვეინვით.

ახლა აღმოსავლეთისაკენ დაიგრუხუნა თოფმა. შესდგა მინდია, უთვალთვალეზს:

მენადირეებია თუ ქისტები? იქვე გაეარდა თოფი, მახლობელ მთის წვერზე.

„ეს მენადირენი თოფავენ ჯიხვთ“.

გადმოეშვა ფლატედან შუნი და ქარაფიდან გადაიჩეხა. მერმე ხედავდა მინდია, თუ როგორ გადაირბინეს დათოვლილ მთის ზურგზე ჯიხვების ლანდებმა.

შესდგა მეწინავე ჯიხვი კლდის პირად, დაჰკრა რქები ტინს და გადაეშვა უფსკრულში, ზედიზედ მიჰყვენენ დანარჩენებიც მას.

„თუ ჯიხვებ შამაგვეყარნეს, წინ-წინ შენ ესვრივ თლუვი, ვეზნება სალირას ბიძა. — თუ ვააცდინევე, მე არ გაუშობავ“.

ამის თქმა მოასწრო მინდიამ და სამი ჯიხვი მოადგრა ქვეშეშეკიდეს. მინდიამ მოასწრო სროლა, მაგრამ დააცდინა. ახლა სარკვესა და იგრიალა, პირქვე წამოვიდა ჯიხვი და ნაქარივ გაესილ უფსკრულში გადაიჩეხა.

შორს უნდა მოველოთ მონადირეთ იმ ჯიხვის ამოსატანად. გახედა მინდიამ მზეს, სპილენძისფერი სხივები ბლანდავდნენ თოვლიან მწვერვალებს.

ხელი ჩაიქნია მინდიამ, თან წამომყევიო, ანიშნა ძმისწულს.

მიუჩნდა გარშემო ყოველი. გადახედა მინდიამ ძირს დარჩენილ მწვერვალებს, ჩქამი არ ისმოდა არსიდან. სუნთქვა შეპკროდა სამყაროს, გაყინულაო თითქოს არსის ნატამალი ხმელზე. ემცხეთა მინდიას, ენდროსფერ ღრუბლების ფრთილები რა შენიშნა ცაზე გაბნეული ირგვლივ.

მთვარე გამოსულიყო შორეულ კიუხის თავზე, მცირე ლაქები დასტყობოდა ზედ, როგორც ჯიხვის ქლიკების ნატერფალი თოვლზე.

მთის მგელმა გადაიჩრბინა ბილიკზე, მიუჩნდა ისევე გარშემო და შემდეგ ამისა აღმუვლდა რომელიღაც ნადირი ხევში.

შელამებამდის იარეს ისე, დაუბრებოდნენ თითქოს ურთიერთს.

ეს პირველად შეემთხვა ხოჯაის მინდიას ამნაირი ხელის მოცარვა.

მოათავეს უდიდესი აღმართი, აღისაი გადავლილი ქქონდათ უკვე, და მინდია მოთიბულივით დაეარდა მიწაზე, წამ უყო სალირს, დაწოლილიყო იგიც. მერმე ანიშნა უსიტყვოდ ძმისწულს, გაღმა მიშავალ ჯიხვეზის ჯოჯზე. ისინი ლანდებივით ეტმასნებოდნენ ჯიხვისფერ კლდეებს, ვალიპულ შუროს მიჰყებოდნენ, უკანა ფეხებზე შემსხდართ წინანი გამოეშვირათ და მისრიალებდნენ თვალშეუღვამ უფსკრულისაკენ.

გადმოილო სალირამ პაპისეული ხირიმი, მეწინავე ჯიხვი ჩამოაყირავა მყისვე, ახლა მინდიამ ესროლა და შერცხვა გამოუცდელ ყმაწვილის წინაშე.

ვიდრე ნანადირევს ზეგანზე ამოათრევდნენ, შელამდა უკვე სავსებით. ფეხები თოკით გაუკრა მინდიამ ხარჯიხვს, თოფი გაუყარა და ასე ძლიეს მიათრიეს ნადაველი უახლოეს სახუნდარამდის.

ცეცხლი გააჩალეს ქებაში, გულები გახსნეს. მინდიამ ოთხში ამოილო ჯიხვი. შემდეგ მწვადები შეამზადა, სალირა მიუჩინა.

გაიხედა სახუნდარის სათოფურიდან: ცას კოპები შეუტრავს მრისხანედ. ნაგვიანევი გრგვინვის გრუხუნი გაისმის კილიდან კიდედმის. ელვათა კრთომაზე მოსჩანან მყინვარწვერების ზუჩიანი თხემები.

ნავახშმევეს დაქანცულ მონადირეებს ბანგნასვამივით ეძინათ ქებაში. ყმუოდა სახუნდარის მახლობლად მგელი.

გამოეღვიძა სალირას ამ ხმაზე. სათოფურიდან გაიხედა შემკრთალმა. ელვის გველები შოლტავდნენ ცასა და მყარს. დვრინავდნენ ხეებში, ხარჯიხვივით ბლაოდა გრივალნი.

ადგა საღირსა. ცეცხლი გააღვიძა ჩრაქვით, გახედა პირადი დაწოლილ მინდიას, მიწისფერი დასდებოდა მძინარეს. ტუჩები უტოვავდა, ეტიტყვებოთ თითქოს ვილატას ძილში. გუდანური წამოიფარა დაეჭვებდა წარმოსთქვა ლოცვა საღირსა:

„მადლობელი ორ ოჩონპინტე, რო ჯიხვი მამაკელიე. ნადირთმწყემსობაიმც ნუ წაგერთმის. საირმეს მწვერვალზე ჯიხვებშიც ნუ გათავებების“. ესა სთქვა და განაგრძო ძილი.

აყმუვლდა ისევე მთის მგელი საწყალობლად. ცეცხლი ჩაინაცრა საჭუნდარში.

შეკრთა მძინარე მინდია. წამოდგა ანაზნად საწოლზე. ხედავს: შემოვიდა ქვაბში ოჩონპიტე — ნადირთა მწყემსი. ჯიხვის რქებით შემოსილია მთელ ტანზე. ჯიხვის რქები ადგია თავზე, ჯიხვის კლიკები ხელფეხის კიდურებზე.

წამოდგა შემციენებული მინდია და შეპფიცეს ურთიერთს ხევისურმა და ეშმაკის სხეულმა. აღუთქვა ნადირთმწყემსმა ხელმოცარულ მონადირეს ორი ხარჯიხვის და ერთიც შუნის მოკვლა. ოღონდ მინდიას უსიტყვოდ უნდა აესრულებინა ოჩონპინტეს ნაბრძანი.

იყოდა ოჩონპინტემ, მკბენარი რომ სტანჯავდა მინდიას. „სამზღვარზე“ გადაგიყვანო, დაპირდა.

რასაც მომთხოვ, ავისრულებო, აღუთქვა მინდიამ ნადირთმწყემსს. იმ ღამეს „სამზღვარს“ გადააცდინა ოჩონპინტემ მინდია, გუგულების სოფელში ვადიყვანა.

სწორედ ის დრო იყო, როცა გუგულები გამოღმა ლამობდნენ ვადმოვლას. ასეთი წესია თურმე გუგულების ქვეყანაში: ვინც ვადმიდან ვადმოღმა ვადმოდის, მან კაცის სხეული უნდა დაჰყაროს და ფრინველის ვეაშში ვადასახლდეს და იძახოდეს მერმე ქვეყნად — გუგულ-გუგულო.

ამ სამზადისის დროს უცხო რამ ფრინველთა გუნდი შემოესია გუგულების სოფელს. ხოგაის მინდიამ გორდაი იშიშვლა, დაერია გუგულუბის შტრებს და ვადვანტა ისინი. გააოცა გუგულები მინდიას სიჩაუქემ.

რა კაციო, ეს კაცი?

დაჰკითხეს ოჩონპინტეს, ეშმაკის სხეულს.

„ამ კაცს სიმძიმე აწუხებს, აღმართში ვერ დადის მარდად,“ მიუგო ოჩონპინტემ.

მაგის წამალი ჩვენ ვიციით, ისე ვაშველებთ მაგას, სულ ჩვენებრ ფრინავედესო. ოღონდ დაჰკითხე, ჩვენს საქმელს თუ შესკამსო რასმეს?

თავი დაუქნია მინდიამ ოჩონპინტეს, ნადირთა მწყემსს. მერმე ის იყო მოხარშეს გუგულებმა თეთრი გველები.

მოიღუშა ხოგაის მინდია ვავლაზად. უგუნებობა დაეტყო მყისვე. მაშინ დაუგეს გუგულებმა მინდიას ლოგინი.

არ დაეძინა გუნებააღრეულს.

აზლა მეორე დაუგეს, მაინც არ მოეკიდა ჯული.

ბოლოს მესამე დაუგეს, მაგრად დაეძინა გველისმკამელს.

გამოეღვიძა მეორე დილით მინდიას. ცხვრის ფაშვის ოდენა ბებერები გამობუშტოდა ორივე ილღიაში. მერმე გასჭრეს ვუფულებში ეს ბებერებიც ცხვრის ფაშვის ოდენა, სამიოდე ოყა ტილი გადაქცნის იქიდან.

მზეს თვალი შეასწრო, ცაზე ამომაველს, ეუცნაურა ცა და შეაჩიკ-მხარმარჯენიე გაიხედა ზოგაის მინდიაშ, ველარ ნახა საკუთარი ლანდი, ეხლა მხარმარცხნიე მიიხედა, ვერც მანდ ნახა საკუთარი ლანდი, უკან მიიხედა მინდიაშ, არსად სჩანდა არც ნატამალი, წინ გაიხედა ზოგაისმემ და წინ ეღვა ეშმაკის სხეული.

იდგა. იღიმებოდა ნადირთა მწყემსი, თხისებრ წვერს ისრესდა ფრჩხილებით.

შეეკითხა ოჩონბინტე, თავს როგორ გრძნობო, ზოგაის მინდიაე?

აქამდის ძლიეს ავიდოდი მთებზე, გადავევლებიო ახლა თუნდ რომის მწყვერვალს. ქისტებს ძლიეს ვეწეოდი აქამდის, ახლა ხარჯიხეებს მივეწევიო ფეხდაფეხ.

გაიყარნენ მერმე ოჩონბინტე და ზოგაის მინდია, გზა დაულოცეს ურთიერთს.

სამ ზამთარს უცდიდნენ ზოგაის მინდიას შინ. იმ დამეს მარტო დარჩენილმა საღირამ უთენია დაავდო სახუნდარი. შინ მიიტანა ამბავი: მონადირის ქვაბში გაუჩინარდაო ზოგაის მინდია.

იჯდა კერასთან სამძიმარა, უჩინარ ცრემლს ღვრიდა. ბორგავდა ზანდუქში ჩაკეტილი ხმალი ზოგაისა, მოუსვენრად დრტვინავდა, მისტროდა უპატრონობას.

III

შგავების გრიალმა შეაკრთო მარტო მთენილი მინდია.

სახუნდარიღან გამოვიდა, მყინვარებს თვალი შეავლო.

ადამიანის ერიაშული არსაიდან ისმოდა.

ლეღმა დაწყებულყო, ლაინისფერი გადაკვეროდა თოვლს, ქიუხეზიდან დაძრულიყენენ ღვარები და იდგა რძისებური ბურუსი, მყინვარების უბეთა შორის.

წრიაპი ფეხზე მოირგო და შეუღვა გალიბულ ბილიყებს. მიწაზე წარეცხილა ადამიანისა და ნადირის ნატერფალიც, დუმილის უბეში შეეუფულან მყინვარწვერები, მხოლოდ არწივები ლალობენ ცაში.

სიმსუბუქე რამ უცნაური შეიქნო იოგებში მინდიაშ, ფრთენი გამოსხმოდეს თითქოს.

სულ მალლა, სულ ზევით მიიწეეს მგზავრი. დამრეცილი ბილიყებო გარს ევლებიან უფსკრულთა კიდევებს. ქათქათა სინათლე თვალსა სჭრინ ზოგაის მინდიას.

აჰა, მოთაედა საგერიოს გადასავალი. ირველიე გაშლილ ხმელს გადაკვერია ლაინისფერი. თეთრი ღრუბლების საუფლოს მიეახლა მინდია,

თვალი ელაშენება ვერცხლის ორნატებით დადაღულ მწვერვლებს და ასე ჰგონია გულამაყ ხევსურს, სიხარულისგან ცას ვეწიოთ თავი.

მთელი ხმელეთი ხელისგულზე დახატულივით მოსჩანს აქედან. პირიქით ქისტების აულებია, პირაქეთ ხევსურთა სოფლები ქუჩაქუჩააის სიციცხლეში ეს პირველად შეიცნო მინდია, რომ პირაქეთი და პირიქითი ორივე მისი სამშობლოა, გამარჯელი, მშრომელი და საყვარელი ხალხებით დასახლებული. სთვლემენ ლაინისფერი მყინვარები, მშვიდობის რული მორვეია იმ სოფლებსა და იმ აულებს.

მშვიდობა თქვენდა ხევსურთა ციხეებო და ქვიტკირებო, მშვიდობა თქვენდა ქისტების მიზგიეთებო და ციხეკოშკებო!

სული კიდემდის აევსო შვებისაგან ხოგაის მინდიას. კიდევ ერთი ნაბიჯი და იგი ხელით მიწვედება იმ რძისფერ ღრუბლებს, ცას დაუკოცნის მაღლიან კალთას.

უზარმაზარი ჩქერალი ნათლისა ჩაიჭრა მის აზვავებულ გულში, ქირს დაეცა პირქვე ხოგაის მინდია, სამგზის ეამბორა გათოშელ მიწას.

დვრინავდა სიხარული მიწის წიაღში, მღეროდნენ მთები უცნაურად ამო სიმღერას, ბუხუნებდნენ მყინვარწვერები, ლომისსახიან დროშასავით ქათქათებდა მზე სამზეოში.

გადაიარა მინდიამ ორბეთის კიუხი და ხედავს ხევს გადაღმა, სულ ახლოს, ხარჯიხვი შემდგერა ღურაჯისფერ ლოდზე და შესცქერის მენადირეს განცვიფრებული, დავიწყნიაო თითქოს ამ ნადირს მხეცსა და კაცს შორის ოდითგანვე დადებული შუღლი.

ოწონპინტეს გამოუგზავნიაო ხარჯიხვი ჩემთვის.

ეს გაიფიქრა ხოგაის მინდიამ და თოფი გადმოიღო მხრიდან.

გახედა „სალიშნეს“ გულდინჯად, მაგრამ ხარჯიხვი არ იძვრის ადგილიდან, თავისი მშვენიერი, ჯიხვური თვალებით შესცქერის ხოგაის მინდიას, თითქოს ძმადნაფიცი ძმადნაფიცს შეჰყროდესო ამ უღაბურ მყინვარებს შორის.

აქედან ხედავს მინდია, თუ როგორ უცემს აღმართში ნარბენ ნადირს მგზნებარე გული.

„რად უნდა მავკლა ეს საყვარელი ხარჯიხვი? ვის რას უღევს ნეტავი ეს დინჯი ნადირი?“

გაიფიქრა მენადირემ. ძირს ჩამოიღო თოფი.

მცირე მანძილის გავლაც ვერ მოასწრო მინდიამ და შემოესმა ერთობლივი თქარუნი. გული აუტოკდა მონადირეს, ამის გამგონეს, მაგრამ მინდია არც ძირს დაცემულა, არც საფარი უძებნია მას, შემოტრიალდა და რას ხედავს: უფსკრულის პირად შესდგა ჯოგი ყურდაცქვეტილი, არ იძვრის მწვინავე ჯიხვი, არც ერთმა არ ისკუბა ფლატედან მენადირეს დანახვაზე, შესდგნენ მორჩილად და დაუწყეს მინდიას ცქერა (შეყრილანო თითქოს მოსისხარნი ხევსრუნი ხატობაზე, პირშესაყრელოს დაღვეის შემდეგ).

ტაფობისაკენ მიჰყვება ბილიკს ზოგაის მინდია.

აყვავებულან ბესრეკა წიფლები, მწვანე გადმომსკიდარი ტყეებიდან, კლერტოებიდან, იები დამსხდარან მოლიბრო მოღონე როგორც ქალ-რძალნი ხეცურული ციხის ჩარდახზე. გნოლები მკერდს დაწვავს ფერდობზე, ოფოფები დაფარფატებენ მწვანეში გველბოკვერა გველბოკვერას გადახვევია, ქვიშისფერ ლოდთან მიყუთულან, მზეზე ტფებიან.

დედალ-მამალი ორბი დამჯდარა ფერდშეღეწილი კლდის ნამუსრევეზე. ცეცხლოვან თვალეებით შესცქერიან ურთიერთს ტყიერნი.

მიუახლოვდა მინდია გამიჯნურებულთ, არც კი შერხეულან კარაქისფერი ორბები.

ხმა რამ საოცარი შეიცნო მინდიამ, ნელი, ერთობლივი კაკუნი, თითქოს ათასი სარეველა მოეწყოს ვინმეს ამ უკაცრიელ მთაში.

მოიხედ-მოიხედა, და გაოცდა მიზეზის ვერ შემცნობი. გაიარა ტაფობზე და ხედავს: რკუებით მოფენილი იყო ტაფობი გარშემო: მიდგომოდნენ დედალ-მამალნი ურთიერთს, სიკვარულობდნენ თურმე, ამაღაც ისმოდა ზობოკვერების მათის შეხლისაგან ამღგარი ჩქამი.

შემდგარიყო არჩვი ძერასფერ გორმახზე და ბლაოდა საწყალობლად. გაზაფხული მოსულა მიწაზე, მყინვარწვერების მკერდზე დამსკიდარა ყინულის ბექთარი, ქიუხების მიუვალ ჭიმებს ელამუნებიან ღრუბლები, წიფელა წიფელას გადახვევია, გველბოკვერა გველბოკვერას გადასკენია, კარაქისფერი ორბები მიჯნურობენ მზევარეში, მხოლოდ ეს მწერელთ ტყვე არჩვი შებღაღის ცას გახელებული.

ვინ იცის, ეგებ უგულო მენადირეს მოეკლას ჯუფთი მიჯნური მისი, ან ზამთრის ღამეში მგელს კლდიდან გადაეგდოს შუნი და დამხრჩვალისყოს იგი უფსკრულის ნაქარში.

გული აუჩვილა მინდიას ამ არჩვის ბღავილმა, ხადიშათი შოაგონდა, თავისი სწორფერი, ქისტეთის მთებისკენ გადაიხედა.

ჰყვავოდა ჯახველი მთაში, ძმათა სისხლისღერის ბედითი შაცნე.

იმ მყინვარს გადაღმა წოწოლა მთა არის ერთი, მთას იქით ბექობია ორკუხიანი, ბექობის კალთაზე ქისტური აუღია, აულში თეიარი მიზგიითი. მიზგიითის მახლობლად ორი ციხეა, ორი წოწოლა ქისტური ციხე. ერთში დოლაი ცხოვრობს, ზოგაის მკვლელი, მეორეში ალდიძე, მინდიას ნამძობი.

ხადიშათ სადა ხარ ახლა, ხადიშათ მზისფერო ქალავ?

იჯდეს ეგებ ხადიშათი ციხის ჩარდახზე, მზევარეში, წინდასა ქსოვდეს და ჰმუნაედეს თავის სწორფერის გამო. ეზოში ომიანობას თამაშობენ ქისტის ბალები, ხანჯლებით კენწლავენ ჩალის ღეროებს, ვარჯიშობენ ამრიგად, სწავლობენ, როგორ გამოშიენონ სატევრით მტერი, ან მკლავი ვით მოსჭრან მოსისხარს.

თეთრი კოშკის კედლებზე მზევარეში ხმებიან მეშულონი ხეცურთა მკლავები, ეზოს გარშემო სწორფილზე წამოცმულ ვაგებს, არხობენთა



თავეს, კბილები დაუხრქენიათ, ეცინებათო თითქოს ნაცად შეკობრეებს, ქისტის ბაღლებიც რომ იქადიან ხევსურების შემუსვრას ხანჯლით.

ახლა ხევსურეთისაკენ გაიხედა ხოგაის მინდიაშვილი, მისი შვილი მოგონდა, გამარჯვებული მენადირე.

ინანა: რად ვასწავლეო საღირას ჯიხეზე ნადირობისა და ქისტებთან შუღლობის წესები.

სალირა მიიტანდა შინ მინდიას გაუჩინარების ამბავს. შესაძლოა შეედარიც ეგონოთ შინაურებს მინდია.

ისხდნენ ეგების ხოგაის ციხის წინ სამძიმარა და აშექალა, გაეშალოსთ მინდიას ტალავარი, ვინძლო ქისტების მიერ მოკლული ეგონოსთ იგი ბერდიას და უთურგვას, საშულლოდ ემზადებოდნენ არხოტიონები და შატილიონები.

ზეგანზე გამოსულა უკვე ფიქრში წასული მინდია.

მურყანის ძირში ია შენიშნა, ხადიშათის თვალეზივით მორცხვად შწირალი. შეღამებამდის ქისტეთს გადავა მინდია დღესვე, აღდიძის ციხეში შეიპარება იღუმალ, ამ იებს თან წაუღებს ხადიშათს სწორფერი. დსწედა მოსაწყვეტად იას თუ არა, ჰმაი რამ საწყალობელი შემოესმა ხოგაის ძეს:

„ნუ მამწყვეტ, მწერელთ ტყვეო მინდია, — დაიკვნესა იამ, — მე წაშალი ვარ დარდისაგან დაზაფრულისა, ხურვებისაგან შეპყრობილის ოფლის მომდენი“.

ახლა უკვდავას მიეტანა ხოგაის მინდია.

მე გულის მანკის სამკურნალოდ გამოვდგებიო.

ხმა მოსცა უედავამ მიჯნურს.

ციხფერ ჭიკარტებს ხევსურულ გულისპირივით მოექარგათ ირგვლივ ზეგანი. ერთ მათგანს მოუნდომა მოწყვეტა მინდიაშვილი. ჭივილი მორთეს მყისვე ჭიკარტებმა:

ნაშულლარ ხევსურს ეუამებო ნახანჯლარ წყლულსა.

თეთრ დევისპირას წაუღებო აბა ხადიშათს.

ეს გაიფიქრა ხოგაის მინდიაშვილი და დევისპირას წააელო ხელი.

დაბეჯილს ვარჩენო და ძვალდამსხვრეულს, სთქვა დევისპირამ.

ქრისტეს ბეჭედას მოუნდომა მოწყვეტა მინდიაშვილი.

ძუძუთა ბაღლებს ვარგვიარო, როს დედის ხსენი აწყენს ხოლმე ძუძუთა ბაღლებს.

თამარის თვალეზი ხელში მოხედა ხოგაის მინდიას.

ცრემლები ჰყარეს თამარის თვალეზმა: ლეიძლის სიმსივნეს ვინ განყურნავსო უჩვენოდ.

ახლა სანთელას წააელო ხელი მინდიაშვილი.

ჭრილზე მე მადებენო, ამბობდა სანთელა, როცა ხევსური მოკეცნავე იოგებს დაუჭრის თავისავე მოძმეს.



ქართული
საქმიანო

მშვიდობა თქვენდა ყვავილებო, დებო და ძმებო, ზუგმ მოგაკლდებათ დილის ცვარი და მწუხრის თვლენა. თქვენ ამ სერების პირისჩენა ხართ, იმ ქიუხების კრელი შიბა ფრთამოხატული. რა იქნებოდა უვარსკვლავოდ ცათა სილურჯე, რა იქნებოდა უჯიხვებოდ კავკასიონი?

შავი არაგვი — უკალმაზო, ქარი — უსუნთქვო, გველი — უშხამო, თევზი — უფხო, მგელი — უკბილო, ძროხა — უცურო, ჯიხვი — ურქო და ორბი — უფრთო, ვეფხი — უქანგო, დღე — უნათლო, მზე — უსხივო, ზმალი — უვადო და ხევსური ფარხმალაყრილი?

ასევე მიწაც უყვავილოდ დაიშობოდა.

ეს ბექობები, ქიუხები და ზეგანები ბებრისა სახეს ემგვანებოდნენ, კბილებჩაცვენილს და ნაოკდამზრალს.

მზეგრძელ იყავით, ყვავილებო, დებო და ძმებო!

ასეთი რამე სთქვა მინდიამ, ხოგაის ძემან, და გაეცალა ველის ყვავილთ, გულ-მკერდ მოქარგულთ.

ტყის პირად ძველი ნიში რამ შენიშნა ხოგაის მინდიამ. შეიცნო ხევსურთა მიწა-წყლის სამანი.

ჰყვავოდა ჯახველი მთაში ძმათა სისხლისათვის ბედითი მაცნე.

გაახსენდა: ხევსურული ტალავარი რომ ეცვა, ქისტები თავს დაესხმოდნენ უთუოდ, ძველთაგანვე ქისტების მმუსვრელს.

რა იციან ქისტებმა, რა ხოგაის მინდია აღარაა ქისტების მოსისხარი?

ავერ ბილიკზე, წიფლის შტოსა და წიფლის შტოს შორის ბაბაქუას გაუბამს ქსელი, სხივის ათინათზე ციმციმებს იგი, როგორც ვერცხლ-მკედით ნაქსოვი მზის სახე.

არც ამ მწერელთ ტყვე ბაბაქუას ემტერება ხოგაის მინდია, მან თავი მოიდრიკა, ისე გაიარა ბაბაქუას ქსელს ქვემოდ. ბაბაქუას ნაცოდვილარსაც კი არ ახლებს ხელს ხოგაის მინდია. სანადირო თოფი მხრიდან ჩამოიღო, ხევში გადაისროლა.

ამიერიდან ძმობა უთბრა ხოგაის მინდიამ: ამ ჯიხვებს, ამ არჩეებს, ამ ორბებს და ამ ალალებს, მთის ყვავილებსა და ზეგანის რკუებს, მწერელთ ტყვე ბაბაქუას, იმ მთებს, იმ მზეს და მთელს ქვეყანას, დამშვენებულს ფერთა სიუხვით.

მას აღარ უნდა აწ ხევსურული ჯაგშანის ჩაცმა, რკინის ჩაბალახიც მოუბსნია ხოგაის მინდიას და შადადა ყელზე მოეჭდოს მთელს ქვეყანას, ყოველ სულიერთან ფიც-ვერცხლი სჭამოს და ეძმოს ყველას.

კიდევ დახედა თავის მუზარადს და თორ-აბჯარს სამფარეშოსანს, ფლავიდან გადაგდება დაუპირა, მაგრამ დაენანა, გაახსენდა: სწორედ ხადიშათ ნატრობდა ხევსურულ აბჯარს სამფარეშოსანს. ხადიშათს გავუგზავნიო სახსოვრად.. ეს გაიფიქრა, ისევე ჩაიცვა თორი და მუზარადი დაიხურა კვლავ თავზე მინდიამ.

არხოტიონთა პირველ ციხემდის მიაღწია შელამებულზე, კომიკა ზვიადური შემოეყარა გზაზე.

„მშვიდობით მოგვიხვე, ხოვაის მინდია“.

კონსტანტინე
გამსახურდია

IV

ისევე ჩამოდგა ზამთარი. შეიკრა გზები და მოსწყდა ხევსურეთი კვლავ მთელ ქვეყანას. გამტყუნდა მაცნე ამბის მომტანი: ქისტები ლამობენო ზამთრის პირად არხოტიონებზე თავდასხმას.

გზირები მოხსნეს არხოტიონებმა ხეობათა ყელეებში, ციხეებს აღარ კეტავენ მძიმე ურდულებით. დაისვენეს მწვერავებმა, მსტოვარებმა და ხევსურულმა ქოფაკებმა.

ჩამოსთოვა გარშემო ქედებზე, შეშა მოიმარაგეს არხოტიონებმა, ბერკაცები მოემზადნენ გრძელ ღამეებში გრძელი ზღაპრების სათხრობლად. დღისით საფეხნოში ჯღანს ბარდავენ და მუშს გრეხენ მამაკაცები, ღამლამობით ლუღს შეექცევიან, სწორფერები წისქვილებსა და ბოსლებში მიჯნურობენ, საღიაცოში სელს ბეჭავენ დიაცები, უსხედან ნაშუალამემდის ცეცხლს და შიშობენ მამახურამ არ დაიძახოს ორჯერ.

კვირბაღში ხოვაის მინდია ყვერფნს მისჯდომია ფიქრში წასული. გარედ ძაღლები ყეფენ, ბერდია და უთურგვა ჯღანს ბარდავენ, სამძიმარა კარაქსა დღეებს, ოჯახის დიაცი აშეჭალა ძველმანებს ბარდავს, ხანაც მინდიას გასცქერის ეამგამოშეებით, იღუმალ.

გარედ გრივალმა ღმუილი მორათო. საკომურიდან გამოენთო კვამლი. საქონელი მყუდროდ იცოხნის ბაკში.

„რამ დაგაღონა, მწერელთ ტყვეო? — ეკითხება სამძიმარა მინდიას. — რაი მაგდის, მინდიაე, რა?“

ბასუხიც ვერ მოასწრო მინდიამ, შებღავლა იმ წუთში ძროხამ, მასკვლიამ და მოთიბულივით წაიქცა ბაგაზე.

არიქა დავკლათო, წამოიძახა ბერდიამ და სატევარზე გაივლო ხელი. წამოვარდა მინდია ზეზე, ებგერა ბერდიას და სატევარი წაპვლიჯა მყისვე.

„ოცბალ საქონის დაკვლა არ იქნების, ცოდო ას, ცოდო“.

ამბობს გაფითრებული მინდია.

„მამ შეკდარ საქონს ვინა ხელავს, ვინა?“

დაიღრიალა ბერდიამ და მივარდა ძროხას, მაგრამ მასკვლია აღარ ხვნეშოდა უკვე. შემდეგ ამისა გამოზრუნდა და კერას მიუჯდა კვლავ.

„როს გახედ მინდია ასე ბრძენ?“

ეკითხება უთურგვა მინდიას.

„სრუ ყველა სულდგმული თავ თავის წესით უნდა მახკვდას“.

მოუგო მინდიამ მშვიდად.

შუალამე გადავიდა. მამლებმა ყივილი ასტეხეს. აშეჭალა საღიაცოში წავიდა მარტო. ბერდია და უთურგვა ქერხოში ავიდნენ. ძილფხიზლობს სამძიმარა კერასთან. მინდია ჩალაზე მიგდებულა ვაგლასად. საკომური-

დან შემოსული მთვარის შუქი ზედ დასდგომია მძინარეს. შეჩედა სამძი-
მარამ ვაქს, ნათელი გადასდის მინდიას სახეზე.

აბორგდა ზანდუკში ხოგაისეული ხრმალი.

შეკრთა მინდია და ზეწამოიჭრა.

წამოდვა სამძიმარა, ფერხითთ დაუჯდა ვაქს.

„რამ მავდის, მინდიავე, რა? გირჩევ, გონს მახვიდე, გონს. ცბენის
კამია ქისტთ ხომ არ გადაგარჯულეს მავ ურჯულთთა? ან მაძახურა თუ
შაგეყარა ჯიხეზე მენადირეს?“

„ქისტებ რათ ას ურჯულო, დედი, სრუ ყველას თავის რჯული იაქვ“.

„რად ამბობ მავას, მინდიავე? რა რჯული აქვ ცბენისმქამელ ქისტებს?
ქისტებს სისხლი ღმართებს მამისუნისა“.

„რად ღმართებთ ქისტებს მამის თავისისხლი? განა თავის ყვერფნ-
კერაში არ მაკვდა მამაი?“

„როს მაკვდა თავის ყვერფნ-კერაში მამაი? დიაც ხომ არ იყვ? ნაჭ-
რევიან მავიდა ქისტეთიდან“.

„რა უყვათ, ჩვენ ბრალი იას. ქისტთ ჩვენ დავეცნით, ქისტებს რა
ბრალი ისძეს?“

უარესად გაწიწმატდა სამძიმარა.

მთელი ღამე კერას უჯდა სამძიმარა, ღრიკინებდა ჯარა საწყალობ-
ლად და მთელი ღამე ესმოდა დიაცს, თუ როგორ დრტვინავდა მოუს-
ვენრად ხოგაის ხრმალი.

დილაადრიან ხახმატის ხატში წავიდა სამძიმარა, შეავედრა, შეს-
თხოვდა წმინდანს, მაცილე ეშმაკებისაგან განეწმინდა ხოგაის მინდია.

V

წინა დღეს უთურგვასა და ბერდიას ლული ესვათ უზომო. მეორე
დღესაც გადაიპატივა მეზობელმა. შინ ბაღლები და აშექალა დარჩა.
მინდიას გათენებამდის არ დაუძინია. ამიტომაც გვიან ადგა. ყვერფნზე
ჩამქრალიყო ცეცხლი, საღირა საფარიკაოდ წასულიყო, ბერდიას მზია
და მშექალა შემციენებული მისხდომოდნენ კერას. ნესტოებიდან გადმო-
სულ ბოტოტებს ასრუტუნებენ პატარები.

ადექი, შეშა მოიტანეო, შეეხვიანა აშექალა თავის ქმარს.

მინდია ყოყმანით ადგა. ცული გადმოიღო, ტყისაკენ მიმავალ ბი-
ლიქს გაპყვა ფიქრში წასული.

ტყეში შესვლის უმაღვე ვერხვი მოვარდა თვალში, შტოებ-დაჭირხ-
ლული იდგა მარტო ხე, მწვანე ფიქვების წრეში. ისეთი უთვისტომობა
ეტყობოდა, თითქოს გრძნობსო კიდევ განმარტოებას ამ ფიქვებს შორის.
გაიძრო ხოგაის მინდიამ ქამრიდან ცული. ნაჯახი ყუამდის შეეჭლო
ხის ტანს.

რათა მჭრი, მინდია, რათ? რას შემართლებიო სიკვდილს?

დაიგმინა ვერხვმა და ცრემლები გადმოიანთხა ხის ტანის ქრილიდან.

სალოკ თითზე იკბინა ხოვას მინდიაშ.

„რა ღმერთი გამიწყრა, რად არ ვიცოდი ეს ამბავი დღესამდე?“

ეს სთქვა, ხევში გადაისროლა ცული.

მოფოცხა მიწა, დააყარა ნაიარებს, ცალი პატივით გაიქცა წყაროში გაარღვია, შემოახვია ქრილს.

ბერდიას და უთურგვას შეშა მოეტანათ სამეზობლოდან, გარს-მოსხლომოდნენ ყვერფნს, ანწლის არაყსა და ჯიხვის ხორცს შეექცეოდნენ. „ავერ მავიდ ბრძენ კაც“.

უწურჩულა უთურგვამ ბერდიას.

„სად იყავ, მინდიავ, ამოდონ ხანს, სად? ცულ სად წაილი, ან შინ რა შაილ?“

შენიშნა გესლიანად ბერდიამ.

მინდიაშ ნაძალადევად გაილიმა.

გაწმილებული აშექალა ბექსა სცემს სელს.

სამძიშარამ ჯარა შეაყენა, თავი აიღო, შეილს მიუბრუნდა აღერსიანად:

„პურაი არა გშია, მინდია? ნადულარ ხორც მაგიღ.“

თავი ვააქნია მინდიამ:

„ზისცვარ მამილი, დედავ-ზისცვარში კოცხალთა სისხლ არ ურევი.“

VI

იარდაში ¹⁾ შეიყარნენ ქისტები სალაშქრო საქმეთა საბჭოდ. თათბირობდნენ ომის თავკაცები არხოტიონებზე თავდასხმის გამო. წინ წამოდგა ცალხელა ბელადი დოლაი, შიბუ ლელეზე გადავიაროთო ამლამ, მერმე ცხენები გავქუსლოთ, ციხეებში შეუცვივდეთო თავკაცებს და გავუქუთო მცირე და დიდი.

იახში, იახში, ყეფდა კბილებდამღრძვალაი აღი ახუნდი, აპარპალებდა მწითურ წამწამებს, ფრჩხილებით ისრესდა ინით შეღებილ წვერს. ხოჯა სელიმმაც კვერი დაუკრა დოლაის, სამას სამოცი მარჯვენა მართებთო არხოტიონებს, ხევსურების მკლავებით დაეამშვენოთო აულის ციხეკოშკები.

ღაწინაურდა მთასგადაღმელთა ბელადი ყიბილა.

შიბუ ლელეში გზირები ჰყავთო არხოტიონებს, არლუნის ხეობით გადავიაროთ, ერთ დღეს ტყეში დავიშალოთ, შეღამებულზე ქვიტკირებნა და ციხეებს შემოვაგზნოთო ცეცხლი.

ხედავდა დოლაი, მეომართ შორის უმეტესნი ყიბელას მხარეზე იდგნენ, ამიტომაც თათბირი მიაწოდა ლაშქარს ასეთი:

ორად გავყოთ მეკობრეთა ლაშქარი, ერთს შიბუ ლელეზე გადაიყვანდა დოლაი, ხოლო მეორეს არლუნის ხეობით წარუძღვებოდა ყიბილა. მე-

¹⁾ იარდა — ციხეა ქისტეთში, თამარის მიერ აგებული.

არც დღეს, შეღამებულზე არხოტის თავში კვლავ უნდა შეკრულიყვნენ ქისტები და ერთობლივად თავს დასხმოდნენ არხოტიონებს.

იმ ღამეს უეცარმა ქარბუქმა მოუსწრო ქისტის უკუქვერულ მთებში. მხოლოდ მესამე დღეს შეღამებულზე ჯუთას მიადგნენ სკანდალცა და დოლაიცი.

ხევსურთა გზირები დახოცეს ვზადაგზა. იმ ღამეს ჯუთა უნდა გაეტეხნათ, გათენებადის არხოტს მისწვდნოდნენ. კარგად იცოდა დოლაიმ, თუ არხოტიონები ციხეებში ჩაკეტვას მოასწრებდნენ, მერმე გაძნელდებოდა ხევსურთა მკლავების დათვლა.

ლომისგორაზე ბანაკი დასცეს ტყეში, მეწინავე რაზმები თავს უნდა დასხმოდნენ ჯუთას.

ითათბირეს თავკაცებმა, და ქისტები ხერხს დაადგნენ ასეთს:

ნადვის ჭაღები აანთეს მხედრებმა, ოთხივე მხრიდან ჭენებით შეცვივდნენ მძინარე სოფელში ჩირალდნიანი მეომრები საშინელის ყივინით და კვილით. გულგახეთქილნი წამოცვივდნენ ჯუთელეები, ციხეების ბანებზე ცეცხლი აანთეს და ასტეხეს სროლა.

დაჭვეითდნენ ქისტი მხედრები, სახლებს, საძლეებს, ქვიტკიოებსა და ციხეებს შეუგზნეს ცეცხლი. ატყდა გულამზრუნენი კვილი, ძამაკაცების ყვირი, ბაღლების სივილი და გამუდმებული სროლა.

დამხდურების თავზარს ისიც აორკეცებდა, რომ არც კი იცოდნენ, ვინ იყო მომხდური? ყოველივე ამას ზედ ერთოდა: ხანძრისაგან დაფეთებული საქონლის ბღავილი, ცხენების ჭიხვინი, ძაღლების ყმული და ყეფა.

გუგუთა გოგოჭურის ქვიტკიოი განზე იყო, სოფლის ბოლოში, ამიტომაც მოასწრო გუგუთამ მაცნედ გაფრენა არხოტში. ცეცხლი გაუჩინეს ქისტებმა გოგოჭურების ციხეს, კარები შელენწეს ზეიადურების ქვიტკიოში, დღდაწულიანად გარედ გამოორეკეს ქალ-რძაღნი, რადგან ძმები და ძმათაშვილები არხოტს წასულიყვნენ ქორწილში წინადღეს.

ოთხმოცდაათი წლის გამახელა ზეიადურმა ერთ ქისტს სატევაართ გაუბო თავი, მერმე თავათვე წაიჩოჭა ხელშუბისგან გამოშვიგნულმა.

გახა აფშინაური ციხეში ჩაეკეტნათ, მან თოკით მოახერხა საკვამურრიდან გადმოსვლა, სათავეში ჩაუდგა გარედ გამოცვენილ სახლისკაცებს, სოფლის ბოლოდან შეუტეეს ქისტებს.

წიკლაურები ნადირობიდან მობრუნებულებიყვნენ ღამით, აფშინაურები წიკლაურებს შეუერთდნენ და ჭინჭარაულების ვარსმოცულ ციხისაკენ გასწიეს.

ძაღლოვა აფთარაულის აღმოდებულ სახლიდან გამოვარდა ოჯახის დიაცი ლელაი, ორი ძუძუთა ბაღლი მკერდზე მიეხუტებინა, ფეხშიშველა გამორბოდა თოვლში.

წამოეწია ლელაის ქისტი, ვერცხლის ფარავი წაჰრა, ბაღლებს დაუცვა და გაეცალა. ატირებული ლელაი ცეცხლმოდებულ სახლთან შეჯგუფულ აფშინაურებს მიეკედლა.

მოიჭრა ნანაი აფშინაურმა ვერცხლის ფარაგი, მიუვლო ლელაის და დატუქსა:

„რაი გატირებს, ლელაი, რაი, მტრის ძალ ვეადგას, ჩანს მტრის ცხენის, ბეჩაეო?“

გახადა ნანაიმ იქვე გდებულ მკედარ ქისტს ჩოხა, ტანზე გადაიცივა, სატყეარი გაიძრო, ვაჟაკებს წინ წაუძღვა და შეუტრეს ქისტებს.

გათენდა უკვე.

ქისტების დამშეული მოლაშქრენი შეცვივდნენ ჯუთელების სახლებში.

ზოგი სადღეებლებიდან ხელით სვამს კარაჭს. ზოგი აპოხტებსა და შაშხებს მიცივდა, ზოგი უპატრონო მუხარადებს, დავითფერულებსა და ხანჯლებს ეპატრონება, ზოგს საქონელი გამოჰყავს ბაკიდან. ერთნი ცხენებზე შემსდარან, სხვანი ვასატაცებელ ქალებს აწვდიან შხედრებს.

სწორედ ასეთ დროს ვაისმა მამაკური ყოვინი, ცხენების დგრიალი და თოფების ქახანი. უიარალო მინდია წინ მოუძლოდა არხოტელებს. ქისტები შედრკნენ, რა შეიცნეს ვაფითრებული ხოგაის ძე, რადგან ქისტთსაც მისწვდნოდა ხმა: ლანდი დაუკარგავსო მინდიას და ამიტომაც ტყვია არ ეკარებაო მას.

„დამაცათ თქვე ცხენის მკამელეზო!“ — დასკყივლა ბერდიამ, არხოტონების ერთი რაზმი აიყოლია და ცხენდაცხენ შეება ქისტებს.

რა დაინახეს არხოტონები ჯუთელებმა, თვით შეიარაღებულმა დედაკაცებმაც მოიცეს გული. ვახა აფშინაურის ქვიტკირიდან გამოერეკათ ქალებს ქისტები, ნანაი აფშინაური წინ მოუძლოდა დიაცების რაზმს. ბერდიას დანახვაზე მისკენ გამოექანა ნანაი და სწორედ ამ დროს ერთმა ფლალოზიანმა, ცალთვალა ქისტმა ზურგიდან დამბაჩა დასცა ნანაის.

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო ქალმა, ბერდიას ცხენის ფეხს წემოხვია ორივე ხელი.

გადმოიღო ბერდიამ თოფი, ერთად ერთ თვალში ვაუყარა ტყვია ფლალოზიანს.

შემომეატნენ ხევსურებს უფმური ლიქოკელები, თავაწყვეტილი ვაგნიაურები, ქერა ფოლადაურები, ბრაზიანი გოგოჭურები და ქროლა ალუდაურები.

უბელო ცხენებს მოაქენებდნენ გრძელი არაბულები, ნარზაულები, თახიანები, ცისკარაულები და შვიდი ძმა თამარიძე. ამ რაზმეულს კვირიკე ჯაბუშანური მოუძლოდა ხმალამოწვდილი, თეთრი წვერი ნათელივით გადააფენოდა ჯაჭვის პერანგს მისას.

მოხუცი ველურად მოჰყივოდა, ლაპლაპებდა ხმალზე მზის ათინათი. ცხენოსან ქისტების მეთაურს ფეიზულა მაჰმად-ოღლის ხმალი გადაჰკრა კვირიკემ, ვაჟკეთა მხედარი და შეუტრია მამაცად მტერს. უნაგირზე მანდიურად გადაეკიდა შუაგაკვეთილი ფეიზულა, გაქენდა დამფრთხალი ცხენი.

ყორნის ფრთებივით ფრიალებდნენ ჩოხის კალთები ქარზე. ელვასავით ელავდნენ ლეკურები, გრუხუნებდნენ ჯაბაირები ხევში. მყინვარწვერიდან მყინვარწვერამდის გაისმოდა მრგვინავი ეხო.

გრიალით მოსხლიტეს ქისტებმა ცხენები და მიაშურეს მთებში. ლაშქარს ლომისგორაზე. ამასობაში შატლიონებიც დაშრულიყვნენ, მათ ალყა შემოვრტყათ დოღაის ჯარისათვის. გზირები დაეხოცათ ირგვლივ, ტყეში მოემწყვდიათ მტერი.

გააფთრებული იერიშები მიჰქონდათ შატლიონებს მტერზე, მაგრამ ასწლოვან ფიჭვებს ისაფრებდნენ ქისტები და უწყალოდ ხოცავდნენ ხევსურებს.

შეიყარნენ ხვესურთა ხვეისბერები საბჭოდ.

ლომიკა ზვიადაურმა ძველ-ხვესურული საომარი ხრიკი მოიგონა ასეთი: სამი მზრიდან ცეცხლი გაუჩინეს ტყეს, მეოთხედან ფლატე იყო მიუვალი; ძე ხორციელი ვერ ჩამოვიდოდა იქიდან.

გასაოცარი სისწრაფით მოედო ხანძარი ფიჭვნარს.

დაიძრა დამფრთხალი ნადირი აღმოდებულ ტყიდან.

გლეჯდნენ ქორბუღიანი ირმები ღიჭიანს, ზოგნი კატაბარდში იხლართებოდნენ და ბლაოდნენ საწყალობლად, გამორბოდნენ ქეჩოზე აღმოდებული დათვები ღრიალით, ღმუოდნენ მგლები და აფთარები, ცოცხლად დაწვას, ხვესურების შუბბებსა და დავითფერულეებზე წამოგებას არ ჩვედნენ.

შუაგულისკენ მიიწევს ხანძარის დგანდგარი და ლოშნის ღრუბლებს აღისქარი ცასმიწვდენილი.

ცეცხლს ხვესურები მიჰყვებიან უკან, ხვესურებს წინ მიუძღვის ზოგაის მინდია.

ტყრცილებენ ასწლოვანი ფიჭვები, გრიალით ეცემიან ნახშირად-ქცეული ხეები მიწაზე.

ქისტის ცხენების გულშემზარავი კიხვინი მოესმათ ხვესურთა ულავებს და ყალბზე სდგებიან ესენიც, ცეცხლისა, სროლისა და კიხვინისაგან გახელებულნი.

შეღამდა. ტყე ცეცხლმა ჩანთქა, ქისტები უკუიქცნენ და მიაღვნენ ძველთაგანვე გამოცეცხლილ, აბორცვილ ახოს.

აქ კი საზარელი სურათი წარმოუდგა თვალწინ ზოგაის მინდიას.

ახოზე დახოცილი ცხენები ეყარა ვარშემო, ადამიანების ქაჭანება არსაიდან ისმოდა, ერთობლივად გრიალებდნენ თოფები.

დაქვეითდნენ ხვესურნი. ცხენები ისაფრეს და სროლით ჩააჩუმეს მტერი.

მაშინ ზოგაის მინდიამ ითავა: მე ავეყო იარაღს ქისტებს.

ხვესურებს არ უნდოდათ უიარაღოდ გაშვება მისი. არა ქნა მინდიამ, თორ-აბჯარი ზედ მიცვიაო, გუგულების ქვეყანაში სამ ზამთარს ნაჭონი-ქისტის ტყვია ვერას მავნებსო.

დაქვეითდა მინდია და მიაშურა გულდაგულ ცხენის ლეშებით მოფენილ ახოს.

არსაიდან ისმოდა უმცირესი ჩქამიც, მხოლოდ ყუბურებთან უღმრთოება მოზღვავებულიყვნენ ირგვლივ, თავს დასტრიალებდნენ კარაზე დაბოცილ ცხენების ლეშებს. სამიოდე განზე მდგარი ფიქვი ვადარჩენოდა ხანძარს, სამივე დაეხუნძათ სეავებს. გულშემზარავი ჩხავილი და ყრანტალი მორთეს მყივარებმა, რა დაინახეს ხოვას მინდია.

სათოფე მანძილზე მიეახლა ხოვასძე ქისტებს და საკუთარი ცხენის ლეშიდან გამოძვრა სისხლში მოსვრილი, ცალხელა დოლაი. სამგზის ესროლა დამბაჩა მისკენ მომავალს.

„სროლა არ გკოდნია, მწეროლთ ტყვე დოლაი.“

წაიბუტბუტა ხოვას მინდიამ. ამის ვაგონებაზე ათიოდე ქისტიც გამოძვრა ცხენების ლეშიდან. გაჰქირდეს სულწასული ბელადი:

„ასე ხელალებით რად ესროლეო მოციქულს?“

„არ დაგხოცო, გვეყვ რაც ვხოცეთ ერთუც“.

ეუბნება დინჯად მინდია ქისტებს.

თავი ჩაჰქინდრა დოლაიმ. მდუმარედ დააშტერდა მიწას.

წამოცვივდნენ ცხენის სისხლში ამოგინგლული ქისტები.

სახელაჩეხილ მტერს მიაშტერდა მინდია ერთს.

თავისი ნაძმობი შეიცნო, ქისტი აღდიძე.

ვადაეხვიენ ურთიერთს ძმადნაფიცნი.

მერმე მოიხსნა ხოვას მინდიამ ფოლადის მუზარადი, თავზე დაახურა აღდიძეს, ჯაჭვის პერანგი გაიხადა, ტანზე ჩააცვა ძმადნაფიცს. სთხოვა ხალიშათს მიუტანეო ეს აბჯარი, ჩემგან ნაძღვენი.

არ აენებსო ამიერიდან ყაზახის ტყვია.

იარალი აიყარეს ქისტებმა, რადგან ხევსურთა თავკაცებმა ეს მოითხოვეს, გზირები გაატანა მინდიამ ქისტებს, შიბუ ლელეზე გაატარეს დამარცხებულნი. მხოლოდ აღდიძეს გაატანეს ხევსურული აბჯარი, სამფარეშოსანი.

VII

ხოვას მინდიას სახელი ხევსურეთს გადალმაც გადაწვდა. თუშები და ფშავებიც იწვევდნენ სააქიმოდ მას. იგი ყვავილებით კურნავდა სნეულებს. ნაღრძობის წამალიც იყოდა კრილობის უებრო დოსტოქარმა.

თუშეთში გარდაიცვალა კარგო თამარიძე, სახელგანთქმული ხვეისბერი, ხოვას ძმადნაფიცი ძველი. მინდია სააქიმოდ იყო მუნ ჩასული და დელატორებაზე შიიპატიყეს.

ცხრა ძმა თამარიძემ ლუდი აადულეს, მიცვალებულის ნიშანი გარედ დაასვენეს, ტალავარს გარს მოუსხდნენ ქალ-რძალნი.

გამოვიდა ხუთი მხედარი, მიცვალებულის დათალხულ ცხენზე მოდალავე შესევს.

იჯდა, მოდალავე, იგონებდა კარგო თამარისძის გმირობის ამბავს.

— დალაი, დალაი, დალაი თქვეით, მხედრებო.

ბრალი ხარ თამარიძევე, შენი ულაშქრო სიკვდილი.

ლაშქარს ჰკითხავენ სწორები, მაგ შენის ლურჯი ცხენითა, შენი სიათის თოფითა, ლაშქარს ხარ წითლის დროშითა“.

ლუდით სავსე ზიჯურები მიაწოდეს მხედრებს, მოსვეს მოდალავეებმა, ცხენს ფაფარზე დაასხეს ნარჩენი. მერმე ჭირისუფალთ ითხოვეს: დედაშისაკენ არბიეთო ცხენი.

ხოგაის მინდიას მოსწყინდა ქელეხის უთაევამო აურზაური.

გამოეპარა მასპინძელს, ხევესურეთისკენ, გაუდგა გზას.

ნასამხრალზე ჯინჭველების გორამდის მიაღწია და აქ შეასვენა მუხლი.

გააოცა მინდია ჯინჭველების ქალაქის მოსახლეობამ, მსტოვარების სიფხიზლემ, მეციხოვნეთა სიმამაცემ, მუშაკების გულმოდგინებამ. შატლი მოაგონდა, ხევესურული ციხე-სოფელი.

გორაკი დაბურღულია ხერელებითა, შუკებით და გვირაბებით. გვირაბების ყელებთან და გზის საქცევებთან გზირები უყენიათ, უთვალთვალეზენ მსტოვარები ვინ მოდის, მტერი თუ მოყვარე?

გორაკის შუაგულზე გავაკება მცირე და აქ ირევიან აურაცხელი მწითური ჯინჭველები ქვემოდ. ვიწრო ბილიკებზე წკაპაწყუპით მიედინებიან ნაჭირნახულევით დატვირთული ჯინჭველები, საზრდოს მიათრევენ მიწისქვეშა ქალაქისაკენ.

სდგას მინდია და შესცქერის: დატვირთულნი ხერელების ყელში მოთვალთვალე მსტოვარებს მიეახლნენ, ბუსუსა დინგებით შეეხნენ ურთიერთს.

„მშვიდობით მოგვიხვე“, ესალმებიან ერთმანეთს. გზირები გზას აძლევენ ახალმოსულთ. ახლა სხვანი და სხვანი მოდიან ნაალაფარით დატვირთულნი.

ერთი უტვირთო ჯინჭველა მოუძღვის მთელს გროვას, ეს ჯინჭველების ხევისბერია, ბრძოლებში მეთაური, ხატის მედროშე, ბჭობის უხუცესი.

იგი დინჯად მოუძღვება ჯინჭველების ლაშქარს.

ერთი ჯინჭველა წაიქცა ანაზღად, მდოგვის მარცვლის ოდენა ტვირთი გაუეარდა პირიდან. ერთბაშად თავთავიანთი ტვირთი დაადგეს მუშაკებმა და შეიჭნა გამალებული ფუსფუსი და ზიმზიმი.

გამოვიდა „ციხის“ ხერელიდან შაქროხიანი დარბაისელი, გრძელულვაშა ჯინჭველი და მიეახლა პირაღმა მწოლარეს. თავისი წვრილი ბუსუსებით შეეხო სულთმობრძავს. ისევ გაბრუნდა ციხეში.

მერმე გაივსო შუკები, ბილიკები, ხერელის ყელები მწითური და შავი ჯინჭველებით.

გული ეტკინა ზოგაის მინდიას, რა დაინახა, თუ როგორ თავზარსა სტუმს მწერსაც ყოვლისმშუსვრელი სიკვდილი.

მაღე „მიცვალებული“ გაჰქრა საღლაც, არც ხეცსურული რიგისყენება გაუმართავთ, არც დოლი. დაცარიელდა ისევე ბაღები, მუცები და ხერელები. მხოლოდ გზირები დალოლავდნენ აქა-იქ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა დიდი ქარავეანი ჯინჭველებისა. ერთ-ერთ ჯგუფს პირაღმა აყირავეებული ვეება, შავი ზოქო მოჰყავდა. სჩანდა, სიკვდილს მიახლებოდა ზოქო, წინა ფეხებს ოდნავ აფხარკალებდა.

მინდია მიუახლოვდა მსხვერპლს, ჩხირით განარბდა ჯინჭველები თავიანთ ყაჩაღურ საქმიანობას. მერძე გადმოაბრუნა ზოქო. მას ცალი ფრთა ნოწყვეტილი ჰქონდა, ხოლო ცალს უსუსურად აბარბალებდა, ენდროსფერ საპირედებულს. აბჯარი ეცვა ზოქოს, ფარეშიანი ჯაჭვის თვალის მსგავსად დატვიფრული, და ისეთი ბრწყინვალე სიშავე გადასდიოდა მას, როგორც ყორნის ბოლოს გადაჰქრავს ხოლმე (ან არა და ავტომობილის გალაკულ ფარს).

მისი მრგში, დაწინწკლული თვლები უცნაურად შესციმციმებდნენ სახეში მინდიას. ვედრებიანო თითქოს არსთა ქომავს — ზოგაის ძეს, დამიბრუნეო თავისუფლება მწერელთ ტყვეს.

აიყვანა მინდიამ მორიდებულად ზოქო, ჯინჭველების გორას გააცილა და გზაზე დააყენა.

იღვა ზოგაის მინდია, თვალს ადევნებდა მიმავალს.

მივოგავდა დინჯად ნაგვეში ზოქო, თორ-აბჯარში ჩამჯდარ ხეცსურსავით მიბაჯბაჯებდა.

უარესი ამბავი დატრიალდა ამ დროს ჯინჭველების ქალაქში.

ჯერაც არ იყო მზე გადასული. ჩალისფერ სხივებს უგზავნიდა იგი სამყაროს. აღმოდებული ღრუბლები შეფაკლულიყვნენ სისხლისფრად და ვარვარებდა შუქი მყინვარწვევრის თხემზე, როგორც ყვერფზე გაღვივებული ცეცხლი.

სწორედ ამ დროს გამოიარეს თამარიძის დედაძმადან მომავალმა მხედრებმა, გადაიჯირითეს ქინჭველების გორაკზე.

ორ უკანასკნელ მოდალავეს აღვირში უტაცა ხელი მინდიამ.

— რას შერებით მაგას? — დასტყვილა მინდიამ. — თქვენ მიცვალბულის სულისათვის იღწვით და ცოცხალი არსი არ გებრალბისა?

მხედრები დაიბნენ, ვერ მიშხდარიყვნენ რამ გააცეცხლა ამრიგად ლანდლაკრული ზოგაისძე. არც თუ რაიმე დანაშაული შეეცნოთ ჯერეთ. „აბა ჩამაზე!“

დაულრინა მინდიამ და ორივენი დაქვეითდნენ.

თითო-თითო უთაეაზა და ცხენები წაართვა.

თავი ჩაჰქინდრეს თუშებმა და გზას გაუდგნენ. მინდიამ უნაგირები მოხადა ცხენებს, გავაზე ნელი წაუტატუნა და საბაღახოზე გაავლო.

ჯინჭველების ქალაქში მიბრუნებულს შემზარავი დარღვევა დასწრის ფლოქცებს იავარეყნათ მინდაურობა. შუკები, გზები და ბილიკები დაეტყვნათ, მოედნები ჩაექციათ, გვირაბები დატყვევდნენ.

უშტი და უშქარი ჯინჭველა უმწეოდ სხმარტალებზე სტეკრისი, ცოცხლები დანგრეულ ბუდეებში მიმოფანტულ კვერცხებს შორის ზიმშიმებდნენ და იღვანისეთი ზარი და ზათქი ჯინჭველების ქალაქში, როგორც ჯუთთაში იმ ღამეს, როცა ქისტები თავს დაესხნენ ჯუთთელებს.

მოდლავენი თამარიძისა მიბრუნდნენ იმ ღამეს და ასეთი ამბავი მიიტანეს: ჩვენ ჩავუსწარიტ ჯინჭველების ქალაქში სტუმრად მისულ მინდიას, გორაკზე იჯდა და ქაჯური ენით ესიტყვებოდაო ჯინჭველებს (ტენების წართმევის ამბავი როდი გაუმხელიათ).

მთელი თუშეთის, ფშავეთის და ხევსურეთის რჩეული ვაჟკაცები თამარიძის დედატირებაზე იყვნენ და ქვეყანამ ირწმუნა: ზოგაის მინდია შესაღესო მაცილ-ეშმაკებმა.

VIII

ხახმატში დიდი ხატობაა ათენგენობას, ჩრდილიან იფნებს ქვეშ ფუსფუსებენ ხატიონები. „ხელის კოშკთან“ მოგროვალი ქალები სანთელ-საწირს მიართმევენ ხახმატის დობილებს. სტეჟურას რუს სალოცავად მოსულან ვერცხლის ფარავიანი, წითელ-ყვითელი შიბებით მოკაზმული დიაცები.

თავზუჩიანი, თორ-აბჯარში ჩამჯდარი ხევსურები გამოღმა სხედან, ლუდით სავსე ჯიხვები უვლიან წრეს, ყალიონების ბოლი მიიკლაცნება უღრუბლო ცისკენ.

გოროზად გამოსცქერის ველს ხატმატის სიმაგრე, სადაც „ქაჯეთის ციხიდან მონატაცები რჭაი ძროხისა“ და „ოქროს ჩონგური“ ეგულებათ ხევსურებს. ხატის დროშების ელარუნი გაისმის, სარემოდ მოყვანილ ბატკნების ბლავილი.

მწვერის საფლავის ხატის წინ უშვილო დიაცებს მოუყრიათ თავი, საკლავები მოუყვანიათ, ნაყოფიერებას შესთხოვენ ხატს.

თეთრი ციკნები დაციგლიგებენ მოლზე, ციკნების მხარული კიკინი და დიაცების ტარცალი გაისმის წევში.

გამოღმა, მცირე ხატის ნიშთან ბატკნებს კლავენ ქალების „გასანათლავად“.

მახეწარი საკლავს გადასცემს დასტურს, დანას გააშიშვლებს მთავარი ხუცი და როცა სისხლი ვადმოსქდება გამოლადრული ყელიდან, ვერცხლას ფარავიანი დიაცი იჩოქებს, ტფილი სისხლით „ხელს გაინათლავს“. ხატის ნიშთან ხუცი მივიდა: აღმოსავლეთისკენ პირშეტყვეული ამბობს: „ა დიდება ღმერთსა, დრდება მზესა, ძალო ხახმატის ხატისაო, შენ გეძახიან სამსახურის პატრონები, ქუდოსან-მანდილოსნები, ლხინის წამალი დააყარე, მაცილი დააშორე“. მახეწარი დიაციც ილოცავს: სვეტის ზღუ-

ლის ანგელოზო, ვაეი მომეციო, და სტეჭურას გადაღმა ვავა.
საკლავის ხორცსა, ტყავსა და თავ-ფეხს ხუცი, დასტურებენ და შულ-
ტები ინაწილებენ, ნარჩენებს დიაცებს უგზავნიან სტეჭურას გადაღმა.

შეზარხოშებულნი მსახურნი ხატისა დიდ დარბაზში სხედან, ჯიხვის
ყანწები ისმება უმცროს-უფროსობის მიხედვით.

შუაეცებლზე „ლუდის ქვობი“ ჰკილია, ხორცილთ გავსილი კიდემდის.
სუფრაზე შიბით მორთული თასები აწყვია ვერცხლისა, მანდვე ჰკილია
მოხარული ხორცი და კვერები. ზოგაის მინდიამ დარბაზში შემოდგა
ფეხი.

დასტურები წინ შეეგებნენ. „გამარჯვება ბატონ-ყმასა, გწყალობდეს
ხატი“, მიესალმა ხუცი.

სუფრის კიდესთან დაჯდა მინდია, დარბაზს მოავლო თვალი. ბატკ-
ნების თავები ჩაემწყრივებიათ დარბაზის გარშემო, ასე იტყოდით თავში-
შველი ბარტყები მერცხლისა შემომსხდარიანო გარს.

შეზარა ზოგაის მინდია ამის დანახვამ. სიკვდილი ილიმება უხამსად
დაღრჳენილი თეთრ კბილებიდან.

ამაოდ მიაწოდეს მინდიას ხორცა, მან ხელი არ ახლო კერძსა და
ლუდი მოსვა მხოლოდ.

ეზოში დაბანაკებული ხატიონების ბანაკში ჩოჩქოლი ატყდა. შესწ-
ყდა ფანდურების ჩხაკუნი, ტაშფანდური და შაირობა. ლუდმა ძველთა-
ძველი სისხლი შეახსენა ჯინქარაულებსა და ოჩიაურებს.

პირველად ხირჩლა ჯინქარაულმა იშიშვლა ფრანგული და ყური წა-
აცალა გახა ოჩიაურს, გახას სამი ძმა მიეშველა ხმალამოწვედილი, პაპა
ოჩიაურმა და მისმა ძმამ გამართეს მკლავი და დაერივნენ პირტიტველ
კაბუკებს ხმალში ნაცადი ბერიკაცები.

ოჩიაურების ფარებზე ისე სცემდნენ ჯინქარაულების ხმლები, ხარ-
ჯიხვები ეძგერებიათ რქებით ურთიერთს, დავითფერულებს უსწორებდ-
ნენ ჯაჭვის პერანგებს (გარეული ბატები ამარტყუნებენო ფრთებს).

მოზღვავენდნენ ირგვლივ ჯინქარაულები და ოჩიაურები, მათი დედათა
ძმები, ნათესაეები და მოკეთეებიც, მიაწყდნენ ურთიერთს ხმალამოწ-
ვდილნი.

მოცელილივით ძირს ეცემა ზოგი, წაქეუულს ზეაყენებენ, გავსწორ-
დეთო, შესძახებენ და ისევ გაისმის ბექთარების ლაწანი, ხმლების წკრი-
ალა და ფარების ელარუნი.

უწვერულ ყმაწვილს ვერ უხმარია ფარი, ბარძაყიდან თქრილით
ვადმოსდის სისხლი, შიშველი ხელით მოსკიდებია ამაოდ, მერმე ახლო-
ხის კალთის ნახევით შეიკრავს ჳრილობას, ხმალს იძრობს ხელახლა და
ჰკვეთება ჳალარა მოპირდაპირეს.

ბალთებზე მოცვეთილ, უზარმაზარ ხეცურს ერთი მტკიცე ბიჭუკელა დასტაკებია, უცნაურის სისწრაფით იშველიებს ფარს და ხმაღს უსწორებს დევკაცის შუბლს.

სტეჭურას გადაღმა მოქცეულმა დიაცებმა ხატის მხარეზე დახვეწის, სტეჭურა გადმოლახეს და ჩაერიენ მებრძოლებს კვილით.

მზექალა წიკლაურმა მანდილი ჩაუგდო ორ მხარბეჭიან ხეცურს, შესძახა:

ნუ შუღლობთ, ვოჯებო, ღმერთი ნუ გიწყურებისთო.
შვიდი ცოლი წელში ეცა შვიდ ვაჟეცს, დიაცების დანახვაზე უარესად გამხეცდნენ მოშულლენი, უწყალოდ იღვრება მოლზე ხეცურის სისხლი. იდაყვი ჰკრეს გამზავებულ დიაცებს, ზედ გადააბოტეს წაქცეულთა და მათ მანდილებს, გამძაფრებულნი ეგვეთნენ ურთიერთს.

ხატის დარბაზში უკვე შეთვრნენ ხუცი, შულტები და დასტურები. მდუმარე მინდია ზის ისევ და შესცქერის ირგვლივ ჩამწყვრივებულ ცხვრისთავეებს კბილებ-დაღრქენილთ, და ელანდება ზოგაის მინდიას ყოვლის მშუსგრელი სიკვდილი.

ერთბაზად შემოკუნტრულმა დარბაზში თეთრი, მთლად თეთრი, ყურებპანტურა ციკანი. ლაჯებში გაუძერა ბარბაციტ მოარულ დასტურებს, დაბალ სუფრაზე შეპხტა, ზედდაყრილი მწვანილი მოპკორტნა, მერმე ლუდის თასს დასწვდა მოწყურებულნი.

თავი აიღო, თავისი ეშმაკური, ციმციმა თვალები დააფახულა, ახლა მეორე თასს დასწვდა და მოსვა ლუდი. უეცრად დათვრა ცელქი ბეჭეკა, ისტუნა. იკუნტრულმა და მინდიას კალთაში მოხვდა.

მკერდზე მიიკრა ციკანი ზოგაის მინდიამ, თივთიკივით რბილ ყურებზე მოუალერსა, მერმე ღრუნჩი დაუჭირა საყვარელ ცხოველს და აკოცა.

„ო, რა კარგ თიკანაი ხარ, უნდა დაგკლან ხვალ დილით?“

სწორედ ამ დროს ჩხუბის ამბავი მოიტანა მთვრალმა დასტურმა. ხევის-ბერებმა ამაოდ გამოიტანეს ხატის დროშები, მესულლენი ვერ გააზავეს. მაშინ ჩოხის კალთები აიკეცა მინდიამ, ვეფხვივით გადაიჭრა ლუდისა და სისხლისაგან გაღეშილ ბრბოში, დავითფერული წაართვა ხირჩლა ჯინკარაულს, მერმე დაერია ჯინკარაულებსა და ოჩიაურებს, ჩალისღერივით დაუშხვრია ფრანგულები, ფარები წაართვა ყველას სათითოოდ და თხის არვესავეით გარეკა ხატის ეზოდან მესულლენი.

ღალამდა, ხატის გარშემო მილაგდნენ მთვრალეები, დაქრილები და ჰირისუფლები. ხატის ნიშებში თაფლის სანთლები იცრემლებიან. დასტურები წამოწნენ დარბაზში. პირდაპინილი ხვრინავენ, ეშმაკები ჩასვლიათო თითქოს სტომამაქში.



სტეჭურას გადაღმა კოცონები გაუჩაღებიათ დიაცეხურ ქვეშევსე, ხორცი იხარშება, „სისხლით განათლულ“ ხელებით უკვებებს წყვეტულებს. ხოვაის მინდია ხატის დარბაზში შებრუნდა. ვალეშილი დასტურები და შულტები დახოცილებავით ეყარნენ ცეცხლის პირად. ხუცს ყალიონი პირში შერჩენოდა, რუმბივიტ გაბერილ მუცელზე კონკილასავით დაჰკიდებოდა სატევარი გველისპირული.

მარტოხელა ციკანი დაბტოდა, კიკინებდა საწყალობელად.

ხოვაის მინდიამ მიმოიხედა, რა დარწმუნდა, ყველას სძინავსო, ციკანი ამოიჩრა ილლიაში და გაუჩინარდა.

ასე მოპარა ხოვაის მინდიამ მწვერის საფლავის ხატს თეთრი ციკანი.

ვათენებისას ველკეთილზე ამოვიდა. მეტეხარეს ცხვარი გაეშალა ბექობზე, იჯდა გორაკზე, სალამურს უკრავდა ტბილად, ამომავალ მზეს ადიდებდა მწვანის გამჩენელს:

მინდიამ დაიჩოქა, აკოცა ციკანს.

„აჲ ველარ ვნახავთ ურთერც, ჩემო თიკანავ, ღმერთი დაგიფარავს, ჩემო თიკანავ“.

როცა ციკანი ფარას შეუერთდა, იგრძნო მინდიამ, რომ ეს „ღვთიური თიკანაი“ ყველაზე მახლობელი ყოფილა მისთვის ამ მეშულლე ხატონთა და ხატის ვალეშილ მსახურთა შორის.

საშინელი მარტოობა შეიცნო ხოვაის მინდიამ, რადგან მზე შუბისტარზე ამოსულიყო და მან საკუთარი ლანდაც ველარ ნახა თავათ.

ავიდა ხოვაის მინდია მთისწვერზე, ჩრდილოეთისაკენ გადაიხედა.

ფიქრობს სევდიანი თავისთვის:

იმ მყინვარს გადაღმა მთა არის ერთი, მთას იქათ ბექობია ორკუჩხიანი, ბექობის კალთაზე ქისტური აულია, აულში თეთრი მიწვითია, მიწვითის მახლობლად ორი ციხეა თეთრა, ერთში დოლაი ცხოვრობს, ქისტების ბელადი, მეორეში უსუფ ალდიძე, მინდიას ნამშობი.

ვინ იცის, იჯდეს ეგებ ხადიშათი ალდიძის ციხას ჩარდახზე და ვასცქეროდის ხევსურეთის მთებს და ინატეროდეს ხოვაის მინდიას.

ხადიშათ სადა ხარ ახლა, ხადიშათ, მზისფერო ქალავ?

IX

მესამე დღეს შატილის საფეხნოს მოალწია ხოვაის მინდიამ. წინა კვირას მთაში წასულიყვნენ შატილიონები, ქისტები თავს დასხმოდნენ ციხესოფელს, დიაცებისა და ძაღლების ამარა ღარჩენილს. ბოსლებიდან საქონელი გამოერეკათ და არწეინად წაესხათ.

საფეხნოში ბჭობდნენ შატლიონები, სამაგიერო დარეში როგორ მო-
ეწყოთ ქისტეთში?

მინდიას დანახვაზე გაახარეს, მოხუცებიც წამოდგნენ შოიკითხეს,
როგორა ხარო, ცოლით, შვილით და საქონით? შოიკი ახლო მოჯარული
დედაკაცები აჩხლობდნენ მეტად:

„ეს რა ამბავია ჩვენს თავსა, როსნამდე უნდა ვიყვით ასე? როსნამდე
გვლივან ქისტებმა?“

მინდია დაფიქრდა, თავჩაღუნული დასცქეროდა მიწას და მერმე,
თითქოს რაღაც ამოიკითხაო მანდ, თავი აიღო და ეუბნება ხალხს:

„ხევსურნო, სისხლიან ლაშქრობას, ადამიანების სიცოცხლისად მოშო-
რებას ვიჯობთ, სამი გავლენიანი კაცი ავირჩიოთ, ვისაც ქისტებში ძმო-
ბილები ხყავა, ასე შაიძლების საქონი დაიბრუნათ“.

აჩოქოლდნენ მოხუცები.

აბა ვის გაუგონავის მგლებთან ბატკნობა? თუ ვოცაკი ხარ, მინდი
გაგვიძელ წინ, მკლავები დავაცალოთ ქისტებს და ციხეებიდან გამოფ-
კილოთო.

მინდია ისევ მიწას დასცქეროდა, როცა ჩოჩქოლი შესწყდა, ისევ აიღო
თავი და სთქვა:

მე ჩემი ვითხარით, როგორც ვინდა, მაიქეციოთ.

მღუმარედ ჩაუარა მინდიამ შატლის ციხეს.

გალავანზე ქისტების მკლავები იყო მიკრული, მარგილებზედაც თავის-
ქალები წამოეცვათ.

მოაგონდა თავის იერიშები, ქისტი ვაჟკაცების გამხმარი მკლავები
და უთავგამო შუღლი...

გულარეული გაბრუნდა შინასაკენ.

მთვარე ამოსულიყო მყინვარწყვერს ვადაღმა, არხოტის კოშკი იღგა
მღუმარედ, ბნელ საუკუნეთა მოგონებით გართული.

ფეხისხმაზე ძაღლები ატყდნენ.

ჭერხოდან საკვამურში ჩაძვრა მინდია.

სამძიმარა საჩემლას მიჯდომოდა, ბატყლის ფრთილა ხელში შერჩე-
ნოდა, ასე ეძინა. მანდია იქვე მიწვა კერის პირად და ჩასთვლიმა.

წინა დღეს ბერდიას და უბურგვას ორი ძროხა აედოთ დოღში. დილით
ადრე მინდია გააღვიძეს. ბანზე გაიტანეს ლუდი და ხაშლამა. ისხდნენ
სამივე ძმები და ლუდს შეექცეოდნენ.

ბანის ფარდულს ქვეშ სამიოდ სკა იღგა. დილიდანვე მშვიდად ზუ-
ზუნებდნენ ფუტკრები, საქმიანად დაფუსფუსებდნენ, ზოგი ველიდან
ბრუნდებოდა პაწია, ყვითელი ბურთულებით დატვირთული, ზოგი ისევ
ველსაკენ მიფრინავდა.

„შატლს ყოფილხარ, მინდიავე, — დაუწყო ბერდიამ, — გეცოდინება,
ქისტებზე თავდასხმას აპირებენ შატლიონები, ჩვენც შემოგვითვალეს,

არხოტიონებიც უნდა მივეშველოთ, ქისტების მკლავებზე უნდა შევამკოთ ჩვენი ციხეები, წამოხვალ თუ არაო სარბევით მინდი?

პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო მინდიამ და ამ დროს მსუქანი სკებთან უცნაური ზუზუნი, ახლადნაყარი ფუტკარი დახმარდა სვეს.

ერთბაშად ჰაერი დაბნელა დამხვედურთა და მომხვედურთა რიალმა. გაცხარებული იბრძოდნენ ფუტკრები, შხამიანი ისრით განგმირულები თოვლის ფანტელივით სცვივოდნენ ბანზე. გაიშხულილებდა ერთი გუნდი, მას მეორე ეძვრებოდა, გასდევდნენ მცირე ხანს მომხვედურებს, მერმე ისევ უკან შემოიქცეოდნენ, ისევ გაიზუზუნებდა ჰაერში ფუტკრას ახალი რაზმეული, ისევ ენარცხებოდნენ დახოცილები ძირს, თოვლის ფანტელები სცვივიანო ირგვლივ.

უთურგვამ სიტყვის დაძვრაც აღარ აცალა მინდიას. ერთი გადახედა დახოცილ ფუტკრებს, შემდეგ მდუმარე ძმებისაკენ გადაიტანა მზერა და ეუბნება:

„აი ეესრ ას ესი, მინდიაე, წუთი სოფლის წეს შენ ვითამ ბრძენ იყე, ბალახ გებრალების, ის ქვე არ იცი, რაი სადა, გიჯობს გონთ მოხვიდ მინდიაე, თვარა ბალახთ სიბრალული არას ჩამაგაყრის“.

ძმებს თვალი ვაუშართა მინდიამ და ჯიქურ შეაგება:

„მერმ რაი ას მაგიდ, ფუტკრებ ერთურც იხოცან, განა მათ ჩვენივით ქკუა აქე, კაცთ უნდა ვიცოდეთ, რა კაი ასა, რაი აე“.

„შენ იქვე შენსავით უბნობ? ჩემ ნაუბარ ქვე არ მაგდის, ყველა პირუტყვი, ყველა მწერი, ყველა ქვემძრომი, ყველა მხარის კაცნი სი-ცოცხლისად იბძვის, შენ კი რას ღბოდაე, რას როშავ, რას?“

შეუძახა ბერდიამ.

ამ ყვირილზე ხევსურები მოგროვდნენ ბანზე.

ორი ძმა თავზე წაღვომოდა თავიქაჩინდრულ მინდიას, ბანზე ფეხ-მორთხმულს და უყვიროდა.

გაკაპასებული აშექალაც თითს უქნევდა, ეჩხუბებოდა ქმარს. ახლა მოხუცებულს მიმართა დიაცმა ერთს.

„უთხარილ რა მინდიას, უნცრუაე, უთხარილ, იწნებ გონთ მავიდას!“

კეფაზე მოიფხანა უნცრუამ ყოყმანით, შემდეგ ენა დასძრა და წა-იბურტყუნა ყრულ:

„ჩემ თქმა რად სჭირდების მინდიას, ის ჩვენს სოფელჩი ბრძენ ას, მან უფრო იცის, რა უჭირს ზალხს.“

დამხვედურ ფუტკრებს მომხვედურები დაემარცხებინათ. აშექალამ ცოცხი მოიტანა და ძირს გადახვეტა ბანზე დაყრილი მკვდრები.

ამასობაში შატილიდან ჩამოსულმა მოციქულებმაც მოაღწიეს.

მოქუჩდნენ ხევსურები ბანზე ფეხმორთხმული მინდიას გარშემო, დი-აცებმა, მოხუცებმა და ჰარმაგებმა, დაშნანმა და უდაშნომ, აბჯრიანმა და უაბჯრომ, ყველამ, ყველამ ერთხმად შებლაგვლა ხოგაის მინდიას:

„გიჯობს, მინდი, გონთ მიხვიდ, გონთ და მამის სისხლი სარო. ზოგაის ხმალი არ აძინებს სამიძიარას, დედაშენს“.

სისხლისგან იცლებათ ხევსურთა მოდგმა, ხაოდნენ მხეცხეცები, კრიაზობდნენ დედაკაცები, გაავებული ყვიროდნენ ვაჟკაცები.

მინდიას ყურთასმენა დაეზოვო თითქოს, თავის ზეაწევა დააბირა, მაგრამ ისეთი სიძიძიე იგრძნო, ასლიტრიანი ლომი დაჰკრესო კეფაზე. გაიბრძოლა ზოგაის მინდიამ, წელის გამართვა მოისურვა, მაგრამ ასე ეგონა, დავითფერულით ხერხემალი გადაუჭრესო.

პირქვე დაეცა ბაწზე და იტირა, უმანკო, ბალღურა ცრემლებით იტირა ზოგაის მინდიამ და ალოკა გარსმოჯარულ ხევსურთა ბანდულებისაგან დათელილი მტვერი.

X

ჯერაც გუთანი არ იყო ცაზე გადასული, როცა თოფი აიღო ზოგაის მინდიამ ხელში და ორბეთის ქაუხისაკენ გასწია.

ეუცნაურა ეს მთები მინდიას, ნისლი დგებოდა ჩაბნელებული ხეობებიდან, ლომისფერი გამზდარიყვნენ ქედები, სიყვითლე შაპარვოდა ფურცლოვანს.

წითელი ჯახველი დაეღაებდა მთაში, ძმათა სისხლისღვრის ბედიითი მაცნე.

ქარი აფორიაქებდა მკენარ ფოთლებს ხეების უბეში, პებლებივით დარიალბდნენ ისინი ხმელსა და ცას შორის.

სტიროდნენ ქარაფების კიდეებზე გადმომდგარი წიფლები და თელები.

ერთი გამოიხვედა მკედრის მზემ ღრუბლების ჩადრიდან და გაწვა მღუმარე ნაძენარების ჯაგარზე მწყემსის ნაბადივით დაფხრეწილი, შავლეგო ღრუბელი.

სამზრეთისაკენ მიფრინავდნენ წეროების ქარავანები, ქარს მიჰქონდა მათი მწუხარე ყიავი, ქილვავებს დაეფლასათ ბეხრეკა მუხების ვაცრცენილი ტოტები, ყაეოდნენ ყორნები, უფსკრულებში ჩარჩენილ ლეშების მოზარენი, გაუმხელელი სევდისაგან ქვითინებდნენ მთის წყაროები.

გადმომდგარიყო ძუმგელი წოწოლა, ბეჭობიდან და ყმუოდა გულშემზარავად.

აღუშებოდა მოწყენილი ცარგვალი, ქარს ზათქით მიჰქონდა მყინვარწვერისაკენ ბურბუშელასავით დაგრავნილი ღრუბლის ფრთილები.

ბილიკებზე გადარბოდნენ დამფრთხალი მელები, სადღაც ხევში ბლანდა ხარჯიხვი, უხმობდა გადაგებულ მიჯნურს გულისას.

წითელი ჯახველი დაეღაებდა მთაში, ძმათა სისხლისღვრის ბედიითი მაცნე.

მძიმედ დგებოდნენ დასკინტლულ ფლატეებზე ჩამომსდარი არწივები, ზოგაისძის ფეხის ხმაზე. გაშლიდნენ მხრებს, დამტულებულით გაეცლებოდნენ.

შეეყრებოდა გულწითელა მინდიას, ერთბაშად შესწავლავდა წიბის, გულგახეთქილი გაპჭრებოდა ლიკიანებში.

შელამებამდის ასე იარა ზოგაის მინდიამ. მთებს პირი ჩამოსტიროდა მის შემხედვარით და თეთრ მყინვარებს ტანს ჩაეცვათ ღრუბლების ძაძა. ისევ გააბილა მკედრებას მზემ თვალი, ნალელიანად შეხედა ზოგაისძეს, კვერცხის გულივით ყვითელი წამწამები დააფახულა და გადაეშვა მყინვარწვერს გადაღმა.

ნათელი გაეყარა ბნელს, მდეგებივით წამოწვნენ ტაფობზე ჩრდილები.

ზოგაის მინდიამ მთავე წყალს მიაგნო, სახუნდარში შევიდა და მიადგა სამზერს.

შორეულ მწვერვალებზე დაღასლასებდნენ ჯიხვის ლანდები, თავს ამოყოფდნენ ხარჯიხეები ნისლში ჩაფლულ შთის ზურგზე, ისევ ჩაყვინთავდნენ და კვლავ დაეარდებოდა დუმილი ხევიში.

გაისმა უეცარი თქარუნა, დაისტვინა ხარჯიხემა სადღაც, და შემდეგ ამისა. ლანდებივით ჩამოეშვნენ ჯიხეები შურიდან, მოსრიალებდნენ მარხილებივით ძირს.

ფრთხილობდა მეწინავე ხარჯიხევი ფრიად, მიმოიხედა გარს, რა დარწმუნდა არსად სჩანსო მტერი, თავი დახარა და პირველი დაეწაფა მთავე წყალს.

მაშინ იგრიალა მინდიას თოფმა და წაიქცა მეწინავე ხარჯიხევი. არ დასცალდა წყლის მოსმა მთელი დღის ნამწყურვალე ნადირს.

დაიფრუტუნა გულგახეთქილმა ჯოგმა და მიაწყდა დაცურებულ ფლატეს.

მიექრა წაქცეულს ზოგაის მინდია, ჯახველას ფერი სიძლი დაღვრილიყო თუშურ ყველივით დაჩველებილ ქვაზე.

ღია დარჩენოდა ხარჯიხეს ქლიავისფერი მშვენიერი თვალები, სამდურავით სავსე, ჯიხვური თვალები.

დააჩოჭა ზოგაის მინდიამ, ბალღივით იტირა, სველსა და გასიბულ დრუნჩზე აკოცა ნადირს.

საშინელი სიცივე შეიცნო, ცხოველის სიკვდილის პირველად შემცნობმა. მოყვებოდა დამრეცილ ბილიკებს დატვირთული ზოგაისძე, იღუშებოდა მდუმარე ბუნება, წყრებოდა მყინვარწვერის მუზარადებზე დაყრდნობილი ცარგვალი.

ბნელმა შემოსა ქიუხები და ქარაფები, დამრეცილ ბილიკებზე მიფათურობს გულშემოყრილი მონადირე.

თამარის ციხის ნანგრევებზე ჩამომსდარიყვენენ ტურები ბნელში, ეკოდნენ ისე ამაზრზენად და საწყალობლად, როგორც ხევსურთა ქალბილი მკედრის ტალავარის გარშემო დამსხდარნი.

ბლადდა ხეცს გადაღმა შუნი, შესტიროდა უთვისტომობას ბნელს, წიფლების შიშველ რტოებზე შემომსხდარიყვნენ ბუები, აბრალბდნენ ცეცხლოვან თვალებს, ამცნობენო თითქოს ზოგაისძეს განრისხებული ბუნების სამღურავს.

ნავახძევეს ხანადირევი შემოათრია მინდიაშ შინ. წინ შეეგებნენ სამძიშარა და აშექალა, თვალის უბეები დაუკოცნეს „გონთ მასულს“.

„ნადირ ცლოვ გიზლას, მინდი!“

მიაძახა გახარებულმა ბერდიამ.

„ხელ მაგიშართას!“

შეჰყვირა უთურგვამ.

„ასემც მაგეკლას მოსისხარი მამის შენისა!“

ამბობს ცრემლმორეული სამძიშარა.

მთელი ღამე კერასთან იჯდა გახარებული დედა, ბეკაედა სელს და მთელი ღამე ბორგავდა ზანდუკში ზოგაისეული, სისხლიანტ ფრანგული.

გვიან დაწვა ზოგაის მინდია. ტყე ესაზმრებოდა, დამფრთხალი ნადირით სავსე, ჩაბნელებული ხეები ხავოდნენ, გაშიშვლებული წიფლები სტიროდნენ, მათ რტოებზე შემომსხდარნი ბუები ცეცხლოვან თვალებს უბრიალებდნენ მინდიას და ამცნობდნენ მასზე გამწყრალ ბუნების სამღურავს.

ჰყევოდა ჯახველი მთაში, ძმათა სისხლისღვრის ბედითი მაცნე.

XI

ისევ დასევს ხეცსურებმა გუდანის ხატში ქადაგი. სათარეშოდ მოუწოდა სრულიად ხეცსურეთს ქადაგმა. თარეშობის ბელადად ზოგაის მინდია აირჩიეს, ქისტების მრავალნაცადი მმუსვრელი.

საქონი უნდა დაებრუნებიათ ხეცსურებს. დოლაის თავი მოეტანათ, ზოგაის მკვლელისა, და მარგილზე ჩამოეცვათ, ასზე მეტი ქისტი ვაჟაკის მარჯვენა უნდა წამოეღოთ, არხოტისა და შატლის ციხეებს გალაენებზე ვაეკრათ.

ქისტებს მესამე დღესვე ამბავი მოუვიდათ, მოდისო ხეცსურთა ლაშქარი, მინდია მოუძღვისო წინ, ზოგაისძე ლანდდაკარგული, რომელსაც ტყვია არ ეკარებოთ თურმე.

სტნეს ეს ამბავი ქისტებმა, თავიანთ წოწოლა ციხეებში ჩაიკეტნენ, ღამლამობით მსტოვარებს აფრენდნენ, ავძალეებს უშვებდნენ, მძიმე ურდულებით კეტავდნენ ციხეებს.

მზე გაეყარა მთებს და ხეცსურების ლაშქარმა ფეხი შესდგა ქისტის მიწაზე.

დაწინაურდა ზოგაის მინდია, ბეჭობზე შესდგა, გადახედა ქისტების ქვეყანას.

მყინვარა გადაელახეთ თეთრი, ახლა მთა დარჩა ერთი, მთას გადავივლით, ბეჭობია ორკუხიანი, ბეჭობის კალთაზე აუღია, აუღში თეთრი

მიზგითია, მიზგითის მახლობლად ორი ციხეა, ერთში დოღაი/სცხოვრობს, ხოგაის მკვლელი, მეორეში ალდიძე, მინდიას მკვლელი ხადიშათ, სადა ხარ ახლა, სადა ხარ, მზისფერო მკვლელი ისევ აყვავდნენ ეს სატყეები მინდიას გულში.

ვასცქერის ქისტეთას მთებს და ფიქრობს იდუმალ გულში: ხევსურთა ლაშქარს ტყეში დასტოვებს ხოგაის მინდია, ორ ვაჟეკას თან წააყვანს მოციქულად აულში. ხალხს ეტყვის, ალდიძის ციხეში შევიპარებით და შიგნიდან გავსტეხთო აულს.

თოფსაც არ ვაისერეს ხოგაის მინდია, საქონელს დააბრუნებინებს, ქისტების შემორიგებას მოახერხებს ალდიძის მეოხებით. აშექალას უშვილობას დაუდევს ბრალად, თავათ კი ხადიშათს შეირთავს მზისფერს.

სთოვს და სთოვს გორმახებზე დაუცხრომლად, თეთრად შეიმოსა ტყეები, თეთრად შეიმოსა თორ-აბჯარი ხევსურთა ჯარისა.

აჰა მოისმა, ძაღლის ყეფა აულებიდან. წრიაპები მოიხსნეს ქვეითებმა, სუნთქვაშეკრულნი ეპარებიან აულის მისასვლელებს. ფრთხილად მოგოგავენ ნაბდით დაქედლი ცხენები დამრეცილ ბილიკების პირზე.

ტყეში შევიდა ლაშქარი და ბქობა გამართეს ხევსურთა თავკაცებმა. ლომიკა ზვიადაურმა ასეთი იგავი უთხრა ლაშქარს:

„ხევსურნო. — დაიწყო ლომიკამ, — მოდი ჩვენ ქისტებს ისეთ ხრიკ ვუყვით, რა ხელიც მელამ ერთხან მეწისქვილეს უყვ.“

რა უქნაო მეწისქვილეს მელიამ? შეეკითხა დათვია ბალიაური.

ერთ მეწისქვილეს მელია შეეჩვია თურმე ვაგლახად, — დაიწყო ლომიკამ, — შეეპარებოდა ღია კარიდან წისქვილში, თუ სადმე ყველი გააჩნდა ხალხებში, ამოუტამდა და ვაჰქრებოდაო.

ერთხელ შეისწრო მეწისქვილემ მელი, ხალამს მისდგომოდა, არხეინად ყველს მიირთმევდა.

სხვა კარი არ ჰქონდა წისქვილს, ვაიხარა მეწისქვილემ: გერსად წამიფარ მსუნაგი მელაა.

შაგრამ დახეთ მელის ჰკუას, მეწისქვილე რა დაინახა, ავიარდა-საწოლზე, პატრონის ჩოხა დაითრია, ცეცხლს შეუტეთა.

მეწისქვილე ცეცხლს მივარდა ჩოხის გადასარჩენად, ხოლო მელიამ ხრიკით უშველა თავს.

ჩვენაც ასე მოვიტყეთ, ხევსურნო, — ამბობდა ლომიკა, — გუდანის ხატი შეგვეწია, პირველი თოვლი რომ დაგვესწროვო. ათი რჩეული ვაჟეკაცი შეგვზავნოთ აულში, ცეცხლს მივცეთ ქისტების ბელლები. ქისტები ბელლების გადაჩინას მოინდომებენ, ჩვენ მათ ციხეებს ვეძგეროთ და გავსტეხნოთო აულში.

ახლა მინდიას მოვესმინოთო, — სთქვა დათვია ბალიაურმა, რადგან დათვიაც ქისტებთან წერიგების მომხრე იყო იდუმალ და მასაც ჰყავდა ნამძობი ქისტეთში.

დაწინაურდა ზოგაის მინდია, ყავარჯენივით დაეყრდნო თოვს და წარმოსთქვა შემდეგი:

ხევსურნო, მომეცი თორი ვაეკაცი წინ წინ, დათუარა ჩაგუაღუთი და კვირიკე ჯაბუშანური. ჩვენთვის კარგია, რომ სთარქსპ-სტარქსპსტარქსტ აბ-ჯარსა და ტალავარს დაგვიფარავს პირველი თოვლი.

აულში შევიპარებით ჩვენ სამი იღუმალ, ჩემო ნამშობის ალდიძის ციხეში შევალთ. ნახევსურალია ალდიძე, ხევსურეთისკენ უძევს გული მას ახლაც. მოვიშველიებთ ალდიძეს და დოლაის ციხეს ავიღებთო ამალამ, მერმე ციხის ბანზე კოცონს გავაჩალებთ, სროლას დავიწყებთ, თქვენც დაატუნებთ, საერთო ძალით გავტეხოთო აული.

უხუცესებმა მოიწონეს მინდიას თათბირი.

დათვია ბალიური და კვირიკე ჯაბუშანური გაატანეს ზოგაის მინდიას, ზოლო ლაშქარი გადაძალეს წიწვიან ტყეში.

ცხენებს თოფრება გაუკეთეს, მეომრებს ჩქამის ვალებმა აუკრძალეს.



სთოვდა და ბარდავდა, დაუცხრომლად სთოვდა და ბარდავდა.

მეზობელი მეზობელს ვერ არჩევდა მითხოს აულში. იძალა ქარბუქმა, თოვლმა დაფარა ხევსურების ზურები, თორ-ჯავშანი და ტალავარი.

აულის მისასვლელთან გზირს მოჰკრეს თვალი. დაცალკედნენ ხევსურები. მინდია წინ წავიდა ფორთხვით, თოფის სასროლზე უკან მიჰყვენენ ღანარჩენები.

გაეპარნენ როგორც იქნა გზირს, ახლა მეორე შემოეყარათ ხევში. ისევ დაეარბნენ თოვლში, ფორთხვით გასცილდნენ საფრთხეს.

სთოვდა და ბარდავდა დაუცხრომელად, ბნელოდა აულის ქუჩაბანდებში. ქვეითყარის სახლებს სახურავამდის მისწედნოდა თოვლი. დაიჭრია-ლებდა ცაზის კარი, გაიღვეებდა ყვითელი შუქი, ისევ დაემზობოდა დუმილი წოწოლა, ქისტურ ციხეების ზეთავზე.

დათვია მურჩია ძმობილებს, განვერიდოთო როგორმე აულს, სასაფლაოზე ვააროთო ფორთხვით, მიზგითის ეზოდან მოვუაროთ, აქედან სჯობიაო ალდიძის ციხესთან მიპარვა.

ცხენის ფრუტუნი მოესმათ ბნელში, ისევ ჩაეფლნენ თოვლში, თავი წამოყო კვირიკემ, გაიარაო ცხენოსანმა ქისტმა, ისევ წამოდგნენ და მიჰყვენენ გზას.

მცირე მანძილს გადაირბენდნენ მხედრული წესით, თოვლში ჩაეფლებოდნენ კვლავ, ისევ დაწინაურდებოდნენ რბენით და ისაფრებდნენ ისევ თოვლს.

მიზგითის ეზოში ჩქამიც არ ისმოდა, გულმოცემული წამოდგნენ სამივენი. უცებ გაიღო მიზგითის კარი, გამოჩლახუნდა კოჭლი მუეძინი.

წინ მიმავალმა მინდიამ შენიშნა იგი, მაგრამ მუეძინი ისე უსწრაღ შემოეხერხა ხოგაისძეს, გზის აქცევა ეკვს აღძრავდა უთუოდ.

მღუმარედ ჩაუარა მინდიამ მუეძინს, რბენისაგან თოვლით დაეცა და ჯაგმანსა და მუზარადზე ხოგაისძეს, ამიტომაც შეეშვედა მუეძინი, დაკვირვებით ახედ-დახედა უცხოს, ხევსურული თორნი შეიცნო და გაეცალა მგზავრს.

ახლა დათვია შემოეყარა. დათვისაც შეხედა, კვირიკეს გზა დაუთმო: ერთი მოიხედა უკან, შედრკა ბერიკაცი, აულისაკენ გაეშურა რბენით. მიკელანობდა წელამდის თოვლში, თანაც უკან-უკან იხედებოდა.

სასაფლაოზე შესდგნენ სამივენი. ითათბირეს: აულში შეესწროთ მუეძინისათვის თუ სასაფლაოზე განაბულიყვენ დილამდის? დიდხანს ვერ შეთანხმდნენ, რა ექნათ.

ბოლოს კვარიკე ჯაბუმანურას თათბირს დაადგნენ: მუეძინს ჩაეასწროთო როგორმე აულში. ამასობაში თოვა შესწყდა და უეცარი ნისლი დავარდა მთელს ხეობაში, აღარც აული ჩნდა ბნელში და არც წოწოლა, ქისტური ციხეები.

სასაფლაო გააარეს თუ არა, ატყდა ყივინი და თოფის სროლა ციხეების ჩარდახებიდან, აყეფდნენ ძაღლები და შეიქნა განგაში ბნელში.

ხევსურებს უკვე უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, რადგან მიზვითს გადაღმა მოთვალთვალე გზირებმაც დაიწყეს სროლა.

აქელებული გარბოდნენ აულისაკენ.

ერთ ქუჩაბანდში გზა აერიათ. გამოიხედა ქვითკირის სამზაროდან ქისტის ღედაკაცმა, შესძახა: რომელი ხართ?

როცა ხევსურებმა ხმა არ გასცეს, კარი გააღო და ძაღლი გაუსია გამვლელებს.

გამოენთო უზარმაზარი, შავი ჭოფაკი ხევსურებს. აქშინებული გარბოდნენ სამივენი, რადგან სროლით თავს გაიმელავენებდნენ, სატევრით ვერა დააკლეს რა შეეფარს.

თეთრი, წოწოლა ციხის კარს მივარდა აქელებული ხოგაის მინდია, აჩქარებულად დააკაუნა ზედიზედ სამჯერ. შავმა ძაღლმა ზედ ციხესთან მისდია გაქცეულთ, შორიახლო დაყუნცდა და მორთო ყმული.

გამოვიდა ტანმორჩილი ქალა, ნაძვის ქაღი ეჭირა ხელში.

აღდიქ თუ არისო შან? მოკრძალებულად იკათბა სტუმარმა. ქალმა ახედ-დახედა თორიან ხევსურებს, ხოგაიხ მინდია შეიცნო სამში. მოისაზრა: აქ არისო უსუფ აღდიქ. მინდიას ეუცხოვა ტანმორჩილი ქალაი. გაიფიქრა: სტუმარი თუ არისო ვინმე.

აირბინა კოშკის კიბეზე ქალმა, შუათვალში შევიდა. დოლაის მოახსენა: ხოგაის მინდია მოსულაო ჩენი ციხის კარზე. დოლაი ხევსურთა

თავდასხმის მოლოდინში იყო, მუეძინის მიერ ატეხილი განჯაში მასაც მიწვედნოდა. ჩოხას იცვამდა სწორედ. დაანამუსა დოლაიმ ~~ქალი~~:

ასე უთხარი, სანადიროდ წასულა-თქო უსუფ აღფიქვან ტახეში შემობრძანდით, მოისვენეთ მანამდის, სადაცაა მოვა-თქო მანამდის, ზედა თვალში აიყვანე სტუმრები, ჯიხვის ტყავი დაუგეო ბუხრის წინ.

ქალმა ისევ გაალო ციხის კარი, შეიპატივა ხევსურები ციხეში. სამივენი ზედა თვალში აიყვანა ალაჩამ, დოლაის ქალმა, ჯიხვის ტყავი დაუგო ბუხრის წინ, უთხრა: თორი მოიხსენით, მოისვენეთო, სადაცაა აღდიძეც მოვაო.

ახლა მიხვდა ზოგაის მინდია, თუ რა საბედისწერო გახდა მისთვის პირველი თოვლი.

ქალი გავიდა თუ არა, სტუმრებმა გააგონეს, თუ როგორ ამოვიდა ვილაცა ხის კიბეზე ჭრატუნით და მძიმე ურდულით ჩაპკეტა გარედან კარი.

აღმა მინდია, შიგნიდანაც გაუყარა ურდული და გაოცებულ ხევსურებს გაუშხილა:

აღდიძის ციხეში მოსვლის ნაცვლად, დოლაის ციხეში მოემბადარართო ტყვედ.

ციხეში ჩქამი არ ისმოდა, როცა ბუხარში ცეცხლი ჩაპჭრა და სავსებით დაბნელდა დარბაზი, მიზგითზე აყეფდა მუეძინი და მამლებმაც ასტებეს ყვილი.

ისხდნენ ბნელში ხევსურები და ქედმოდრეკილად უცდიდნენ სიკვდილს. სთოედა და ბარდაედა გარეთ, ყივოდნენ მამლები აულში.

გამოიხედა მინდიამ სათოფედან, მოწმენდილიყო ატლასის ცა, მყინვარწვევრს თავზე დასდგომოდა მთვარის შუქის ერისიონი, გუთანი გადასულიყო უკვე, უკანასკნელი ვარსკვლავი ილეოდა იისფერ ცაზე.

ინათლა თუ არა, გულანის ჯვარი ახსენა კვირიკე ჯაბუშანურმა, საბრძოლველად მოემზადენითო, ამცნო უმრწემესთ.

დათვია ბალიურმა მუშის საბელი იპოვნა კუთხეში, ურჩია ამხანაგებს: წელზე შევიბათო საბელი. ციხის საკვამიდან გადავეშვათო.

რა გამოვაო, ამბობდა დათვია, დიაცებივით გულხელდაკრეფილი რომ შევხედეთო სიკვდილს.

• კვირიკემ მოიწონა დათვიას თათბირი, მაგრამ მინდიამ შორს დაიჭირა იგი.

სიკვდილს ვერ ავცდებითო მაინც, გაქცეულის სიკვდილს დამხვდურისა სჯობიაო უთყოდ.

დათვია თავისას არ იშლიდა მაინც.

მე გადავალო საკვამიდან, როგორმე გავეჭკვევო ქისტებს, ხევსურთა ლაშქარს შემოვიყვან და ციხეს შემოვეწყებითო გარს.

სამზირიდან უყურებდნენ მინდია და კვირიკე, თუ როგორ გადაეშვა მუშის თოკზე დაკიდული დათვია ციხიდან. მაგრამ ჯერ ცდივეს მზვითს არ იქნებოდა გაცილებული იგი, როცა საშინელი ჭახნი-ჭახნის სისკრებისა, ხმაზე ეტყობოდა, რამდენიმე რომ ესროდა ერთს. მცირე ხნის შემდეგ სროლა მისწყდა და ისევ აყვილდნენ მამლები აულში.

ახლა კვირიკემ გადააგდო ნაბადი და როცა ჩქამი არავინ გაიღო, მიუბრუნდა ხოვაის მანდიას, აკოცა, გუდანის ჯვარი ახსენა და გადაეშვა საკვამიდან მგელმუხლიანი ბერიკაცი.

შორეული ცაცხვის ძირამდის ძლივს მიფოფხდა კვირიკე, სამი ქისტი ლანდივით გამოძერა ფულუროდან, გავსწორდეთო შესძახეს კვირიკეს და იშიშვლეს ხმალი.

დიღხანს გაუძლო კვირიკეს ფარმა ქისტების დაშნების ცემას და როცა მწითური ქისტი ხმლის წვერზე წამოაგო კვირიკემ, ტანმორჩილმა, წითელხოხიანმა უკანიდან მოუარა, ისე მაგრა ამგერა ხმალი ბერიკაცს, რკინის პერანგი გაურღვია და კვირიკე ჯაბუშანური სისხლში მოსვრილი დაეცა თოვლზე.

სამნატყვიარ დათვიას ქისტი გადმოვდო ცხენიდან, სროლით გზა გაეკაფა და ხევსურთათვის მიეწვდინა ხმა.

სამად გააყო ხევსურთა ლაშქარი.

მეწინავე მიზვითისაკენ მიიწევედა სროლითა და ყიჭინით, მარცხენანი დასავლეთის გორაკებიდან უტყვდნენ აულს, მარჯვენანი ხანდაკებში გამაგრებულ ქისტებს ესროდნენ.

მთელი აული ბრძოლის ცეცხლში გაეხვა.

დასნეულბულ ყიბილა ბელადის უმცროსს ცოლს, თვალშშვენიერ შუანეთს ქმრის ჩოხა გადაეცვა, ჩალისფერ ულაყზე შემჯდარიყო, ქისტ დიაცების რაზმს წინ მიუძლოდა, მამაცურად უტყედა აბჯრიან ხევსურთა ერთ გუნდს.

ზოგს შუბები და ფიწლები აედო, კარის ზღურბლთან უხვდებოდნენ მომხვდურთ სხვანი ციხის ჩარდახებთან მდულარეს ასხამდნენ ხევსურებს, ჭვებს უშენდნენ ცხენოსნებს.

შუკებში განუკითხავად ეყარნენ ხევსურთა ულაყებისაგან გადაჯეგილი ძუძუთა ბაღლები. ერთ მიყრუებულ შუკაში ხანჯლიან დედაკაცს ცალ ხელში ატირებული ბაღლი ეკავა, ცალათაც სატევეარს უღერდა მუზარადიან ხევსურს. ხევსური უკან იხვედა გაკაპასებულ დიაცის პირისპირ. გაყვითლებოდა ერბოში ამოსვრილი, შავი ულვაშები.

გაპარტახებულ ქეთვიარის წინ პირტიტველა ქისტი ეგდო გულადმა. მძინარესა ჰგავდა პირშშვენიერი, ჭერა ქაბუკი. მის ჭვერდით მკერდგანგმირული ქალი იწვა ძუძუებამოყრილი, ხანჯალი მარჯვენაში შერჩენოდა მკვდარს.

თმახუტუტა ბაღის ცხედარი კარის ზღურბლითან ~~მცირე ხელოვნო~~
 ძაღლები ლოკავდნენ პატრონების აღისფერ სისხლს.

იძალა ხევსურთა მოწინავე ლაშქარმა, ბერდიამ წაქვედრებულ შემ-
 ზარავი ყიეინით და ეძგერნენ ხევსურები მგლისფერ ფაფაბიან ქისტ
 ცხენოსნებს, ჭიხვინებდნენ ულაყები, წკრიალებდნენ ხმლები, ჯორიალებ-
 დნენ ფარები, ფრიალებდნენ ჩოხების კალთები.

პქუხდნენ მიზგითვის ვადალმა, გორაკებზე ნაგები წოწოლა ციხეები.
 ხეობა დრვინით აბრუნებდა ეხოს.

გულშემზარავად წიოდნენ თმაგაწეწილი ქალები, ღნაოდნენ უბატ-
 რონო ბაღლები, ბლაოდა დამფთხალი საჭონელი, რადგან ბოსლებისა და
 ბელღებისათვის ცეცხლი შემოგვზნოთ ხევსურებს.

ახლა ისიც დაინახა ხოგაის მინდიამ თუ როგორ გარეყეს ხევსურებ-
 მა მიზგითვის გარშემო მეზრძოლი ქისტის ცხენოსნები და დოლაის ციხის-
 კენ წამოვიდნენ სროლით.

ამ დროს გამოჩნდა ქისტების ახალი რაზმი, თეთრფაფაბიანი ცხენოს-
 ნები დაქვეითდნენ, ცხენება ისაფრეს და დოლაის ციხეს შეამოადგნენ
 გარს.

აქუხდა დოლაის ციხე, აგრუხუნდნენ ჯახაირები, ჩარდახიდან დაუშე-
 ნეს ხევსურებს ტყვია.

იწიშვლა ბერდიამ ხმალი, ასტეხეს ხევსურებმა ყიეინი, ამობტივით
 აკეპეს მთელი რაზმეული და სამხრეთადან შემოეწყენენ დოლაის ციხეს.
 ახლა შებებეს ხელი მიჰყვეს გულმოცემულთა, ციხის კარისკენ მი-
 ტანეს იერიშები.

მიადგა ხოგაისძე სათოფეს, ექვსი ტყვიით ექვსი ქისტა წააქცია
 თოვლში, უკუდგა მერმე, შემოინახა უკანასკნელი ტყვია.

გულამღერეული გამოზრუნდა მინდია, მუზარადი თავზე დაიბურა,
 თორი გადაიცივა, თოფი შემართა, ბუჭითან დაჯდა და ასე უცდიდა
 საკვდილს.

ატყდა კიბეების კრაქუნი. კედები მოხსნეს გარედან და დაურთეს
 რკინის ლომები კარებს.

უმოწყალოდ სცემდნენ მუხის კარებს, კედევ მცირეოდენი ხანი
 რომ დაყოვნებოდათ, ხევსურები რკალს შემოარტყამდნენ დოლაის ცი-
 ხეს.

ბოლოს შემოანგრიეს ქისტებმა კარები.

მერმე ის იყო, პირველად შემოვარდნილ ჯავშნიან ქისტს უკანასკ-
 ნელი ტყვია შეაგება ხოგაის მინდიამ, როცა იგი წაიქცა და დენთის ბო-
 ლი გაიფანტა, მიეჭრა ხოგაისძე ცხედარს, რადგან ხევსურული ჯავშანი
 ვცნაურა სამფარე მოსანი.

მუწარადი მოხადა თუ არა ცხედარს, მყისვე შეიცნო მზისფერი ხა-
ლიშთა.

ოთახში შემოცვენილ ჭისტებს ხევსურთა ბელადმა-^{მეფის} ცნადა შეპყ-
რობა ეწადათ, ამიტომაც გარს შემოადგნენ ხმალამოწედილს^{სა} ტყვეს.

სათოფესკენ უკუიქცა ზოგაის მინდია. უკან მიიხედა, თვალი მოპკრა
თუ არა საკუთარ ლანდს, სატევიარი გაიძრო და მარცხენა ძუძუს ჭვემოლ
დაიღვა ვადამდის.

ასიოდე წლის შემდეგაც მღერიან ჩვენი ხევსურები ზოგაის მინდიას
ლექსს და იგი ისევე იწყება, როგორც უნდა გათავდეს ჩემს მიერ ნათს-
რობა:

„მზე წითლდებოდა, წყრებოდა,
ზოგაის მინდი კვდებოდა,
ჩამოდიოდა ვარსკვლავი,
მთვარე უკულმა ღვებოდა.“

ზისზლანსავამი მზე ოქროს ობობასავით წამოსჯდომოდა მყინვარწვერს
თავზე, ზოლო მთვარე, ღამენათვეი მთვარე მრეში ლაქებით ისე დატვიფ-
რულიყო, როგორც ხევსურული სპილენძის ფარი.

დაიწერა 1937 წელს.

* ავტორს ზელთა პკონდა ექიმის გ. თევდორაძის მიერ ხევსურეთში ჩანაწერა.
შველიცა ლიტოცელის ნაამბობი ხალხური, პროზაული ვერსია ლეგენდისა.

ქარლო ქალაძე

ბ ი ო რ ბ ი

ბაღდა,
შორეული აღმოსავლეთი...

ბრბო წამოდგა ფეხზე ლამით, —
და აქ ტყვიით დაიღეწა
ხის ტოტები მზრებამშლილი,
მოშრიალე ტვერი!
ჩვენი შუა მდინარეა
სანაპირო მთა და ზეცა, —
დაიღალნენ გუშაგები
აჩრდილების დევნით!

ვადავიდა შუალამე
და საზღვარზე დგება დილა! —
ტყეში ელავს თვალი ისევ
და შრიალი ფრთხილი...
ბრბო დაშალეს... მდინარეში
მტრის ლეშივით ჩავარდნილა
ნაპირიდან გადმოსული
ალვისხეთა ჩრდილიც!..

მაგტამ, შეკრთენ მეომრები,
და გიორგიც მღუმარეა, —
მათი კარგი მეთაური
მათი ერთად-ერთი!
მათ წინ ტოტებ ჩამოშლილი
ლრუბელივით ბნელი ტყეა, —
და გიორგი, — დაცემული
სველ მიწაზე მკერდით...



ქართული
ნიგელიონიკა

მხოლოდ სამი ღამის შემდეგ
ამოითქვა ხმა უღონოდ, —
აუთრთოდდა გაუგებრად
წართმეული ენა...
ისევ ელავს თვალი მისი
თვალს კი როგორ გაუგონონ? —
მხოლოდ ესმით სულთმოზრძავი
ამოკენესით: — ნენა!..

მაშინ იქვე მეთაურის
სასთუმალთან მხრებ ამართულს
და მათსავეით მგლოვიარეს
შეაჩერდენ უმალ, —
ათასში ის ერთი მაინც
კაიგებდა იმის ქართულს...
და ვღორგის მელმრები
მოლოდინით სდუმან.

„ — დეე, მხოლოდ შენ მისმენდე! —
სხვებზე უკეთ იცი ვინ ვარ,
იცი ველარ გაიხარებს
ჩემი სისხლის მღვრელი!..
მოისმინე ჩემი გული
მოისმინე ჩემი გმინვა...“ —
თქვა გიორგიმ და ჩასვიდა
ჯაყინული ხელი!

„ — რა შორს არის დასავლეთით
საქართველოს მთა-გორები
რა შორს არის... და კარავიც
გურულ ოდას არ ჰგავს...
სადაური სად მოესულვარ
სიყვარულის შთაგონებით!
და სიკვდილი უგზო-უკვლო
ტყვიასავეით მკარგავს!..“

„ — მე, გიორგი ლომთათიძე
ჩემ გურიას აქ ვიცავდი
მუდამ, როგორც უკანასკნელ
ვაზაფხულის ღამით...
ვურიაში მიხვალ მაინც
რომ იარო ფეხით ცამდი, —

საამოდ და საამბობად
წადი ერთი წამით.

„ — და შარავზით ჯარისკაცი
რომ ჩაივლი სოფელს ხოლმე,
თვალს რომ მოჰკრავ დილით ქსთან
ვარსკვლავების ციმციმს! —
მიმიხედები, მათი მზერა
ავრე რატომ დავიხსოვნე
და პირველი დამორებით
სუნთქვა როგორ მიმიძიმს...

„ — მათ აღუბან სიმი ჩონგურს,
და იმღერონ ჩემი ბრძოლა, —
მოიხსენონ: ბრბოს თუ როგორ
ჩავეუსაფრდით გვიან! —
ანუ როგორ მოვიგერეთ,
ტყეში როგორ ატყდა სროლა,
ბნელი ჩემდა გასაგმირად
როგორ გასჭრა ტყვიამ...

„ — ჩემი კარგი სიკაბუკე
დე, კრემლშიაც ჰკითხონ კობას,
მოავონონ მას წარსული
და თეთრების რბევა! —
რომ ციმბირშიც ვეჩვეოდი
მე ამ თოფით ცისქვეშ დგომას,
რომ შორეულ მანჯურიის
საზღვარზედაც მე ვარ“...

თქვა გიორგიმ და ღიმილი
მოერია მგლოვიარეს, —
კვლავ ერთმანეთს შეხედნენ დილით
მზე და მისი მზერა!...
თვალი გაჰყვა შორით საზღვარს, —
და საშუაბლო მოიარეს
აჰყვა ჯარის ნაბიჯებიც
მისი გულის ძგერას!



კონსტანტინე ლორთქიფანიძე

უკვდავება

ცოკლიდან „ბელორუსული მოთხრობები“.

ნოემბრის მიწურულში გერმანელები მოზირიდან გავიდნენ.

ქალაქის დაცლის ერთერთი მიზეზი — ჯარის უპირობა იყო. გერმანელი ჯარისკაცები ძმად ეფიცებოდნენ პარტიზანებს და ქუდებზე წითელ ვარსკვლავს იკერებდნენ. ისინი განაიარაღეს და ორი ლეგიონის თანხლებით ქალაქიდან გაიყვანეს.

უკანდახევა თავდასხმაზე უარესი აღმოჩნდა. ოკუპანტებს გლეხთა აჯანყების ქარცეცხლი დაედევნა კვალდაკვალ. სარდლობა ბევრს ეცადა, რომ უკანდახევა რიგიანად ჩატარებულყო და ქალაქიდან უკლებლივ გაეტანათ სამხედრო ალაფი და საჭურველი, მაგრამ გამხნეებულმა პარტიზანებმა კუდიტ ქვა ასროლინეს გერმანელებს. თავზარდაცემული ჯარისკაცები თვითნებურად სტოვებდნენ ნაწილებს და სამშობლოში გარბოდნენ.

ზამთრის პირი იყო. გამუდმებული წვიმები და შიშველ ხეებზე მოყრანტალე ყვავები, შიმშილი, დაღლილობა სამშობლოში მომხდარი გადატრიალება აღიზიანებდა, სულსა და გულს უწიოვებდა ბუდიდან ამოვარდნილ ჯარისკაცებს. დაშლილი ჯარი მღეროვ ტალღასავით მიექანებოდა შინისაკენ.

საველე სასამართლო დასტა-დასტად ზვრეტდა დეზერტირებს, კეციდან გამოწვეული გერმანელი პროფესორი ლექციებს უკითხავდა ჯარისკაცებს „მამულისადმი სიყვარულის“ გასაღვივებლად... ჯარი მაინც ვერ მოაწესრიგეს.

მაშინ სარდლობამ ჯარის გულის მოსაგებად ბარბაროსთა ჩვეულებას მიმართა. დაპყრობილი სოფლები დასარბევად და სათარეშოთ მისცა თავაწყვეტილ ჯარისკაცებს.

წლეულს ყანები გეტშანისა და ლანდვერის ცხენებმა გადააჯირგალეს, დარკილულ კოდებში თავის სარიხინო მარცვალი არ მოიძეოდა. ხალხი სულს დაფავდა. მუცელდაბერილი ბალები ხეებს ეხუტებოდნენ, რომ არ წაქცეულიყვნენ და ასე ხრავდნენ ქერქს.

სოფლად გამოიღია დასაცავი და მოსატაცებელი, — და მისი მილი-
საგან დაეარდნილი მგლები და ძაღლები ერთმანეთს არ ერჩოდნენ.

თუ კიდევ სადმე ცხვებოდა პური, იხარშებოდა ხურცეულებს მი-
ეარდნილ სოფლებში, რომლებიც პირველ თავდასხმას აჩუქეს კვად-
ურჩენ. ამიტომ გერმანელებმა დიდგზას აუხვიეს და ხელმომთბარ სოფ-
ლებს შეესივნენ.

ხალხი ტყისკენ იწვევდა. კვირა არ გავიდოდა, რომ პისკუნის რაზ-
ში რამდენიმე გლეხი არ გამოცხადებულეყო, მაგრამ იარაღის უჭონ-
ლობის გამო, გამოქცეულებს უკანვე ამრუნებდნენ. პისკუნი მხოლოდ
თოფიანებს იღებდა. ოციოდე კაცი ძლივს შექურვა და ოკუპანტებს
ზურგში მოექცა. ხილებს აფეთქებდა, გზებზე და ბილიკებზე ტბის წყალს
აგდებდა, გერმანელებს შორის ბოლშევიკურ პროკლამაციებს ავრცე-
ლებდა.

ბაბუა რუხლოც ტყისკენ იქირებოდა. უცხენოთ დარჩენილ მოხუცს
მიწა მოუტდა. გაიღამაკებმა კავიდან გამოუხსნეს ცხენი. ბაბუა რუხ-
ლოს ბედნიერებისაგან მხოლოდ რამდენიმე ხნული დარჩა. ხნულებს ბა-
ლახმა გადაუარა, და როცა მოხუცი ობოლ მიწას გადახედავდა, თვალ-
ში მუდამ ცრემლი უბრწყინავდა. იგი მარტო იყო. მიხასმა ცოლშვილი
ადრევე გახიზნა და თავათ ტყეში გაჰყვა პისკუნს. ხელმოცარულ ბერი-
კაცს ოჯახში გული არ უდგებოდა. ორჯერ მოიარა პრიპეცის ტყერი,
სადაც პისკუნის რაზმი იმალებოდა, მაგრამ ბედმა არ გაუღიმა. პისკუნ-
მა ცივი უარი უთხრა.

მოხუცი არ მოეშვა. ადგა და რაც-კი ეშოვებოდა, — პური, არაყი
და ცოტა შაშხი პარტიზანებს ჩაუტანა.

პისკუნს გაეცინა.

— ქრთამია?

— რომელი გენერალი შენ ბრძანდები, რომ ქრთამი მოგართვა! ბი-
ჭის სანახავად მოვედი, — იტრუა გაჯავრებულმა მოხუცმა.

პისკუნის ზუმრობის კილო არ მოეწონა. ეს უკვე უარს ნიშნავდა.

— რა მალე აენტები ხოლმე, ბაბუა! სიტყვას არ შეაწევს კაცს! —
მოფერებით უთხრა პისკუნმა აღერდილ მოხუცს.

— მოდი და ნუ აენტები! — შეიფერა მოხუცმა: — მთელი სოფელი
დაგვაქციეს, აგვაწიოკეს, თქვენ კი შიშისაგან ტყიდან ვერ გამოსულ-
ხართ, ხეებს ეფარებით!

— აი, შენ რომ ჩვენთან წამოხვიდოდე, გული მოგვეცემოდა, გავბე-
დავდიო! — აღერსიანათ გაეხუმრა პისკუნი.

— ...მეკვერცხე დედალივით ბუდეში ბრუნავთ! — გაჭირდა მო-
ხუცმა.

იგი სტყუოდა. ქვეყანამ იცოდა, რომ პისკუნის პარტიზანებს სამღუ-
რავე არ ეთქმოდა, მაგრამ ბაბუა რუხლო დიდი მზაკვარი ვინმე იყო.
პარტიზანებს იმიტომ სძრახავდა, რომ პისკუნი საუბარში ჩაეთრია. სიტყ-
ვას განგებ აჯანჯლებდა, განზრახულს არ ამხელდა, მიეთ-მოეთობდა.

თავს იშინაურებდა, უნდოდა სათხოვარი მერე ეთქვა, როცა პისკუნის ხუმრობას თავს მიანებებდა.

„ო, რა ხარ, ვინც არ გიცნობს!“ — გაიფიქრა პისკუნის ხუმრობებზე-ბულად შეუბრუნა სიტყვა:

— გვიჭირს, ბაბუა, ცოტანი ვართ, ხალხი ბლომად გვეტანება, მაგრამ ჯერჯერობით უარს ვეუბნები, თოფი არა მაქვს. თო-ფი!

უკანასკნელი სიტყვა თითქოს წაიშლერა, ხმის-აწევით დამარცვლა, თუმცა რა საჭირო იყო. მოხუცი ისედაც მიხვდა პისკუნის ეშმაკურ პასუხს. ფახი გაუნელდა.

— მიმიღეთ, მეც რამეში გამოვადგებით! მავათ ჯავრს სამარეში ნუ ჩამატანთ! — წაილულულა მოხუცმა, მაგრამ პისკუნმა თხოვნა არ შეიწყნარა.

პისკუნი მართალს ამბობდა: პარტიზანები იარაღზე ხელვიწროთ იყენენ, მაგრამ ბაბუა რუხლოს რატომღაც სჯეროდა, რომ პისკუნი სიბერის გამო იწუნებდა.

„ალბათ ეჭვი ეპარება რომ ტყეში წაწაღს ვერ ავიტან, და ხიფათს მარიდებს“ — ფიქრობდა მოხუცი და გული უკვებობდა რომ პისკუნის თვალში ასე საცოდავ კაცად მოსჩანდა.

ეს აზრი მაშინ უფრო გაუმტკიცდა, როცა პარტიზანებმა მისი არაყი დალიეს, პური და ხორცი კი ხელუხლებლად დაუბრუნეს. ვითონ და რაო, — დაეარდნილსა და მარტოხელა მოხუცს სარჩო არ მოეკლოთ, უარყოფდა კი როგორმე გასძლებსო. გაგონილა ასეთი დაცინვა და კაცის აგდება!

— უ, შე ქვებუდანა! — აგინებდა მოხუცი პისკუნს და გულდაწყვეტილი შინისკენ მიჩინდრიკობდა.

გერმანელები არა სცხრებოდნენ. გლეხები ქვესკნელში მალავდნენ უკანასკნელ ლუქმას. პრუდოკში ივანე გენდკას და პეტრო სილიჩს თით-ზე გადასახვევი ძაფიც არ შეარჩინეს, ისე გამოახაბაკეს მათი ოჯახი. მერე საჯარო მოედანზე გაიყვანეს და „კოტოშები დააყარეს“¹, მაგრამ პური კი არა, შეწყალების სიტყვაც ვერ გააგდებინეს პირშეთქმულ გლეხებს.

ძალით რომ ვერაფერს გაზდნენ, გერმანელებმა მორიგება ამჯობინეს. ფარულად ჰყიდდნენ ტანსაცმელს, საბნებს, ნადაველ თოფებს და მერე გალემილნი, უღვაშებ გაქონილნი დაბანდალობდნენ გზატყეცილზე.

აი მაშინ დასჭირდა პისკუნს ბაბუა რუხლოს დახმარება. ვათენები-სას პრუდოკში შეიპარა და მოხუცი ინახულა.

კოკისპირულად წვიმდა. გალუმბული პისკუნი ცეცხლთან შრებოდა. წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. ფეხებთან ტბორი ედგა. ბაბუა რუხლო ლადარში კარტოფილს ახვევდა.

¹ ასე ეძახდნენ გერმანელები მუშტით ცემას.

ქვეყანა გასაწურავად იყო. გაწუწული ხეები წყალწილებივით იშვებოდნენ ხელებს. ტყიდან მოვარდნილი ნიაღვრები ტბებში იხრჩობოდნენ.

— ნამდვილი წარდენაა! — ჩაილაპარაკა პისკუნმა.

— ნამდვილი, — დაუმოწმა მოხუცმა მერე წამარტყდა პისკუნს მკერდზე და მუხლებზე ხელი მოუსვა.

— ახლა ზურგი მიაფიცხე, — უთხრა მოხუცმა.

ორთქლში გახვეული პისკუნი შებრუნდა. ქობი შეათვალიერა.

ოჯახს უქალობა ეტყობოდა. თუმცა ყველაფერი თავის ადგილას ეწყო და ეკიდა: — ჭურჭელი სკამები, საყვავილე ქოთნები, ნიჟარის ჩარჩოში ჩასმული სურათები, ლოგინი, ფარდავის საქსოვი დგიმი, ვარცლი, სარკე, — მაგრამ ისინი არ ცოცხლობდნენ, არ სუნთქავდნენ. ნივთებს დაპკარგოდათ წინანდელი ეშხი და სურნელება, როცა ოჯახში ქალი ტრიალებდა.

ქვაბებს ქონის სუნი არ ასდიოდა, საყვავილე ქოთნებს — სველი მიწის, საქსოვ დგიმს — ახლად დართული მატყლის. აღარც სკამები პრიალებდნენ ხშირი ხმარებისაგან. სარკეს მტვერი დასდებოდა, ისიც ჩამჭრალიყო უქალობით. ვბრტლში საფუარის სუნი არ იდგა და ლოგინზე — დაღლილი მუშა-კაცის ტანისა.

ქალთან ერთად ყველა სურნელება გასულიყო სახლიდან და პისკუნი მაშინ მიხვდა, რატომ იწვედა ბაბუა რუხლო ტყისაკენ. ქობში უქმი და უხმარი ნივთების სევდა დაბუდებულიყო.

ფანჯრებზე მსხვილი წვეთები ტანტალობდნენ, მამაკაცების გარშემო ნესტი და სიბნელე გროვდებოდა.

— თუ არ გადილო, — დაარღვია სიჩუმე პისკუნმა: — თუ არ გადილო, სოფელში ჩავრჩები, ფონზე გასვლა გამიჭირდება.

— გაგიჭირდება, — დაეთანხმა მოხუცი.

პისკუნმა სპუბარს თავი ვერ მოაბა, მოხუცი კუშტად იყურებოდა. სტუმარს ცეცხლი გაუჩაღა, კარტოფილი შეუწვა, მაგრამ თვალეში ერთხელაც არ შეხედა. ისიც არა პკითხა, ამ თავსხმაში ტყიდან რამ გამოგადგოვო.

— შევრიგდეთ, ბაბუა, — უთხრა პისკუნმა.

მოხუცმა წაუყრუა.

„ძან ნაწყენია ჩემზე“! — გაიფიქრა პისკუნმა.

უცებ წვიმაში გრუხუნი შეიქრა. ყრუდ და ძლიერად ისმოდა. შორეულ ქუხილს გავდა.

— გრვინავს! — ჩაილაპარაკა პისკუნმა.

— ზამთრის პირზე? — დაცინვით შენიშნა მოხუცმა: — აფსუს პარტიზანო, აბა გაიხედე!

პისკუნი ფანჯარასთან მივიდა. გრუხუნი გაძლიერდა. გზატკეცილზე ფარნები კიაფობდნენ. გაბმულ თავსხმაში შეჭი ძლივს ატანდა. პისკუნი

მიაშტერდა. აი, ერთვან ცხენის სველი გავა აპრიალდა, მწერ/ანკრად ზარბაზნის დინგიც გალანდა.

— ზარბაზნები წუხელ უნდა გენახა. მთელი ღამე მძინარეობდნენ! წუხელ არ წვიმდა. — წყნარად წარმოსთქვა მოხუცმა.

— შენ კი არ გინდა დამეხმარო! — უთხრა პისკუნმა და ფანჯარას მოშორდა.

— რა სთქვი? — გამოცოცხლდა მოხუცა.

— არ შეხმარები, — გაიმეორა პისკუნმა: — მე საქმეზე მოვედი, შენ კი ბალღივით მებუტები!

მოხუცმა წარბი შეჰყარა და უნდოთ გადახედა. რა უნდა ესაქმებოდეს! განა ის არ იყო, რომ ბაბუა რუხლო კუდამოძეუბული გამოისტუმრა ტყიდან?!

წვიმა შხაპუნობდა. ახლა წვეთები კიარა, თითქოს წნელის კონა ეხეთქებოდა მინებს. ფანჯრის ჩაოჩობში წყალმა გამოჟონა.

— გერმანელები ლოთობენ, — დაიწყო პისკუნმა: — დეზერტირობენ, სამხედრო ქონებას იტაცებენ და ჰყიდიან...

— ჰყიდიან, — დაუპოწმა მოხუცმა.

— პო-და, ჩვენც ვიყიდოთ. საიმედო კაცი მინდა, რომელიც იარაღის შესყიდვას იკისრებს. შენ აქაურებს კარგად იცნობ. მიხედ-მოიხედე. იქნებ ვინმე ამიჩინო.

რუხლო ჩაფიქრდა. საკვამურში ჩამოწვეთა. ცეცხლმა ამოიფშენა.

— ერთი მეგულება, — გულშეუჯერებლად წარმოსთქვა მოხუცმა.

— არ აჩქარდე. კარგად შეამოწმე. ფული ფულად არ დაგველუპოს და ჩვენაც არაფერი მოგვეწიოს. ერთგული კაცი მინდა.

— მე მგონია, არ გვიღალატებს. ძალიან გამწარებულია გაიღამაკებზე, — სთქვა მოხუცმა.

— ცოტა გაქნილიც უნდა იყოს!

— არც ისეთი დოყლაპიაა.

— გაბედული,

— რამდენადაც ვიცნობ... მოქანცულივით ჩაილაპარაკა მოხუცმა:

ლაპარაკი უჭირდა, ორდნავ ღელავდა. ხმაში ყოყმანი ეტყობოდა, მაგრამ პისკუნმა მისი ყოყმანი და გაუბედავი პასუხი სიფრთხილეს მიაწერა, ეშინია, არჩევანში არ შესცდესო. პისკუნმა იცოდა, რომ ბაბუა რუხლო ჰაიპარად არავის შეაქებდა.

— შენს სიტყვას ვენდობი, — უთხრა პისკუნმა: — ვინ არის, როდის შემახვედრებ?

— მე... მე მომანდეთ! — მოხუცმა ძალიძალიად ამოლექა ეს ორიოდ სიტყვა და პისკუნს თვალი გაუსწორა.

— შენ?! — შეცბა პისკუნი. „თუმცა რატომ არა, რატომ არა!“ გაუელვა პარტიზანს და მოლოდინში გაქვავებულ რუხლოს მიაჩერდა.

მოხუცი დამშვიდებული სჩანდა. მხოლოდ ტუჩებთან თავმოყრილი ნაოქები უფრო შეკეროდა და ქერქივით გამაგრებოდა. ისინი ტოკავდნენ

და მოხუცის მოუთმენლობას ამკლავებდნენ. იგი შეუპოვრად მტყურობდა პისკუნს.

„თუმცა რატომ არა!“ ფიქრობდა პისკუნი და ეს უცაბედოდ აზრი თანდათან კკუაში უჯდებოდა.

მხოლოდ ერთი აჩერებდა პისკუნს. გული არ უშვებდა მას გათეთრებული მოხუცი ფათერაკში ჩაეგდო.

„ახლაც მიცოდებს ეს მამაძაღლი!“ — მიუხვდა მოხუცი.

— იცი, რა ვითხრა! — აუჩქარებლად უთხრა მან: — ამ საქმეში ჩემისთანა მოხუცი უფრო გამოგადგება. ჩემზე ექვს ძნელად აიღებენ. აი, შენ თითონაც არა გჯერა, რომ რამე შემოძლია!

მოხუცის სიტყვებს დაჯერება მართებდა. პისკუნი დაეთანხმა. ქობში მტრულული მატყლის სუნი დადგა. ბაბუა რუხლომ ცეცხლზე მიფიცხებული ფარაჯა შეაბრუნა. ხელი უკანკალებდა. სიხარულის იყო.

მოხუცის დაუქმებულ ცხოვრებას აზრი მიეცა და ფასი დაედო. განიოდესმე იფიქრებდა, რომ ეს გადაყრუებული, სიკვდილისაგან მიეიწყებული ბებრუხანა საქვეყნო საქმეში ხელს გარევედა! ახარებდა პისკუნის ნდობა. ახარებდა, რომ საჭირო კაცი გახდა.

დილიდან საღამომდე ტყეში დალასლასებდა, მივიარდნილ ხუტორებში მოხეტიალე ჯარისკაცებს უთვალთვალებდა, ტანზე აკვირდებოდა. მოხუცი ხელად ამჩნევდა, ვის ეცვა უფრო თბილად, ვიდრე საჭირო იყო, ან საეჭვო ღიბი რომელს ეკიდა. ისინი ქობებში დასუნსულემდენ და კოტა-ხნის შემდეგ გამზდრები და გაშლიფებულები გადმოდიოდნენ ეზოდან.

ბაბუა რუხლომ იცოდა, რომ ჯიბე-სქელი და ნამუსის შემნახველი მუშტარი თუ გამოჩნდებოდა, ისინი ყველაფერს იკისრებდნენ. გალოთებული ჯარისკაცები ჩარეჭა არაყში და ბურვაციის ბარკალში სულს მიჰყიდნენ ეშმაკს.

და რუხლოც ყიდულობდა თოფებს, მალავდა სარდაფში და შურისგებით ამბობდა: „ეს ცხენის წართმევისათვის, ეს იმიტომ, რომ მიხასს შინ არ სძინავს, ეს ჩემი სიბერის გამწარებისათვის...“

ტყეში ხშირად უხდებოდა სიარული. ექვი რომ არავის მიეტანა, მგლებს უფენდა საწამლავს. ჩანთაში მუდამ ეყარა მოწამლული ხოცი.

გეტმანის ეანდარმები ხედავდნენ, რომ გერმანელები სამხედრო ქონებას ანიავებდნენ, მაგრამ თავგასულ „მოკავშირეს“ ვერაფერს უბედავდნენ. სამაგიეროდ პირველსავე ხეზე აღჩობდნენ, ვისაც ჯარისკაცისაგან ნაყიდი იარაღი აღმოაჩნდებოდა. დღე ერთი იყო და ჩხრეკა ათასი.

ბაბუა რუხლოს მეზობელს, ტერენტი ეუქს საკვამურში ყარაბინა უპოვეს. იგი შორს არ წაუყვანიათ. ეზოს გარედ, ეუქისა და რუხლოს მიჯნაზე ტოტებ-გადაბარდნილი, მეწლე ვაშლისზე იდგა. მოსავლიან წელიწადს მეზობლები ძალღებვივით უღრენდნენ ერთმანეთს. იყო ერთი შიწევ-მოწევა და „გამიშვი-ვამოუშვის“ ძახილი. ეუქი ამტკიცებდა, ვაშლი ჩემია, რადგან მთავარი ტოტები ჩემს ეზოში აქვს გადმოშვერილიო.

— ტოტს რა ჭკუა აქვს! საითაც უნდა, იქით გააზრდება, — სლოჩინებდა გაცოფებული ბაბუა და ფიცით არწმუნებდა ყველას, რომ ეწელი მისი დარგული იყო.

უკანონო

— რაღა ეზოს გარეთ დარგე, შე კაცო?! — უკეცდასტურებდას.

გადამტერებული მეზობლები დღე-ღამე ერთმანეთს უთვალთვალებდნენ. ნაყოფს დაწვივებას არ აცლიდნენ, დახუნძულ ტოტებს ჩემქემად ჰოლოკს დაუშენდნენ და ეზოდან ღორებს გამოდენიდნენ.

ტერენტი ყუკი ამ ხეზე ჩამოაბრჩვეს. სახლიდან ძლივს გამოათრიეს. ხელიდან უსხლტებოდა ენდარმებს ხან კიდობანს ჩასკიდებდა ხელს, ხან ცოლის კაბას მისწვდებოდა. ყველაფერს ებლაუჭებოდა, რაც მისი იყო. უკანასკნელად კარებს შეაცივდა. მთელი ძალა თითებში დაუგროვდა. სანამ ცემისაგან გრძნობა არ დაკარგა, ხელი ვერ გააშევიბინეს. არც გაუგია, როგორ ასწიეს და ჩამოკიდეს.

ტერენტი ყუკი საღამომდე დასტოვეს ხეზე. იგი დაბლა ეკიდა, მისი გაშეშებული ცერები თითქმის ეხებოდა გადამხმარ ბალახს. შორიდან ისე მოსჩანდა, თითქოს ტერენტი ჩაფიქრებული შემდგარა ხისქვეშ. მაგრამ ქარი რომ დაუბერავდა მაშინ ტერენტიც ირხეოდა; ფეხები მართლა არ ედგა მიწაზე.

შეძრწუნებულმა ბაბუა რუხლომ დარაბები მოხურა, საქმელს პირი ვერ მიაკარა. ტახტზე დაემხო, სულერთიანად მოიკუნტა, მუკის-ტოლა გახდა. ისე ოხრავდა, თითქოს მთავარი სული ეპარებოდა.

„რაღა იმ ხეზე, რაღა იმ ხეზე!“ ბუტბუტებდა მოხუცი. სწუხდა, რომ ამ ცოდვილიანი ვაშლისხის გამო იმდენი წყენა და ავი სიტყვა შეაბეგდრა მეზობელს.

შებინდებისას ყუკი ჩამოხსნეს ბაბუამ შეიცადა, სანამ გვამს წაიღებდნენ. მერე ნაჯახს ხელი დააელო და ვაშლისხეს მიაღვა. ძირში მოსჭრა და დაჩეხა.

მეზობლის ბედმა რუხლო ვერ შეაშინა. ყიდულობდა თოფებს, მალავდა სარდაფში და შურისგებით ამბობდა: „ეს ტერენტი ყუკის სახელზე იყოს, ეს გრაბკოს, ეს მიკოდას“..

ბაბუა რუხლო დაღუპულ მეზობლების სახელზე ყიდულობდა თოფებს. ეს იყო ახალი გრძნობა. ეს გრძნობა ყოველგვარ შიშზე და ხიფათზე ძლიერი აღმოჩნდა.

თოფების გატანა თავად პისკუნმა იკისრა. ტყეში ბევრი დაღესილი გაქვაცი იყო, მაგრამ რუხლოსთან მიმოსვლა მაინც ვერავის შიანდო. თვალის-ჩინივით უფრთხილდებოდა თავდადებულ მოხუცს. ხიბლავდა მისი უანგარობა და სულიერი მხნეობა.

კვირაში ორჯერ შოაკითხავდა რუხლოს. ყოველ გზობაზე ორი-სამი თოფი მაინც მიჰქონდა, და მერე სოფელს ამდენივე ვლები აკლდებოდა.

თოფებს ახალი პატრონები უჩნდებოდნენ; და რუსლო ბედნიერი იყო, პისკუნის სიხარულს რომ ხედავდა.

ერთხელ პისკუნმა მთელი კვირა დაიგვიანა. ბაბუამ მოსვენება დაკარგა. დაბინდებიდან გათენებამდის ცეცხლის-პირას კაცის ხე-ნაცნობ კაცუნს ელოდა. ხანდახან ჩასთვლემდა და საზარელი სიზმარ-სიხადი ხელფებს გაუშვებდა. სისხლი ეყინებოდა. ხეზე ჩამოკიდებული კაცი ელანდებოდა, მხოლოდ ფეხებს ხედავდა, მხოლოდ ტერფებს, რომლებიც მიწასთან სულ ახლოს იყვნენ, მაგრამ მიწაზე მაინც არ იდგენ. ჩამობრჩობილს სახე არ უჩანდა, მაგრამ მოხუცი გრძნობდა, რომ ეს კაცი ტერენტი ვუკი არ იყო.

ქირის ოფლში გაწურული მოხუცი ძილში გმინავდა, იღვიძებდა და ძაღლსაც აღვიძებდა. უხაროდა, როცა მისი ერთადერთი თანამოსახლე მასთან ერთად ფხიზლობდა. უამისოდ ძნელი იყო მარტოობის ატანა.

პისკუნი მეორე კვირას გამოჩნდა.

— რატომ დაიგვიანე! — ჰკითხა გულაჩვილებულმა მოხუცმა. „რატომ გამაშწარე!“ — დაუმატა მისმა თვალებმა.

— გაიღამაკებს წავაწყუდიოთ... შენი ნაყიდი თოფები გავსინჯეთ. არა უშავს, კარგად ისერიან, — სიცილით უთხრა პისკუნმა.

ტყეში დაბრუნება ეჩქარებოდა. თოფები თალამში შეჰკრა და მაშინვე წავიდა. ალბად სიჩქარის ბრალი იყო, რომ მუდამ გულხშიერმა პისკუნმა ვერ შენიშნა, რამდენი სინაზე და სიყვარული იხატებოდა მოხუცის თვალებში და ხელებში, როცა ისინი ერთმანეთს ეთხოვებოდნენ.

ბაბუა რუხლომ ცას ახედა, თითქოს ღრუბელი მოყნოსა, თბილი და ბუმბულივით მსუბუქი ღრუბელი.

— მოთოვს, — ჩაილაპარაკა მან.

მოხუცი სუნზე ატყობდა, რომ ეს ღრუბელი თოვლისა იყო. იგი თანდათან თეთრდებოდა, სინათლე მატულობდა და ყოველ საგანს სიციხადე და სიმტკიცე ეკარგებოდა. გაძარცული ხეები, შარაზე მიმავალი კაცები, სახურავზე ასვეტილი კვამლი, — ყველაფერი ბუნდათ მოსჩანდა, როგორც გამოუტანელ სიზმარში.

დუმილიც მატულობდა, თითქოს ქარი უკვე ჩადგა, მდინარე დაშრა და ძაღლებმაც ყეფა შესწყვიტესო. მაგრამ არა, ბუნების მაჯა მთელის ძაღლონით ფეთქდა. ქარი ისევ ატკაცუნებდა შიშველ კენწეროებს, წყალიც ბლომიად — აო მდინარეში და არც ძაღლები იყვნენ მშვიდათ, მაგრამ ასე უხვად ჩამობარდნილი ღრუბელი ყოველგვარ ბგერას აყრუებდა, ასუსტებდა და აბლობელი ხმაურიც-კი შორეულად ეჩვენებოდა ადამიანს.

ღრუბელი უფრო ჩამოწვა და რალაც არამიწიერი სითბო ჩამოიტანა. ყვავებმა მოუსვენრად შეაფართუნეს ფრთები და დაბლა-დაბლა დაიწყეს ფრენა. ისინი გაბმით ყრანტალებდნენ. შეჭირბულულ ბურღებს

ორი-სამი აბურძგნული ბელურა მოსწყდა, შურდულივით ჩაუჭრია ბაბუას და გომურს შეაფარა თავი.

ჰაერში შრიალი გაისმა და სულმოუთქმელად ჩამოიფრია ხოშკაკა-ლა. იგი აფარუნებდა ზეინებს, აციმციმებდა ტბის წყაროს, აქა-იქ დარჩენილ ფოთოლს და მიწაზე დავარდნას ვერ ხსენებდა, არამედ უკვე ღნებოდა, ტალახს აყენებდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წამს. მერე შრიალ-ტრიალით წამოვიდა მსხვილი და მშრალი ფანტელა.

უხეად ბარდნიდა. ხელად შებუშბლა ხეები. მაგრამ აგერ ქარი მოძალდა და ისე დარდა ხელი დანათოვს, რომ ჰაერში რძისფერი ბული ავარდა. ორიოდ ნაბიჯზე თვალი ვერ ატანდა. მხარნაქცევი ფიორი თავაწყვეტილ ფერხულს უვლიდა, აღმა-დაღმა ფარფატებდა, თითქოს ეშინოდა მიწამდე ჩამოსვლა.

ბაბუა რუხლო შეშას აპობდა.

„ოჰო, პოჰო! — ხანგამოშვებით წამოიძახებდა მოხუცი და შეფიფქულ წამწამებზე ხელს ვადაისუამდა. ჰარმა მესრებთან ნამქერი მოჰყარა. თხრილები ამოავსო და შარაგზას გაუთანასწორა. ხეზე დაფრენილი ყორნები წამსვე თეთრდებოდნენ.

ბაბუა რუხლო გომურში შევიდა. სანამ შევიდოდა, ჰარმა შეასწრო და ისე მაგრა შეუბერა შუაცეცხლს, რომ კერასთან წამოპლაკული ნაგაზი წკვეწკავით გაეარდა ვარეთ. ბაბუას ესმოდა. როგორ იბერტყავდა ძალი ტანზე მიყრილ ლაღარს და ნაპერწკლებს. მერე ისევ შემოიძურწა, მტრულად ვადახედა ცეცხლს და შორი-ახლო ჩაეცუცქა. ნედლი შეშა ცხარე ბოლით ავსებდა გომურს.

ცეცხლზე ქვაბი იდგა. აჩუჩჩუხებულები წყალი სახურავს არაკუნებდა. მოხუცმა სახურავი ახადა. ქვაბმა თავისუფლად ამოისუნთქა, და ხორცისა და საკაზმის სუნით გაქლენთილი ოშხივარი ამოუშვა. მოხუცმა კოვზი მოურია, სველი კოვზი ხელისგულზე დაიწო და წკლაპუნით ალოკა. ნაგაზმა მიაყეფა.

— ძელები ხომ შეაბრამუნე, — გეყოფა! — უთხრა ბაბუამ და მუგუზლები შეასწორა.

ოთახში შეცუნცულდა, ლუმელს შემოუარა და სარდაფში ჩასაშვები კარი გახსნა, ყური მიუგდო. ქვემოდან, სიბნელეში სტვენა-შერეული ხერინვა ისმოდა.

— იძინოს, ჯერ მაინც აღრეა, — ჩაილაპარაკა მოხუცმა.

პისკუნი უღროვოდ მოვიდა. წუხელ ფონთან ვარტას¹ შეხვედროდა და შორიდან მოველო. ვხაზე დათენებოდა, მაგრამ სოფელში მაინც შემოპარულიყო. ბაბუას მოსაკითხი მოუტანა, — პარტიზანებს გარეული ლორი მოეკლათ და მთელი ბარკალი მისთვის გამოეგზავნათ.

სარდაფში ხუთი თოფი დახვდა.

¹ ვეტმანის ენდარმერია.

— აი, ლენინის ნახვა თუ შედიხარ, — უთხრა გახარებულმა პისკუნმა: — თუ შედიხარ, ორდენს გამოვთხოვ შენთვის.

მოხუცმა მაშინ არაფერი უპასუხა და პისკუნს ეწეინა, რომ მისი დაპირება ასე გულგრილად მოისმინა.

მაგრამ ცოტახნის შემდეგ, მოხუცმა სხვათაშორის იკითხა: — ლენინს ცხენის მოცემა თუ შეუძლიაო.

— ყველაფერი შეუძლია, — უთხრა პისკუნმა, ღიმილი მოერია: — შენ რა, ცხენი გირჩევნია?

— არა, — დარცხვენით მიუგო მოხუცმა: — ისე ვიკითხე, ყველაფერი თუ შეუძლია-მეთქი!

უძილო პისკუნს თვალი ეწყებებოდა. დაღამებას ბევრი აკლდა. დასვენებას მოასწრებდა. მარტოხელა რუხლოსთან შეზობლები ხშირად შემოდოდნ საღაებოდ. ამიტომ პარტიზანი სარდაფში ჩაჭიდა დასაძინებლად.

მოხუცი გომურში დაბრუნდა, ქებას ცეცხლი გაუნელა და რაღაცაზე ჩაფიქრდა. სანადირო ჩანთიდან სტრიხინისს ქიჭლა და ლემის ხორცი ამოიღო. მსხვილად დასჭრა და მაგრად დაჩურთა. მოწამლული ნაჭრები ისეე ჩანთაში ჩაყარა და... გული გაუჩერდა. გაორთქლილ მინას ხახელო გადაუსვა.

ეზოში ენდარმები მოაბიჯებდნ. ენდარმების უკან თოვლი აჩიქნილი იყო, წინ-კი სწორი და გაუკვალავი.

ბერიკაცს სულისთქმა გაუქირდა. ყურმა წივილი დაუწყო, და უეცრად ცეცხლი, სანადირო ჩანთა, თოფები, კართან აწრიალებული ძალღლი, მძინარე პისკუნი, ენაგადმოვდებული ტერენტი ეუკი, — ყველაფერი თვალწინ დაუტრიალდა და სადღაც გაუჩინარდა. ფანჯრის რაფას მოეჭიდა რომ არ წაქცეულიყო...

კონდახების ბრახუნმა რუხლო გონზე მოიყვანა.

— „დავიღუპეთ, ვალვიძებას ვერ მოვასწრებ!“, — გაიფიქრა სასოწარკვეთილმა მოხუცმა.

ღრიქედ ვადარაზულ კარში ვილაცამ ხელი შემოჰყო. კარის გამოვლეჯას აპირებდა. ამ უცხო ხელმა ბერიკაცი მონუსხა, ნებნისყოფა ამოაცალა.

კარისკენ წაბარბაცდა რომ უცებ ხელში რაღაც მაგარი იგრძნო. ქიჭლა... უაზროდ დახედა შხამიან ჭურჭელს და რაღაც ძალამ მოხუცი სწრაფად, შემოაბრუნა და ქებათან მიადგო. ქიჭლა საქმელში ჩასცალა.

ისინი ოთხნი იყვნენ. ერთი მათგანი რუხლოს ძველი ნაცნობი ვამოდგა, — მოზირელი ნოქარი პაპავეცი, რომელიც ვაიდამაკების შემოსვლის შემდეგ ვარტაში ჩაეწერა და ენდარმების მარჯვენა ხელი ვახდა. პაპავეცი, როგორც ადგილობრივი მკვიდრი, მისი წონა ოქროდ უღირდა ვარტას.

იგი პირველი შემოვიდა ბოსელში. დაკენკილ სახეზე ჰქონდა მორცხა. გაფანჩულ წარბებს ქვემოთ თვალები ძლივს უჩანდა. მარცხენა ლოყაზე მოუშუშებული ნახმლევი აჩნდა.

მერე ახმახი, დიდულვაშებიანი იასაული შემოიჭრებოდა. მაშინვე ხველება აუეარდა. ისე ბრაზიანად ახველებდა, თითქოს იშუქრებოდა: აი ხველებას მოვრჩები და დედას გიტყვებო.

მესამე პირდაპირ ოთახში შებრაზუნდა, თოვლი დაიბერტყა და თავ-პირზე შემოხვეული ყაბალახი შემოიხსნა. სახეზე ცეცხლის ალივით მოსდებოდა მოწითალო ძაგარი. ცალი ჩეჭმა ჰყაპუნობდა, იატაკზე სველი კვალი რჩებოდა. მეოთხე ეანდარში კარებში გაჩერდა.

თავდაპირველად რუხლოს ეგონა, რომ ეანდარმები პისკუნისა და თოფების კვალზე იყვნენ მოსულნი, მაგრამ აგრე უშიშრად და უდარდელად რომ შემოვიდნენ, მოხუცი მიხვდა, რომ ისინი ზორბალს ეძებდნენ. ამიტომ უფრო საშიშარნი იყვნენ. სიმშლისაგან გაავებული ეანდარმები ყველაფერს ამტვრევდნენ, რასაც კარი ჰქონდა და კლიტე ედვა. ყოველ ხერელში და კუნჭულში იჭვრიტებოდნენ, ლოგინსაც არ უშვებდნენ, რომ ხიშტი არ ჩაეკრათ.

— ოჰო, სიდედრიც გვეყოლია და სიმამრიც! — შემოსვლისთანავე დასტეკა პაპავეცმა და ორთქლიან ქებას მუგუზალი მიანათა.

— ხორცია, პან იასაულ, ჩვენებური თათარიანხნი! სახლის გაჩხრეკას მერეც მოეასწრებთ, — სასოებით წარმოსთქვა ყოფილმა ნოქარმა.

— მე უკვე დამავიწყდა ხორცის გემო ამ დასაქცევ ქვეყანაში! — სთქვა იასაულმა და მუშტუკუნა ცხვირის ნესტოები კურდღელივით შეაქამცურა.

პაპავეცმა თოფი კედელზე მიაყუდა.

— აქ დაეგდე, შე თხაწვერა, არსად ვახედე! — ვადასძახა კუთხეში მიკუნჭულ რუხლოს და შინაურივით დაფაცურდა. სკამლოგინი ცეცხლთან მოაჩოჩა, მერე ოთახში შეეარდა და კიღობანში თავი ჩარგო. დანარჩენები ჩამოგდნენ და გემრიელი საჭამადის მოლოდინში, სახედამტკბარნი მისჩერებოდნენ, როგორ ოჯახობდა პაპავეცი.

— ამ ძალღიშვილებს რომ ჰკითხოთ, — ახრიგინდა იასაული: — ხმელა პური გვენატრებათ; ჩუმჩუმად კი ყველგან ასე სდღლს და ვადადის!

— მაგათ მხოლოდ გასანთლული თოკი მოარჯულებს, — უთხრა წითურმა.

— მთელი ქვეყანა მომივლია, — განაგრძო იასაულმა: — კარბატებზე ვადავსულვარ, რუმინეთის მინდვრები მითელავს, პერემიშლში პირველად ჩვენი პოლკი შევიდა, — მაგრამ ასეთი პურაძვირი და გაუტანელი ხალხი არსად შემხვედრია. სული რომ ვხდებოდეს...

იასაულს ხველებამ მოესწრო. გაბალნული მუკი პირზე მიიღო და ისეთი ბლუხუნი მორთო, რომ თვალებში სიწითლე მოაწვა და ენა ვადა მოუეარდა. ძლივს ამოახველა და ბრაზიანად ამოიქშინა.

— სული რომ ვხდებოდეს, წყალს არ მოგაწოდებენ!

— ან ისეთ რამეს მოგაწოდებენ, მუცელში დედის რძეს/შეგრჩება! — ჩაურთო მერთზე ეანდარმმა: — ამასწინად, სკეტიკულემი, ჩვენი ზარეცი სადღაც შესულიყო და არაყი ეთხოვა. დაწვინებულ ვარამ ვაი იმ დაღევას. მთელი დამე თავის ნარწყევში გორავდა. სულ ბლუჯა-ბლუჯად ჩამოაქონდა თმები.

— მოწამლეს?

— მაშ არაყი რომ კაცს სწყენდეს, აქამდე სუყველა დაეიხოცებოდით! — შენიშნა იასაულმა და უცებ გულიანად გაღიხარბარა.

— ეგრე სჯობია, ეგრე, უფრო იოლად გამოხვალ! — მიაძახა იასაულმა ცეცხლის-პირას ჩამუხლებულ რუხლოს.

რუხლო შეერთა. იგი თავიდანვე უსმენდა ეანდარმების საუბარს. აღელვების დასაფარავად ყალიონი გატენა და ცეცხლიდან ანთებული ჩხირი გამოიღო, მაგრამ ლოდინისა და შიშისაგან გონება-დაფანტულ მოხუცს, ყალიონის მაგივრად ჩხირი ჩაედო პირში. მოხუცმა გაღიშება სცადა, მაგრამ კბილები დაკრიჭა მხოლოდ.

— თქვენ იცინით, პან, — სთქვა წითურმა: — თქვენ იცინით, მე კი ეს ბერიკაცი რაღაცა არ მომწონს! აი სულ მიეჩერებივარ და არ მომწონს!

— ალბათ ზოგი რამე კარგად ვერ გადამალა და მისმა დარდმა გამოაშტერა, — გაიცინა პაპავეცმა და ქვაბი სკამლოგინზე შემოდგა.

ყველანი შემოუსხდნენ. ნავაზი კუდს აქიციუნებდა და სტუმრებს თვალებში შესვლინოდა. პაპავეცმა კოვზები და პურის ნაჭრები ჩამოარიგავრთი კოვზი რუხლოსაც გაუწოდა.

— თქვენ მიირთვით, მე ეს-ეს არის ვისადილე, — უთხრა მოხუცმა: — ვისადილე, — მაშინვე გაიმეორა, რადგან პირველად სიტყვის მაგივრად ხრიალი აღმოხდა.

— ჭამე, — თითქოს კიდევ სთხოვა და კიდევ უბრძანა წითურმა და უეცრად საზე გამოეცვალა.

— ერიპაა, შენ მაგრად დაუშინებინარ ზარეცკის ბედს! თუ მართლა რამეა, აგერ ძაღლი და მისი ჯანი... დედას უტირებ! — წამოიძახა პაპავეცმა და ის-იყო ძაღლისათვის ხორცი უნდა გადაეგდო, რომ გულგახეთქილმა რუხლომ მკლავი დაუჭირა.

მოხუცის გაფითრებულ სახეზე საშინელი სულიერი ბრძოლა აღბეჭდილიყო, ბრძოლა პისკუნის ვადარჩენის სურვილსა და სიკვდილის შიშს შორის.

იგი მაინც განწირული იყო. ცოტა აღრე თუ ცოტა გვიან, მოსახდენი მაინც მოხდებოდა.

„ბარემ ესენიც წინ გავიძლოლო“, ზედიზედ გაიელვა მოხუცის დაბინდულ გონებაში, და მისი მოჭანცული სისხლი შურისძიების წყურვილმა გამოაღვიძა. გულში აღუღებულმა სიმწარემ ძალა და მხნეობა შემატა.

— როგორ გეკადრებათ, პან, ძაღლის საჭმელი ხორცია საჭმელ მაქვს—
წყენარიდ წარმოსთქვა რუხლომ, ხორცი გამოარდვა და აქრებლად
შესტამა, — და მაშინვე ოთხი კოვზი მგლის თათივით დაეჭვა ქვაბზე.

ბაბუა დაჯდა. ფეხები სკამის ფეხებს შემოაჭდო და სწრაფად წაიყრდ-
ნო. არ შეტორტმანდეს არ დაიმწნიოს, როცა გეამშრ ჩაწული კარტეცხ-
ლი პირველად შეუტრეს.

— შეც რომ შემაფიქრე, შე ოხერო! — ენა ძლივს მოაბრუნა პირგა-
ტიკულმა პაპავეცმა და წითურს მუჯღუგუნო წაპკრა.

— შტრის ქვეყანაში ვართ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, — ხრა-
ძუნით მიუგო წითურმა.

ნაგაზი წკმუტუნებდა. მიწაზე მოუთმენლად კუდს ურტყამდა. მაგ-
რამ ახლა მისთვის ვინ რას გაიმეტებდა.

ქარი აზანზარებდა კედლებს, არახუნებდა ხრიკედ გადარაზულ კა-
რებს, დროგამოშვებით საკვამურში ჩამოიჭრებოდა და თითქოს ვატევა
უჭირსო, შწარედ შეპკოვლებდა. თოვდა. მოხუცი მისჩრებოდა პეპლი-
სოდენა ფიფქების ცვენას და გულზე შწვავე ნალველი აწვეწოდა, რალაც
მოუსვენრობა იპყრობდა. ეს უხვი თოვლი შორეულს სიკბაბუკეს ახსენებდა
მოხუცს, მაინცდამაინც იმას ახსენებდა, რაც ქვეყანაზე არ მეორდება.

მოხუცის განელეებულ ხსოვნაში ნაცრად და კვამლად ქცეული დღეე-
ბი იღვიძებდნენ. ქარბუქის ზუზუნში თითქოს ესმოდა მარხილების ეცე-
ნების ელარუნი, გარმონის კვენესა და საკინძგახსნილი ბიჭების ყიყინა,
ქალების ფანჯრებს რომ ჩაუქროლებდნენ. ყველიერის ორშაბათს შებმულ
მარხილებს მხოლოდ კვირა-სალამო გამოხსნიდნენ...

უეცრად ბაბუა რუხლოს ტანში ქიანჭველებმა დაურბინა და თითქოს
ასლოკინებსო, თავი მალლა შევადო.

— დაიწყო, — გაიფიქრა მოხუცმა და სახეში სიკვდილმა მიასუნთქა.

შეზინდებისას ქარბუქი მიწყენარდა. ქოხების ბანიდან ავლეჯილი ყავ-
ვარი, დაშლილი ზვინის ნაფლეთები მიწაზე დაეშვენ, გადახნეკილი არ-
ყები წელში გაიმართენ და კვამლიც უფრო სწორად ავიდა საკვამურიდან.
ცოტახანს კიდევ ფაჩუნობდა უადგილო ადგილას მიყრილი თოვლი,
მერე ისეთი სიჩუმე დადგა, რომ ტბიდან ნელი ტკაცანი მოისმა: ნაპირის
წყალი იყინებოდა.

ფიფქავდა. დათოვილი მინდვრების შუქი ოდნავ ანელებდა წყვილადს.
მთელი ღამე პისკუნი ტყისაკენ მიდიოდა. მკლავზე მკვდარი ბაბუა ესვე-
ნა. სიარული უჭირდა. ზოგან ისეთი ნამქერი ეყარა, რომ ოფლად გა-
ვხითქულ პარტიხანს შორიდან მოვლა უხდებოდა.

— შენი ქირიმე, — აღმოხდებოდა ხანდახან და გულზე იხუტებდა, ფუთ-
ენიდა, ეფერებოდა უსულო მოხუცს და ისე ფრთხილად მიჰქონდა ტყისა-
კენ, როგორც დედას ხელზე ჩაძინებული ბავშვი აკვნისაკენ მიჰყავს.

მოხუცის სახეს რამდენიმე წვეთი დაეცა. ცრემლი კი-არა, ოფლი იყო.
ცრემლი დიდხანია გაუშრა პისკუნს.

ჰაინრიხ ჰაინე

ლექსები

ფაილი.

უდაბურ ნაპირს ეხეთქება ტალღა მძლეველი.
ნთვარემ სხივებით მიმოჭარგა ლურჯი ტყე-ველი.
თეთრ ქვიშაზე წვეს და ისვენებს რაინდი ლალი,
შეკმუხვნილ შუბლზე მწველ ფიჭვების ატყვია დალი.

ამოდის ზღვიდამ ფერიების ნაზი კრებული,
ლამაზ სახეზე აქვთ პირბადე აფარებული.
ეშურებიან ნაპირისკენ ნაბიჯით ფრთხილით,
ჰგონიათ, რაინდს მეოცნებეს სძინავს ღრმა ძილით.

ერთი მათგანი სინარნარით გასაკვირველით
შიდის რაინდთან, ბარეტს მისას ეხება ხელით,
მეორე ხარბად აკვირდება ფიქალ მკერდს, ძლიერს,
ეთამაშება ბრკვეიალა ძეწვეს, ლამაზს მშვენიერს.

ნესამე აძრობს ქარქაშიდან ხმაღს მოკრძალებით,
სიამის სხივით აევსება ლურჯი თვალეზი.
ნაზად ეყრდნობა პირგაბასრულ, პრიალა მახვილს
და გადახედავს ჭაბუჯ რაინდს მზიარულ სახით.

მეოთხე უჩვევ გატაცებით ცეკვავს ნარნარად
და ტრფობის ცეცხლის აგზნებული ჩურჩულებს წყნარად.
„ო, ნეტავ ვიყო შენი სატრფო, გწვავდე აღერსით,
შენ ამა ქვეყნად ყვავილთ ხარ ულამაზესი“.

მეხუთე ჰკოცნის რაინდის ხელს დავდავიწყებით,
წარმტაც შვენებით მოხიბლული შესცქერის ვნებით,
მეექვსე ლელავს, დაუთვრია ჟრუანტელს უჩვევს
და უმზურვალეს კოცნას მოსწყვეტს რაინდის ტუჩებს.

მაგრამ რაინდი ჭკვიანია და მეტად ფრთხილი,
წევს გაუნძრევლად, მდუმარებით სულგაკმენდებლი,
სახეს ეფრქვევა მთვარის შუქი სიზმარეულად,
და სიამეს ჰგვრის ფერიების კოცნა გრძნეული.

ბერტრან დე-ბორნ.

ბერტრან დე-ბორნი ტრუბადური არის ცნობილი,
სახეს უმშვენებს სიამაყე კეთილშობილი.
შუბლზე ატყვია ღრმა ფიქრების კვალი ცხოველი,
მას შეუძლია დაიმონოს ყოველი გული.

ჯადოსნურია მისი მღერა, დამსხმელი რეტის,
დაიმორჩილა მან ძუ ლომი პლანტეგენეტის.
მისი ვაეები და აული აღავსო ეშხით
წოაჯადოვა და გააბა თავის ბადეში.

ვით მოიხიბლა თვითონ მამა — გვირგვინოსანი,
ოდეს ისმინა აღგზნებული სიტყვა მგოსანის,
დე-ბორნი ამ დროს ისეთი ძალის იყო მფლობელი,
რომ აატირა მეფე გულქვა და უღმობელი.

გაზაფხულის დღესასწაული.

ღურჯ გაზაფხულის სიხარული, სეედანარევი —
ათრობს გოგონებს, აყვავებულთ ვარდების დარად
ნაწნაე-გაშლილნი კისკისებენ, ხტიან ნარნარად,
გაიძახიან აღგზნებულნი და მცინარენი:
„აღონის, აღონის“.

ერიამულით ტყე გააღვიძეს, ფიქრმორეული,
და ეინქდილებით გაანათეს ცის თალი ბნელი.
ისმის სიცილი და კვილი გაურკვეველი
და შეძახილი უეცარი და შორეული:
„აღონის, აღონის“.

თი ჰაბუქი, განგმირული, გღია მიწაზე,
მის ლამაზ სახეს მოჰფენია სიკვდილის ნისლი.
დგანან თავდაბრით ყვავილები, გასვრილნი სისბლით
და პაერს აესებს შეძახილი წყევით აღსაესე:
„აღონის, აღონის“.

ბარათიდან.

მ ზ ე ი ტ ყ ვ ი ს :

შენ ჩემს სხივებთან რა გესაქმება?
 ეგ არის ჩემი უფლება სრული —
 შუჭს ვფენ თანაბრად ბატონს და მონას,
 მე ამისთვის ვარ მოწოდებული.

შენ ჩემ სხივებთან რა გესაქმება?
 მოვალეობა გახსოვდეს ბრძნული,
 შეირთე ცოლი, აღზარდე ბავშვი
 და გერმანელი იყავ ქებული.

მე განა ძალმიძს, რომ არ ვანათო?
 არ ავისრულო წადილი, ნება?
 დავუტურებ მიწას მოწყენის გამო,
 შენ ჩემ სხივებთან რა გესაქმება!

პ ო ე ტ ი ი ტ ყ ვ ი ს :

ეს სიკეთეა ჩემი, მე მჯერა:
 რომ ვიტან, მზეო, შენს დამწველ მზერას.
 მარადი ყრმობის შენ ხარ ნათელი,
 ბედნიერების გამომსახველი.

მავრამ ახლა-კი მლაღატობს-მზერა,
 საღამოს ბინდმა მთა გაღმოსერა,
 დაეშვა დაბლა ბნელი კანკალით
 და დამიბნელა ქუთუთო თვალის.

მ ა ი მ უ ნ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი :

ჩვენ, მიმუნებს, დიდად გეაზარებს,
 როცა ვადვენებთ დაქუცტილ თვალებს —
 მზეს — ლურჯ ლაქვარდებს წითლად რომ ფერავს,
 იგი ჩვენ ხომ ვერ დაგვიშლის ცქერას!

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი :

გვირჩევნია მიწა — წყალი,
 აქ სისველე არის მეტი,
 აქედანაც კარგად ვტყბებით
 დიადი მზის სხივთა ჳვრეტით.



თ ხ უ ნ ე ლ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი:

რავებს ბოდავენ — ვერ გაგვიგია,
მზისა სხივები რის მაქნისია.

ჩვენ გვიყვარს მხოლოდ თბილი ქაველი,
ქაველის შემდეგ ტკბილია ძილი.



ც ი ც ი ნ ა თ ე ლ ა ი ტ ვ ე ს:

ნეტავი, მზეო, რას იბერები
შენი დღემოკლე მშვენიერებით.
მე არ ვარ ხოლმე შენებრ ზვიადი,
მე სინათლე ვარ თვითონ დიადი,
მანათებელი ბნელის წყვედიადის.

ს ა უ ზ ა რ ი კ ა დ მ ი ბ რ ი ნ ი ს უ ლ ა ბ ა ნ ო შ ი.

— გესმის საამო და მომხიბვლელი
ვიოლინოთა წარმტაცი ხმები?
ტურფა ასულნი უვლიან ფერხულს
თითქოს დაფრენენ მსუბუქი ფრთებით!

— სცდები ძმობილო, რისი სიმღერა,
ვერ გაგვიგია ეს შენ რა პრი!
გოქთა ჭყვირილი მოისმის მხოლოდ
და ღორთა ჯოჯის ღრუტუნი წყნარი.

— არ გესმის ბუკი მონადირისა
როგორ გაჰკივის უდაბურ ტყეში?
ცხვარი ბალახს ძოვს და ნაზ სალამურს
აკენესებს გრძნობით გულადი მწყემსი.

— რის სალამური ან ბუკის ცემა,
ძმობილო თავი ანებე ქორებს!
მე ვხედავ მხოლოდ მელორე, როგორ
მიერეკება შინისკენ ღორებს.

— გესმის სიმღერა დამტკობი გულის
უღიადესი სიამის მფენი?
ანგელოსები, სმენად ქცეულნი.
ტკბებიან ნარნარ ჰანგთა მოსმენით!

— ეჰ მეგობარო, მაკვირვებ სწორედ
განა ეგ არის სიმღერა ტკბილი?
ზიკები ბარებს მიერეკება
და ისმის მათი უწნო კივილი.



— კვლავ აღარ გესმის დამატკობელი
ზართა წკრიალი გასაოცარი?
მწუხრის ეამია, ეკლესიისკენ
მიემართება მლოცველთა ჯარი.

— რის მწუხრის ზარი, საძოვრებიდან
მოიზღაზნება, ნელ სიარულით,
ნახირთა ვროვა — და ისმის მხოლოდ
მათი ზარების მკვახე წყარუნი!

— ხედავ შორს ლანდი როგორ ფარფატებს
და მესალმება ნაზ-მოკრძალებით?
ეს არის ჩემი სატრფო-ძვირფასი,
თვალანთებული სევდის ალებით.

— აბა რას ამბობ, ეგ ხომ ტყის მცველის
ცოლია, საზარ ჩონჩხად ჰკეული,
ხელში უჭირავს ყავარუჯენი და
ძლივს მიხანხალებს ძალ-მიღეული.

ეჰ, მეოცნების კითხვები მხოლოდ
მწარე დაცინვას იწვევენ შენში!
მიგრამ ვერასდროს ვერ მიმიხედები
ხეაშიადს ფარულს გულის სიღრმეში!

მთარგმნელი გერმანიელიდან ზარიტონ ვარდოშვილი.

ალ. ჭიჭინაძე

ღ ე ღ ო

მიღის წინ *

ქიშვარდი ოდას იშენებს. გურული გლეხის სიამაყეს — პალატზე წამოდგმულ ოდას. აგურს, კრამიტს, ღორღს და ბურბუშელას დაუფარავს ქსო. ქიშვარდის მუდამ მდუმარე კარმიდამო ახმაურდა. იჭაურობას აყრუებს შალაშინის შრიალი, ლარების კყლართანი, ეჩოს ცემა, ბირდაბირის ხერინვა.

დიდი ხანია აპირებდა ქიშვარდი ოდის წამოწყებას. დიდი ხნიდან პჭონდა სამზადისი, მას არ ასვენებს ბონდოს ლურჯად შეღებილი, პალატზე წამოდგმული ოდა. ალბათ ამით გადასძლია ბონდომ ქიშვარდის, ალბათ ამით მოინადირა ალვისის ხარბი გული. აკი უთქვამს თურმე ჯღერის ქალს — უოდო ეაქს ქალიშვილს როგორ მივათხოვებო. დედის გავლენით თუა, ციციომ რომ მისგან იბრუნა პირი. რამდენი ხანია უტრიალებდა ქიშვარდის თავში ეს ფიქრი, ოსტატებთან თათბირობდა, ყოველ ახლად აშენებულ ოდას ათვალიერებდა, ასჯერ შემოუვლიდა ირგვლივ, კედლების სიმაღლეს და ყათარმების მოხაზულობას სინჯავდა, კარ-ფანჯრის, დეშალის და სარაბალის ყაიდას არჩევდა. მაგრამ ახირებულ იყო: რად წამოიწყო ოდის შენება სწორედ შუა ზაფხულში, ამ ვახურებულ მუშაობის დროს? სულ უმნიშვნელო საბაბით მოხდა ეს.

კოლმეურნეობის მანქანამ, ქარხანაში ჩაის ფოთოლს რომ ეზიდებოდა, საბუხრე სილა ამოუტანა ნადინების ქალიდან. საბარგულმა სამგზობისას იმდენი სილა ამოზიდა, რომ ათი ურემიც ვერ ასწევდა, მაგრამ სამტონიანი საბარგული მათი ეზოს ვიწრო ქიშვარში ვერ შემოეტია და საბუხრე სილა ალაგესთან დაყარეს. აბა სილას ვინ დაეხარბებოდა, ხომ არაეინ მოიპარავდა. ასე ფიქრობდა ქიშვარდი, მაგრამ შემდეგ თავში საცქმად გაუხდა, ასე ცისქვეშეთ რომ დასტოვა სილის ზეინი. ნადინების ქალისკენ მიმავალი გზა მათ ეზოს ჩაუდიოდა და მთელი სოფლის ბატები, ქალაში საბალახოთ რომ მიემართებოდნენ, ყოველ დილით ჩამოივლიდნენ აქ. აიხირეს ბატებმა, გამწარებული მიესეოდნენ საბუხრე სილას, უთუოდ აქ უნდა ამოევსოთ ჩინჩახეები, თითქოს ნადინების ქალას

სილა და ქვიშა აკლდა, ისე ონავარობდნენ, რომ კაცი იტყობოდა, ბატებ-
მა პირი შეჰკრეს — ქიშვარდის საბუხრე სილა გავანადგუროო. რასაც
ვერ ჩანთქავდნენ, ფრთების ფართხუნით მიფანტ-მოფანტყვდნენ. შემდეგ
კუჭს დაიცილიდნენ და კმაყოფილი ყიყინით გასწევენ. „ჭაჭრისკენა“ მაგ-
რამ ესმა არასდროს არ დააცილიდა ბატებს ამდენ ნებიერობას, გრძელი
ქოლოკით დაერეოდა მოთარეშეებს, შავ ღღეს დააწევდა. მაშინ ბატები
შეშფოთებული ყიყინით ფრთებს გაშლიდნენ და თემშარაზე გადაფრინ-
დებოდნენ. მაგრამ ბატებს თითქოს ახალისებდათ ესმასთან შეტაკება. მე-
ორე დილა მდე შიში გაუქრებოდათ და ისევ გამწარებული მიესეოდნენ
საბუხრე სილას. და ყოველდღე მეროდებოდა ეს შეჯახება ესმასა და
ბატებს შორის.

ესმას ეჩვენებოდა, თითქოს სილის ზენი დღითი-ღღე კლებულობდა
ბატების თავდასხმისაგან. ქიშვარდივით გატეხილი ჰქონდა გული ესმას.
აღარ დაადგა საშველი მათი ოდის აშენებას. რაც ფარნამ და ესმამ ოჯახს
ფუძე ჩაუყარეს, მას უკან სულ ოდაზე ოცნებობდნენ. ხე-ტყის მასალა
ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ გამოეტანა ფარნას ქორბუდის ტყი-
დან.

რამდენი ხანი ეყარა ეს საშენი მასალა ლაფაროში. ზედ ქათმები
იბუდებდნენ ზაფხულობით. დიალ, დასკინტლული იყო. ბატარა-
ობისას ქიშვარდი და სილოვანა ფიცარს გამოათრევდნენ, გასწმენდნენ,
ბოკონზე გასდებდნენ და „ოჩიკოჩის სიკორკობილას“ გამართავდნენ. დარ-
წეულ ძელის თავზე რიგ შეცვლით აღი-ჩამოდიოდნენ ჰაერში და თან
ბავშური ნათელი სიხარულით დასძახებდნენ:

„სიკორკობილესა
თხაი დაკალესა
მე არ მაქამესა“.

გაპყობდნენ ალტაცებულნი და მიწას ერთი ადლით რომ ასცილდ-
ბოდნენ, ასე ეგონათ, ცას ზელი მივაწვდინეთო. ასე მიჰყვებოდნენ თავ-
მინებებით ოჩიკოჩის რწევას და ბავშურ აღმაფრენას, სანამ მათი საჭა-
ნელა წონასწორობას არ დაჰკარგავდა, ფიცარი ბოკონზე არ დაცურდ-
ბოდა და ბავშვებს ფეხებს არ მოუწეწეავდა.

და ვით ხანდაზმული საპატარძლოები გათხოვებაზე, ალბათ, ისე ოც-
ნებობდნენ ეს წაბლის ძელები, რომ ოდესმე მაღალ ბოძებზე შემსხდა-
რიყვნენ, კოჭების ამაღლა მოესხათ, თავს მარჯნისფერი კრამიტის გვირ-
გვინი დაედგათ — გურული გლეხის სიამაყედ, პალატზე წამოდგმულ
ოდად ჰცეულიყვნენ. მაგრამ წელი წელს მოსდევდა და ეს ხანდაზმული
ოცნება ხორცს ვერ ისხამდა. ზამთრის დაუსრულებელ ღამეებში, როცა
ზენა ქარი სარკმლის ჰრილში თოვლს ახვეტდა, სამზადი ბოლით ივსე-
ბოდა, თვალები კი ცრემლით. ესმა ფარნას აუტყდებოდა, გააბამდა წუ-

წუნს სიღარიბეზე და ოჯახის მოუწყობლობაზე. კოლქმარი ჯეცეცხლის გაღმა-გამოღმა, ჯორკოებზე ისბდნენ. ფარნა თბილის ტყეჩისაგან გოდორს წნავდა. ესმა კი მატყლს ჩეჩდა და სიბრაზისაგან მანქანაზე თითქოს საჩეჩელს ეხეოდა.

— ფარნა! დავიწყეთ ბარემ ოდის შენება, ვიყიდოთ კრამიტი, — წამოიწყებდა ესმა.

— კაი დაგემართოს, — წყნარად და აუშლვრევლად მიუგებდა ფარნა და გამკვერტლულ უღვაშებიდან შინ მოწეულ ევერო-თუთუნის ბოლს გამოუშვებდა.

— ფარნა, შემოვლობოთ ეზო მესერიით?

— კაი დაგემართოს, — ისევ აუღელვებლად მოუპრიდა სიტყვას ქმარი და გოდორის საძირეს ტყეჩს გადააწნავდა.

ესმა კი სურვილების გუდას თავს მოუხსნიდა და ქმარს გულს გაუწყალებდა დაუსრულებელი ჩივილით. ფარნა ერთხანს წაუყრუებდა, მერმე კი მოთმინებიდან გამოსული ცეცხლის პირას მოზრილ ხედას ფეხს წაპკრავდა, თითქოს ის ყოფილიყოს დამნაშავე მათ ხელმოკლეობაში, ესმასაც შეუკუროთხებდა.

— ოჯო. გასკდი კვერცხივით მუცელზე! რაფერ უნდა გავაკეთო ამ ერთ ღამეს ყველაფერი, ქვეყანა იქცევა ქარით და თოვლით, ცაი ფეხად ჩამოდის?! — ისევ გააბოლებდა მსხვილტარიან ჩიბუხს, ნაცარში გადააწიტებდა და გოდორის წნას განაგრძობდა.

ფარნასაც გულით უნდოდა ოდის დაწყება, მაგრამ წელი არ მოსდევდა. მოჯამაგირეებივით ტრიალებდნენ ესმა და ფარნა სიმდიდრით გალალბულ ნათესაეის ოჯახში. სპიტოს ოჯახი სულ მალლა-მალლა მიიწედა, მათ საოცნებო ოდას კი არ დაადგა საშველი, ვერ იქნა, ვერ გამოძვრენ ჩაფარცხულ ფიცრულიდან. ახლა სოფელი წელში გაიმართა. ქაცენარის სერზე, სადაც ისინი სახლობენ, ყველამ ახალი ოდა წამოიქიმა. მარტო წელს რამდენი ოდა აშენდა...

ახლაც ბუზღუნებს ესმა, ქმარს აქვზებს—მეშარიას მაინც არ გრცხვენია, ყველას რომ გადაწითლებული და გადაკრამიტებული ოდა უდგას და ჩვენ კი ამ ფიცრულიდან ვერ გამოვედითო. წამოვიწყეთ ბარემ ოდაო. ფარნა კი დღე და ღამ კოლმეურნეობის სანერგეში ტრიალებს და ოდის წამოწყებას არ იქარის. შემოდგომაზე უნდა შეუდგეს, მოძალებული სამუშაოები რომ დასრულდება სანერგეში.

მეორე დღეს, ქიშვარდი კომკავშირში რომ მიიღეს, მისი ბრიგადის ახალგაზრდებმა გამოუარეს. ბიჭები საბარაეში მიდიოდნენ, ქალიშვილები ჩაის საკრეფად, სკაიიაც მათ ასდევნებოდა.

გულგახსნილი დილა იყო, კრიალა ჰაერში მსუბუქი რამ ბოლივით ჩაღვრილიყო მზის პირველი სხივი, და ამ სხივში ლივლივებდნენ თეთრი მტრედები: ხან გარინდებული მიპყებოდნენ ჰაერის დინებას, ხან კისრულით გადადიოდნენ. ეზოს თავზე კი შუილით და ყურთასმენის წამლები წივილით დაპჭროდნენ ნამგალები. ქიშვარდი ფიცრულის აივანზე

იღვა, სამყნობ დანას უწყობდა პირს. დღეს მამას ეშველებოდა სანერგეში. ქიშკრის წინ კი ჩვეულებრივი ომი იყო გამართული ესმასა და ბატებს შორის.

— მოდი, ბიჭო, ქიშვარდი, მოეშველე დედაშენს, ^{ქიშკრის} ~~დედაშენს~~ გაათავებს ამ ბატებმა შენი საბუხრე სილა! — გასძახა შორიდან სკაჩიამ ქიშვარდის და თითონაც ყავარჯნით დაერია ბატებს.

— მობრძანდით, თქვენი ქირიმე! რაფერ გაასიევეს ამ ბატებმა გული! ნეტა ვიცოდე, დობტურს ხომ არ გამოუწერია ამ ტურის დასაქმელებისთვის უხშოთ სილის ქამა! — ეითომ ხუმრობით მიმართა ესამ სტუმრებს. გულში კი მართლა შიში ჰქონდა, რომ ეს წყველი ბატები გაათავებდნენ საბუხრე სილას.

ქიშვარდი სტუმრებს გამოეგება.

— სანამ შენ ოდას წამოიწყებდე, ეს ბატები ქე გაათავებენ ამ შენ სილას. მაგენს ერთი მწყემსი დასჭირდებათ, — სთქვა სახე-გაბადრულმა ჟონამ.

— მოდი, ერთი დავესიოთ და ჩავეაროთ ეზოში! — წამოიძახა სილოვანამ და პირველმა დაჰკრა ბარი სილის ზენის. სხვებიც წამოეშველნენ.

— ო, მაგას დიდი უტოპია მუშაობა უნდა, შუადღემდე მოუნდებით, — სთქვა სკაჩიამ. — ბარე ხუთი ურემი ქე ექნება შექმული ამ ბატებს. ხუთი ურემი კიდევ იქნება.

— მართლა, ოდას იწყებ ქიშვარდი ოდას შენებას? — შეეკითხა ციციხო ბარების ქახა-ქუხში.

ქიშვარდომ თითონაც არ იცოდა, ოდას მოახერხებდა ოდას დაწყებას, და სანამ ის პასუხზე ფიქრობდა, სკაჩიამ წამოიყვირა:

— მაგი, ალბათ, უხუთშაბათო კვირაში იქნება. აწი ქე გაგიწვევენ ბიძი ჯარში და რაღას მოასწრობ. არ ვარგისართ ახლანდელი ახალგაზრდები! აგერ, მე ინვალიდი კაცი ვარ და მაინც ვაპირებ ოდას დაწყებას.

ქიშვარდომ ციციხოს გადახედა, რატომღაც გული ატკინა სკაჩიას ხუმრობამ: „ქიშვარდი, ალბათ, უხუთშაბათო კვირაში მოახერხებს ოდას დაწყებასო“. ციციხო რომ იქ არ ყოფილიყო, ალბათ, ასე არ ეწყინებოდა, დაუფიქრებლად წამოიძახა:

— ბიჭი არ ეიქნები, თუ მარიობისთვის ბოლოს სახურავში არ მოვიყვან ოდას!

შემდეგ სანანებლად გაუხდა ეს დაქადება. შუა ზაფხულში, ამ გახურებული მუშაობის დროს, ადვილი არ იყო ოდას წამოწყება. პირველად მამასთან მოუხდა ამის გამო შეჯახება. ფარნას ჭკუაში არ დაუჯდა შვილის ეს უდროო დროს აფუცხუნება.

— დაითქვი სული, გადახურულში ხომ ვართ, თავზე ხომ არ გვაწვიმს, შემოდგომაზე გამოვიწყოთ ოდა, — არიგებდა ფარნა შვილს.

შერმანდიას მაგალითი მოჰყავდა: ვერ მოუტლია, თავისი ოდა რომ მოასრულოს, ჩვენ რა გავგიჭირდა ისეთი, შემოდგომამდე რომ ვერ გავძლოთ ამ ფიცრულში.

ასე არიგებდა ფარნა შვილს. მაგრამ არ იქნა, ვერაფრით ვერ გადა-
ათქმევინა. ქიშვარდზე არაერთხელ საბუთი არ მოქმედებდა. თითქოს
ლიბრი გადაეკრა თვალზეო, ყველაფერი გადაავიწყდა. აქვე აღვნიშნავთ
დარბოდა. იმედი ჰქონდა, რომ თავის დანაქადებს შესაძლებლობა ექნებოდა
ტოს ბოლომდე სახურავამდე აიყვანდა ოდას. ამა თავს ხომ ვერ შეი-
ცხვენდა ციციანოს წინაშე. ფარნამ დაუშალა, მაგრამ მამის უნებურად
შეუდგა მუშაობას. მეორე დღესვე ფიცრები და კოკები გამოიტანა ლა-
ფაროდან, დასწმინდა, დაასუფთავა, სკინტლი და მტვერი მოაშორა. მა-
თი ეზო ფერდობი იყო, ამიტომ ოდის დასადგმელად მიწის გამოთხრას
შეუდგა, როცა საღამოთი ტრიფოლიატების ეკლებით ხელებდაკაწრულ-
მა ფარნამ შეაღო ქიშვარი, ეზო ნაყარი მიწით დაფარული დახვდა. ოფ-
ელში გაწურული ქიშვარი არნაბით ასწორებდა ნიადაგს. ფარნას იამა,
შვილი ასე გულდაგულ რომ მოსკიდებოდა ოდის შენებას, მაგრამ სიხა-
რული არ დაიმჩნია, მსხვილი წარბები არ გახსნა, მომდურავე კილოზე
მიმართა ქიშვარდის:

— ასე უნდა, ბიჭო, ასე უნდა გამომიშალო ფეხი. შენი მოიმედე ვი-
ყავი ამ ზაფხულში. მეგონა, მცნობაში მომეშველებოდი. როგორი მოძა-
ლებული სამუშაო გვაქვს. ას ოცი ათასი ძირი მანდარინი და ლიმონი
გვაქვს წელს დასამყნობი, ხუთ ჰექტარზე უნდა ავიყვანოთ ჩვენი სანერ-
გე, ხომ არ გინდა, შეფრცხვე და თავი მომიტყრას? ხომ იცი, რანაირი
ვალდებულება გვაქვს აღებული?

ქიშვარდი შესდგა და არნაბის საფერხულს დაეყრდნო.

თავით ფარნას არ უქისრია ეს ვალდებულება, ახლა შვილს რომ აგო-
ნებს. შერმანდიამ მისცა ეს პირობა ბელადს, მაშინ როცა კრემლში იყო
ორდენის მისაღებად — ციტრუსების სანერგეს ხუთ ჰექტარზე ავიყვანოთ
და ჩვენი კოლმეურნეობის გარდა რამდენიმე სხვას უზრუნველყოფთ
ნერგითო. შერმანდია რომ დაბრუნდა სოფელში შრომის წითელი დრო-
შის ორდენით მკერდზე, ყველა ასე იძახოდა — სწორეთ ისე მიგვანია,
ვითომ ჩვენს გულზე იყოს ეს ორდენიო. განსაკუთრებით ის აღელვებდა
ფარნას, ბელადს რომ ეკითხა შერმანდიასათვის:

— რას შერებთან გურულები, როგორ ცხოვრობენ, როგორაა თქვე-
ნი კოლმეურნეობის საქმე?

— გურულებიც კარგად ცხოვრობენ და კოლმეურნეობაც მიდის
წინ! — მიუგო თურმე შერმანდიამ.

და კოლმეურნეობის თავმჯდომარის პასუხი თითქოს სამღვთოელების
დევნი ზახდაო: ყველას პირზე აკერია, ვისაც არ უნდა ჰკითხო სამღვ-
თოში, ქალს თუ კაცს დიდს თუ პატარას — როგორ არის საქმეო, უთუ-
ოდ ასე მოგიგებთ — მიდის წინო, და ფარნასაც მუდამ უფრში ჩაესმის
ეს კითხვა და როცა ტრიფოლიატის საძირის კანს დასერავს და სანამყე-
ნე კვირტს ნასერში ჩასვამს, თითქოს შერმანდიას პასუხს იმეორებს
გულში.

— მიდის წინ!



რაფიას ახვევს კვირტის გარშემო და ბელადის სახე დაუდგება/თვალ-
წინ, პოლიმარი, ალერსიანი, მათი კოლმეურნეობის თემატიკის შესახებ რომ
ყვითხება:

— რას შვრებიან გურულები, როგორ ცხოვრობენო.

და ფარნასაც სურს ხმა მიაწვდინოს ბელადს:

— კარგად ცხოვრობენ, ვინც კარგად მუშაობს, ნამეტანი კარგად
ცხოვრობს.

და ეს ფიქრი ერთმანეთთან შეზრდილ წარბებს გაუშლის, შუქი ჩა-
უდგება თვალეში, ახალგაზრდულად გამართავს მოყრილ მხრებს, გამა-
ლებული ახვევს რაფიას ნერვის ნაჭრილობებს, ნერგიდან ნერვისკენ გარ-
ბის, თითქოს ქარი უდგება მუხლებშიო, ვერც კი გრძნობს ტრიფოლია-
ტის ეკლების ჩხვლეტას, ახალგაზრდებს უსწრებს ხელხვავერიელობაში,
სანამყენე ტოტებს და რაფიას ანაწილებს.

აგონდება წარსული, საახალწლო ჩიჩილაკი, წმინდა ბასილის წვერს
რომ გამოსახავდა, დაშავრულ კომისიასგან გაკეთებული ძელივით მაგარი
ფოჩებიანი შავრლამა და ერთადერთი ფორთოხალი, რომელსაც ლარი-
ბი გლეხის ოჯახი მომავალ, ვინ იცის, იქნებ ბედნიერი წლისათვის და-
იხედებდა. „იმედით ცხოვრობს საწყალი კაციო“, — იტყოდნენ ძველად
და ამ იმედით ცხოვრობდა ფარნას ოჯახიც. კალანდა დილას ფარნა კე-
რის ქვას მუგუზალს შემოჰკრავდა. უთვალავ ნაპერწკალს გამოჰკვესაუ-
და მუგუზალი. ოჯახის წევრები სასოებით მიიძახებდნენ:

— ამდენი ჩქრო და თვალ-მარგალიტი, ამდენი ვერცხლი, ამდენი აბ-
რეშუმი, ამდენი ღომი, ამდენი სიმინდი.

ეს ჩათქმა მოწკრიალე ნაპერწკლებზე მეორდებოდა წლიდან წლამდე,
მაგრამ ფარნას ოჯახში არაუვის სჭრიდა თვალს არც თვალ-მარგალიტის
ელვარება, არც ოქროს ბრწყყვილი, არც ვერცხლის ბზინვა, და ამ სა-
ახალწლო ოცნებიდან ფარნა ადვილად დასთმობდა ოქრო-ვერცხლს და
თვალ-მარგალიტს: ოქროს ხევეად ჩასთვლიდა აბაშური ჯიშის ყვითელ
სიმინდს ან ზუგდიდურ ოქროს ლამაზურას კალოს, თუ კი ტაროსი ისე
მოუმართავდა ხელს, რომ წლის სარჩოს მოიწვედა. ამ იმედით მღეროდ-
ნენ სიმინდის ფურჩენის დროს ხელხვავის სიმღერას:

„მიქელა და გაბრიელა
კალო გაგვიხვავერიელა,
წმინდა გიორგი მობრძანდება,
ჩვენ კალოზე დაბრძანდება“.

მიქელ გაბრიელის ხევი და წყალობა არსად სჩანდა. ერისთავის მო-
ურავი კი უსათუოდ მობრძანდებოდა და ფარნას ნაოფლარს ხევს და
ბარაქას გააცლიდა. კალოს თავზე დაბრძანდებოდა გულქვა მოურავი და
გეზელა ქორივით აცეცებდა თვალებს, რომ მემამულის წილში „ნაეტუ-
ტალა“ ტარო არ გადაეგდოთ. მკლავი უღუნდებოდა ფარნას, როცა მე-
მამულის ხევეში უნდა ესროლა ტარო.

გაფურჩენილი სიმინდი ჯერ მემამულის ნალიაში უნდა ჩაეყარა თავისი ხელით, მის საკედარო კალოს კი ამ დროს ყანაზე შემოთქვნილი ჯოგი აოხრებდა, ზოგჯერ ერისთავებიც მოინებებდნენ და მოსკოვს ალუბაზე ჩამობრძანდებოდნენ მიმინოებით და მეძებრებით სამწყურაოდ, აფორიაქდებოდა იქაურობა, ძაღლები ლობიოს ბურღოებს დაგლეჯდნენ, მონადირეები სიმინდს გადაქელავდნენ და ბოლოს დაღლილ-დაქანცულნი იკადრებდნენ და გლეხის სუფრას „გააბატიოსნებდნენ“.

საახალწლოდ აღარ ილოცავს ახლა ფარნა, მუგუზლის ნაპერწყლებს არ ატანს უდღეურ ოცნებას: „ამდენი ოქრო, ვერცხლი, ამდენი თვალმარგალიტიო“. მაგრამ თითქოს ძველი ჩანათქვაში გაუცხადდა: ნამდვილი ოქროს მადანი გამოდგა ეს მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი და შარშან ხომ ნაბა კოლმეურნეობის ციტრუსების ფარდულში შეზეინული მანდარინი, საკალანდო ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდა ფარნა ასეთ თვალისმომკრეულ ბაჯაღლოს [ბრჭყვიალს. ას მეტრზე გაჭიმულ ფარდულში გორებად იყო დაზეინული ბაჯაღლოს-ფერი მანდარინის ხვაფი და დაუსრულებლად მიედინებოდა მანდარინით და ლიმონით დატვირთული, ახალი და ახალი ურმები. ოცი ურეში მანდარინი მიაყენა კალენიკამ ფარდულს. ამის ნახევარი სიმინდი რომ მოსელოდა ძველად, სიხარულით ცას გწევოდა.

— ეულტურამ რომ გაიხარა, ჩვენმა ხალხმაც გაიხარა, — ამბობს ყველა სამღვთოში.

— ამისთანა დრო გურიის ხალხს როდის ქონია, ამ დრომ შრომას მოწონება მოუტანა. ვისაც შრომა უყვარს, ის ამ დროს აუფს იტყვის განა? — ფიქრობს ფარნა.

ერთ ცალ ფორთოხალს თუ დაიბედებდა საახალწლოდ ღარიბი გლეხის ოჯახი. ახლა კი ეს ნარინჯოვანი ბაღებით დაფარული გორაკები ათეულ და ასეულ მილიონ მანდარინის ნაყოფს გზავნიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში — მოსკოვში, ლენინგრადში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში. და ჯერ ეს წვეთია ზღვაში ჩვენი დიდი სამშობლოს ას სამოციმილიონიანი მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ წყავივით მიღგმულ მანდარინის ბაღებში უკვე მოსჩანს კიდევ უფრო გულუხვი ხეალინდელი დღე.

ამ გეგმებზე ფიქრობს ფარნა ქილიფთარიც. ამიტომ არ უჯდება ჭკუაში შეილის ეს აფუცხუნება. ისევ შერმანდიას მაგალითი მოჰყავს ფარნას — ხომ ნახვ გაშენებული ეზოს ნახევარი რომ გადაუჭრა კოლმეურნეობას საფუტკრის მოსაწყობად. ღობე გარღვეული დარჩა და იმის გასაღობად ვერ მოუცლია. რამდენჯერ უთხარი, სანერგის ბრიგადის ხალხს მოვახმარ, ორ საათში ვაღობავენ-თქვა. ვერაფრის გულიზა ვერ დავითანხმე. ამ გახურებულ მუშაობის დროს ხალხი როგორ მოვაცდინო საკუთარ საქმისათვისო.

ვერ იჯერებს ფარნა გულს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ქებით. იქნებ იმიტომ მოსწონს ეს დაჯაგულ მუხასავით მკვრივი, ჩასხმული,



მოკლე დეხება, თითქოს მიწიდან ამოზრდილი კაცი, მასავით სიტყვა-
ქმნი რომ არის, როცა საქმე მუშაობას შეეხება, შერმანდიას არ უყ-
ვარს ბოტყელი სიტყვები. „ერთი სიტყვით“, — მუდამ მსუქნის ლა-
პარაკს და ყველაზე ხშირად ამ სიტყვებს იმეორებს: „რა გინდა, ძმაო? ერთი სიტყვით, ასეთია კოლმეურნეობის წესდება: თუ კარგად იმუშა-
ვებ, კარგადაც მიიღებ“.

თვითონაც თავდაუზოგავად მუშაობს შერმანდია და სხვისი შრომის დაფასებაც იცის.

ასეთი მოძალებული სამუშაოს დროს ყველა გვერდში უნდა ამოუდ-
ვეთ, რომ ჩვენმა სოფელმა პირველობა არ დაკარგოსო, — არიგებდა ფარ-
ნა შეილს.

ვერაფერი შეასმინა. ესმაც აპყვა თავის ვაჟს, გულდაგულ ეშველებ-
თითქოს პირი შეთქვეს დედაშვილმა ფარნას წინააღმდეგ, ესმა თითქოს
გაახალგაზრდადა სიხარულმა. ქმრის დაუკითხავად დაიჭირავე ხელოსნე-
ბი. ქიშვარდი კიდევ შერმანდიას მიადგა კარს. მუდამ ასე უკანდახეული
და მორიდებული იყო. ურმები სთხოვა ქორბუდიდან კრამიტის მოსატა-
ნად. ცემენტიც ახლა მოსთხოვა, შემოდგომისთვის რომ შეჰპირდა შერ-
მანდია. ქიშვარდი დღე და ღამეს ასწორებს ოდის სამუშაოზე. გახელე-
ბულივით დარბის, თითქოს ღიბრი გადაეკრა თვალზე, ვერ ამჩნევს,
თუ რა გასაქირი ადგა კოლმეურნეობას.

შეირცხვინა მარიობისთვემ თავიო, — ამბობდნენ სამლეთოში. საშინე-
ლი ჭყიფორი დაიჭირა, მთელი კვირა გადაუღებლად წვიმდა. ისე აცივდა,
თითქოს დაზამთრებას აპირებსო. საყორნიას მწვერვალეზე ჩამოსთოვა.

ცუდი დღე დააყენა ჭყიფორმა ჩაის ბუჩქს. დუვის ზრდა შეაფერხა.
ქარბმა სინესტემ გაპატიებულ პლანტაციებში სარეველა ააღაღა. დღე
დღეს მოსდევდა, წვიმა კი გადაღებას არ აპირებდა. მცირეხნით თუ იც-
რიალებდა, მცირე ხნით თუ გაიხსნიდა ცა შექმუხნილ შებლს. ერთი წუ-
თით გამოაჰყვებდა მზის ელაში სხივი ღრუბლების მძიმე საბურველიდან.
ხალხს სამუშაოდ გაიტყუებდა, შეიქნებოდა ფაცა-ფუცი, რბენა და გა-
დაძახილი ბრიგადებში, კალათებით და გოდრებით დახუნძული, ბარით,
საწვიმარებით და ქოლგებით შექურცილი ხალხი პლანტაციებს მიაშუ-
რებდა. მაგრამ ჩქარა ისევ მოიკუპრებოდა ცა, ვერაგულად დაუშვებდა
წვიმა. საოცარი იყო: ზოგჯერ ნიავეც არ იძროდა და უეცრად, თით-
ქოს სალაღობოდ, დაიწყებდა ცრას. შემდეგ კი შოლტივით ატლაშუნდე-
ბოდა თქორი დაწიდულ ნიადაგზე. ქამით¹⁾ გაელენთილი მიწა წყალს
აღარ ატარებდა და წვიმა გუბეებად დგებოდა პლანტაციებში. სამუშაოდ
გასული კოლმეურნეები ერთხანს მაგრობდნენ, წვიმას არ ეპუებოდნენ
და მუშაობას არ სწყვეტდნენ. ფიქრობდნენ, იქნებ ისინდისოს წვიმამ და
გადაიღოსო. შემდეგ კი, როცა თქეში წამოვიდოდა, იკადრებდნენ თავ-
შესაფარისაკენ გაქცევას.

¹⁾ სინესტით.

— აი ჩამოიქცეო და ჩამოსრომგარომდი ?) ბარემ, იმას ნენ გაბეზრებულნი.

— აბა დაუშვი, დაუშვი, რაც შეგიძლია! — მომტყუანე სულ ჩემ მიმართავენ უკვე საყუდარს თავშეფარებულნი. ისე უკრწანელს კვამლს არცხვენდნენ, თითქოს წვიმა გონიერი რამ არსება ყოფილიყოს.

ასე არ ეპუებოდნენ ერთხანს ამინდს, შემდეგ კი, თითქოს ტაროსს დაემორჩილენო, მუშაობას ხელი შეუშვეს, ბრიგადებში მუშაობა აიწყნა. ჩაის კრცეა და თოხნა ფერხდებოდა. ოთხასი ათასი კილო ჩაის ფოთოლი უნდა ჩაებარებია ამ წელს სამღვთოს კოლმეურნეობას. ზაფხული მიიწურა და ჯერ კიდევ ბევრი აკლდა გეგმის შესრულებას. მაისში და ივნისში კარგი ამინდები იდგა, ცოტა ივლისმა შეიცვალა გუნება და იქიდან ვადმოჰყვით დავალიანება. აგვისტომ ხომ სულ შეირცხვინა თავი. ყველას აემღერა გუნება.

რა დაპირება მისცეს რაიკომს, შარშან ქვედობნის საბჭოთა შეურნეობის ფართობიდან შეიდი ჰექტარი გაშენებული ჩაი რომ ჩამოუტრეს სამღვთოს! მელიქაურის კოლმეურნეობაც ჩემულობდა ამ ჩაის ფართობს, მაგრამ სამღვთომ გადასძლია. ის იყო გასულ წელს მოწინავე და რაიონის გარდამავალი დროშაც სამღვთოს კოლმეურნეობამ დაინარჩუნა. ახლა სადღა უნდა გამოეყოს სირცხვილით თავი? სხვა კოლმეურნეობებსაც დიდი გასაპირი დააყენა ქყიყორმა და „ჩაის ფრონტი“ განგაშს სტეხდა ამ ჩამორჩენაზე.

ბ ა შ რ ა

ბონდო ტყუილად კა არ შესჩიოდა ციციხოს, მამაჩემის ხასიათს ვერ ვეწყობიო. სილიბისტრო და ბონდო მართლაც ძალსა და კატასავით იყენენ ვადამტერებულნი. ერთმა გარემოებამ ხომ უფრო გაამწვავა მამაშვილის ურთიერთობა. სიპიტოს საყვედურმა ისე გაუწყალა გული ბონდოს, რომ შინ ვეღარ სძლებდა, პურის საჭმელადაც აღარ გამოდიოდა მამასთან. სანამ ლელობურთში ნაღრძობი კოჭი ჰქონდა სამიხეზოდ ჩაიკეტებოდა თავის ოთახში და იქ შეჰქონდა მისთვის პუპულის კერძი. მაგრამ აქაც არ ასვენებდა მამის ბუზლუნი. შვილის ჯიბრით თვითონაც აღარ მიდიოდა სამუშაოზე. აივანზე ბოლთას სცემდა გახელებული. მთელი უბნის გასაგონად გაჰყვიროდა: „ასეთი შვილი და ძირი ჩემს მტერს მისცეს ღმერთმა! აღარც სწავლისაა და აღარც მუშაობის. დავედება საბუარივით შინ, ჩიტის ბარტყივით უნდა ჩაუდვას კაცმა ლუკმა პირშიო“. ბონდო ერთხანს გაინაბებოდა, მაგრამ როცა მზე საშუაღლეოზე წამოვიდოდა, გულგასიებული უკანა კარებიდან გაიპარებოდა, რომ გახელებულ სიპიტოს არ შეჩებებოდა. თუ კოსტა სახლში არ ეგულებოდა, ხოლო ელიზბარა სადმე საჩაღანდროდ იყო წასული, ფოსტაში შეივლიდა, წყ-

?) სოდომსა და გომორივით გახდით.

რილებს მოიკითხავდა. იმის იმედი ჰქონდა, იქნებ ეინმეს გადარეკარო. მთელი სოფელი პლანტაციებში იყო გაკრეფილი. ერთხან ფრეს ითრევედა, იქნებ ეინმე გამოჩნდესო, მაგრამ სხვას რომ ვერაფერს ვაპირებდით, ისეც ბრიგადისაკენ გასწევდა. ჟონა რომ დაინახავდა წულა-მესტეგში და ჩინურ ხალათში გამოწყობილ ბონდოს, შუადღისას ბრიგადაში მომავალს, ჩვეულებისამებრ გასძაბებდა: „არიკა, შეეგებეთ, მოვიდა კოლმეურნეობის გამგეო“. ბონდო სხვებთან ერთად გადიხარხარებდა ამ შენიშვნაზე, ერთხანს მუშაობაში ჩაებმებოდა, მაგრამ უფრო მეტ დროს ქალიშვილებთან ღლაბუცს ანდომებდა. ზოგჯერ ბრიგადირი დაიფრენდა—ხალხს ნუ მიცდენო.

სალამოზე ბონდო ბრიგადასთან ერთად ბრუნდებდა. მამის საყვედურებს რომ მოერიდოს, ჩვეულებრივ სეფესას შეუხვევს. ციცინოს შესჩივის თავის ყოფას.

— მამაჩემმა სისხლი გამიშრო, ქვა ვერ გაუძლებს მის საყვედურებს. არ ვიცი, რა წყალს მივსცე თავი, სახლში აღარ დამედგომება, ნენა რომ არ მეცოდებოდეს, თავს დავიღრჩობდი ან ტყეში გავარდებოდი.

ციცინოს უცნაურად უტოკებდა გულს ბონდოს ჩივილი. ვაჟი მას შესტიროდა, მის რჩევას და დახმარებას საჭიროებდა და ეს აღიზიანებდა ციცინოს თავმოყვარეობას. ეს რაღაც ძალას აგრძნობინებდა, საკუთარ თვალში ამალლებდა, და ციცინომ თავს იდო მისი სწორ გზაზე დაყენება. დიდის გულმზურვალეებით შეუდგა ნაკისრ მოვალეობის შესრულებას, ყოველდღე უჩიჩინებდა, თუ მეურნეობაში მუშაობას არ აპირებ, სწავლას მაინც ეწიეო, საშუალოს მოწმობაზე ჩააბარე გამოცდებო. ბონდოც წყალწალებულივით ჩაეჭიდა ამ აზრს, თუნუქის ქურასავით აცეცხლდა, გადასწყვიტა, უთუოდ შემოდგომამდე უნდა ჩაებარო გამოცდები ტექნიკუმის მოწმობაზეო. ციცინომ თავი გამოიღო. თითონ მოელაპარაკა სკოლის მასწავლებელს. ბონდომ მიყრილ-მოყრილი წიგნები და რეგულეები გამოსძებნა, რამდენიმე დღეს დიდის გულმოდგინეობით მეცადინეობდა. პაპულაც ცას ეწია სიხარულით, ენა იღრძო ზვიადაძის ქალმა ამ გამოცდებზე ლაპარაკით, მეზობლის ქალებს ყურები გამოუჭედა. ისე ენას არ მოაბრუნებდა, რომ ეს „საექსტრენო“ გამოცდები არ ჩაერთო.

მაგრამ ბონდოს ანაზღეული აცეცხლება სწრაფად ჩაქრა. მალე აესვარა გუნება. მოიმიზეზა — სახელმძღვანელოები მაკლია, სახაზავი მოწყობილობა არა მაქვს, ბათომში უნდა წავიდე და იქიდან ამოვიტანოო. თანაც საოცარი ანგარიში წარუდგინა დედას. თითო წიგნი შეიღირეა თუ მანი მაინც ღირსო, ეს სახაზავი მოწყობილობა, ეს საერთო რეგულეებიო. პუბულა არც ამ ხარჯს მოერიდა. საბახმაროდ შემონახული ფული მისცა, ოღონდ შენ გამოცდები ჩააბარე და მე ბახმაროზე კი არა, თუ გინდა ჯანდაბაში წავალ ამ ზაფხულშიო.

ბონდო წიგნების საყიდლად გაემგზავრა ბათომში. მაგრამ ჩასვლისთანავე გადაეყარა ყანისარას შვილს ქიკოს, მეტ სახელად „მოცვეთილს“.

ქიკო სადღაც ბრძენების არტელში მსახურებდა დამზადების არტელში. მასზე ამბობდნენ სოფელში — ისეთი გაქნილია, რომ ბრძენს კი არა, თვალხილულსაც ბეწვს ამოართმევს თვალიდანო. ამ ქიკოს მარტყემაძეს გადაეკიდა ბონდო ბათომში და თითქოს სუნი აიღესო, მასწავლებელს კი მხინდენ ბონდოს ძველ ამფსონებიც — პაპანდოპულო და ძმანი მისნი. ჩასვლისთანავე ქეიფი „ააყოლეს“. იმ საღამოს ისე მთერალი მიიყვანეს ბონდო ქიკოს ბინაზე, რომ პირში ენა აღარ ჰქონდა. შემდეგ ქეიფი ქეიფს გადაემა ქიკო გულუხვად მასპინძლობდა. ბონდომაც თავი გამოიღო, თითქმის სულ ამოირეკა ჯიბა და ამ გაუთავებელ ქეიფში სულ გადაავიწყდა. თუ რაზედ ჩავიდა ბათომში.

მეხუთე დღეს საკომისიო მალაზიის დარბაზში სანადირო თოფი დაინახა. სული წაუვიდა, მაგრამ ფული არ აუთავდა. ნახევარი ქიკოს ესესხა, თოფი იყიდა და სამღვთოში დაბრუნდა. ბონდომ შეცადინებდა რომ დაიწყო, სილიბისტროს ისე ეჭირა თავი, თითქოს ვერაფერს ამჩნევსო. არც იმაში ჩარეულა, პუპულამ საბახმაროდ შემონახული ფული რომ გაატანა ბიქს ბათომში წიგნების საყიდლად. ფიქრობდა, იქნებ მორჯულდეს ბიქი და რაიმე გზას დაადგესო. მაგრამ როცა ბონდომ წიგნების ნაცვლად სანადირო თოფი ამოიტანა სიპიტომ ქვა ისროლა და თავი შეუშვია. მთელი სოფელი შესძრა ყვირილით ბონდოსკენ წაიწია შემოსაკრავად, პუპულამ შეიცხადა: მეზობლები მოცვიდნენ, ძლივს გააკავეს გამძვინვარებული სილიბისტრო, ცოფს ჰყრიდა პირიდან ეს ჯუჯაკაცი.

— ბონდო დღეის ამას იქით ჩემი შვილი აღარ არის, უნდა გავეყარო!

საბჭოშიც მიიჭრა. მაქიმედის განუცხადა, მე ბონდოსთან ვერ ვიცხოვრებ, სამოსახლო მიუზომეთო. მაგრამ ცხენისხურვა და ნაციხვარი ორივე ერთდროულად დაიჩემა. ტფილისიდან მისული მოწერილობაც რომ ხელთ ჰქონდა, მთლად „ქეზი“ მოიბა.

მთელ სოფელში ჩამოატარა ტფილისიდან ჩამოსული მოწერილობა. ხმაშეწყობილად გაიძაზოდნენ პუპულა და სილიბისტრო, მთავრობა ქეიფერება, დააკმაყოფილეთ სილიბისტრო ქილიფთარიო. მაგრამ რად ვინდა, სამღვთოში შერმანდია და სილოვანა სჭრის სამართაღეს, და მეგენი ჩემს სასიკეთოს რას გააკეთებენო. ტფილისიდან მოსულ მიმართვაში ეწერა: „გამოიკვლიეთ სილიბისტრო ქილიფთარის საქმე და კანონიერების ფარგლებში დააკმაყოფილეთო“ მაგრამ სილიბისტროს ზეპირგადმოცემაში მან ჯერ ასე იცვალა სახე: „გამოიკვლიეთ სილიბისტრო ქილიფთარის საქმე და კანონიერად დააკმაყოფილეთო“. შემდეგ ამ მოწერილობამ კიდევ უფრო იცვალა იერი. მას პირველი მუხლი მოსძვრა და ახლა ასე გამოდიოდა: „კანონიერად დააკმაყოფილეთ სილიბისტრო ქილიფთარიო“, ამ „შელაშაზებულ“ მოწერილობის საფუძველზე გაიძაზოდა სილიბისტრო: „კანონი ჩემს მხარეზეა, მარა შერმანდია მიკარავს

სამართალსო“. შეილთან გაურა გადასწყვეტა სილიბისტროს თითონვე შეუდგა ამდენი ხნის ნაშენები ოჯახის გაპარტახებას.

კოლინდარიან ეზოში განიერი თბილი ვაელო, ნაწილობრივ მშენებელი-ან სამშადში გადავიდა. იქ ჩაიტანა ნიკელით მოალული ინგლისური საწოლები. პუპულა და ბონდო ლურჯად შეღებილ ოდაში დარჩნენ. პუპულამ კიდევ სასტუმრო დარბაზში აიტანა კეცები, ჯაჭვი, სამფეხა და მურიანი ქვაბები. იქ, მოლაქულ იატაკზე, დაიწყო მკადის ცხოზა.

სილიბისტრო ყველა გზაჯვარედინზე გაპყვირის, ნაციხვარს ცოცხალი თავით არავის დაუთმობ, შეილს ვეყრები და ნაციხვარი ფარდში¹⁾ მერგებო. წვევამდელები ყურადღებასაც არ აქცევენ სილიბისტროს დანემებას და თავდაცვის პექტარის დამუშაებას განაგრძობენ. ბარვა მოასრტლეს, საწრეტი არხები ვაელებს, ერთი ნაკვეთი ჩაის დასათესად მოამზადეს, მანდარინების დასარგავად ორმოები ამოთხარეს. ყველაზე მერად სილიბისტროს ის ახლებს, რომ მის ხეხილსაც მიჰყვეს ხელი. ისე იქცევიან, თითქოს სილიბისტროს და წვევამდელების დავა უკვე გადაწყვეტილი ყოფილიყოს. სანამ მამა-შვილის გასაყოფად მელიატორების სასამართლო შეიკრიბებოდა, ნაციხვარში საფერცვალეზო კაკალი და ნაცარა ვაშლი შემოვიდა. ნაცარა ვაშლი იყო, მაგრამ სილიბისტროს გულის მოსაკლავად წელს ისე მოისხა, რომ ნაყოფის სიმომისაგან ტოტები ემტვრეოდა. ნიგოზსაც საოცრად ესხა. მაგრამ განსაკუთრებით მალღარი უკლავდა გულს. საადრეო ვენახი ჰქონდა ნაციხვარში. „სამაქრე“, აგვისტოში რომ იწყებდა შემოსვლას, მის ჯიბრზე თუ იყო, წელს ასე უხვად მოისხა.

— მთლად მინაბღულია, მაგრამ რათ გინდა, ვინ მოგახმარს შენს ქონებას! მისცეს ამ ბაღებს სათამაშოდ ჩემი ნაშენი მამული. — შესჩიოდა სილიბისტრო მეზობლებს.

გულდაწყვეტილი უვლიდა გარშემო მალალ შკერის ღობეს, წვევამდელებმა თავდაცვის პექტარს რომ შემოავლეს. ახლა ნანობდა, რომ აჩქარდა და მესერი აიღო, იქნებ ამიტომ დაეუფლნენ წვევამდელები ასე ადვილად ნაციხვარს. სხვის შიერ შემოღობილი მამული ხომ მაინც როგორღაც დაბეგებულია. ახლა სიბრაზისაგან თითებს იკვნეტს სიპიტო, როგორ მომივიდა ეს სიბრიყვე, ჩემი ხელით როგორ ავიღე მესერიო, — აეკვიატა ეს აზრი; მე თავად გავაფუქე საქმეო, ვერ ისვენებს. ყოველ ხალამოს დაბარებულებით გაჩნდება ხოლმე ნაციხვართან, მამულს ირგვლივ შემოუვლის, შფოთავს, თითქოს გალიაშია მისი მამული. მზადაა კბილით დაღრღნას შქერის ღობე.

— შენი ბრაღია, შენი, შე დედა-გაგლეჯილო! — ლანძღავს ის თავის თავს. — ახია შენზე რაც მოგივა! — და გამეტებით იტკიცებს სახეში სილას.

¹⁾ წილში.

სული ყელში მოებჯინება. რაღაც ძალი შეუდგება მხარეზე, ზევით ეწევა, ხელები თავის თავად მოექცობიან ღობის სარკმელს. მიიკვლია უკაწებს. უნდა თავის ნაქონ მამულში ჩახტეს, ერთი მოითარებოს, მაგრამ მაშინვე მოაგონდება, თუ როგორ შეარცხვინეს საჯაროდ კრწინილას რომ დააბერტყინა ნაციხვარის პანტები, როგორ დააჯარიმეს და თავის ნაქონ მამულში ფეხის დადგმაც აუკრძალეს. და ამ მოგონებაზე ტანში გააფრთხილებს, თითქოს ხელებს მოსწვავენ როკის სარები. ძირს ჩამობტება და შლეგიანი ძუნძულით გასწევს შინისაკენ. მაგრამ სახლშიაც ვერ ისვენებს, თავის თავს გვემს.

ღამე წამოვარდება. სიბრაზით მწითურ ბალანს იბდღენის მკერდზე, შინ ველარ დგება. ყაისარასას მიიჭრება. გამოეგებება ყაისარა საცვლელების ამარა. დასხდებიან წყავების თალარში, ჭურების თავზე დაყრილ ჩამურის ქვებზე. სიპიტო მკლავში ჩაეჭიდება ყაისარას, ანჯღრევს და, ილბათ, მეთათსეჯერ ერთსა და იმავეს ეკითხება, — რაფერაა, ყაისარ, საქმე, ხარ შენ შენს კკუაზე?

ყაისარა პაპიროსის სინათლეზეც ამჩნევს სიპიტოს არეულ სახეს. სცილილობს გაამხნეოს, თავის კანტურით მოჰყვება იგავებს იობის შესახებ, უცნაურ წინასწარმეტყველობას ეფრემ ვერდიდან და ანდრია სალოსიდან. მაგრამ სიპიტოს გულს არა ხედება ყაისარას იგავები და წილადობილა ლაპარაკი. მას მოქმედება უნდა, საქმე, ყაისარა კი რაღაც იგავებით ჰკვებავს. ზოგჯერ კი ჩააწვეთებს ყურში ყაისარა სანუკვარ ამბავს, თვის პირმშოს ჭიკოს მიერ ბათუმიდან ამოტანილს: ფინთადაა საზღვრებზე საქმე, საღმე უსათუოდ გასკდება მალეო, მაგრამ ამ დაუსრულებელმა მოლოდინმა მოიდნო სილიბისტრო. ყაისარას შეჩივის სილიბისტრო. ყაისარას კიდევ რა უშავს, მას ისეთი შვილი მაინც ჰყავს, რომ ოჯახის ბურჯია. თვე არ გაივლის, ჭიკომ შაბიამანი, ლურსმანი, მეთუელი. ფართალი არ ამოიტანოს ოჯახში. მასავეთ უბედური აბა ვინ არის, შვილი არ უვარგა და ძირი. ბონდოს სულ ბანქოზე და ღვინოზე უჭირავს თვალი. ცეცხლი რომ ეკიდებოდეს ოჯახს, უკან არ მოიხედავს, ჩილიჩობიან საღმე ბონდო და ელიზბარა ღვინოში, მერე მოადგებიან მის ჭიშკარს და თავგატეხილივით ღრიალებენ.

ჩიტი-ვერტი მოფრინავდა,

შე შროშანი მეგონა,

სადაც ლამაზები ვნახე,

ყველა ჩემი მეგონაო.

შესტირის სიპიტო ყაისარს.

— ახალგაზრდაა. სისხლი უდღულს, ცოლს მოიყვანს, კკუაში ჩადგება, — მთქნარებით ანუგეშებს ძილმორეული ყაისარა.

— ოჰ, მაგან ჩადგა სიკვდილში ფეხი, მე კი გამიჩინა გულის ფრიალი! ისე ვათენებ ზეზეურად, ძილი არ ეკარება ჩემს თვალს, — ოხრავს სიპიტო და ზეზე დგება.

ყაპყაპა ყაისარასაც რომ არ მოსწყინდება ეს იგავეები და სილაღობი-
ლა ლაპარაკი. რას აქნევს სილიბისტრო ამ დარიგებებს და შეგონებებს.
ეფრემ ვერდის და ანდრია სალოსის ზღაპრებს? ყაისარასკვეფი... ანდაზე-
ბით და არაკებით ვერ ინუგეშებს თავს, სიპიტოს ვერც ყაისარასდენი
მოთმინება აქვს, მას საქმე უნდა, მოქმედება, დღეს, ამ წუთში. ბონდოს
ქცევა? სულ აუშალა ძარღვები. ეს თავკანტურა კი ანუგეშებს, ფინთა-
დაა საზღვრებზე საქმე, სადმე უსათუოდ გასკდებაო. მერე როდის იქ-
ნება ეს როდის? მას გული აღარ უთმენს. და გულზე მოწოლილი ბოლ-
მის ვასაქარებლად ყაისართან მოსული სიპიტო კიდევ უფრო აფორიი-
ქებული მიიჩქარის შინისკენ.

სახლში ყველას სძინავს. სილიბისტროს გულს უმღერევს პუპულას
მშვიდი ფშვინვა, მდორე ტალღასავით ადი-ჩამოდის მისი პარმალევით
მიღვებული გულ-მკერდი. სილიბისტროს ოჯახი თავზე ენგრევა, პუპუ-
ლას კი დამშვიდებით სძინავს. ზეიადაძის ქალია, აზნაურის სახლის შვი-
ლი, ფიქრობს სილიბისტრო. ბონდოსაც დედის ხასიათი მოსდვამს. ამი-
ტომ აქვს გული აცრუებული ოჯახზე, არაფრის ინტერესი არა აქვს. ყვე-
ლაფერი ახელებს სილიბისტროს, თითქოს ყველანი მის წინააღმდეგ შეთ-
ქმულანო.

ამიტომ იჩქარის სიპიტო შვილთან გაყრას.

იქნებ შერჩეს ამ გზით ნაციხვარი და ცხენისზურვა.

და წარსულ კვირას სიპიტოს და ბონდოს ქონების გასაყოფად სამე-
დიატორო სასამართლო შეიკრიბა. სიპიტომ ყაისარა აიყვანა თავის მე-
დიატორედ. ელიზბარა ბონდოს ვეჭილობდა. სამედიატორო სასამართლოს
ყოფილი ერობის მდივანი ლონგინოზი ხელმძღვანელობდა.

ზის და ბქობს სამედიატორო სასამართლო.

ელიზბარას ბონდოსავით თამაშად მიაჩნია ეს გაყრა. არც ერევა მე-
დიატორეთა თათბირში. აივანზე დაალაჯებს, თავის უსაზომოდ დიდ გა-
ლიფეს იბერტყავს, კოკებიდან რომ იწყება, მტვერის ბულს აყენებს.
აივანზე დალაგებულ გასაყოფ ნივთებს სინჯავს, ხან ზვინივით შეყრილ
გაურჩეველ თხილს წასწედება. შველისყურა თხილს ქახაქუხი გააქვს
მის ცხენივით ბრტყელ კბილებს შორის.

ყაირასა და სიპიტო კი დიდის გულმოდგინებით ადგენენ უძრავ-მოდ-
რავი ქონების სიას. ყაირასა პატარა მგვალ მაგიდას უზის, ძაფებით გაკრუ-
ლი სათვალე ცხვირის ქვეტზე ჩამოსტურებია და სიპიტოს ვარნახი ბა-
ტისფეხურით გამოჰყავს. ეს საარყე ქვაბი, ეს დიდი კარდალი, კაპქანა,
ჩალხანა, საკერავი მანქანა, ვერმორილის მანქანა, გოგირდის საბერველი,
„სედლო“ და უნაგირი, სეკატორები, — ჩაპკირკიტებს სიას ყაისარა.
სათვალე წამდაუწუმ უვარდება ცხვირიდან.

ელიზბარაც არ უსვენებს, გულშეწუხებული გაიძახის: მოვრჩეთ ერთი,
გავათავოთ აი გაყოფა და დავაკურთხოთ თქვენ თქვენი წილიო. ცერტი
ბავშვივით არ ისვენებს ელიზბარა. ერთხანს ვერმორელის მანქანა-მოი-
კიდა ზურგზე და გულგასაწყალებლად აღრიქინებდა. შემდეგ გოგირდის

საბერველს დაავლო ხელი და შიგ ჩარჩენილი გოგირდი შეეფრქვა ყაისარას სახეში, ყაისარას თვალები აუტრემლდა და წამოაფრქვა კატასავით აქსიტებს. ელიზბარა გულთანად იცინის, ჩითის გაღებულ ღრმებს ჰგავს მისი ხარხარი.

— იცოცხლე ამას უკან ასი წელიწადი! — ეუბნება თვალებაცრემლებულ ყაისარას.

ელიზბარას სასაცილოდ არ ჰყოფნის, სიპიტო თავის წილში ხან ცხენისზურგას რომ წვეპოტინება, ხან ნაციხვარს.

— ლენო არსად იყო და ეშმაკები გულას აღბობდნენო, ისეა თქვენი საქმე! — როხროხობს ელიზბარა. — ქე გაკაფეს და გადაბარეს წვევამდელებმა ნაციხვარი თავდაცვის ჰექტარის მოსაწყობად. ახლა ორმოცი ამოუთხრიათ მანდარინის დასარგავად და ნერგისთვის, კიდეც შენ თუ არ მოგადგებიან კარზე, ამ უღვაშს მოვიპარსავ! — ეუბნება სილიბისტროს. — იმ ნაციხვარს ნულარ ეპოტინები, ცხენისზურგა თუ მოგცეს მადლობა უთხარ, — გაუათავოთ მალე და დაეკურთხოთ ერთი თქვენ თქვენი — აჩქარებს ელიზბარა, სული მისდის, სანამ სადილს გამოიტანდნენ.

ნახევრად ქოსა, სახე ამოპუტული ლონგინოზიც კბილებში სტრის სიტყვებს. თითქოს წვეთობით ასხამსო, და ეშინია ზედმეტი არ დამეღვაროსო.

— მაგი მასეა სწორედ, ერთი ჰქვიანური აბდალსაც კი წამოსცდებო, — აქილიკებს ლონგინოზი ელიზბარას, — ნაციხვარზე ნულარ შეედავები. წვევანდელებთან და კომკავშირლებთან ჩხუბი ხელს არ მოგცემს.

მაგრამ სიპიტო და ყაისარა ჯიუტობენ, არ უნდათ ხელიდან გაუშვან ნაციხვარი.

ბონდო კი ყურსაც არ უგდებს მედიატორების დავას. თითქოს ეს ვაყოფა მას სულაც არ შეეხებოდეს. ქარვის მუშტუკი გამოუჩრია მენჩარკბილებში. პირიდან გამოუღებლად ეწევა, ბოლი სახეზე ევლება, თვალებს წურავს, თანაც სანადირო თოფის მასრებს მუხტავს, დიდის გულმოდგინებით რწყავს თოფის წაშალსა და საფანტს. ყაისარა ეღრიჭება: ვასწი, ბიძი, მაი თოფი იქით. ეშმაკი ზის შიგ, არ ვასკდეს თვალი არ მომთხაროსო. სიპიტო ხომ სულ გულზე სკდება, თითქოს მის ვასაჯავრებლად წამოიწყო ბონდომ ამ დილით მასრების ტენა. სიბრაზით კბილებს აკრატუნებს. პუპულა, სტუმრებისათვის სადილს ამზადებს დიდ დარბაზში, რომელიც ახლა სამზადად გადაუქცევიათ. სელის სკამების გვერდით ჯორკოები და კეცები აწყვია. ალვასი ეშველება სადილის მომზადებაში. პუპულა წელში ველარ იხრება, ველარც ქათამი აქნა, ველარც ნივოზი დანაყა. ალვასის მუხლებშორის როდინი უქირავს. თავგამეტებით სცემს ფილთაქვას და თავის ვასაქირს შესჩივის ზვიადძის ქალს. კოსტას უსაყვედურებს, სახლში აღარ დგებო, მთელი ღლეობით შინ არ არის სულ ტყე-ტყე დადისო.

— ქალი უნდა შერთო, ალვასი, ქალი. მთლად ბალანა კი არ არის ახლა შენი კოსტა. მე რომ მომიყვანეს, კაი მოზრდილი ბიჭი იყო. და-

უგვიანდა ქალის თხოვა და ამიტომ აქვს ოჯახზე გული ატარებული. ითხოვოს, ქალო, იესიხის ქალიშვილი თეოლინა, რა ლეიპციგში შეილია, ზვიადაძეების სახლის შვილი, რა სახეივრი! — სთქვა პუპულამ და კოსტას სასძლოს სიმშვენიერის დასასურათხატებლად თავის რთვულ მარგვალ სახეზე შემოივლო ხელა, — თეთრი, თეთრი, თოვს, თოვს! — მარგვალს, კაცის თვალი იმის უკეთეს ვერაფერს ნახავს, — მოჰყვა ვიღაც თავის სოფლელი ქალიშვილის ქებას პუპულა. — მთვარესავით სახე, ნანატრი ხასიათი, ოქრო, ოქრო! თვალში რომ ჩაგივარდეს, ზელს არ ამოისვამ, იმფერი გაზრდილი, ენა მოსწრებული. რამდენი გვაცინა, მოგვცდით სიცილით, ამას წინათ...

— ჰო, ჰო, — ჩაერთა ქალების ლაპარაკში ელიზბარა, — ნამდვილი ნესტან-დარეჯანია, ცხვირი აქვს ისეთი, რომ პრობქას ამოაძრობს ბორჯომის ბოთლიდან...

ელიზბარა როხროხობს, ბონდო ახლა სანადირო თოვს ზეთავს, ხოლო სიპიტო გულგახეთქილი უქშევს სახლის მიმალს, რომელიც ეზოში გამოდგმულ საარაყე ქვაბის ზარფუშზე შემდგარა და გულგამაწყალბელი ყიყლიყო გაუბამს ამ შუადლისას. ცუდად ენიშნება სიპიტოს მამლის უდროო ყივილი. აივანთან აზრდილ კვიპაროსს კოკოლებს გლეჯს და ესერის — აქში, შე ტურის შესაქმელო, — უყვირის, მაგრამ თითქოს მამალი ჯიბრში ჩასდგომია სიპიტოს, თითქოს ისიც ცდილობს ძარღვები აუშალოს. ქვაბის ზარფუშიდან ურმის კოფოზე გადაფრინდა და დაფეთებული ჯლოყინებდა. მის ქარაოც ყვირილს დედლებიც აჰყენენ და დაფეთებული კრიახი გააბეს.

„უთუოდ დამნავსავს დღეს მაგი ტურის არჩივიო“, — ფიქრობდა გულამღვრელი სიპიტო. ყაისარა ისევ სიას ჩააკირკიტებდა, მაგრამ მამლის ყივილზე მაინც ვერ მოითმინა, რომ თავის ჩვეულებისამებრ რაღაც დაუსრულებლად გრძელი და უცნაური ამბავი არ წამოეწყო.

— მამალი ჰეშმარტად გულთმისანი ფრინველია. მე რომ აფხაზეთში ვმუშაობდი ხერხის ქარხანაზე, საღდაც კოდორში კაცი დაიღრჩვა, ზედ ვადაჰყვენ და მკვდარი ვერსად ნახეს. მერე ჰირისუფლებმა ერთი დაღლული მკედელი ნახეს. იმან ურჩია მკვდრის საძებრად მამალი წაიყვანეთო. ცარიელი გულა წაიღეს და მდინარეს ნაპირ-ნაპირ ჩაჰყენენ: მამალმა სწორედ იქ მორთო ყივილი, საღაც მკვდარი ღურღუმელებში იყო გახერგილი. გულა გაბერეს. დამღწვალ კაცის სული შიგ ჩაამწყვდიეს, მკვდარი გამოასვენეს. მერმე, მამალი იმ ადგილს რომ მიიყვანეს, საღაც კაცი დაიღრჩვა, მამალმა დაიძახა — აქ იყო, აქ იყოო. მკვდარს რომ მოასვენებდნენ ერთ კაცს ფეხი დაუცდა, მკვდარი ზურგზე შეაჯდა, შიშით გული გაუსკდა, თურმე იმ კაცმა მტერობით მოკლა და წყალში გადააგდოო...

ყაისარი ვაიტაცა მამლის ამბავმა, დასრულებას არ აპირებდა. პუპულა ვალენჩებელი უგდებდა ყურს, ჯვარი აქაურობასო, იძახდა, სიპიტო კი უფრო გახელდა.

— ამფერი უნახავს კაცს! — იძახდა ის დაფეთებული და ახლა კოლოკით გაედევნა მამალს.

უკვე შუადღეს გადავიდა და ჯერ მიწებიც ვერ გაეყოფო.

— კაცო, რა დიდი არადანი და არჩევანი უნდა, ანუ რა ტყვენი გაყოფას, გაათავეთ ერთი მაგი კომენდია! — იძახდა ელიზბარა და რვეალ მაგიდაზე დადგმულ სურიდან არაყს ისხამდა სიპიტოს შეუმჩნევლად.

ლონგინოზის გულისათვის გამოიტანა სიპიტომ სანთლის არაყი, თორემ ელიზბარასთვის შავქვასაც არ გაიმეტებდა. ლონგინოზიც აჩქარებდა სილიბისტროს, გაეთავებიანთ გაყოფა.

— მოძრავე ქონებაზე არ გაქვთ დავა და მიწისთვის ვინ იკლავს ახლა თავს.

— რაზე ამბობ ახლა მაგას, ლონგინოზ? ცხარობდა სიპიტო, — სხვის ქონებაზე სხვას ვული არ მოეწეება. ახლა ნაციხვარი რომ ბონდოს მიეცე, მე რაღა დამრჩება? წლის მოსავალი ღვინო იქიდან შემომდის.

— ამ ნაციხვარს ვინ გაძლევს, ნეტა შენ წილში რომ ავღებ? — როხროხობდა ელიზბარა. — ცხენისსურვა და ეზო თუ შეგჩრა, ისიც დიდი ამბავია. მაგიც ორ ნორმაზე მეტია. ვაეათავოთ მალე და დავაკურთხოთ ეგ თქვენი წილი!

ყაისარა კი სიპიტოს აქეზებდა, სახელად იყოს მაინც ნაციხვარი სიპიტოს ფარდში. ნათქვამია — ზიარება კაცს არ მოკლავსო, ვინ იცის, რა მოხდებო, — როგორღაც თვალების წურვით ამბობდა ის.

— უი დედა ჩემო, აბა ცხენისსურვაზე ითხოვოს სამოსახლო და მისი წილი მოძრავი ქონებაც იქ გადაიტანოს?! — ამოიოხრა ლონგინოზმა.

მაგრამ სიპიტო ვერც ცხენისსურვას იმეტებდა შეილისათვის:

— დედა, მომკალით ვილაკამ! — შემოირტყა სილიბისტრომ შუბლში ხელი, — ჩემოულობა ბეოლი და ვაშლი იქ არის, ყველაფერი მაგას მიეცე და მე თითოვით დავრჩე? რომ მოიხმარდეს მაინც, ვინ რჯულძალლი ჩივა, მაგრამ ორ ღლეში გააოხრებს, კარტში წააგებს, ღუქანში შესვამს.

— შენ მადლიანო, თუ არაფერი გინდა ვაიმეტო შეილისათვის, ქე იცხოვრეთ ერთად! — მოუჭრა გულგაწყალბულმა ლონგინოზმა და ისე წამოდგა, თითქოს შინ წასვლას აპირებსო. — მე შენ გეტყვი, ქარვასლა ოდაში ვერ დაეტყვი, თუ ამხელა ეზოში, მარულა გაიმართება ზედერთად-ერთი შეილი გყავს, მაგისთვის თუ არ გემეტება, აბა ვისთვის იძენდი ამოდენა ქონებას?

ღმერთო, შენ მომკალი! — აცეცხლდა სილიბისტრო. — იმიზე კი არ ვიკლავდი ცოცხალ თავს, რომ მაგ ღვთისპირისაგან წაღებულს ჩემი ნაკვდავ-ნაწყდავი ქარისთვის გაეტანებია. რა ექნა, ლონგინოზ, რა წყალს მიეცე თავი, — დაჯლანა სილიბისტრომ მწითური სახე, — ეგ ჩემეულობას ვინცა ვინცხებს შეაქმევს, ღვინო აღარ გაუშვა ჩემს ბარაზე და ჭათამი, შერმანდიაც მე მიბღვერს — შენსას მუდამ ქეიფი და ბანქოს

თამაშიაო. აბა მე რა შუაში ვარ, თქვენ და თქვენი დემოკრატები, მე ვპატივებ თუ რა;

ელიზბარა, რომელსაც ისევ სანთლის არყის სურის ენა ჰქონდა გაწვდილი ხელი, აიბრია. იგრძნო, რომ ამ „ვინცხე“ ვინცა ვინცა სილიბისტრო მას გულისხმობდა. ბონდომაც რაღაც დაზაფრულად ამოიხენწემა, პუპულა კი ჩუმჩუმათ ყლაპავდა ცრემლებს, გულში ქმარს წყევლიდა: დაიღვრა შე უჯიშო, როგორ დამიქლექა ბალანაო.

ლონგინოზს აოცებდა სიპიტოს ქცევა, რას მსახიობობს, ჩვენთან ესენი რათ სჭირდებაო. ეზო რომ თხრილით შუაზე გაპყო, მოლაქულ დარბაზში კეცები ამოიტანა და ნიკელით მოალული საწოლები მქვარტლიან სამზადში ჩაიტანა, ეს გასაგები იყო: სილიბისტროს უნდოდა სოფლისათვის ეჩვენებინა, რომ ის მართლაც ეყრებოდა თავის შვილს, მაგრამ ახლა ამ თავის ხალხთან რაღას ცქმუტავს, ნეტა ვის უხვევს თვალსო, — ფიქრობდა ლონგინოზი. მას ვერ გაეგო, თუ რატომ ღელავდა, რათ სწყურებოდა მასპინძელი. მაგრამ ლონგინოზი სცდებოდა, სიპიტო არ მსახიობობდა, მას მართლა გულს სწვავდა, ბონდო რომ არ დაობდა თავის წილზე, მას გუნებას უმღერვდა, შვილს რომ ჰქონების ინტერესი არა ჰქონდა. დიდის ამბით ელოდა სილიბისტრო ამ გაყრის დღეს. დარწმუნებული იყო, რომ გაყოფაზე დიდი ჩხუბი და დავიდარბა ატყდებოდა. მაგრამ მოდავე რომ არავინ სჩანდა, ჩხუბი ვისთვის უნდა აეტეხა.

ყაისარა თითქოს გრძნობდა სიპიტოს გულის ტკივილს.

— აბა ნამდვილი გაყოფა ის იყო, შენ და საწყალი ესე რომ გაიყარეთ, — მიმართა მან მასპინძელს.

— ჰაი გიდი, სადღაა იგი დრო!? — ამოიხენწემა გულმოკლულად სილიბისტრომ. მოაგონდა, რა ჯახი და კეტების ტრიალი ვაიმართა მაშინ ჯარგვალას, ხულის, სასიმიინდის და ორიოდე ქცევა მიწის გაყოფაზე. სასიკვდილოდ მიიწიეს ძმებმა ერთმანეთზე. ძლივს გააზავეს მეზობლებმა, რა ხრიკებს არ მიმართა სილიბისტრომ, სალდათობიდან ახლად დაბრუნებული ძმა მშრალზე რომ დაესვა. რამდენი ანგარიში არ წაუყენა: შენ რომ მანჯურიაში იყავი, მე აქ მამის დამარხვაზე და დის გათხოვებაზე ბარე ასი თუმანი ფული დავხარჯეო. ვერ მორიგდნენ ძმები. ესემ მედიატორედ არა თუ სამღვთოში, არამედ მთელ გურიაში სახელგანთქმული მომღვრალი თაყა ბიბილოძე აიყვანა. მაგრამ არჩევანში მოსტყუვდა. თაყამ უბადლო კრიმანქული იცოდა, მოსამართლობაში კი ვერაფერი სოლომონ ბრძენი გამოდგა. სიპიტომ ადვილად მოახერხა თაყას თავის სასარგებლოდ ამღერება. დედაც დააშინა სიპიტომ — შიმშილით მოგკლავ, თუ ესეს მხარი დაიჭირეო. დედას უმცროსი შვილი უფრო უყვარდა, ამასთან სიპიტოზე უკმაყოფილო იყო, მამას საკადრისი ქელები რომ არ გაუმართა და დაც თითქმის ხელცარიელი გაატანა ქმარს. მაინც ესეს ვადუდგა და სიპიტოს მიემხრო.

მთელი კვირა უსბდნენ მაშინ კაკლის ხის ჩეროში მედიატორები მრგვალ მაგიდას, რომელზედაც საანგარიშო შიბებს ინდოურის საცივი

და ხაჭაპურები სცვლიდა. სიპიტოს მედიატორე მაშინაც კი ისრა იყო. ესეს მხოლოდ ნახევარი ეზო და ხულა არგუნეს, და როცა ყაისარამ გაყრის აქტი წაიკითხა — სამზადი სახლი სიპიტოს, ქალაქ სიპიტოს, ნალია სიპიტოს, გაფითრებული ესე გულში. ფიქრობდა: „მე ვიქნები მარგუნესო. როცა ყაისარამ ხმის დაუწია და ჩაილაპარაკა — ხულა და ნახევარი ეზო ესესო, ამ უკანასკნელმა დაქრილი მტეცივით დიღორიალა, სალდათობიდან მოყოლილი ქუდი მიწაზე დაახეთქა, ეგ არის თქვენი სამართალიო, წამოიძახა, ზეზე წამოვარდა, მრგვალი მაგიდა საწერ-კალმით გადააყარა და სიპიტოს წელში ეცა გამშაგებული. უსათუოდ დასცემდა, რადგან ესე მალალი და მხარბეჭიანი იყო. მოერეოდა ესე, რომ სიპიტოს ლაჩრული ხერხი არ ეხმარა და ძმის სანაშენოში არ სცემოდა. ესემ ტკივილს ვერ გაუძლო, ერთი ამოიგმინა და გასაზავებლად მივარდნილ თაყას შიეყრდნო. მას შემდეგ გადაიკარგა ესე სამხვთოდან, ქერჩში წავიდა და იქ გაჭყლიტა ნავთსადგურში ბოკიდან ჩამოვარდნილმა ყუთმა.

„გადაშენდა ხალხი, ცხოვრების ინტერესი აღარ აქვს“, — ფიქრობდა გულდაძმარებული სილიბისტრო.

— კაცო, ნამეტანი კი ნუ შეხვალ ახლა როლში, მორჩით ერთი და გავათავოთ! — სთქვა გაბეზრებულმა ლონჯინოზმა, — ოდა და ფარდული ბონდოს, სამოსახლოდ ცხენისზურგა ითხოვოს საბჭოში. სამზადი სახლი, ეზოს ბალი და ნაციხვარი, ხულა, სასიშინდე და სხვა უძრავ-მოდრავი სილიბისტროს. ხომ თანახმა ხართ?

ბონდომ სანადირო თოფის წმენდა გაათავა, გაიხშორა და მთქნარებით გააგრძელა:

— შე თანახმა ვარ, მოვრჩეთ და გავათავოთ.

სილიბისტრომ კისრისტება უსურვა, ასე უგულოდ რომ ეკიდები ჩემს ნაოფლარსო, მუდამ ეშმაკის გზაზე დადიოდი და აწიცი ასე გველოსო. გაყოფის ოქმის შესადგენად ძველი სათამასუქე ბლანკები გამოუტანა ყაისარას. დიდი რაშე სიგელ-გუჯარავით შეადგინა ყაისარამ სასამართლოს განაჩენი. რამდენჯერმე გადაიკითხა, მერე თავის კანტურით წარმოსთქვა — ისეთი შედგენილია, რომ ქვას ვახეთქავსო.

პუბულამ და ალგესიმ სუფრა გაშალეს. საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა სიპიტოს და ბონდოს გაყრის „დაჯურთხება“. ელიზბარა და ყაისარა კარგად გამოიბრუენენ. სიპიტოსაც აუთამაშა ჩხავერმა და სანთლის არაყმა ფიქრები. გადასწყვიტა, უსათუოდ დღესვე წაეღო დასამტკიცებლად გაყოფის ოქმი საბჭოში, ყაისარასაც მოეწონა ეს აზრი, საქმის გადადება არ ღირსო. გაყრის ოქმი ერთხელ კიდევ გადაიკითხა, გულდაგულ დაკეცა და სიპიტოს გადასცა, თანაც დაურთო: ახლა ისე იგულისხმე, ვითომ ნაციხვარი და ცხენისზურგა მჯილში გქონდესო. გამოიბრუეულმა ელიზბარამაც დაატანა: ფიქრი ნუ გაქვს, ცხენისზურგაც შენ დაგრიება და ვირის ზურგაცო.



და ახლა საბჭოში მიმავალი სილიბისტრო ხელს იმტომ თუ მჯილაფ-და, რომ ეშინოდა, ნაციხვარი არავინ გამომტაცოსო.

ბაკა-ბუკით მიდის სიბიტო, რაღაც უცნაური ცუქცუქით. გულში ყაისარას ნათქვამს იმეორებს: „ახლა ისე იგულისხმე, ვითომ სპიტიხვარი მჯილაში გქონდეს, ქვას გახეთქს ეს ოქმო“. მაგრამ რაც უფრო შორდება თავის ეზოს და სოფლსაბჭოს უახლოვდება, მით უფრო იპყრობს ეჭვი. ზოგჯერ ისე შეხტება, თითქოს გულმუცელში რაღაც აუჯანყდაო, გარინდებული შესდგება, მზერა გაუშტერდება, ხელს წალმა-უჯულმა ატრიალებს, თავის თავს აჯადვრებს, „იგულისხმე შენ... რა ვიცი, რა ვიცი“, ჩაბუტბუტებს, თითქოს ვიღაც უხილავს ეკამათებო. შემდეგ ისევ განავრძობს გზას.

— უჰ! — ამოიხვნეშა სასოწარკვეთით სილიბისტრომ: რამდენა კაცის ხელში უნდა ვაიაროს ამ ქალაღღმა, სანამ მას „კანონიერად“ დააკმაყოფილებენ. საბჭოსკენ კი მიემართება, მაგრამ არც კი იცის კარგად თუ იოსთან უნდა მივიდეს. სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს უნდა მიპართოს, მკომედი უფრო რბილი და მიმყოლი კაცია, ფიქრობს სილიბისტრო. მაგრამ შერმანდიაც უთუოდ ჩაერევა სილიბისტროს დავაში. აღბათ პარტკომის მდივანს ებიფანესაც შეეკითხებიან, როგორ მოვიქცეთო, სიბიტოს წარმოუდგა, როგორ შევა მაქიმედის ოთახში და მაგიდაზე გაშლის გაყოფის ოქმს. მაქიმედისთვის შესაფერი სიტყვაც კი აქვს გამზადებული სიბიტოს, სოფლსაბჭოს თავმჯდომარის სახელთან გარითმული:

„მაქიმედი, მართლა ქე მაქვს შენი იმედი, შენ უფრო მოყვასი კაცი ხარ. ამ შერმანდიას რა უნდა, რას მერჩის, რომ ვერ ვამიგია, რატომ მიკარგავს სამართალს? ხომ სწერია ამ დასაწვავ ქალაღღში, დააკმაყოფილეთ სილიბისტრო ქილიფთარიო“.

აქ ხმას დაუწერია სიბიტომ და ხელი პიჯაკის ჯიბისკენ წაიღო, ტფილი-სიდან მოსული მოწერილობა უნდა ამოიღოს, მაგრამ თითქოს მის ვასახელებლად ეს ჯადო მოწერილობა ვერაგულად ჩაიკარგა ჯიბის ნაკებში. აფორიაქებულად აღფათურებს ხელს უძირო ჯიბეში. ხომ არ დაეკარგეო, გაუელვა თავში და სუნთქვა შეეკრა. რის ვაი-ვაგლახით იპოვა ჯიბის ძირში ჩაქმუქნული ქალაღღი. გულზე მოეშვა. სიმწრის ოფლი მოიწმინდა, ისევ თავიდან დაიწყო: „ხომ წერია ამ დასაწვავ ქალაღღში, დააკმაყოფილეთ სილიბისტრო ქილიფთარიო“, თავის ფიქრში ქალაღღი მაქიმედს გაუწოდა. მაგრამ უცებ მოეჩვენა, რომ შერმანდიამ და ებიფანემ შემოაღეს საბჭოს ოთახის კარი. სიბიტომ მყისვე ჯიბეში იკრა მოწერილობა. არა, სილიბისტრო ხელში არ მიაჩივებს მოწერილობას, მხოლოდ წაუჩვენებს, ხელში რომ მისცეს, ხომ შეიძლება შერმანდიამ და ებიფანემ ის სიტყვებიც წაიკითხონ, სილიბისტროს თითონაც რომ უნდა დაივიწყოს და სხვების მეხსიერებისაგან ამორეცხოს—„გამოიკვლივეთ სილიბისტრო ქილიფთარის საქმე და კანონიერ ფარგლებში დააკმაყოფილეთ“. თუ კანონიერ დაკმაყოფილებაზე მიდგა საქმე, მაშინ, ვინ იცის, ეგებ ვეღარ „ვახეთქოს ქვა“ ყაისარას განაჩენმა. მაგრამ ვაი თუ

არ გასქრას სილიბისტროს ხრიკმა. იქნებ არ დაკმაყოფილდნენ მოწერილობის „წარჩენებით,“ იქნებ ეპიფანე წამოდგეს, გრძელი ხელი გაუწოდოს და ჩვეულებრივ აუღელვებელობით უთხრას: მაჩვენე ერთი ეს ტვილი-სიდან ჩამოსული მოწერილობაო. და სილიბისტრო გრძნობს ეპიფანეს უძრავ და მშვიდ გამოხედვას, რომელსაც თითქოს არაფერი გამოეპარება. გრძნობს, რომ ტვინი ეყინება, თითქოს ხაფანგში გაებაო. მაგრამ სილიბისტრო რის სილიბისტროა, თუ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ გამოიხატავს. რალაც სასოწარკვეთილობის გამბედაობა იგრძნო. ასევე შეხტა და შეჩერდა თემშარაზე: „მაგია, რალაც ბიუროკრატობას რომ უძახიანო“, უნდა მიიხალოს პირში ეპიფანეს და თავისი გამბედაობის გამოსაცდელად პირზე მომდგარი სიტყვის ხმამალა წარმოთქმა სცადა, მაგრამ წახდა კაცი, იგრძნო, რომ სიტყვა „ბიუროკრატობაზე“ ხმა ჩაუწყდა. მოელანდა, რომ ეპიფანე ზეზე წამოვარდა, სისხლი მოადგა ფერმკრთალ სახეზე, საშინლად შეუყვირა: ვინაა ბიუროკრატი, შეკულაყო და ჩვეულებსამებრ მარცხენა ხელის ქნევა დაიწყო. სილიბისტრომ იგრძნო, თუ როგორ აებურცა ზურგზე კანი. ხელად უკან დაიხია, თავის თავს გამაფრთხილებელად შესძახა: „პა, პა, პა-პა! ჯვარი აქაურობას!“ ძლივს დამშვიდდა, სახეც შეიცვალა. ისევ სიამტკბილობით უქცევს ღრანქს ეპიფანეს, ისევ თავიდან უნდა დაიწყოს. ახლა შერმანდიასათვის გათალა შესაფერი სიტყვა: „ა, შერმანდის ქირიმე, მოვრი, გავეყარე იმ ღეთის პირისაგან წაღებულ ბიჭსო“, და გაყრის ოქმი გაუწოდა. ისეთი სიხარული გამოისახა, თითქოს შერმანდიას დიდად ახარებდეს სილიბისტროს და ბონდოს გაყრა. სხაპა-სხუბით უხსნის შერმანდიას, თუ როგორ გაანაწილეს მამა-შვილიმა კარ-მიდამო, ცხენისზურგა, ნაციხვარი. ნაციხვარი ისე ჩაიღუღუნა, რომ მაინცა და მაინც ყურში არ მოხედეს კაცს. მაგრამ შერმანდიას ეშმაკურად შეუთამაშდა ხირხატი სახე.

„რაფერ გამოვივიდათ მაგი, სილიბისტრო, მარტო ეზო და ცხენის-ზურგა ორ ნორმაზე მეტი იქნება და ბონდო რა დიდი მეოჯახეა, ნაციხვარიც რომ ზედ დაგიწონიათ“. სიპიტო შეკრთა, მაგრამ მაინც არ დაიბნა, ჩიკორასავით დატრიალდა ეპიფანეს ოთახში „საღლაა, შერმანდის ქირიმე, ეზო ერთი ნორმა? შენ არ ნახე შენი კაი თვალით, რამდენი ჩამოაჭრეს გზის გაყვანისას. მაშინ ძაან დამჩაგრეთ—ცრემლს ურევს ხმაში სიპიტო,—მარა არ ვარ გულღრძო, არ ვიცი ავის დამახსოვრება“. ეს გზის გაყვანის ამბავი თულღვივით ჰქონდა შემონახული სიპიტოს და თითქოს გასქრა კიდევ. მოეჩვენა, რომ ყველანი თანხმობის ნიშნად უკანტურებდნენ თავს სილიბისტროს, თითქოს გაიჩარხა საქმე. აღბათ, ეპიფანე იტყვის, გაათავეთ ერთი, დაუწერეთ რეზოლუცია, ჩვენც მოვრიეთ და სილიბისტროც მოვარჩინოთ ამდენ დავიდარაბასო. სილიბისტრო გაყოფის ოქმს გაუწოდებს მაქიმედის. „სილოვანამ მომიწყო მაგი საქმე, ჩემს ეზოზე რომ ვადაიარა გზამ, ინტერესით ჩაიღინა“. — წამოიწყო ისევ. მაგრამ უცებ შესწყვიტა წუწუნნი, ვილაცა მოადგა კარებს. სილიბისტროს

იქით არ გაუხედია, მაგრამ რატომღაც ტანმა უგრძნო, რომ ეს კომკავშირის მდივანი სილოვანა უნდა იყოს, ხელად შეიცვალა კილო: „ქე იციან ჩემმა მეზობლებმა, რაფერ დაეინაგრე იმ ვზეს, გვეჯიქოდროს, გამინახევრეს ეზო“, სილიბისტრო არ მოატყუა წინამატეხანამდე სილოვანა მართლაც ჩაერია საუბარში, კარებშივე წამოიძახა: „რა ჩამოაქრეს ამდენი სილიბისტროს ეზოს, ყველაფერზე რომ ტირის მაგი საწყალი. რალაც ოცი კვადრატი მოაკლდა. ქვეყანა ხომ არ დაქცეულა! ისედაც ნორმა ნახევარი იყო ეზო. აბა, თხილნარი არც კი დაუზომავს მაშინ კომისიას“. თითქოს ყუმბარასავით შემოისროლა სილოვანამ ოთახში ეს სიტყვები და მყის ხუხულასავით დაუფუშა სიპიტოს ასე გულმოდგინეთ ნამზადევი გეგმები. მაქიმედის ხელზე შეაცივდა დასაწერად გამზადებული კალამი. სულ დაპკარვა სიპიტომ ეს დასწავლილი სიღინჯე და თავდაქერა. ისევ ეპიფანეს მივიარდა. აბა სილოვანას პასუხის ღირსად როგორ გახდის სიპიტო: „ახლა კერძო ინტერესი რომ ექნება კაცს, იმის სიტყვას უნდა დაუჯეროთ და მართალი კაცი უნდა დაიჩაგროს. ავია სამართალი! რა მოსახსენებელია ახლა იგი თხილნარი, ყოვლად გამოუსადეგარი სპოტი ხელიკის საჩორჩილა. კაცი ვერ მოიხმარს მე გავაშენე თხილი, თორემ რათ ვარგა, ერთი ხელის გულის სიფართოვე მიწაა, ხელის გულის სიფართოვე“, — რამდენჯერმე გაიმეორა თავის გულში სილიბისტრომ და თხილნარის სიპატარავის დასასურათებლად გაშლილი ხელი წინ გაიშვირა.

დიდხანს მიაბიჯებდა თემ-შარაზე ასე ხელგაწვდილი. ფიქრით კი სოფლსაბჭოში იყო, ხან ეპიფანეს ედავებოდა, ხან შერმანდიას. ამ წარმოდგენებში იხლართებოდა, იბნეოდა, ზოგჯერ ფიქრი შუაზე უწყდებოდა და მაშინ უცებ გაშეშდებოდა, გარინებული შესდგებოდა თემ-შარაზე. სულ აურია გეგმები სილოვანას შემოსვლამ. აბა, შერმანდიას და ეპიფანეს საიდან ეხსომებოდათ, რომ ეზო ნორმაზე მეტია. სილოვანა კი სილიბისტროს კარის მეზობელია, მისი კარ-მიდამოს ყოველ კუნჭულს იცნობს, თოხის პირით აქვს შემოვლილი. „უ, მაგისთანა მეზობლებს გასწყვეტს ჭირი! — დაიწყებდა სიპიტომ. — როვა წელკავივით იცის დატაკება!“ ისე უბღვირს ახლა სოფლსაბჭოში მიმავალი სიპიტო სილოვანას, თითქოს თვალებით უნდა შეკამოსო. სილოვანა კი ყურადღებასაც არ აქცევს, წამოიყვია: „ნორმა ნახევარია სილიბისტროს ეზოო“ და დგას თავისთვის არხეინად, თითქოს არაფერი მომზდარიყოს. სიპიტოს კი თითქოს მეზი დაეცა და ქვესკნელში ჩაიტანა, როცა ეპიფანემ თავის ვადასაქრელად წარწოსთქვა: „წავიდეთ, შევამოწმოთ ადგილზეო“. ყველა მას დაემოწმა. „როგორც გენებოთ, როგორც ჯობდეს საქმისათვის“, — ძლივს ამოაყოლა გულდამარებულ ამოხენწვას სიპიტომ. ცეცხლი ედება გულზე — ნუთუ სილოვანამ უნდა გამოავლოს პირში ჩალა. არა, სილიბისტრო ცოცხალი თავით არ დასთმობს ნაციხვარს, მაგ წვევამდელეების ჯინაზე არ დაიხვეს უკან. ცხენისზურგაც რომ დაკარგოს,

მინც ნაციხვარს აირჩევს. და სიპიტო ფიქრით ისევ თავის ეზოში შევიდა. ფიქრობს, რა იღონოს. ეზოს ჩამოჭრილ კუთხესთან დიდხანს გააჩერებს კომისიის წევრებს, სანთლის არაყსაც გამოუტანს. მათგან საკმე ის ეზოს ვადალმა მდებარე ფერდობია, თხილნარი. და სილიბისტროს ზურგით მიუდგა თხილნარს, თითქოს ამ ჯუჯა კაცს შეეძლოს თავისი ტანით ამოდენა ფართობის დაფარვა.

„ვინ მიაქცევს ახლა მაგას ყურადღებას, ვინ გამოუდგება ეზოს ზომვას! გამოჩნდება ვითომ რამე“ — იხლართება ეჭვებში სილიბისტრო. მაგრამ კაცმა ცოდვა მალა, ცოდვამ თავი არ დამალაო, ისევ არ გამოძვრა საიდლანაც ეს კვიმატი სილოვანა! ჰმ, ზურგიდან მოუარა, გაიძახის: „აგერ მე დავზომე, ნორმა ნახევარია ეზო“. შერმანდია ზვეულას გაშლის, მუდამ ფრენჩის ჯიბით რომ დააქვს, და მაშინ გამოჩნდება, რომ მართლა ნორმა ნახევარია სიპიტოს ეზო. მარტო ცხენისზურგა და კარმიდამოც ორ ნორმაზე მეტია. სილოვანა რომ არ გამოჩენილიყო, რა ხახვივით შერჩებოდა ეზოც, ცხენისზურგაც და ნაციხვარიც. რალა უჭირდა მაშინ სილიბისტროს, თოხს აღარ დააკარებდა ბრიგადაში. თითო ხითზე რომ არ დაეკრა, ისე იცხოვრებდა არხეინად მარტო ბალ-ვენახის შემოსავალით.

ცეცხლი შემოენთო გულზე, უნდა ყელში სწვდეს სილოვანას, და თითქოს დასაჯახებლად მიიწევსო, ძუნძულით გარბის სოფლსაბჭოსაკენ. თავში ერევა შერმანდია, ებიფანე, ცხენისზურგა, თხილნარი, მოწერილობა. ნაციხვარს დაუახლოვდა და უცებ შედგა, თითქოს გაქვავდაო. მოეყურა ეს თუ მართლა ესმის სილიბისტროს? არა, ამდენი რომ არ უსვამთ დღეს!

გამყივანი ავიდელას სიმღერა ესმის სილიბისტროს, მაღლარის კრეფისას რომ მღერის მამითადი:

„აგიდელა ვაო, ჰოაჰ ოაა, იოა!

ჩვენს მამულში ყურძენიო,

შენს მამულში ფურცელიო“.

არა სილიბისტროს სმენა არ ატყუებს, ბუკივით სცემს საზეიმო სიმღერა, თითქოს ხმასაც სცნობს: სილოვანას ღვრინი არის ნამდვილად. მაგრამ ნუთუ მართლა შეესიენ საკრეფად ნაციხვარს? მის გასახელებლად დასძახიან წვევამდელეები: „ჩვენს მამულში ყურძენიო, შენს მამულში ფურცელიო“.

სიმღერის დაბადება



„რამეთუ ამა ზამთარჲ წაჭყმან ქსეპქლნი გა-
მონდნენ ქვეყანაზედაჲ ქსეპქლნიჲ მოიწია,
ხმა გვრიტისა ისმა ქვეყნისა შინა ჩვენსა“.

ქ ე ბ ა-ქ ე ბ ა თ ა.

„ეაზები ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწო-
დებენ მალღარსა, ანუ ბაბილოსა“.

ე ა ხ უ შ ტ ი.

მიშვებულა ბაბილოს მხვიარა ლერწები ცადაწვდილ თხმელებზე-
დაბურულია ხის ტოტები ლერწების ხლართით. შორს გაჩაჩხულ ტოტებს
გასდევს ლერწი, მზვარეს მოსძებნის, კუმსი მტვენებით დაიხუნძება, მიი-
ნაბდება და მწიფე თავთავეით დედამიწისაკენ დაიხრება. მისწრებაზეა
მალღარის რთველი. ერთბაშად იცის შემოსვლა. კლერტი სუსტი აქვს.
მტვეანი ფომფლოდ არის მიკრული რქაზე. თუ ქარმა დაუბერა, წლის
მოსავალს ერთ წუთში ჩამობღერტავს. კარგ მოსავალზე კი ზოგი ხე ისე
მიინაბდება, რომ მკრეფავი ერთ დღეს ვერ ჩამოსცლის. გულს გაუწე-
რილებს კაცს ხის დახლართულ ტოტებში მარტოდ მარტო ბობღვა. ამი-
ტომ არის, რომ ოდიტგან ნადით იკრიფება მალღარი. ხელზეავრიელია
და სახალისოც მალღარის მამითადით კრეფა.

მიბობლავენ მკრეფავეები ბუმბერაზ, სუროს და ბაბილოს ევერით შე-
ფუთვნილ ხეებზე. ქამარში გიდლის კაული აქვთ გარჯობილი. თვალთაგან
დაიკარგებიან მკრეფავეები, აღარ მოსჩანან ლერწმის ხლართულში, ნე-
შოს და ბაბილოს ფოთლის გაბადრულ ქსოვილში. ზევით ცა არ მოსჩანს
და ქვევით მიწა. ხან ტოტებს ეკიდება მკრეფავი, ხან ჯამბაზივით ვაზის
ლერწზე დგას, ცალი ხელით ტოტზე ჰკიდია. ტანს შორსგადაზრდილ
მსხმოიარე ლერწისკენ ხრის, მტვენებს გლეჯს და გიდელში ჰყრის. აივ-
სება პირამდის კუმსი მტვენებით გიდელი, ჩამოუშვებს მკრეფავი თოკით
გიდელს. ქვეშ გამომცვლელი ელოდება. მოსრიალებს წოწოლა გიდელი
ლერწებით დახლართულ ტოტებში. ვერც ხედავს მკრეფავი, ჩაეიდა თუ
არა ძირს. გიდელი ხომ ყანწივითაა, ძირს არ დაიდგმება, თუ გამომცვლელ-
მა ვერ მიუსწრო. ვადამბუნდება და ასეთის კისრის ტეხით ნაკრეფი
ყურძენი დაიბნევა, მტვერში ამოისერება. ამიტომაც მკრეფავი გიდელს
რომ ჩამოაცურებს, გასაფრთხილებლად დაიძახებს: „ა, გიდელიო“, და
ამ ნიშანზე გიდელის გამომცვლელი იმ ხეს მიაშურებს, საიდანაც მოის-
მის გამაფრთხილებელი ქახილი. ყურძენს გოდორში დასცლის, გიდელს
ისევ თოკს გამოაბამს და ხის კენწეროში მომლოდინე მკრეფავს გასამ-
ხნევებლად შესძახებს: „მშვიდობით ჩამოდიო“ და მკრეფავი ზევით აზი-
დავს გიდელს. ამასობაში მეორე ხიდან დაიძახებენ: „ა, გიდელიო“, შემ-
დეგ მესამე ხიდან, და ტანაჯორივით ბრუნავს გიდელის გამომცვლე-
ლი, ხან ერთ ხესთან მიიჭრება, ხან მეორესთან, ხან აქ გაისმის „ა, გიდე-
ლი“, ხან იქ.

და ჩვენში ხომ დამარხვაც არ ტარდება უსიმღეროდ, ~~და~~ რთველს უსიმღეროდ რა შნო და მადლი ექნება, და ამ მოხშირებულ „ავიდელიოს“ მკრეფავეები სიმღერას შეაწყობენ ხოლმე, „აგვიდელო“ — დაიძახებენ ერთი „ჰოა, ოაა, ჰოააა!“ — მისცემს ხმას შეჩერებული, შექსხმე უბამულად შეაწყობს „ოდილეი, ოიდა“ და მთელი ეს ცად აწვდილი ხის კენწეროებზე შემსხდარი გუნდი დააგუგუნებს: „ჰოაა, იოა, ჰააა, ჰოააა!“ აგორდება ტალღასავით ეს გუგუნე და სადმე გაღმა ფერდს შეელეწება, სადაც მეორე ნადი ჰკრეფს, ახლა იქ ჩამოართმევენ სიმღერას, ახლა იქ დასძახებენ „ავიდელიო, ჰოაა, ოაა, ჰაა, ოაა!“ და სიმღერას შაირები გადაეწნება. ვინმე ენამახვილი და ყიამყრალი მკრეფავეი ყარყუმობას დაიჩემებს და გამყივანი ხმით გადასძახებს გაღმა ფერდობზე, მკრეფავეებს სათრეველ ლექსებს:

„ბახმაროდან გადმოვრევე ცხრა უღელი ხარებიო,
შენი თავი და ფეხები, ვისაც შენ ეხმარებიო“.

მამითადი მოუწონებს, შეიქნება ყიყინა, — რა უთხრა, რა უთხრა, და ეს ხორხოცი გაღმა ფერდობს შეელეწება. ახლა იქიდან გადმოსძახებენ მკვახე შაირებს. პირველი ყარყუმე პასუხს აძლევს, და გაიმართება შაირებში შეჯიბრება ხის კენწეროებიდან.

და ვაი იმ მამითადს, რომლის ყარყუმს ამ ჰაეტრობაში შაირები შემოვლევია, მოპირდაპირე ზედიზედ დააყრის სათრეველ ლექსებს, ენას დაუბამს, სულის მოთქმისა და მოფიქრების საშუალებას აღარ მისცემს, ვაბაიბარუებს, ტალახში ამოსვრის, და ისმის გამარჯვებული გუნდის საზეიმო ყიყინა.

— გააფასა, გააქილიკა!

და ის ადგილები, ახლა იზაბელამ რომ დაიმკვიდრა, წინათ დაფარული იყო მუქ-ვარდისფერ მტევნებიანი ჩხავერით, წოწოლა მტევნებით დაბუნძული ალადასტურით, შავად მინაბდული ჯანით და საფერავით, კუმუს მტევანი ჭუმუტათი, ირმის ძუძუთი და კლარჯულით, ადრეულა სამაჰრეთი, საფერისცვალებოდ რომ იწყებდა შემოსვლას. ჩხავერის რთველს კი ზოგჯერ ყინვა და თოვლი მოუსწრებდა და ჩალის ცეცხლს დაანთებდნენ ხის ძირში დართვილული ვაზის ლერწის გასაღობად, რომ მკრეფავს ხელის მოვლება შესძლებოდა. სექტემბერში დაწყებული რთველი ზოგჯერ იანვარში ჩასდგამდა ფეხს, და შავი ზღვის ნაპირებზე აგორებული „ავიდელას“ სიმღერა მოჰყვებოდა ფერდობებს, მთიდან ბორცვზე გადადიოდა, სურების ქედს გადალახავდა და იმერეთში გადაიჭრებოდა. გუგუნებდა „ავიდელა“. ირწეოდა ფერდობებს შორის, სიხარულით ავსებდა გულს. ხოლო მის გუგუნს კრიმანქულს ეუბნებოდა ბადავის ლიკლიკი საწნახლის ღარში, ბანს აძლევდა მაჰრის ბუყბუყი დაკირულ ქვევრში.

ხალისით ავსებს კაცის გულს ეს „ავიდელას“ სიმღერა, ხის კენწერებზე შემსხდარი მამითადი რომ მღერის. ოდითგან მღეროდნენ „ავი-

დელას“ ქირსაშიგან გაუტეხავი კოლხიდელები, სიხარულად აღვრებოდა ეს სიმღერა ასსაწყვიან ქვევრებში. ალბათ, იმიტომ იყო მოკერძოლი ეს ქვევრები, რომ მაჭრის დულილს და სიხარულს არ განეხიბებოდა ახლა კი ზარის ხმად ჩაესმის სილიბისტროს ეს „ავიდელას“ სიმღერა.

გამოყრუვდა მისი ბალი და მამული, ახლა ბრიგადებში გადავიდა ნადური, ხელხვავე, ელესა და ავიდელა.

რა დრო დაუდგა სილიბისტრო ქილიფთარს! წინათ ყოველ კალანდას გაილოცავდა, კობულს დაჰკრავდა ფერდშეზნექილ ცაცხვის საწნახელს. ავუგუნდებოდა ღვინოს მოწყურებული საწნახელი. სილიბისტრო კი საწნახლის ფერდებზე ფეხებს გაჩაჩხავდა და გამყივანი ხმით გადასძახებდა:

წმინდა ავუნამ გადმოიარა, ჰო-ჰო!
 ავუნა, ავუნა, ვიო!
 ჩემს მამულში ყურძენიო,
 სხვის მამულში ფურცელიო!

თითქოს ქაცვნარის სერის მოსახლეებს გასძახოდა—გლაზუნას, ივაკიას, კალენიკას, — ისლით დახურულ ჩაფარცხულ ჯარგველებს, ყველა იმას, ვისაც სილიბისტრო „კოთხო გამორეკილებს“ ეძახდა, ვინც მისი ხელის შემყურე იყო. იმათ თუ აჯავრებდა: „ჩემს მამულში ყურძენიო, თქვენ მამულში ფურცელიო“. და თითქმის ჯადო იყო ჩაქსოვილი ამ საკალანდო ავუნაში, სერმისი¹ თილისმით ჰყავდა სილიბისტროს შეკრული მთელი ქაცვნარის სერი: მის კაპეტებში უნაგირაზე, ნადინების ნამიან ჭალებში გუგუნებდა ნადური მარგვლასა და თოხნაზე, ხელხვავეის სიმღერით დაფურჩენიდნენ სილიბისტროს სიმინდს, „ავიდელას“ სიმღერით დაჰკრეფდნენ მის მამულებს ცხენისზურგაზე, ნაციხვარში, კანკუთში და მოსკიანეთში, აუვსებდნენ ხევით სასიმიინდეებს, მარანს, ფარდულს და ხულას, თითონ კი მიდიოდნენ სახლში მართლა კოთხო გამორეკილები, გამარტებაზე კი, როცა ქაცვნარის სერის სასიმიინდეებში თავის სუნი დადგებოდა, სილიბისტროს მოადგებოდნენ კარზე.

ახლა წელში გაიმართა ქაცვნარის სერი. ყველამ ოდა წამოიღვა პალატაზე, წამოიჭიმა. სილიბისტრო კი ჰერებზე გაგდებულ თევზივითაა, თხილნარი და მამული თითქმის სულ კოლმეურნეობის ფართობში გადავიდა, ახლა ნაციხვარი და ცხენისზურგას იმედი ჰქონდა, ნუთუ ესეც წვევამდელებს უნდა შერჩეთ? ნუთუ ველარ შეავლებს ხელს სილიბისტრო ნაციხვარის ნაცარა ვაშლებს? ნუთუ ვერ გამოაზამთრებს ყვიბარებში ხეჭეჭურ მსხლებს? ნუთუ წელს აღარ დასველდება ადრეული მაჭრით მისი ფერდებშეზნექილი საწნახელი? რამდენჯერ გაუტარებია მოკლე ვარდისფერ კართოფლის მსგავს თითებში ამ ვაშლების ყოველი ტოტი, გაუძვრია დამშხალული კანი, სოკო და ხავსი. ნუთუ გაზაფხულზე, როცა გუგული „კაფე-თესეს“ დაიძახებს, ველარ ვაჰკრავს გასასხლავად წალდს

¹ სერშია კაპიტალის მნიშვნელობით იხმარება გურიაში.

მალარის შინდისფერ ლერწებს, ვერ დაფოცხავს ნემსს და ჩოქოს და ვერ დააყენებს ნაციხვარში მოლურჯო ბოლს და რუჯის სუნს, გაზაფხულს რომ იხმობს? ნუთუ სამუდამოდ მოექცა ნაციხვარში? ნუთუ კენჭის გაღვანში, წვევამდღეებმა რომ შემოაველეს? ნუთუ დასსსსსს სილიბისტრო და მის გასახელებლად მღერიან ახლა—„შენს მამულში ფურცელით, ჩემს მამულში ყურძენით“.

ყურები მოისრისა სილიბისტრომ, ხომ არ მომეყურაო. არა, ეჭვი არ არის. ნაციხვარიდან მოდის ეს „აგიდელა“. მის ადრეულა სამაჰრე ყურძენს კრეფენ. ისევ გამომწვევად გუგუნებდა „აგიდელას“ სიმღერა და მისმა ძალამ ნაციხვარისაკენ შეაბრუნა სილიბისტრო. ცოფმორეული შირბოდა. მოწერილობის ჯიბეში ჩადებაც ვერ მოასწრო, ფირმანივით მიაფრიალებდა. აღარც ახსდეს, სარს ხელი მოავლო თუ კამარა ჰკრა და ისე გადაეშვა მალალ ლობეზე. თავის თავის გასამხნევებლად ყიყინა დასცა: „აბა დამხვდით მაქ, თქვე დედა გაგლეჯილებო, თუ ვაჯაკეები ხართო“. კორტოხს გადაადგა. მალალი თხემის ძირში ყურძენით მოპირთავებულ გოდორს შეავლო თვალი.

— რომელი ხარ შენ, რომელი! — შესძახა ცოფმორეულმა და ხის კენწეროს დაუწყო წვერვა.

მაგრამ მკრეფავი არსად სჩანდა, თითქოს სილიბისტროს ყიყინამ დაფრთხოო. ხის ქვეშ გიდლის გამომცვლელიც რომ ვერ მოიხელთა, ვაცივით დაეჯახა მოპირთავებულ გოდორს და წააქცია. მტევნები მიწაზე გაიფანტა. სილიბისტროს ბინდი გადაეფარა თვალებზე, სწრაფად დაუწყო გულმა ცემა, მუხლები მოეკეცა და რომ არ დაეცემულიყო, ვაზის ძირზე დაეკიდა. ფეხებით შესდგა დახევებულ ყურძენზე და გაწიწმატებით დაუწყო სრესა. რალაც სიამე იგრძნო. წულების ლაყურებში და პაქიჭების ნაოჭებში თბილი ბადავი ჩაუდგა. „არც მე, არც თქვენ, არც მე, არც თქვენო!“ — იძახის სილიბისტრო. დეე, დაიწუროს ნაციხვარის მოსავეალი. თუ დაბანილი ფეხებით ვერ დასწნებს სილიბისტრო, დეე, ტალახიან ფეხებით დაისრისოს. თუ მის საწნახელს არ შეუწითლებს გვერდებს, თუ მის ქვევრებში არ ჩადგება, დეე, დაიღვაროს, საწრეტ არსს შეუერთდეს. კბილების კრაქუნით ერთსა და იმავეს ბუტბუტებს: „არც მე, არც თქვენ!“ დაქვლეტილ ყურძნიდან ბადავის წითელი რუ მიწანწკარებს. მტვერში აირია, ხმელი ბალახის ღეროები აიყოლია.

სილიბისტრო კი ვერაფერს ხედავს გარშემო. ვაზის ძირზე ჰკილია ხელით, რომ გაუშვას, ალბათ, მიწაზე დაეცემა. არ იციკ, რამდენი დრო გამოხდა. რაც ის ტალახიანი ფეხებით სრესს კუმუს მტევნებს. უცებ ფერდობის მეორე მხარეზე გაისმა „აგიდელი“ და გამამხნევებელი „მშვიდობით ჩამოდით“ და მაშინვე ვილაცამ საშინლად შეჰყვირა. სიბიტო შეკრთა, თვალებიდან ბლონდი ჩამოსცილდა. ჯერ მისკენ მორბენალ ბაქურისა წითელ ყელსახვევს მოჰკრა თვალი, მაგრამ იმავე წუთს ბუჩქნარიდან ამოიზარდა სილოვანას განიერი მხარბეჭი, ევარუნით წამოვიდა სილიბისტროსაკენ. სილიბისტრო მხოლოდ სილოვანას გაშლილ მკლავ-

ვებს, მის ბღერიალა და გადმოკაცულ თვალებს ხედავს მხოლოდ მიეცვალა სილიბისტროს, სუნთქვა შეეკრა, თითქოს სისხლის დენა შეუჩერდა ძარღვებშიო. სადღაც გაჰქრა ეს გახელებით მონაბერძნულად სილიბისტრო იყო, გამძვინვარებული რომ გაჰყიოდა: „აქის აქის აქის თქვე დედა გაგლეჯილებო, თუ ვაქცაცები ხართო?“ ახლა ჩვარივით ჰკილია ვახის ძირზე და თავზე წამომდგარ სილოვანას სასომიხდილად შეაგება:

— აბა შემომკარი, აბა შემომკარი! მაგი მინდა მეც, მაგი მინდა მეც!..

— მე ვიცი, რაც გინდა შენ, პროვაცია გინდა მოგვიწყო აქ. — აუღელვებლად სთქვა სილოვანამ, სილიბისტროს ხელები მოხვია და გოდორივით განზე გადადგა. სწორედ ასე იგარძნო სილიბისტრომ, რომ გოდორივით გადადგა ის განზე სილოვანამ, როგორც ხელშემშლელი რამ ნივთი და იმ წუთშივე დაიხარა და ნახევრად დაქვლეტილ მტევნების აკრეფას შეუდგა.

ბაქურიას კი წითელი ყელსახვევის წვერი პირში ჩაედო და გაოცებული შეჰყურებდა სიპიტოს, გაღენჩებული რომ იდგა. სილოვანამ დაასო ასე სარივით ერთ ადგილას, თუ არ იცოდა, კიდევ რა მოელოდა. და ამიტომ ვერ ახერხებდა ახალ ნაბიჯის გადადგმას. დაქმუნული მოწერილობაც კი ხელიდან გაუფარდა და ბადაგიანმა რუმ გაიტაცა. დიდხანს იდგა ასე გაშეშებული. რაღაც ცუდი სიზმარივით ეჩვენებოდა ყველაფერი ეს. ძლივს ააგლოჯა ფეხები მიწას, ძლივს დაიძრა ადგილიდან. წელან კამარა რომ ჰქრა და კანჯარღვით გადმოხტა შვერის მაღალ ლობეზე, ახლა ძლივს გადაათრია წელი.

„რამ სიმაღლე გაულობავთ ამ დედა-გაგლეჯილებსო“, — გაუელვა თავში. თითქოს ბურანში მყოფს მზოლოდ წულებში ჩამდგარი თბილი ბადაგის ჰყლატუნი აგონებდა დღევანდელ თავგადასავალს. ვერ მიმხვდარიყო, რად მიეშურებოდა რამდენიმე წუთის წინათ მხიარული ბაკაბუკით საბჭოსკენ და რათ მიღინდილობდა ახლა წელმოწყვეტილი შინისკენ. დუქანს რომ ჩაუარა, უცნაური ჩოჩქოლი შეიქნა, მოეყურა თუ ვილაყამ დაიძახა — რა დამართია სილიბისტროსო. შეკრთა, ასე ხელად როგორ გაიგეს, რაც შემემთხვაო, შემდეგ ტანისამოსზე დაიხედა. თავზარი დაეცა. პაქიშვიბი წითელ ფერში ჰქონდა შეღებილი. წულის ნაოქებში მტევნის ბურძღენები ჩარჩენოდა. არ შერჩებულა, არც დუქნიდან გამოსულ ხალხს მისაღმებია, რაღაც უაზროდ ჩაიქნია ხელი და ისევ ლასლასით განაგრძო გზა.

რა მოუვიდა, ხომ არ შექანებულა? — სთქვა ვილაყამ.

— მაგი ვერაა რაღაც ამ ბოლო დროს მის პლანზე, — მიუგო სკაჩიამ.

რამდენიმე ცნობის მოყვარე აედევნა სილიბისტროს, მაგრამ მას უკანაც არ მიუხედავს.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)

ქართული ხალხის ღვაწატი

ქართული
ბიბლიოთეკა


პროფ. სიმ. ჯანაშია

ივანე ჯავახიშვილი

პროფ. ივანე ჯავახიშვილი დაიბადა ქ. ტფილისში, 1876 წ. აპრილის 11-ს. მამა მისი, ალექსანდრე, ცნობილი პედაგოგი იყო, იმავე დროს ქართული არქეოლოგიითა და ეთნოგრაფიით გატაცებული (ალ. ჯავახიშვილის ნაშრომი ქართლის არქეოლოგიის შესახებ გამოქვეყნებულია და ცნობილი სპეციალისტთა წრეებში). მამისაგან შეითვისა პატარა ენომატ ადრევე ინტერესი და სიყვარული ქართული სიძველეებისადმი. საშუალო განათლება ივ. ჯავახიშვილმა მიიღო ტფ. პირველ გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა ყოფ. პეტერბურგის უნივერსიტეტში სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე. უნივერსიტეტი დამთავრა 1899 წ. და იქვე დატოვებულ იქნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად. 1900 წ. მივლენილ იქნა გერმანიაში, სადაც მუშაობდა ცნობილ მეცნიერ ად. ჰარნაკთან. 1902 წ. აკად. ნ. მართან ერთად გაემგზავრა არაბეთს, სინას მთაზე, იქაური უძველესი ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციის აღსაწერად, რაც ნაყოფიერად შესრულებულ იქნა. 1902 წლის შემოდგომაზე წარდგენილ იქნა სომხურ-ქართული-ფილოლოგიის კათედრის პრივატ-დოცენტად. 1903 წ. 1 იანვრიდან შეუდგა ლექციების კითხვას. 1906 წ. დაიცვა დისერტაცია („ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“) და მიიღო ქართული ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხი. 1917 წ. არჩეულ იქნა იმავე უნივერსიტეტის დოცენტად, ხოლო 1918 წ. ახლად გახსნილ ტფილისის უნივერსიტეტში არჩეულ იქნა პროფესორად და სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის დეკანად. აქვე დამტკიცებულ იქნა მის მიერვე დაარსებული პირველისა და დღემდე ერთად-ერთის საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო კათედრის გამგედ. 1919 წ. არჩეულ იქნა ტფ. უნივერსიტეტის რექტორად, რა თანამდებობასაც განუწყვეტლივ ასრულებდა 1926 წლამდე. ამავე დროს იყო სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1931 წ. დანიშნულ იქნა საქართველოს მუზეუმის სწავლულ კონსულტანტად, ხოლო 1936 წლის იანვრიდან არის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური



საქართველოს
საქმიანობა



პროფ. ივ. ჯანაშია

კულტურის ინსტიტუტის პროფესორი და სწავლული რუსეთის იმპერატორის ამაჲმად განაგებს აგრეთვე რუსთაველის მუზეუმსა და საქ. მეცნიერების ინსტიტუტის განყოფილებას.

მეცნიერული კვლევა-ძიება ივანე ჯავახიშვილის მიერ კიდევ სტუდენტობის დროს. 1897 წ. მან გამოაქვეყნა „ბალაღრის სიბრძნის“ რუსული თარგმანი, ხოლო 1898 წ. საკონკურსოდ წარადგინა თავისი პირველი კვლევითი ნაშრომი: „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, რომლისთვისაც ავტორი პეტ. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ოქროს მედლით დააჯილდოვა. მას შემდეგ, ორმოცი წლის მანძილზე, ივანე ჯავახიშვილს ერთი წუთითაც არ გაუგდია კალამი ხელიდან და დღეს იგი წარმოგვიდგება, როგორც საბჭოთა კავშირის ერთი უდიდესი მეცნიერთაგანი. ამავე დროს ამ მოღვაწეობას დასაწყისიდან დღემდე წითელი ზოლივით გასდევს ის ნიშანდობლივი თვისება, რომ ივანე ჯავახიშვილი სარბიელზე გამოდის არა როგორც კარჩაკეტილი კაბინეტის სწავლული, რომლისთვისაც სამეცნიერო საგანი მხოლოდ საკვლევ ობიექტს წარმოადგენს და სხვა არაფერს, არამედ როგორც საზოგადოებრივი მებრძოლი, რომლისთვისაც მეცნიერული მუშაობა საზოგადოებრივი აქტიურობის ერთი ფორმითაგანია მართოდღენ. თავის ერთ საუკეთესო წიგნს, ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოქვეყნებულს, ივანე ჯავახიშვილმა ეპიგრაფად წარუძღვნა ძველი ქართველი მწერლის სიტყვები: „დიდ არს ძალი სიყვარულისაი“. ის სიყვარული, რომლის საოცარ ძალას გვიჩვენებს პროფ. ივანე ჯავახიშვილის მთელი მოღვაწეობა, ქართველმა მსოფლიანმა მეცნიერმა თავისი შეგნებული ცხოვრების პირველი დღიდანვე მშობელ ხალხს მისცა მთლიანად, უპირობოდ და უანგაროდ. ქართველი მოწინავე პროგრესიული ინტელიგენციის საუკეთესო ტრადიციების მცველი, ივანე ჯავახიშვილი აღიზარდა იმ დიდი მოძრაობის ნიადაგზე, რომელიც ქართველი ხალხის სოციალურსა და ეროვნულ განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. ივანე ჯავახიშვილი ამ მოძრაობას ერთგულად მოჰყვა ბოლომდე. და დღეს ყოველმა მშრომელმა იცის, რომ ივანე ჯავახიშვილი იმ საუკეთესო ქართველი ინტელიგენციის პირველ რიგებში დგას, რომელმაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასსა და გლეხობასთან ერთად, შექმნა საბჭოთა საქართველოს სოციალისტური კულტურა, ინტერნაციონალური თავისი შინაარსით და ნაციონალური თავისი ფორმით.

პირველივე მეცნიერული ნაშრომი ყოველმხრივ დამახასიათებელი იყო ავტორისათვის. აქ ფილოლოგიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, ფილოლოგიური სკოლის მოწაფე, აყენებს საქართველოს ისტორიის მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანას, წყაროების კრიტიკის ამოცანას. უანგარო ენთუზიასტების მთელმა წყებამ, როგორც ქართველთაგან, ისე არა ქართველთაგან, მე-19 ს-ში, შეიგნო რა წყაროთა წრის მაქსიმალური ვაფართოე-

ბის მნიშვნელობა, უდიდესი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიას მისი პირველ წყაროების სხვადასხვა კატეგორიების მრავალფეროვან ძეგლთა შეგროვებითა და დაცვით. მაგრამ ამ წყაროების საფუძველზე და მოკიდებულება არ იდგა იმდროინდელი მწიგნობარების დონეზე. საქართველოს ისტორიის მოყვარულთა წრეში გულუბრყვილო-მოწიწებით, ნაციონალისტური განწყობილება იყო გაბატონებული მშობლიური წარსულის ყველა ძეგლისადმი, განურჩევლად. დიდმპყრობელური და შოვინისტური წრეები-კი, პირიქით, ნერგავდნენ უარყოფითს, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამ წყაროებისადმი, ცდილობდნენ რა მათი მნიშვნელობის გაბახებასა და გაქარწყლებას. საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა წყაროების პირუთვნელი, მაგრამ სასტიკი კრიტიკით უნდა დაწყებულიყო. ეს საქმე წარსული საუკუნის დამლევეს ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. და აი, პირველსავე გამოკვლევაში ივანე ჯავახიშვილი მწვავედ აყენებს ამ საკითხებს. აუცილებელი მეცნიერული სიმკაცრით, შეურბილებელი მეცნიერული და მოქალაქეობრივი პირდაპირობით იგი აცხადებს რომ, მაგ., „ნიხოს ცხოვრება“ არ ვარგა, როგორც მე-4 ს. წყარო, რომ მისი ცნობების უმრავლესობა გვიანდელ ხანაშია შეთხზული, რომ ძველის ისტორიულ-შემეცნიებითი მნიშვნელობა სულ სხვა, მისი შემდგენელ-რედაქტორების, დროისთვის უნდა ვივარაუდოთ. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი და გაბედულიც, უნდა ითქვას, ნაბიჯი — ასეთი აზრი სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმ დროს გაბატონებულ დებულებას. ეს წყაროთმცოდნეობითი და ისტორიულ მეთოდოლოგიური ინტერესი დღემდე შერჩა მხოლოდ მეცნიერს. ამ ინტერესებმა წარმოშვეს პროფ. ჯავახიშვილის დიდი ნაშრომი, რომელსაც მკორე ანალოგები მოეპოვება სათანადო ლიტერატურაში: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად“. ამ შრომიდან ჯერ-ჯერობით 4 წიგნია გამოქვეყნებული, ყველა ქართულად: 1) ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (ტფ. 1916, მე-2 გამ. — ტფ. 1921), 2) ქართული საფას-საზომ-თამცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა — მეტროლოგია (ტფ. 1925) „3) ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია (ტფ. 1926), 4) ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა (ტფ., 1926). სხვა წიგნები ელის გამოქვეყნებას. ამ წიგნებით ივანე ჯავახიშვილმა საფუძველი დაუდგა საქართველოს ისტორიის მეცნიერების დამხმარე დარგებს და ჩვენი ისტორიის წყაროთა მთელი მრავალფეროვანების შესწავლას. უჩვენა ამ წყაროების სიმდიდრე, მრავალმხრიობა, მნიშვნელობა და ფასი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისითაც. თუ როგორი იყო ავტორის ძირითადი ამოცანა, ეს განმარტებულია პირველი წიგნის შესავალის პირველსავე ფრაზაში: „ამ წიგნის მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ჩემი წადილი იყო შეძლებისდაგვარად გამომერკვია, როგორც თვითოეული მემატინანისა და ისტორიკოსის პიროვნება, — თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა

სახელდობრ იგი, რა მსოფლმხედველობის და თვალსაზრისით იყავი იყო, — ისე აგრეთვე შემეტყო, რა მიზანი ჰქონდა და რა სწავლას მას, როდესაც თავის თხზულების წერას შეუდგა. ამასთანავე უნდა შევხედოთ ცდილობდით გამეგო, რა და რა და რამდენად სანდო წყაროებს იყენებდა თვითოეულს მათგანს და რა გზით და რა საშუალებებით სურდათ და შესძლეს თავიანთი მიზნის განხორციელება?“ საქართველოს ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროს, სახელგანთქმული კრებულის „ქართლის ცხოვრების“, განხილვამ პროფ. ივ. ჯავახიშვილი მიიყვანა შემდეგ მეტად საგულისხმო დასკვნამდე: „ქართლის ცხოვრების განხილვის დროსაც უფრო გარეგანი კრიტიკა იყო გამეფებული, ვიდრე წყაროების არსებითი და ყოველმხრივი შესწავლა. მკვლევართ განსაკუთრებით ის აწუხებდათ, თუ ვინ და როდის შეადგინა თვით კრებული და უცხოელ კრიტიკოსთა აზრის და საწინააღმდეგოდ უნდოდათ დაემტკიცებინათ რომ ქართლის ცხოვრების თითოეული ნაწილი თანამედროვის მიერ არის დაწერილი. სამწუხაროა რომ ჩვენში სრულებით შეგნებული არა აქვთ და არც ჰქონდათ, რომ თვითოეულ ძველ საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა — კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და შედასეობა. მისი წყაროების თვისება, ქაშთაღმწერლის წერის წესი და მეთოდები. საისტორიო ნაწარმოების ქრონოლოგიური განხილვა მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ მეტად მარტივი საშუალებაა იმიტომ რომ შემატყანე და ქაშთაღმწერელი შეიძლება თანამედროვეც იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანადამხდური არ არის, ან თუ მისი შოამზე სარწმუნო თანადამხდური და თვით — მხილველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს. თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერლის თვალსაზრისი, წოდება და შედასეობა საისტორიო მოთხრობაზე მოქმედებს“... (იქვე). აქ წარმოდგენილი თვალსაზრისით საქართველოს ისტორიის წყაროების შესწავლა პროფ. ივ. ჯავახიშვილის უდიდესი დამსახურებაა და ამაშივე ვპოუვით ჩვენ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საძირკველსაც. მეორე ნიშანი, უაღრესად დამახასიათებელი ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობისათვის, აგრეთვე უკვე მის პირველ ნაშრომსაც აღმოაჩნდა: რუსულ „საიმპერატორო“ უნივერსიტეტში შესრულებული და წარდგენილი გამოკვლევა ავტორმა პირველად ქართულად გამოაქვეყნა. ამაში გამოჩნდა ახალგაზრდა მკვლევარის ურყევი გადაწყვეტილება თავისი მეცნიერული კვლევა-ძიება უპირატესად ქართველი მშრომელი მასების ფართო წრეებისათვის გასაგებ ენაზე ეწარმოებინა, რათა, ერთი მხრით, საშუალება მიეცა ამ მასებისათვის დასწავებოდნენ თანამედროვე მეცნიერებას, ზოლო, მეორე მხრით, განემტკიცებინა შეგნება და ფაქტიური შესაძლებლობაც ქართულ ენაზე რთული მეცნიერული მუშაობის წარმოებისა. ჯერ, კიდევ რევოლუცი-

მდე ივ. ჯავახიშვილი თავის უმთავრეს ნაშრომებს ქართულად აქვეყნებს, რითაც აკვირვებს და თავის წინააღმდეგ რაზმავს ძველი რუსეთის რეაქციონურს აკადემიურ წრეებს. ასეთი წიგნებია: „ქართველი ერის ისტორია“, I და II ტომები (ტფ., 1908, 1913, 1914 წწ.); „ქართული ისტორიით მწერლობა“ (1916), „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ (ტფ., 1907), „საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია“ (ტფ., 1904) და სხვა საეურნალოგაზეთო წერილები და ნარკვევები.

ამ სულიკვეთებისა და შეგნების ნიადაგზე იზადება იდეა ქართული უნივერსიტეტისა და მის მოსამზადებლად წინასწარ ღონისძიებათა განხორციელების აუცილობლობის შესახებ. 1907 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსდება, ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით, ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელიც შემდეგშია ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს და დიდ საქმეს აკეთებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტერმინოლოგიის შესაქმნელად ქართულ ენაზე, თვით საკვლეო სამუშაოს გაშლისა და კადრების მომზადებისათვის აღნიშნულ დარგში. წრის მუშაობის ნაყოფი ბეჭდური სახითაც ქვეყნდება (ქართ. ბიბლიოგრაფია, სპეციალური სამეცნიერო კრებული). ივ. ჯავახიშვილისავე თაოსნობით, სპეციალური ანკეტების საშუალებით, იკრიბება ცნობები როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე და მოსწავლე ქართველების შესახებ, რომელთაც უნდა შეედგინათ მომავალი ქართული უნივერსიტეტის სათანადო კონტიგენტი. ამ საქმიანობამ მეფის პოლიციის დიდი ყურადღება მიიქცია თავის დროზე.

როცა ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო ძველი წესწყობილება და მეფის რუსეთის მიერ დაჩაგრულ ხალხებს ეროვნულ-კულტურული განვითარების სრული შესაძლებლობა მიანიჭა, შეიქმნა პირობები ქართული უნივერსიტეტის იდეის განხორციელებისათვისაც. პროფესორთა ერთი ჯგუფის მიერ ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, 1918 წ. დაარსებული ტფილისის ქართულ ბერძნულ უნივერსიტეტი, საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვითა და დახმარებით, ბრწყინვალე შედეგს აღწევს და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს უნივერსიტეტად იქცევა. უნივერსიტეტის 20 წლისათვის იუბილემ, ეხლახან ზეიმით გადახდილმა, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა მისი დიდი როლი საბჭოთა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში!

საქართველოს ისტორიულ ორიგინალურ წყაროებთან ერთად პროფ. ჯავახიშვილი ასევე კრიტიკულად სწავლობს უცხოურ წყაროებსაც და თვით ისტორიულ პროცესსაც საქართველოს მომიჯნავე ქვეყნებში. ამოდის რა იმ დებულებიდან რომ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია მეზობელ ხალხთა და ქვეყნების ისტორიისაგან განცალკევებით. პრაქტიკულად ამ საქმეში პროფ. ჯავახიშვილის ხელს უწყობს ის გარემოება რომ ის საესებით ჰფლობს ამ წყაროების

ენებს — ბერძნულს, ლათინურს, სომხურს, სპარსულსა და სერბულს. ამრიგად აღმოცენდა, კერძოდ, ირანული და სომხური წყაროების კრიტიკა-პირველი: — სპეციალურს საუნივერსიტეტო კურსში „ისტორიის მწიგნობარი“ — მეტად მნიშვნელოვან მონოგრაფიაში: „ძველი სომხური“ სინტაქსის მწიგნობარი, წ. I^ა (ტფ., 1935).

ესოდენ ძლიერი წყაროთმცოდნეობითი ინტერესი და მასთან დაკავშირებული კვლევა და დაუღალავი ძიება შეიქმნა იმის მიზეზი, რომ პროფ. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა და ნაწილობრივ გამოაქვეყნა კიდევაც მანამდე უცნობი, პირველხარისხოვანი ძეგლები: 1) ანასეული ქართლის ცხოვრება, უძველესი ნუსხა ამ ძეგლისა, 2) თამარ მეფის მესამე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი, 3) ბერი ევანატაშვილის მიერ შედგენილი ქართლის ცხოვრების გავრძელება, 4) ქართ. მწერლობის უძველესი, ე. წ. ხანშეტი, ძეგლები, რომელთა აღმოჩენამ მთელი ეპოქა შექმნა ქართულ კულტურის ისტორიაში და სხვ.

დაავროვა რა უზარმაზარი ფაქტიური ისტორიული მასალა, გაშუქებული ზემოთაღნიშნული ისტორიული კრიტიკით, ივ. ჯავახიშვილი შეუდგა ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ისტორიის დამუშავებას წინასწარ მოფიქრებულის მკაცრი მეცნიერული გეგმის თანახმად. ამ ქეშმარიტად განსაცვიფრებელი მუშაობის შედეგად პროფ. ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა შემდეგი კაპიტალური ნაშრომები: 1) ქართველი ერის ისტორია, 3 ტომად, 2) ქართული სამართლის ისტორია, 3 წიგნად, 3) საქართველოს ეკონომიური ისტორია, 2 წიგნად, უკვე დაბეჭდილია და ამ დღეებში გამოვა: 4) ქართული მუსიკის ისტორია და 5) ქართულ-ქართველურისა და კავკასიურ ენების ნათესაობის პრობლემა. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ინციატივითა და ხელმძღვანელობით. უკანასკნელ წლებში შეგროვდა უდიდესი და ძვირფასი მასალა ქართული ხელოსნობის ისტორიისათვის.

სპეციალურად უკვირდებოდა ივანე ჯავახიშვილი სოციალური ისტორიის საკითხებს. 1905 წ. მან გამოაქვეყნა რუსულად საგულისხმო მონოგრაფია „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.“ ეს გამოცემა შემდეგ მოსპო მეფის ცენზურამ. განსაკუთრებით სწავლობს ივ. ჯავახიშვილი დემოკრატიულ მოძრაობას ძველ საქართველოში, რასაც აგრეთვე სპეციალურ მონოგრაფიებს უძღვნის. კლასობრივი ბრძოლის ისტორიის სფეროს ეკუთვნის მისი წიგნი „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX — XIII სს-ში“ (ტფ., 1936). ანალოგიურ საკითხებს სწვდება ივ. ჯავახიშვილი მეზობელ ქვეყნების ისტორიაშიაც (იხ., კერძოდ, მისი მეტად საგულისხმო წერილი „ერთი გვერდი გლეხთა მოძრაობის ისტორიიდან ძველ სომხეთში“, ტფ. უნ. მოამბე, ტ. II).

დიდ მუშაობას ეწეოდა და ეწევა პროფ. ივ. ჯავახიშვილი პედაგოგიურ სარბიელზე. რამდენიმე ათეულ კაცს, მის მოწაფეთა რიცხვიდან, უკვე მოპოვებული აქვს პროფესორისა და დოცენტის წოდებები და

დოქტორისა და კანდიდატის ხარისხები. დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული პროფ. ივანე ჯავახიშვილს ქართული სალიტერატურო ისტორიისა და ორთოგრაფიის ნორმების დადგენისა და ქართული სემანტიკის [ტერმინოლოგიის] შემუშავების დარგში. კერძოდ, სამხედრო ტერმინოლოგიაზე მუშაობისათვის მას საბჭ. კავშირის თავდაცვის სახ. კომისრიისაგან მიღებული აქვს მადლობის სიგელი. დიდს მუშაობას ეწეოდა და ეწევა პროფ. ჯავახიშვილი დაინტერესებულ ორგანიზაციებისა და პირების კონსულტაციის დარგში. დიდი საქმიანობა ჩაატარა პროფ. ჯავახიშვილმა, როგორც საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თემჯდომარემ და სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა აქტიურმა თანამშრომელმა.

შესანიშნავი, დიდი მუშაობა ჩაატარეს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა და, მისი ხელმძღვანელობით, მისმა თანამშრომლებმა შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის მოსაწყობად, რამაც, როგორც ეს კარგად იციან მშრომლებმა, ბრწყინვალე შედეგი გამოიღო.

პროფ. ივ. ჯავახიშვილმა თავისი მოღვაწეობისათვის შესაფერისი სარბიელი მხოლოდ საბჭოთა საქართველოში ჰპოვა, საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა მას ყველა პირობა თავისი დიდი ნიჭისა და ენერჯიის ყოველმხრივი გაშლისათვის. დიადმა საბჭოთა შალხმა დაუფასა ივანე ჯავახიშვილს ღვაწლი და ამაგი და აღჭურა იგი თავისი დიდი ნდობით: ამყამად პროფ. ივ. ჯავახიშვილი არჩეულია საქართველოს სსრ-ის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის მიერ. მსოფიანი მეცნიერის დაუშრეტელს, ჯერ კიდევ ოდნავადაც შეუწელებელს ენერჯიას ეხლა ახალი ასპარეზი ეხსნება ჩვენი სწორუპოვარი სამშობლოს სამსახურისათვის.



საქართველოს
წიგნების კავშირი

ბან. ქაენტი

ილო მოსაშვილი

საქართველოს საბჭოთა ხალხმა თავის პირველ სოციალისტურ პარლამენტში, ქვეყნის საუკეთესო შვილებთან ერთად, ერთსულოვნად აირჩია პოეტი ილო მოსაშვილი. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ცხად-პყოფს, თუ რა დიდი ნდობით და სიყვარულით მოსავეს ძლევაშოსილი საბჭოთა ხალხი, სოციალიზმის ქვეყანა მხატვრული სიტყვის მოწინავე ოსტატებს, რა განუსაზღვრელ შესაძლებლობას ჰქმნის იგი ლიტერატურისა და ხელოვნების განუზრელი აღმავლობისათვის.

მხოლოდ ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის მზის ცხოველმყოფელობით ვასხივოსნებულ ქვეყანაში, მშრომელი მასების უმაგალითო კულტურული დაწინაურების პირობებში არის შესაძლებელი მწერლობის ასეთი დაფასება, მისდამი ასეთი ყურადღება და გულისხმიერება.

მეორეს მხრივ, მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში პოეტის არჩევის ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა პოეზია ღრმად დაუახლოვდა ხალხის აზრსა და გრძნობას. იგი თავისი საუკეთესო მიღწევებით ხალხის მისწრაფებასა და ნებისყოფას გამოხატავს, აქტიურად იბრძვის საბჭოთა ხალხის მასულდგმულებელ იდეების — ლენინ-სტალინის დიადი პარტიის იდეების ძლევაშოსილებისათვის.

ილო მოსაშვილის შემოქმედება მკაფიო გამოხატულებაა სოციალისტური ეპოქის მხატვრული მწერლობის ამ ძირითადი თავისებურებისა. მისი პოეზია ღრმად არის გამსჭვალული საბჭოთა პარტიოტიზმის უწყინდესი იდეით, საბჭოთა ხალხისადმი, ჩვენი აღორძინებული და აყვავებული სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით.

ილო მოსაშვილის ლექსები გულწრფელად ეხმაურებიან ჩვენი ეპოქის დიად სოციალურ მოვლენებს, მათი თემატიკა საბჭოთა ხალხის საბრძოლო ამოცანებით, სოციალისტური სინამდვილის პროცესებით განისაზღვრება, მათი იდეური მიზანდასახულობა კომუნიზმის იდეებიდან, ლენინ-სტალინის პარტიის იდეებიდან გამომდინარეობს.

ილო მოსაშვილი ქართველი უპარტიო მხატვრული ინტელიგენციის იმ ძირითადი მასის წარმომადგენელია, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში სო-



ქართული
ენციკლოპედია



ახს. ი. ო. მოსაზვილი

ციალიზმის გამარჯვებათა ნიადაგზე თანმიმდევრული იდეური შემოქმედებითი წინსვლელობის გზით საბოლოოდ და განუყოფელი დაუკავშირა თავისი ცხოვრება და შემოქმედება საბჭოთა ხალხის ბედს, კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეს.

ქართველი ხალხის სახელოვანმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა მკურნალმა საქართველოს ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში მოგვცა საბჭოთა მწერლისთვისებათა შემდგენილი ზუსტი და შესანიშნავი დახასიათება:

„საბჭოთა მწერალი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, თავისი საბჭოთა სამშობლო, ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება. იგი უნდა იყოს გულწრფელი და გულმართალი თავის ნაწარმოებებში, იგი უნდა განამტკიცებდეს, აფართობდეს თავის კავშირურ თიერთობას მშრომელთა ფართო ფენებთან“.

შბოლოდ ასეთ მწერალს შეუძლია დიმიხსახუროს საბჭოთა ხალხის ნდობა და სიყვარული. სწორედ ამგვარი გულწრფელობითა და გულმართლობით, სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგულებით, მისი უძლეველობის რწმენით, ხალხის ფართო ფენებთან ღრმად დაკავშირებისაგან სწრაფვით ხასიათდება ილო მოსაშვილის უკანასკნელი წლების შემოქმედება.

ყველგვარი ორაზროვნებისა და ბუნდოვანობის გარეშე, ჯანსაღი სოციალური ოპტიმიზმით აღგზნებული ლექსით უმღერის იგი ჩვენი ქვეყნის აყვავებასა და აღორძინებას. ნათელი და გამჭვირვალე ფერადებით ხატავს საბჭოთა ხალხის მზიური ცხოვრების სურათებს.

ილო მოსაშვილის პოეზიის მთავარი თემა სოციალისტური სამშობლოს თემაა. მისი ლექსების უმრავლესობა პატრიოტული აღფრთოვანებით არის შთაგონებული. ამ მხრივ პოეტი ერთგულად აგრძელებს ქართული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციას. მაგრამ თუ ჩვენი პოეზიის უკუდავი კლასიკოსების შემოქმედება დაკარგულ სამშობლოზე გოდება და მისი მკვდრებით აღდგომაზე ოცნება იყო, საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზია უსაზღვრო სიხარულის გამომხატველი ჰიმნია, მიძღვნილი აყვავებულ და აღორძინებულ სამშობლოსადმი:

„ჩემო სამშობლო, როგორ მალაღებ,
ყველგან სიამით სავსე გულია.
შეხედავ შენს ცას, სოფლებს, ქალაქებს,
მწიფე ყანებს და რძიან ბალახებს, —
სიკაცხლე მართლა სიხარულია.“

მოვა მნათობი, ყოველის მშობელი,
გაეახელ თვალს და მღერა მინდება,
დილა, ბედნიერ ამბის მოხრობელი,
როგორც ფრინველი მახარობელი
ჩემს ქვეყანაში შემოფრინდება!"



პოეტის ეს პირადი განცდა, მისი სიხარული და აღფრთოვანებული განწყობილება მთელი ხალხის განცდისა და გრძნობის გამოხატულებად და ეს საზეიმო ჰიმნი მით უფრო მკაფიოდ და მიმზიდველად გაისმის მოსაშვილის პოეზიაში, რომ იგი ხშირად ვითარდება კონტრასტების გზით. ჩვენი ხალხის დუხჭირი წარსულის, მისი ჩაგვრისა და მონობის საუკუნეებში პოეტური წიაღსვლის ფონზე:

„ჩემო სამშობლოვ, არ უმღერია
შენ შეილს არც ხნულში და არც ყანაში,
რამდენი წვეთი შხამი ურია
შენი დედების იენანაში.
რამდენჯერ მტრისგან დამხობილს პირქვე
უენო ნატვრა გიზიდავს გულით,
მაგრამ უდროოდ ჩამკვდარა იქვე,
როგორც ნუგეში სიზმარში თქმული.
ვის არ უთელავს, ვის არ უღაბავს
შენი ველების რბილი ბალახი,
შენი ხანძრები ვის არ უნახავს,
შენი დამწვარი დაბა-ქალაქი“.

ამგვარი მუქი საღებავებით, მძლავრად გამოკვეთილი მოტივებით ხატავს პოეტი, ჩვენი სამშობლოს წარსულს, აღუსილს ჩვენი ქვეყნის გამარტახებისა და დარბევის, ჩვენი ხალხის უსაზღვრო ტანჯვისა და ჩაგვრის ფაქტებით, და ამ შემზარავი ისტორიული პანორამის ფონზე პოეტი უხვი, ხალისიანი ფერადებით ძერწავს განახლებული საქართველოს სურათებს, მისი დოვლათით სავსე ბარაქიანი საკოლმეურნეო ცხოვრების, მის მიწა-წყალზე აღმართული ინდუსტრიული გიგანტების, მისი ხელახლა აგებული ბრწყინვალე დედა-ქალაქის ამსახველ ნახატებს. და ეს შთაგონებული პატრიოტული ჰიმნი, ბედნიერ და თავისუფალ სამშობლოსადმი მიძღვნილი ეს წრფელი საგალობელი მოსაშვილის პოეზიაში ორგანიულად არის შეზრდილი ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელის — დიდი სტალინის სახოტბოდ და სადიდებლად აგზნებულ მოტივებთან.

ჩვენი ქვეყნის აყვავებისა და ძლევამოსილების, ჩვენი ხალხის ბედნიერებისა და თავისუფლების მომასწავებელი ყოველი მოვლენა პოეტის ცნობიერებაში უშუალოდ არის დაკავშირებული ხალხთა გენიალური ბელადის სახესთან, და პოეტი ისწრაფვის მონახოს უფრო მკაფიოდ და მძლავრი საღებავი, უფრო მახვილი და მელოდიური ჰანგი დიდი სტალინისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გამოსახატავად.

თუ პოეტს უნდა უფრო ცხოველად გამოხატოს საბჭოთა რევოლუციის სიხარული, მისი მზიური დღევანდელობა, იგი მოუწოდებს მკითხველს:

„უფრო დაუვდოს ყანების ძახილს,
როგორ შრიალებს ყოველი ღერი,
როგორ უმღერის სტალინის სახეს
განახლებული ქართველი ვრი“.

გ. რ. მ. მ. მ. მ.
გ. მ. მ. მ. მ. მ.

როცა პოეტი ისწრაფვის ლექსით გამოეხმაუროს სოციალისტური დემოკრატიის ტრიუმფს — უმაღლესი საბჭოს არჩევნების სახალხო საზეიმო დღეებს, მის აზრსა და გრძნობას დიდი სტალინის სახე ეუფლება და ლექსი ასეთი მგზნებარე მოწოდებითი სტრიქონებით მთავრდება:

ჩვენი გული და ჩვენი გონება
და საერთო ხმა სამშობლო მიწის,
როგორც საქვეყნო სიტყვა და ფიცი,
მას მიუტანონ მილიონებმა.

მას მიუტანონ, საყვარელ ბელადს
კალმის, რკინის და მიწის მგოსნებმა,
რადგან საბჭოთა მზარევი ყველას,
ცადად გვიტყვია ტბილი ოცნება“.

მაშინაც, როცა პოეტი ლექსით ესაუბრება ოქტომბრის თაობას, ჩვენი სამშობლოს ბედნიერი ახალგაზრდობის უდიდესი სიხარულის გადმოსაცემად იგი ასეთ პოეტურ ეპიზოდს სახავს.

„მგონია, ერთად ასი ზღვა ღელავს,
და მკერდს ხმაურით მხდიან ლექსები,
როცა კრემლის წინ გადმომდგარ ბელადს
ბედნიერ თვალთ ეალერსებო.
და შენი სახეც მზით იმოსება, —
მივაჭვს საქვეყნო შესაფიციარი,
რომ ჩვენი გული, ნატვრა, ოცნება
და ჩვენი დროშა მხოლოდ ის არი“.

ამრიგად, მოსაშვილის პოეტური აზრის ყოველი მოძრაობა შთაგონებულია და განათებული ბელადის სახის სიდიადით. მაგრამ მას აქვს სავანგებოდ ამხანაგ სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები, რომლებიც პოეტის მთელი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს.

ლექსში „ბელადს“ მოსაშვილი ისწრაფვის გამოხატოს სტალინის ცხოველმყოფელი მზრუნველობა ყველასა და ყველაფრისადმი, რაც ჩვენი სამშობლოს სიდიადეს და ძლიერებას შეადგენს. მხოლოდ მზე თუ შეედრება დიდი ბელადის ამ ცხოველმყოფელობას:

„მზე ბნელს ჩააქრობს და ათბობს მთა-ველს,
მისი სხივების დიდებით მოსელა,
როგორც შენ მიწის თვითელ მტკაველს,
ხეს, აღამიანს და სავსე თაველს
შენი გენიის სინათლით მოსავ“.



სტალინის დიადი სახელი ალაფრთოვანებს და ალაგზნებს საგმირო
საქმებისათვის:

„ხეცაში — მფრინავს, ბრძოლაში — მხედარს,
ვაჭყაცს — ხლევისავეთ გაშლილ ყინაში,
და ბავშვი, როცა შესცქერის დედას,
უსმენს და თითქოს სიზმარში გზცდავს
შენებრ მშობლიურ ივენანაში“.

ლენინ-სტალინის დიდი პარტია, ორგანიზატორი და ხელმძღვანელი
სოციალიზმის ყველა გამარჯვებისა, თავისი რიგების ფოლადისებური
მთლიანობით, თავისი უძლეველობით და დაუცხრომელი შემოქმედით და
მებრძოლი აქტივობით წარმოადგენს მოსაშვილის პოეტური შემოქმედე-
ბის შთამავონებელ ძალას.

პარტიის ერთგული შვილის, საქართველოს ბოლშევიკების სახელო-
ვანი ხელმძღვანელის ამხანაგ **ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა ს ა დ შ ი**
შიძღვნილ ლექსში პოეტი გვაძლევს პერსონიფიცირებულ სახეს ლენინ-
სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელი და წამყვანი ჩოლისა კომუნის-
მისათვის ბრძოლაში:

„ჩემო ქვეყანავ, აღარა სტირი,
შავი წარსულის წიგნი დახურე,
მოვიდა დრო და მოვიდა გმირი,
შენი ნამდვილი მოჭირნახულე“!

ეს გმირი ბოლშევიკების უძლეველი პარტიაა, რომელსაც პოეტი ამ
ლექსში ამხანაგ **ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა ს** სახით გამოხატავს და
უმღერის.

სოციალისტური საქართველოს დაუღალავი მშენებლის სახეს პოეტი
ხატავს ჩვენი სამშობლოს მზიური და შეძლებული ცხოვრების ფერადო-
ვანი სურათის ფონზე, ხატავს მოქმედებაში, შემოქმედებითს აქტივობა-
ში, ჩვენი სოციალისტური ცხოვრების მთელს მრავალფეროვნებაში
ღრმად შეზრდილ სახეს:

„ის შივა კაცთან, გაუწევს ძმობას,
გასინჯავს, როგორც ფოლადის ნაჭერს,
და აღამიანს, გუშინდელ ჩობანს,
მიანლობს ტყვიან მანქანის საჭეს.
იგი შორეულ მწყემსის ბინაშიც
მზრუნველი გულით მოივლის ფარებს,
მერე მოკვდილს ქვაში, რკინაში
ერთხილად შეაღებს ტფილისის კარებს.“

დახედოს ქალაქს, ფხიზელი თვალი
გადაანათოს ჭედდან ჭედებს
და დაანათოს მშენებლის კვალი
თვითველ ჭურჭას, სახლსა და კედელს“.



ქართველნი
მწიგნობრნი

ამხანაგ ლ. ბერიასადმი მიძღვნილ მგზნებარე სტრიქონებში
ილო მოსაშვილი მკვეთრად გამოხატავს საბჭოთა ხალხის ერთ-
სულოვან დარაზმულობას უძლეველი ბოლშევიკური პარტიის ირგვლივ.
ეს მთელი ჩვენი ხალხი მიმართავს თავის სახელოვან აეანგარდს — ლენინ-
სტალინის პარტიას — პოეტის სიტყვებით:

„ჩვენ შენთან ვდგევართ კლდესავით მტკიცედ
ლაშა, დღე თუ დღეა სისხამი,
რომ შენს ძახილზე სამშობლოს მივცეთ
ჩვენი სიცოცხლის ყველა მისხალი“.

სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარული, ბოლშევიკური პარ-
ტიისადმი ერთგულება, აუცილებლად გულისხმობს პარტიისა და საბჭო-
თა ხალხის მოსისხლე მტრების მიმართ ზიზღისა და სიძულვილის უწმინ-
დეს ვრძნობას. გამანადგურებელი სიძულვილი ჩვენი სამშობლოს მოლა-
ლატეების მიმართ — ეს სოციალისტური ჰუმანიზმის აუცილებელი ელემ-
ენტია. ილო მოსაშვილის პოეზიაში მკაფიო გამოხატულება
პოეტი ძლევა მოსილი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანმა რისხვამ და გულის-
წყრომამ ფაშისის სისხლიანი აგენტების, ტროცკისტ-ბუხარინელი ჯა-
შუშების, ბანდიტებისა და დივერსანტების წინააღმდეგ:

„შენ ეპარები ამოწედილ დანით
მშვიდად მძინარე მშრომელის ბინას,
გველის სოროსთან დაჯდები ლამით
და ჩემად ლესავ ჟანგიან რკინას.
შენ ჩვენ მიწა-წყალს ოჭროზე ჰყიდი,
მხდალო ფინიავ, მკეთლო ვაჭრად,
გინდა საბჭოთა სამშობლო დიდი
და მისი წმინდა სხეული დასკრა,
რომ დაწველილმა ხელით გასვრილით
ფაშისის ძაღლებს მიაჩთვა ძღვენი:
ჩვენი მინდვრები ცამდე ავსილი,
ჩვენი გული და სიცოცხლე ჩვენი“.

ამ მღელვარე სტროფებში პოეტი მძლავრად გამოსთქვამს მთელი
ჩვენი ხალხის მრისხანე გულისწყრომას გარეწარი მოლალატეებისადმი და
შმაფრად ხატავს ადამიანობა-დაკარგულ ვერაგი მტრის მუხანათურ სახეს.
მოსაშვილი უმღერის ჩვენი სამშობლოს უძლეველობის იდეას. მისი
პოეზია გამსკვალულია ურყევი რწმენით, რომ სოციალიზმის მტკიცე
ციხე-სიმაგრეზე დაიმსხვრევიან ყოველი ჯურის მტერთა მუხანათური გან-
ძრახვები:

„აბა — გაწყდება მისი სახელი,
 ველარ იფიჭრებს ქვეყნად დარჩენას,
 რისხვად ჭკეული ხალხის მახელი
 ათჯერ მოჰკვეთავს ძირში მარჯვენას“.



მშობლიური საბჭოთა ხალხის უძღვეელობის რწმენით შთაგონებულა
 პოეტი მიმართავს ჩვენი სამშობლოს გარეწარ მტრებს:

„და ერთი რისხვით აშლილი ერი,
 როგორც ყოველთვის, ურყევი დღესაც,
 შენვე გიბრუნებს მოწამულ წვერით
 ხანჯალს, რომელსაც საჩვენოდ ღუსავ“.

ლექსებისა და სიმღერების მთელი ციკლი მიუძღვნა ილო მოსაშვილმა
 ჩვენი სამშობლოს უძღვეელობისა და შეუვალობის მტკიცე გუშავს, ჩვენს
 ვმირულ წითელ არმიას, მამაც მესაზღვრეებს, ჩვენი სამშობლოს ბედნიერ
 ცაზე მოსრიდლე შევარდნებს — საბჭოთა სახელოვანი ავიაციის გმირებს.
 სამხედრო თავდაცვითი თემაზე დაწერილი ლექსები ილო მოსაშვილისა
 გაელენთილია გმირული სულით, მებრძოლი განწყობილებით.

პატრიოტიზმის იდეა მოსაშვილის პოეზიაში ღრმად არის დაკავში-
 რებული ხალხთა სტალინური ძმობის, პროლეტარული ინტერნაციონა-
 ლიზმის იდეასთან. როცა პოეტი ქართველი ხალხის აღორძინების სურათს
 ხატავს, იგი მკაფიოდ გამოსთქვამს ქართველი ხალხის მადლიერებისა და
 სიყვარულის გრძნობას დიდი რუსი ხალხისადმი, რომელიც სათავეში
 ჩაუდგა ყველა ჩაგრულისა და დამონებულის განთავისუფლებისათვის.
 ბრძოლის საქმეს:

„მაგრამ მოგესმა ძახილი მიწის,
 დიდი ლენინის გენია რომ შვა,
 და როგორც მოძმეს, ვაეცაცურ ფიცით
 გამოგიწოდა ოქტომბრის დროშა“.

ამბობს პოეტი საქართველოს მისამართით.

თანაბარი მშობლიური სიყვარულით უმღერის ილო მოსაშვილი სა-
 ქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებზე მებრძოლ გმირებს, თუ მოძმე
 უკრაინის ველების სახელოვან ადამიანებს. ამ მხრივ დამახასიათებელია
 მისი შესანიშნავი ლექსი „მარია დემჩენკოს“, რომელშიაც პოეტი ღრმად
 ღირითული სახეებით გადმოგვცემს სოციალისტური შრომის ექსტაზით
 აღფრთოვანებულ გმირის ბუნებას:

„მინდორზე ორთქლი რძესავით იწვა,
 მინდორზე დილა დნებოდა რძეში
 და ხელისგულზე გამოტბარი მიწა
 თვითველ ნურგთან მიგჭონდა პეშვით“.

და როცა ღამეს, დაცემულს პირქვე,
 შავი ტოტები გაეწყო ცამდი,
 შენ, მიწოლილი ბალახზე იჭვე,
 ღია თვალებით ვარსკვლავებს სვამდი“.

ისეთივე სიყვარულით და გატაცებით, როგორითაც მოსაშვილი კქმნის კოლხეთის ველზე წარმოებული გმირული შრომის ამსახველ პროეტურ სახეებს, ხატავს იგი ბელორუსიის ჰეიზაეებს, მოძმე ტყვეობის ხალხის განათლებულ ყოფაცხოვრების სურათებს, ამ ხალხს — კმნის რევოლუციური წარსულის წარმტაც ეპიზოდებს.

მთელს ქართულ საბჭოთა პოეზიასთან ერთად ილო მოსაშვილი აღდროვანებული გმირობისა და ვაჟკაცობის სულით გამსჭვალული ლექსით გამოეხმაურა ესპანეთის ხალხის გმირულ ბრძოლას ფაშისტის ინტერვენტების წინააღმდეგ. ეს ლექსი იმითაა შესანიშნავი, რომ იგი რესპუბლიკური ესპანეთის ბრძოლას ხატავს, როგორც მთელს მსოფლიოში წარმოებულ ორი სამყაროს ურთიერთ შეჯახების ერთერთ ეპიზოდს და ესპანეთში ამჟამად დანთებულ სამოქალაქო ომის ცეცხლს განიცდის, როგორც ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეების გამოძახილს და გაგრძელებას.

ილო მოსაშვილის პოეზია უმთავრესად პოლიტიკური ლირიკის ეანრით ხასიათდება. მაგრამ მისი პოეტური დიპაზონი შეიცავს აგრეთვე მახვილად გამოვყვითილ პეიზაჟებსაც, ინტიმურ-ლირიკულ განცდათა მძაფრ ანარეკლსაც, ყოფითი მასალებზე აგებულ ლექსებსაც. ამ მხრივ მისი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ — „ღამე გომბორზე“, „ლექური სიმღერები, ალაზნის პირას“ და მრავალი სხვა. მოსაშვილს აქვს ბუნების დიდი უშუალო განცდა და ბუნების სტიქიის მხატვრობაში იგი ხშირად ღრმა ექსპრესიას აღწევს: აი სანიმუშოდ ერთი ადგილი ლექსიდან: „თბილისის წვიმა“:

„წვიმა უზღის და გარკველებს დაფქულს
ტოტებზე ჰკიდებს ჭიჭის წყარუნით,
ტაბახმელიდან მოვარდნილ ზაფხულს
ტფილისის თაეზე გააქვს თქარუნი.
თითქო მოადგა შვიი ნახირი
ოქროყანაზე გაშლილ ჯეჯილებს,
აღშვეს ხარი და ცა ძახილით
შეხის ნაბეებს ლაგლუჯინეს“.

ასევე მძაფრ დინამიურ სურათებს ხატავს პოეტი პირად ინტიმურ განცდების ასასახავად. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ლექსი „სიყვარული უცებ“.

„შემოგიტოვლებს, შეგაფრიალებს,
ბელებით აგავსებს მკერდსა და ნეკნებს;
მერე: მოშუშავს ყველა იარებს
და სახსრებიდან ამოჭყრის ეკლებს.“

„შემოვა გულში, აატრენს იმედს;
ჩაჯდება შივ და იღარ ამოვი,
დააწყარუნებს უჩინარ სიმებს
თეთრი დილა, თუ საღამოა“.

ამ ლექსში მოსაშვილმა მოგვცა ფაეისებური პოეტური ინტერპრეტაცია ლირიკული პოეზიის ამ მარადიულ თემისა.

ილო მოსაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი შეიკუთვნება ლექსს „ქალაქი ტყეში“; იგი განზოგადოებულნი, სიმბოლურად გამოხატული აზრის შემცველი პოეტური ნაწარმოებია. პოეტი ხატავს ბუნების უშუალოდ მძაფრ სურათს და მისდამი დაპირისპირებულ ინდუსტრიის ძალას. შესაფერად მუქი და პატრიარქალური იდილიის გადმომცემი პოეტურ საშუალებებით შეცვევართ პოეტს პირველყოფილ ბუნების მძვინვარე სამყაროში.

„შეშოვა გმირი, აიღებს ფიცარს
მუხის ფესვებზე ხარაზის დარგავს,
სდვას და ირმების გატყენილ მიწას
განთიადამდე კედლებით ქარგავს.
გარბის ნადირი, ტყვისაც, მდელოსაც
ქარი შემოპგვის წვედიადის ნაცარს
და მოაქვს მთვარე უცნობ ზელოსანს,
რომ სვეტს შეაბას ქალაქის ბაღში“.

ჩვენი გმირული სინამდვილის საბრძოლო ამოცანების საპასუხოდ დაწყვილი, ღრმად ემოციურ, იდეურად მახვილ ლექსებთან ერთად, სიმბოლიურ — განზოგადოებული აზრის ლექსები, პოეტური პეიზაჟები, — ლირიკულ-ინტიმური განცდების პოეტური ანარეკლი, — ასეთია მოსაშვილის შემოქმედებითი დიაპაზონი.



ილო მოსაშვილი საბჭოთა ეპოქაში იღვრდილ და დავაყვაცებულ შემოქმედებით თაობას შეიკუთვნება. მაგრამ თავისი პოეტური ბიოგრაფიის პირველ საფეხურებზე იგი, როგორც ჩვენი უპარტიო მხატვრული ინტელიგენციის უმრავლესობა, ჯერ კიდევ შორს იდგა სოციალისტური პოეზიის იდეურ პოზიციებისაგან, მუშათა კლასის მსოფლმხედველობისაგან.

შემოქმედებითი ყალიბობის დასაწყისში მოსაშვილი სწერს ლექსებს სოფლის ყოფაცხოვრებით მასალებზე. ეს ლექსები მოკლებული არიან სოციალურ სიმახვილეს და პრობლემურობას. შემდეგ პოეტი შორდება სოფელს და ამ დაშორების ტკივილს გამოხატავს ლექსების მთელ ციკლში. აქ არის რომანტიული შეფარდება სოფლის იდილიისა, აქ არის რაღაც ესენიური სეედა წარსულზე, ბავშვობის გულუბრყვილო დღეებზე, პრიმიტივზე:

„ჩემო სოფელო, ჩემო კერაო,
მეძნელებოდა შენი დათმობა;
გაზების ქალა უსაფერაო
და მაჭრიანი რთვლების ატმობა“.

ჩვენი საყდარიც ველარა ვნახე,
ვინ იცის, რამდენ ღამურას იტევს.
მე იქ ბავშობას ვაგებდი მახეს
და კაცანათით ვიჭერდი ჩიტებს“.



საქართველოს
მწიგნობართა კავშირი

პოეტის იდეურ-შემოქმედებითი განვითარების შემდეგი პერიოდი შინაგან წინააღმდეგობათა „საულელტეხილო“ საფეხურს წარმოადგენს. პოეტი უახლოვდება რევოლუციას, როგორც მოვარდნილ ქარიშხალს, რომელსაც პოეტი ჯერ კიდევ რაღაც სტიქიის სახით განიცდის:

„აღარც ბიჭები ფეხშიშველები...
აღარც ხბორები, აღარც თოლია,
მოვიდა კაცი რკინის ხელებით
და სულ სხვა გზაზე გაიყოლია“.

მომდევნო ლექსებში პოეტი უკვე გაბედულად მიჰყვება ამ „სხვა გზას“:

„თან მომაქვს გული რკინაწარვეი
და სიტყვა ცეცხლთან ნაალერსევი,
დევ, გრივალში ოქროს ზარივით
რეკდენ, აქოდენ ჩემი ლექსები“.

მერყეობის, ტკივილებისა და წინააღმდეგობათა ამ პერიოდს მოჰყვება ერთის მხრივ ლექსები, მიძღვნილი სოციალისტური მშენებლობის თემებისადმი („არშულა“, „ზაპეს, შენ გიმღერ“ „მინდვრები ეძახიან პოეტს“ და სხვ.) და მეორეს მხრივ — განყენებული, სოციალურ სიმახვილეს მოკლებული პეიზაჟები. ეს ორი პლანი მოსაშვილის პოეზიაში თითქოს ებრძვის და ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

უკანასკნელი წლების მანძილზე მოსაშვილმა დიდის თანმიმდევრობით და პრინციპიალობით დასძლია ესთეტიზმის ტრადიციები და გადაჭრით დადგა პოლიტიკური ლირიკის ნიადაგზე.

არა ერთ ლექსში გამოხატა ილო მოსაშვილმა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის წინააღმდეგობებით დასერილი გზა. ამ ლექსთა ციკლიდან ყველაზე ძლიერი და მკაფიო ლექსი არის „ოქტომბრის თაობა“, რადგან აქ პოეტის შემოქმედებით მომწიფებასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ აგრეთვე პოეტის სრულ იდეურ დაკავშირებას სოციალისტური რევოლუციის მიზნებთან და ამოცანებთან, საბჭოთა ხალხის დიად იდეებთან:

„სად არ მივლია, რა ცეცხლი მწვავდა
მოხეტიალე ლამაზელ რაინდს,
მაგრამ ჭიდილში საკუთარ თავთან,
ქარის წისქვილებს ვაჯობე მაინც.
ამოვიდალე მკერდიდან ზორცი,
და შეინახე წმინდა რაც არი,
ორმოცი წლიდან პირველი ოცი
ქარს წაუღია, როგორც ნაცარი“.

პოეტი ღრმა ალტაცებით ლაპარაკობს ოქტომბრის თაობის გმირულ საქმეთა შესახებ:

„სდგებარ და სადაც მარჯვენას დაგვაქ
მზე თავის მადანს ამოლაგებს,
და ხელშორედ მიწაზე ქარგავ
უდაბნოებში წაშლილ ქალაქებს“.



პოეტი თავს გრძნობს ამ საგმირო საქმეთა მონაწილედ, ოქტომბრის თაობის თანატოლად და თანამებრძოლად:

„ზოგჯერ მგონია, შენი ტოლი ვარ,
ზოგჯერ — მეორედ მოსული ბავში“.

და მართლაც, სოციალისტური პოეზიის ფორმებზე ილო მოსაშვილი სდგას საბჭოთა ეპოქის მოწინავე ქართველ ოსტატთა რიგში. მისი ლექსი ღრმად ემოციურია, მისი პოეტური საღებავი ნათელია და გამჭვირვალე. იგი ფორმის გულმოდგინე ოსტატია. იშვიათად თუ მოუნახავთ მას „ჩა-ვარდნილ“ სტრიქონს, რითმისა და რიტმის დისონანს. კიდევ ერთი ღირსება აქვს ილო მოსაშვილის ლექსს: იგი ბუნებრივად მდინარებს, მასში არ იგრძნობა ნაძალადევი და ხელოვნური ხმა.

ქართული პოეზიის კლასიკოსებისაგან ყველაზე მეტ ნათესაობას ილო მოსაშვილი ვაჟა-ფშაველასთან განიცდის. მისი ლექსი ზოგჯერ ისწრაფვის ხალხური პოეზიის სათავეებისაკენ, თუმცა მისი პოეტური ფორმა მოდერნული ლექსის კულტურის ნიადაგზეა ჩამოყალიბებული.

ილო მოსაშვილს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი პოეტური ევოლუცია. ვინც მის პოეზიას გაეცნობა, დარწმუნდება, რომ პოეტის პოტენცია გაცილებით მეტია იმაზე, რაც მას დღემდე მოუცია.

უეჭველია, რომ სოციალისტური სინამდვილის თემებზე შემდგომი მუშაობა მეტს მრავალფეროვნებას შეიტანს მის პოეტურ საშუალებათა არსენალში, უფრო კონკრეტულ — სახეობრივ ხასიათს მისცემს მის ლექსებს.

ჩვენ საფუძველი გვაქვს მოველოდეთ მოსაშვილისაგან ფართო ეპიურ პოეტურ ქმნილებებსაც ჩვენი გმირული სინამდვილის თემებზე. მას ჭონდა ამ მხრივ უეჭველად საინტერესო ცდა, რომელიც პოეტმა მომავალში უნდა განაგრძოს და გააღრმავოს.

დამიტრი ბანაშვილი

საგო კლიაშვილი

მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე დაიხურა დიდი წიგნი ქართული კლასიკური პროზისა. დავით კლიაშვილი და შიო არაგვისპირელი ამ შესანიშნავი პროზის უკანასკნელი მესიტყვენი იყვნენ: ისინი კიდევ აცოცხლებდნენ კლასიკური პროზის ელვარებას, მაგრამ მათმა დიდმა ნიჭმა ველარ უშველა დაკნინების გზაზე დამდგარ ბელეტრისტულ ფანრს. ჯანსაღ კლასიკურ პროზას სცვლის „ბელეტრისტული“ სუროვატი. ქეშმარიტი რეალისტური ბელეტრისტიკის ადგილს იკავებს უღლეური, მისტიციზმით გაყვნილი და რეალურ საფუძველს მოკლებული „ფსიქოლოგიური“ ნოველები, სიმბოლისტური მისტერიები და პესიმისტური დღიურები, ფანტასტიური ფრაგმენტები და ღირებულებას მოკლებული უსიუფეტო მოთხრობები, შინაარსს მოკლებული ესკიზები და უიდეო ამინიატიურები. აქ აღარ სცემდა კლასიკური პროზის მაცოცხლებელი ძარღვი. ნაწარმოების კითხვის დროს მკითხველის გონებაში ფერმკრთალად რჩებოდა მხოლოდ ლანდები მოთხრობაში მომქმედ ადამიანებისა. უკიდურეს შემთხვევაში ეს ლანდებიც კითხვის პროცესშივე ჰქრებოდნენ. ტიპები იკარგებოდნენ თვალსა და ხელ-შუა. პროგრესიული დიდი მიზნები და იდეები, რომლებიც ამოძრავებდნენ და ამოძრავებენ ქეშმარიტ მხატვრულ ლიტერატურას, განიდევნა შემოქმედების სფეროდან. ამიერიდან ჩაჰჭრა იდეების დიდებული ლამპარი, რომელიც აშუქებდა მხატვრული შემოქმედების ყველა საკითხს. იდეური ელემენტის უარყოფამ ბუნებრივად გამოიწვია ტექნიკური ელემენტების დაკნინება პროზაში. სიუჟეტი, ეს არსებითი ნიშანი ოსტატობისა, თანდათან დასუსტდა და ბოლოს სრულიად განიდევნა მოთხრობებში.

მწერლობა დაშორდა ხალხს, და ასე გაჩნდა უფსკრული ნამდვილ ცხოვრებასა და მწერლობას შორის. ეს იყო დეკადენსის დასაწყისი ქართულ, ისტორიულად ძარღვმავარ ლიტერატურაში. რეალისტური პროზა, ამ სიტყვის მხატვრული და სოციალური მნიშვნელობით, სრულიად განიდევნა სამწერლო ასპარეზიდან. ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ ამ ატმოსფეროში მოგვაგონებდა უკანასკნელ გაელვებას.

ქართული პროზის, კერძოდ კი ბელეტრისტიკის ეს კრიზისი გრძელდება 1921 წლამდე. სოციალისტური წყობილების გამარჯვებამ და დიდმა იდეურ-სოციალურმა ძვრებმა ახალე ძალით აღადგინეს ქვეშარტი რეალისტური პროზა. ამის შემდეგ დაიწყო ზეალმეფარის სახელწოდებით ქართულ ბელეტრისტიკაში.

ქართულ საბჭოთა ბელეტრისტიკის განვითარებაში და გამარჯვებაში ერთ-ერთ უთვისაჩინოეს როლს თამაშობდა და თამაშობს სერგო კლდიაშვილი. ტყუილად როდი იტყოდა ხოლმე მოხუცი დავითი: კლდიაშვილების ოჯახს ორი მწერალი ემართაო. თუ მამას წილად ხვდა დიდი მხატვრის თვლით ეჩვენებინა მკითხველისათვის ისტორიული პროცესები, რომელთაც საფუძველი გამოაცალეს ოდესღაც დიდებით მოსილ თავად-აზნაურულ საზოგადოებას და ამ საზოგადოების წარმომადგენელნი გარდააქციეს „სასაცილო ადამიანებად“, სამაგიეროდ შეიღს ბედმა არგუნა ყოფილიყო არა მარტო მოწმე, არამედ მონაწილე და მხატვრული ამსახველი იმ დიდი პროცესებისა, რომლებმაც წარმოშვეს სერგო კლდიაშვილის მხატვრული ტიპები ბურჟუაზიული საზოგადოების ნგრევისა და სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე.

დავით კლდიაშვილის დიდებულ ჰუმორში ჩვენ ვკითხულობთ დროის სასტიკ განაჩენს თავად-აზნაურული საზოგადოების მიმართ. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რამაც დავითს ნაღვლიანად ათქმეინა თავის გამორებზე: „ისინი შესაბრალისი იქნებოდნენ, რომ სასაცილონი არ ყოფილიყვნენო“. იგივე სიტყვები უფრო მძაფრ ფორმებში, მხოლოდ შებრუნებული მნიშვნელობით, შეედლო ვაემეორებინა სერგო კლდიაშვილს თავის გმირებზე.

სერგო კლდიაშვილი ჩვენი დიდი სტალინური ეპოქის იდეების სიმალლიდან უმზერს და შესანიშნავად ხატავს ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს სოციალური ფუნქცია და გარდაიქმნენ ზორცმეტებად სოციალისტური საზოგადოებისათვის.

როცა კლდიაშვილის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება, ერთ გარემოებას არ ვაესვას ხაზი — დავით კლდიაშვილის მემკვიდრეობის როლს სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში. მამისაგან მემკვიდრეობით სერგო კლდიაშვილმა მიიღო დიდი გამოცდილება. დავითის, შეიძლება ითქვას, გენიალური ჰუმორი, ტიპების ხატვის დროს სერგო კლდიაშვილმა ახალი თვისებებით, ახალი ძალით აღადგინა. ჩვენი აზრით, ამიერიდან არის საინტერესო და საყურადღებო სერგო კლდიაშვილის შემოქმედება. ამ თვალსაზრისით „აბესალომ ნახუცარი“ სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში ერთი უბრწყინვალესი ნაწარმოებია. ამ მკირემოცულობის მოთხრობაში მწერალმა დიდებულად გამოამჟღავნა თავისი მხატვრული ძალა. მამაო გიორგი და აბესალომ ნახუცარა, როგორც ადამიანები, ძველი დროის პირმშო შეილები არიან. სოციალისტურმა ცხოვრებამ მათ სიცოცხლეს პირვანდელი ფუნქცია დაუკარგა და ოდესღაც სულიერი ცხოვრების მღალადებელნი იწყებენ მიკიტნობას. მაგ-

რამ გზა სამღვდელთა კათედრიდან სამიკიტნო დახლამდე მათ ისე გაიარეს, რომ სინდისის ქვეშ არ უფრძენიათ, თითქოს ეს იყო ლოგიკური დასასრული მათი ცხოვრებისა. ახალი დროის ზარბაზნები მათ დალაქის სამართებელმა უფრო აგრძნობინა, ვიდრე სამართებელმა. ათეული წლობით მოუპარსავ ლოყას ცივად შეეხო დალაქის სამართებელი, და თითქოს მათ მოპარსულ წვერს თან გაატანეს ფიქრი და დარდი ძველ დროზე.

მაგრამ კლდიაშვილისათვის ყოველივე ეს მხოლოდ ერთი მხარეა ტიპების იდეურ მიმართებისათვის, ამ ტიპების ასახვის დროს კლდიაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მეორე მხარეს. ეგრეთწოდებულ გარეგან სამოსელს, რომელშიაც ყველაზე მეტად ჩანს ტიპების ხასიათი და დროის კოლორიტი. სწორედ აქ შეღავნდება რეალისტური აღლო და ზომიერების გრძნობა თითონ მწერლისა. დალაქისა და მამაო გიორგის საუბარი აბესალომ ნახუცარაზე წარმოადგენს მაკოცხლებელ ძარღვს ამ ტიპების გარეგან სამოსლის მხატვრულ ჩვენებაში. სერგო კლდიაშვილის დიდებული ჰუმორი მთელი ძალით სწორედ აქ იჩენს თავს. ამ ჰუმორიტ ჰუმორში ჩვენ ვკითხულობთ ჩვენი დროის სასტიკ განაჩენს ძველის ცხოვრების მიერ დაღდასმულ ადამიანური ნარჩენების მიმართ.

არა ნაკლებ საყურადღებოა სერგო კლდიაშვილის მეორე მოთხრობა — „სარდიონ შოშიას ვენებანი“. სათაურშივე მწერალი წინასწარ იძლევა ორიენტაციას ტიპის ხასიათზე. ერთ ადამიანში ხასიათთა და განწყობილებათა კონტრასტების გზით სერგო კლდიაშვილი ჰქმნის კონფლიქტების მთელ წყებას. შინაგანი სურვილი და ობიექტური მოქმედება სარდიონისა ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან: სურვილით სხვა სურს, მოქმედებით კი სურვილის წინააღმდეგ მოქმედებს. შინაგანი განწყობილებისა და ობიექტური მოქმედების მიჯნაზე ჰქმნება იმნაირი კონფლიქტები, რომლებიც ადამიანს სასაცილოდ ხდის. ღვთის მორწმუნე სარდიონ შოშია მზად არის ღმერთთან დადებული ფიცი გასტეხოს საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით და ამავე დროს სხვის დასანახად აქოს ჩვენი თანამედროვეობა. რომლისაც მას არაფერი არ სჯერა... ეს მოქმედება სარდიონმა გამოხატა სიტყვებით: „ღმერთსაც გუნდრუკი და ეშმაკსაც“. შინაგან „მე“-სა და პრაქტიკულ მოქმედებას შორის წინააღმდეგობის მთელი არსი ძლიერი ჰუმორით არის მოცემული. ამ აზრით შეიძლება ითქვას მოთხრობა „სარდიონ შოშიას ვენებანი“ მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში „პროვინციის მთვარე“ და „ფერფლი“ წარმოადგენენ ერთგვარ უღელტეხილს რომანტიულ სტილიდან რეალიზმისაკენ. „პროვინციის მთვარეში“ კლდიაშვილმა სცადა რეალისტურ-მხატვრული ასახვა იმ პროცესებისა, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას-

თან საქართველოში. მოვლენებისა და ტიპების აღწერის დროს შწერალი აქ უდიდეს მხატვრულ ოსტატობას იჩენს. ავტორს შეეძინა მთავად აქვს მოცემული ბურჟუაზიული ყოფის რღვევა და აქვეყნდება ფსიქოლოგიური გარდატეხა ადამიანებში. „პროვინციის მღვდელმთავრის“ აღწერილი მდგომარეობა და ადამიანები შეიძლება ტიპურად ჩაითვალოს იმდროის საბჭოთა საქართველოსათვის, და არსად ისე არ შეღავნდება შწერლის მხატვრული ძალა, როგორც ტიპური ურთიერთობისა და თვით ტიპების აღწერის დროს.

მოთხრობის მოქმედების ფონად აღებულია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები საქართველოში. ნაწარმოების მთავარი გმირი, სიმონი, თავისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობით „ნუპ-მანია“. სიმონმა ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა დაიწყო ჯერ კიდევ მენშევიზმის ბატონობის პერიოდში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში მან მოახერხა სიმდიდრის შექმნა. სიმდიდრისადმი სიყვარულმა სიმონში ჩაჰკლა ადამიანობა, სწრაფვა გამდიდრებისაკენ მან გადააქცია სიცოცხლის ერთადერთ დანიშნულებად. სიმონმა კარგად იცის ფულის ძალა. სიმდიდრე ამ ადამიანის წინაშე აღიმართა, როგორც სამღვთო კერპი, და მუხლებზე დამხობილი იგი მზად არის ილოცოს ამ კერპის წინაშე. სიმდიდრის ძიებაში სიმონმა საკუთარ ორგანიზმში ჩაახშო ყველა გრძნობა, მოგებისადმი სიყვარულის გრძნობის გარდა. მის სულში ძველებურად აღარა ეღერენ ადამიანური სიმები. სიმდიდრემ სიმონს მძიმე ვალდებულება დააკისრა და იგი მზადაა მთელ ქვეყანას ამცნოს საკუთარი თავის ხელახალი დაბადება.

„რაც სიზმარში არ მინახავს, ისა მაქვს და ისა ვარ... ამოვძვერი მიწიდან, მზეს შევხედე. და ახლა მეც კაცი ვარ, კაცი კაცებში. წინათ კი? მძორი — მეტი არაფერი! რა გუყო, რომ მამა მიიკიბანი მყავდა და ბოთლებში ღვინის გადასხმის მეტი არაფერი მასწავლა... ფლეს კაცი ვარ კაცებში... ხორცი უნდა გესხას, ხელებში ღონე უნდა გქონდეს. სხვა ყველაფერი მოვა. ასე კი არ ვარგა, შენ რომ ხარ, ცინდალივით ხარ. ხორცი უნდა შეისხა, სხვა ყველაფერი მოვა. თუ არ მოვა, მოვათრევე, ყურით მოვათრევე. ხელებში ღონე უნდა გქონდეს. პირველი აგური მე დაედე, როცა ქარხანა ავაშენე. აგურის აწევას ღონე სჭირდება. ღონე უნდა ქონდეს; მქონდა და დავდეგი. მზეზე ამოვედი, მზეს შევხედე და ძირს აღარ ჩავეჭრები. წინად მზე თვალს მჭრიდა, ახლა მხოლოდ მზეზე გამოხედვა შემიძლია. მოვრალი ვარ? ვინ მოგახსენა! მთვრალი კი არა ვარ, ჭვეყანა მეცოტაყება. მზრები მაქვს განიერი, მყერი მაქვს ღონიერი, რომ დავეტაკო, გავიტან გულით. მხოლოდ ახლა ვიწვევ ცხოვრებას, აჭამდე არ მიცხოვრია. არ მეგონა, თუ ამდენი სურვილები მექნებოდა... ახლა ვაუმძადარი ვარ, ყველაფერი მინდა... სიცოცხლე ასე კარგი ყოფილა. ბნელმა როგორ უნდა შეგაშინოს? ორმოცი წელიწადი პნელში ვიყავი. გარეთ მზე იყო, მე კი ბნელაში; მზე ზევით ამოსვლას მიშლიდა... ამოვძვერი და აღარ ჩავეჭრები“.

ეს იყო პირველი, რალაც ბოროტი სიხარული გამდიდრებული ადამიანისა, რომელმაც სიმდიდრე საღმრთო კერპად გადააქცია. სიმონს, რო-

გორც ბურჟუას, სძულს 'ყოველგვარი ადამიანური და კაცობრიული. უფრო მეტიც: იგი მტრულად არის განწყობილი მის ვარემო მყოფ საზოგადოებისადმი. როგორც მწარმოებელი მესაკუთრის, ვარემოს, რომ მის ირგვლივ შეიქმნა არა ჯანსაღი ატმოსფერო, სადაც ხარბი სუნთქვა შეუძლებელია. სიმონს ყველაზე მეტად სტანჯავდა ფიქრი, თუ როგორ გაუძლებდა მოახლოვებულ სოციალისტურ რევოლუციას. სიმონი ინსტიქტით გრძნობდა, რომ თანდათან ახლოვდებოდა რაღაც ხმა, „ძლიერი და ყველაზე საშიში. ეს ხმა ყვიროდა იმ დაუნდობ ქარტეხილზე, რომელიც ახლოვდებოდა და წალეკით ეშუქებოდა ყველაფერს, რაც ზღუდით დაუდგებოდა.“ სიმონი კი ზღუდელ იყო ამართული რევოლუციის წინსვლის გზაზე. მოახლოვებული საფრთხის წინაშე სიმონი თრთის, მაგრამ სულით არ ეცემა: „ნუ თუ ყველაფერი უნდა გაპქრეს და ისე უეცრად დასრულდეს ბედნიერება, რა სისწრაფითაც მოველინა?! ბედო, ქარივით მოვარდნილო, რამდენი ხნით შეჩერდი აქ, შემდეგ კი ვნახოთ, საით გაიწევ და სადამდე გაზრდი შენ საზღვრებს“. სიმონს ყოველდღიურად აწუხებდა ფიქრი ვალარიზებისა. მას არ შეუძლიან გულდინჯად უცქიროს ვაკოტრების მტანჯველ პროცესს. ამ ინსტიქტიურმა შიშმა იგი საომარ მდგომარეობაში ჩააყენა: მიხვდა, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო სიბოძის და მყუდროების დამკვიდრებისა. ბედნიერების ნავთსადგურამდე დარჩენია საკმაოდ გრძელი მანძილი. იქ, იმ ბედნიერების ნავთსადგურთან მისასვლელად საჭიროა ბრძოლა ყველა საშუალებით და მეთოდით. ამ მიზნით სიმონი საჩქაროდ შეუდგა ქარხნის აგებას. ყოველი ახალი აგური, რომელიც ქვედა აგურზე იდებოდა, ახალ სიხარულსა და სრული ბედნიერების მოახლოებას უდრიდა.

სხვებისაგან დაფარულად სიმონი უაღერსებდა კედლებს... მის ყურს ესმოდა ორთქლის სადენი მილების გუგუნის. ეს გუგუნის იყო მისი ადამიანური სტიქია. იგი აღვიძებდა სიმონის სულს. პატივმოყვარე ფიქრობდა, რომ ამ ხმას მთელი ქალაქი გაიგონებდა. ეს ხმა, რომელიც სიმონის გულისცემას ჰგავს, მოქალაქეებს ყოველ წუთს მოაგონებდა სიმონის სახელს: „დღე და ღამ იმუშავენ ის, ორთქლი განუწყვეტელ იგუგუნებს და არ იქნება წუთი, როცა სიმონის სახელი ქალაქზე არ იხმაურებს. ყველას, ვინც თუნდაც წუთით განმარტოებას მოინდომებს, ორთქლი გამოაფხიზლებს და სიმონის სახელს ჩასძახებს. დაგვიანებული მგზავრი, ქუჩაში მოარული მოქალაქენი უნებურად გაიმეორებენ ორთქლის გუგუნთან ერთად სიმონის სახელს“. სიმონმა, როგორც კერძო მწარმოებელმა, კარგად იცის გზა, რომელიც მას გამდიდრების იდეალებთან ახლოებს, მაგრამ გრძნობს, რომ არსებული ცხოვრება ამ იდეალებს ანერევეს და ანადგურებს.

სიმონი თავის ოცნებაში ჰქმნის ახალ, რეალურ ქვეყნისაგან განსხვავებულ სამყაროს, სადაც ოცნება ხორცს იხმამს და ნახევრად კუსტარულ წარმოებიდან იქმნება მძლავრი და უკვდავი საწარმოო გიგანტები. ამ გიგანტების საშუალებით სურს თავისი ანგარებისა და წვრილ-

მანი ეგონიზმის გრძნობის ბრწყინვალე შარავანდედით შემოსავა ფანტაზიის ძალით სიმონს ეჩვენება, რომ, აი უკვე მიიღწია კოცნა და ამას, მაგრამ, მისივე წარმოდგენით, ეს იყო ნახევრად გამარჯვება, სრულყოფილობას ხელს უშლიდა მისი უკულტურობა, როგორც ადამიანისა, სიმონი გრძნობდა, რომ მისი პიროვნული კულტურა დიდი მანძილით ჩამორჩებოდა მის ეკონომიურ მდგომარეობას. ყველაზე მეტად ეს უთანასწორობა მაშინ იგრძნო, როდესაც რაღაც ბედისწერის ძალით მის ცხოვრებაში მაგდას სახით ახალი ყოფისა და ტრადიციის ადამიანი შეიჭრა. მაგდასთან ურთიერთობაში სიმონი ცდილობს კულტურულ ჩვევების შეთვისებას, მაგრამ ეს იყო, არა მისი შინაგანი მოთხოვნილება, არამედ ძალით შეთვისებული გარეგანი ბრწყინვალეობა, რომელიც მაგდასთან ვანზორების წუთებშივე უკვალოდ ჰქრებოდა. მაგდა მას უყვარდა არა როგორც მეგობარი, არამედ მისი ლამაზი სხეულისათვის.

მაგრამ სიმონს, როგორც კერძო მწარმოებელს, ყველაზე მეტად სტანჯავდა ფიქრი მოახლოვებულ რევოლუციაზე; მას ყოველ წუთში ყურში ჩასძახოდა რაღაც იდუმალი ხმა. „ეს ხმა ყვიროდა იმ დაუნდობ ქარტეხილზე, რომელიც ახლოვდებოდა და წალეკით ემუქრებოდა ყველაფერს, რაც ზღუდეთ დაუდგებოდა... ჩვეულებრივ ღამით, როცა ანგარიში მოათავა, სავარძელში ჩამჯდარი ოცნებობდა იმ მომავალ ქარხანაზე, რომელიც გაიზარდა, გაფართოვდა და რომელმაც დიდი მოგება მისცა. ამაზე ფიქრის დროს უცაბედათ შემოიჭრა ეჭვი და გაიგონა ხმა, რომ ეს არასოდეს მოხდება. პირველად იგრძნო თავი განუყრელად და უძღურად ბრძოლაში იმ ძალასთან, რომელიც ახლოვდებოდა. ცდილობდა მოეშორებინა ეჭვი, დაჯერებულიყო თავის ძლიერებაში, მაგრამ უიმედობა უფრო და უფრო ეჭიდებოდა“. სიმონის ცხოვრებას თანდათან უახლოვდება კატასტროფა. ხევის ქალაქი ხდებოდა სოციალური ინდუსტრიის მძლავრ კერად.

სიმონი ხედავდა, რომ „ცისკენ ამართული ახალი გიგანტები ვერ ეტეოდნენ ხევის ქალაქის ვიწრო კალაპოტში და სართულების სიმაღლით სივრცეს იპყრობდნენ“. ამ ნიადაგზე სიმონმა დაკარგა სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა, ეძებდა გულშემატკივარ ადამიანს, რომ ვაეშვილა შიში. იგი გაბოროტებული დაიარებოდა, ეზიზღებოდა ყველაფერი. შესძავდა თავისი პატარა ქარხანაც მისი უმწეობისათვის. ვალარიზების შემადარწუნებელი შიში ჯოჯოხეთური ძალით სტანჯავდა.

ბრძოლა ორ სისტემას შორის დასრულდა სიმონის დამარცხებით. „პროვინციის მთვარეში“ მკითხველის ყურადღებას იპყრობს მაგდას ტკბი. წარმოშობით და მდგომარეობით მაგდა, ეს უმშვენიერესი ახალგაზრდა ქალი, ეკუთვნის იმ წრეს, რომელიც ანტაგონისტურად იყო განწყობილი სოციალისტური რევოლუციის ინტერესებთან. 1921 წელს მაგდა გაექცა ბოლშევიკურ ტფილისს და თავი შეაფარა ხევის ქალაქს. სიმონის სახლი მაგდასთვის გადაიქცა თავშესაფარად, სადაც შეიძლება-

და იმ გრძნობების თავიდან მოშორება, რომლებიც მის სულში რევოლუციონურმა ტფილისმა დაბადა. მაგრამ ქილურე ინსტიტუტი მაგდას აგრძნობინებდა, რომ ხევის ქალაქში ჩამოსვლა მისთვის სასარგებლო იყო. სწორედ აქ, პროვინციის ამ ქალაქში უნდა გადაწყვეტილიყო მაგდას ბედი, როგორც ქალისა: მაგდა თავის არისტოკრატიული შეგნების სიმალიდან ამჩნევდა ზღვარს, რომელიც არსებობდა მასა და სიმონს შორის. ეს გრძნობა მას ამშვიდებდა. მაგრამ როგორც კეკელიანი ადამიანი, ხედავდა, რომ ეკონომიური უპირატესობა სიმონისა ქალს მონურ მდგომარეობაში აგდებდა. სიმდიდრე შლიდა ზღვარს მაგდასა და სიმონს შორის. ეს ინსტიტუტი შეგნება ქალის სულიერ სამყაროს აფორიაქებდა. მაგდას სიმონი არ უყვარდა. უფრო მეტიც: ქალს სძაგდა იგი. სიმონის სიმდიდრის მოყვარული გრძნობა, რომელიც ათასგვარ მსხვერპლს ითხოვდა მის გარშემო მყოფ ადამიანებისაგან, მაგდაში ზიზღს იწვევდა. ამ გრძნობას ხელს უწყობდა დიდი ხნის სიყვარული მაგდას მიერ მიტოვებულ ტფილისში დარჩენილ ახალგაზრდა მიჯნურისა. აქ, ბოლშევიკურ ტფილისში, მას ეგულებოდა გულის სატრფო. ერთ მშვენიერ დღეს მაგდა დაემშვიდობა ხევის ქალაქს და გამოეშურა ტფილისისაკენ.

„ქალაქი დროშებით და ელნათურებით იყო მორთული... დემონსტრანტების უთვალავი ჯარი მდინარედ მიდიოდა ქალაქის ვიწრო ქუჩაში. მხიარული და ბედნიერი გამოვიდა საღამოს. ხალხის სიმღერამ პირველ წუთში დააფრთხო. ქალაქი ასეთი არასოდეს არ უნახავს. დააფიქვდა ნაცნობებთან წასვლა. ბრბომ მიიზიდა და გაჰყვა. ერენა თავი პატარა ნაფოტად, რომელიც ადიდებულ მდინარეს მიაქვს. ტალღებს თავი მიანდო. თითქოს იგივე ქრებოდა, იგივე სახლები, ვეღაღერი ნაცნობი, მაგრამ მაინც გამოცვლილი და უცნობი. თითქოს სხვა ხალხი მოვიდა. სად იყენენ ისინი აქამდე? ყოველ სიხარულს, რომელიც ათი-ათას გულს აერთებს და თანაბრად ამოძრავებს, თავის სიმართლე აქვს. მაგდა ხედავდა ამ სიხარულში გაერთიანებულ ბრბოს; იცოდა, რომ ხალხი ზეიმობდა გამარჯვებას, მოპოვებულს სისხლითა და თავგანწირვით, მაგრამ გულს ვერ გაეგო და ვერ იზიარებდა... ეს დღესასწაული მან მიიღო მხოლოდ როგორც ფერითული ჩვენება და მიჰყვებოდა ტალღას, არა როგორც ნაწილი, არამედ როგორც გატაცებული მყურებელი — აი, ესეც ტფილისი, ფიქრობდა მაგდა, — ტფილისი, მაგრამ ჩემთვის უცხო... ან ის არის ჩემთვის ზედმეტი, ან მე მისთვის“.

და მართლაც რევოლუციური ტფილისისათვის მაგდა ზედმეტი და უცხო იყო. აქ, საბჭოთა ტფილისში, მაგდამ ვერ იპოვა არისტოკრატიული სულის საზრდო. ერთად-ერთი მოწინააღმდეგე — სქესის სიყვარულის ძალა აკავშირებდა მაგდას ტფილისთან და აქაც ბედმა უმუხტოლა. ამ ნიადაგზე ამ ადამიანში ჩაწყდა შემაკავშირებელი ძარღვი ქალაქთან. ამის შემდეგ ქალს უნდა გაქცევა ტფილისიდან. მაგრამ ჯერ კიდევ არ იცის — „სად“? მაგრამ ეს კითხვა მისდა უნებურად უკვე გადაწყვეტილი იყო. ერთად-ერთი თავშესაფარი სიმონის ბინაა. ეს იყო ლოგიკური დასასრული მაგდას მშფოთვარე ცხოვრებისა. მაგრამ მაგდამ ვერც აქ

მონახა დასასვენებელი ნავთსადგური. როგორც შესაფუძვნიერ აღენიშნეთ, ქალს სძაგდა სიმონის „ნუკმანური“ ბუნება, ეკონომიკურმა გაკვირვებამ აიძულა იგი ცოლი გამხდარიყო იმ ადამიანისა, რომელიც მას არ უყვარდა. გამოცდილებამ დაარწმუნა მადგა, რომ საჭირო იყო წინსავალი გზების შეცვლა. ამ რწმენით და იმედით დასტოვა სიმონის ოჯახი და ახალი ცხოვრებისათვის შემოვიდა ტფილისში.

სერგო კლდიაშვილი, როგორც ქეშმარიტი რეალისტი, მოვლენათა და ადამიანთა მხატვრული ასახვის დროს არ გვაძლევს არავითარ დასკვნას განსაზღვრული აზრისათვის. არც მხატვრული კანონებისა და წესების დადგენას ცდილობს. მაგრამ იგი არც გულგრილი მაყურებელია იმ დიდი პროცესებისა, რომლებმაც წარმოშვეს მისი გმირები. ქეშმარიტი მხატვრის თვალთ იგი ცდილობს მოსძებნოს შემაკავშირებელი ძარღვი მოვლენებსა და ადამიანებს შორის. მწერალი წინასწარი განზრახვით თავის შეხედულებებს თავზე არ ახვევს ამ მოვლენებსა და ადამიანებს. წინასწარ განსკვრეტას სერგო კლდიაშვილი იმდენად ავრცელებს ასაწერ მასალაზე, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა თითონ ცხოვრება და ცხოვრებაში მომქმედ ადამიანებზე ფსიქოლოგიური დაკვირვება. სერგო კლდიაშვილი, როგორც შემომქმედი, შორს დგას რეალისტების იმ სკოლისაგან, რომელმაც ეორე ზანდის პირით განაცხადა: „ჩემს არსებაში ვგრძნობ ნიჰს, ისე დაებატო ადამიანები, როგორც მე მსურს“, ასე წინასწარი სურვილით მისელა და მწერლის სუბიექტივიზმის თავზე მოხვევა ტიპებზე შემომქმედს უკარგავს რეალისტურ აღლოსა და ზომიერების გრძნობას. მოვლენის მხატვრული განსკვრეტა უნდა კანონზომიერად გამომდინარეობდეს იმ შთაბეჭდილებებიდან, რომელნიც მწერალმა მიიღო ცხოვრების დაკვირვებიდან. ამ შთაბეჭდილებების რაციონალური ფორმიდან გრძნობათ ფორმაში გადაყვანა წარმოადგენს შემომქმედების დიდ ლაბირინტში შესასვლელი კარის გასაღებს.

შემომქმედების მძიმე პროცესი მწერლისაგან, უპირველეს ყოვლისა, შოითხოვს ზანგრძლივ გამოცდილებასა და დაკვირვებას, გამბედაობასა და მოთმინებას, ფიზიკურ ძალასა და სულიერ გამძლეობას. ტყუილად როდი ამბობდა ბრანდესი, რომ მწერალი ჰგავს „მძლავრ, გიგანტური ძალით მომუშავე ხუროთმოძღვარს“. ამ ხუროთმოძღვრის ხელში მხატვრული სიტყვა წარმოადგენს საღმშენებლო მასალას, რომლითაც იგი აშენებს ადამიანის სულს, ამ ყველაზე უფრო მძაფრსა და ყველაზე უნაზეს ნაწილს ცოცხალი ორგანიზმისას.

შემომქმედების პროცესში მხატვრული ასახვა ადამიანისა უნდა წარიმართოს არა პორტრეტის, არამედ ზოგადი ადამიანის (რომელშიაც სინთეზის გზით შედიან კონკრეტული ადამიანები) შექმნის გზით. თითოეული მოვლენა, თითოეული ადამიანი ცალკე აღებული ხელოვანს არ უნდა მიაჩნდეს საკმარისად მხატვრული სახის შექმნისათვის. იგი მხატვრული ხილვით უნდა იძლეოდეს სინთეზს ისეთი მოვლენებისა, რომლებიც ერთად აღებული ნი გამოხატავენ ახალ თვისებას, რომელიმე დიდი მოვლე-

ნისას ან დიდი პიროვნებისას. მხოლოდ მაშინ, როდესაც მწერალი მოვლენათა და საგანთა ასახვის დროს მიდის ასაწერ ობიექტის რეალურ ტიპიურ გარემოში და ტიპიურ ურთიერთობაში შექმნის ეპოქის ზოგადი გმირი, არის შესაძლებელი ეპოქის მაჯის ცემის და მორჩილება. შემომქმედმა თითოეულ ადამიანში უნდა მონახოს ის თვისება, რომელიც ორგანიულად აკავშირებს ეპოქის მაჯის ცემასთან.

„პროვინციის მთვარეში“ სერგო კლდიაშვილმა გულდინჯი რეალისტის გრძნობითა და შეგნებით აგვიწერა საკუთარი, ტიპების სულიერი სამყარო და დაგვიხატა დრო, რომელმაც ეს ტიპები წარმოშვა. ხელოვნების დანიშნულებაა ის არის, რომ „ბუნებას საკვად გაუზღდეს, სათნობას მისი სახის შეტყველება აჩვენოს, ბიწიერებას — მისი უმსგავსოება, დროებასა და ხალხს — მათი ვითარება და ნაკვალევი“. ამ დანიშნულების საზღვარს ხელოვანი არ უნდა გადასცდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოქმედებას ეკარგება მხატვრული ძალა და ხელოვნება ხელოსნობად იქცევა. ჩვენ ბევრი მწერალი ვიცით, რომელიც ანგარიშს არ უწევს ამ მკაცრ მოთხოვნილებას, ტიპების ასახვის დროს ანგარიშს არ უწევს დროს, პირობებსა და ადგილს. ამგვარი მწერლების ხელში ნაწარმოების გმირი დასაკრავ ინსტრუმენტად არის გადაქცეული, და თავიანთი სურვილის მიხედვით ჩამოაჭრავენ ხოლმე ხელს ადამიანის სულის სიმებს, რათა ხმა ამოაღებინონ. მაგრამ ტიპიური ადამიანის ხელში დაჭერა ადვილი როდია; მას აქვს თავისი საიდუმლოება და ხელოვნურად გულის ამოგლეჯა ამ საიდუმლოსათვის ამახინჯებს მის ნამდვილ სახეს. სიმართლე და ბუნებრივობა პირველი მოთხოვნაა ქეშმარიტი ხელოვნებისა.

სერგო კლდიაშვილი, როგორც პროზის ოსტატი, იშვიათად თუ გადაჭხვევს ამ ქეშმარიტი შემოქმედების გზიდან (ეს გადახვევა ემჩნევა „ფერფლის“ მეორე ნაწილში, რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი). მას აქვს უნარი — დაიცვას ეპოქის სურნელება და დროის კოლორიტი არა მარტო დიდ მოვლენათა ასახვის დროს, არამედ უმნიშვნელო დეტალებშიაც კი. ამ აზრით სერგო კლდიაშვილის მოთხოვნის ტიპები ჩვენი დიდი ეპოქის დაღს ატარებენ და პრინციპულად განსხვავდებიან ისინი წინა ეპოქის მწერლობის მიერ შექმნილ ტიპებისაგან¹⁾.

¹⁾ ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს სერგო კლდიაშვილის ნოველა „ხალღი“. თემატიკურად ნოველა ჩვენს ეპოქას არ ეკუთვნის და, რაც მთავარია, ამ ნოველაში არა სჩანს მწერლის დამოუკიდებელი სახე. მიუხედავად წერის ლამაზი სტილისა, კლდიაშვილი ამ ნოველაში პირდაპირ და უშუალო გავლენას განიცდის ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირისას“. ხასიათით, განცდებით, გარემოსთან და ადამიანებთან დამოკიდებულებით არცაა ერთი ადგილი — პეტროვის „სხვა გვარად ყოფნა“, ან უკეთ მისი აზრდილია.



„... ისინი პირუტყვები არიან, მათ კი არ აქვთ უფლებები, ვინც მრავალთა სისხლზე და დაგლეჯილ სხეულზე თავისი შედინებების ამენებას აპირებს, არამედ მხოლოდ იმათ, ვინც სიკვდილით მთებში დავტოვებოქოშელი სამშობლოსათვის იყო საჭირო მილიონი გლეხების მიწისაგან აგლეჯა? ვისთვის იყო საჭირო, რომ ისინი სისხლისაგან დაკლილიყვნენ? ვისთვის იყო საჭირო გაერეკათ ერთმანეთის დასახოცად, როცა ისინი შხად არიან ერთმანეთს შეგობრულად გადაეხვიონ? ვისთვის იყო საჭირო ქობებში დარჩენილთა ცრემლები?... თქვენ, მშებო, მთებში დარჩენილთა, შეეაბრუნოთ ცოფის ლულა იმათკენ, ვინც ჩვენ ერთმანეთის დასახოცად მოგვრეკა! მტერი ის არ არის, ვისაც ვესვრიოთ! მტერი ის არის, ვინც სროლას გვაძღულებს“.

ასე სწერდა უცნობი ჯარისკაცი თავის დღიურებში მსოფლიო ომში ყოფნის დროს. „ეს დღიურები საველე ლაზარეთში იპოვეს, როცა დამწერის სიკვდილს შემდეგ მისი დაგლეჯილა ფარაჯა, როგორც უვარგისი, გადაისროლეს. დღიურები ჯიბეში ქონდა. დაწერილი იყო ფანქრით. ზოგან ძნელად ამოსაკითხი, ალაგ ადვილად გასარჩევა. ფურცლების ნაპირი მოკმული იყო, უკანასკნელი კი სისხლში გასვრილი“.

უცნობი ჯარისკაცის დღიურში დიდი ექსპრესიით არის გადმოცემული გამხეცებული სახე იმპერიალისტური ომისა და ამ ომში მონაწილე ჯარისკაცის ტრაგედია.

ყველა ხალხისა და ერის ისტორიას ამ ომმა ღრმა კვალი დაამჩნია. მოძმე ხალხთან ერთად ქართველმა ხალხმაც განიცადა ომის მძიმე შედეგები. ამ ხალხს საუკეთესო შვილები ძალით აპყარეს სამშობლო მიწა-წყლიდან, რათა ტევტონების ველებზე ასეთსავე ბედში მყოფი ადამიანები დაეხოცათ. ტანჯვა, წვალება, ცრემლი და სისხლი მუდმივი თანამგზავრი გახდა არა მარტო იმათი, ვინც ომში მიდიოდა, არამედ იმათიც, ვინც სახლში რჩებოდა. მთებში და ველებზე კვნესოდნენ „სიკვდილით ნაზიარეც“ ადამიანთა მალიონები, სოფლებში კი მოსთქვამდნენ მათი დედები, შვილები და ცოლები. ომმა დატანჯა ხალხი გაუფონარი უბედურებით.

ამ უბედურებათა მხატვრულ გადმოცემას ისახავს მიზნად სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“.

ქართული მხატვრული ლატერატურა ღარიბია მსოფლიო ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებებით, მაშინ, როდესაც სხვა ხალხთა მწერლობამ ამ ომზე შექმნა ბრწყინვალე მხატვრული შედეგები. ამ აზრით უფრო მეტი ყურადღების ღირსი ხდება „ფერფლი“, როგორც ქართულ მწერლობაში პირველი ცდა მსოფლიო ომის სურათების მხატვრულ სახეებში დამორჩილებისა.

„ფერფლის“ პირველ ნაწილში მოცემულია მსოფლიო ომისდროინდელი საქართველოს სოფლის სურათი. ამ ფონზე მკითხველის ყურადღებას იქცევს გლეხი დათიას სახე. ეს ადამიანი ტიპიური გამოსატყუ-

ბაა ქართველი შრომელი, გულკეთილი და პატიოსანი გულგახეხილი. თავისი ალალი ოფლათ მოპოვებული ლუკმა-პურით გამოიხარდა შეილები და ფიქრობდა, რომ დაიწყებოდა ადამიანური ცხოვრება, მის უფაში. მაგრამ სასტიკად მოტყუვდა ეს გულმართალი მღვდელი, რომელიც დათიას შრომაში უნდა მიშველებოდნენ, თვითმპყრობელობამ წაართვა და ბრძოლის ველზე გაგზავნა, რათა იქ ზარბაზნების ყუმბარებს ნაფლეთებად ექციათ. დათია თავისი გულგახეხილი ალლოთი გრძნობს, რომ ეს ომი მისი ინტერესებას წინააღმდეგ არის მიმართული. „რა მაქვს მე საომარი? რა მეომება გერმანიასთან, ან თათართან? ვიცნობ, მიცნობა, სისხლი მართებს თუ რა? ღმერთმა ორივე მშვიდობით ამყოფოს და მეც თავი დამანებონ. ჩემი საომარი მე ჩემ ყანაში მაქვს. ომი მე ყოველ დღე მაქვს... აი ჩემი ომა! — გადაშალა ხელის გული, დამსკდარა და აბედათ დასმული კუნთები დაბოროხილი“. ასე ფიქრობდნენ არა მარტო დათია, არამედ ფრონტზე გასული ჯარისკაცებიც.

ჯარისკაცის დღიურებში, რომელიც კლდიაშვილს დადი ოსტატობით აქვს დაწერილი, ნათლად ჩანს ჯარისკაცების პროტესტი, მიმართული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

„მე არაფერი შევითხება, მოსტავამდა ჯარისკაცი შეიერი. მოგილიოველ იაკობ შეიერს იმის უფლებაც არ აქვს იკითხოს, თუ რატომ უნდა ესროლოს ოსმალეთში მყოფ იაკობ შეიერს. იაკობ შეიერი მხოლოდ იმისთვისაა გაგზავნილი, რომ ჯერ მოგილიოველში იტანჯოს, შემდეგ კი ჩაეკლეს აჭ, ამ მხარეში, რომელიც სიზმარშია კი არ მოლანდებია. აი მე და შენ წავალთ ამ მთებით, აქაურობას მოვიკლდებით, გადავივლით ნისლით დაბურულ მწვერვალებს, იქიდან უფრო ახლოა ღმერთი და როცა ის ბებრუხუნა დაგვიანახავს და გაგვიწყობს, რომ ფიცს უღალატეთ, მე დაურიდებლად ვიტყვი: — მე იაკობ შეიერი ვაფურთხებ შენ ბოროტ გულში ისევე, როგორც შენ შეაფურთხებ ჩემს გაუნას; შენი სიმაართლის მე აღარა მჯერა, ახლა მე ჩემი სიმაართლე მაქვს... შენ შემოგტროდა აბრამ შეიერი? შემოგტროდა! დღა შეიერი განა მხოლოდ შენზე დანდობილი არ იყო? რა ნუგეში ეცო მათ? რითი და-ამშვედ ისინი? იმით, რომ სახლის პატრონს ზამთრის ღამეში ვარჯთ გააგდებინე და შემდეგ ყინულის ნატყებდად აქციე“.

იმავე დღიურებში შესანიშნავი მხატვრული განცდებით არის გადმოცემული თვითმპყრობელობის ჯარის სარდლობის არაადამიანური მოქმედება დაპყრობილ ხალხის წინააღმდეგ.

„გულში, — მოგვითხრობს დღიურის ავტორი, — ღაზი ჩამოიყვანეს. მწვერაგებს ტყეში დაეჭირათ. კორტოხიდან დასკტეროდა იმ ადგილს, სადაც დაბანაკებული ვიყავით. ვერ გავიგო, მწვერაგები თავზე როგორ წაადგნენ. უფროსების აზრით, ის ჯამში იყო. სავიელე სასამართლოში ღაზმა სთქვა, რომ აქაური მცხოვრებია. ამ სოფლიდან სხვებთან ერთად გაბიზნული. მთიდან სოფელში ცეცხლი დაინახა და წამოვიდა გასაგებად... კორტოხზე დიდხანს იჯდა იმიტომ, რომ სახლები ვეღარ დაინახა. მისი ქოზი განაპირის იდგა. აი იქ, დიდი ნაძვი რომ არის. ნაძვი დაინახა, სახლი კი ვერა. სასამართლომ ჯამში შეად სენო, როცა დილით ორმა შეიარაღებულმა ჯარისკაცმა მდინარესაყენ წაიყვანა, ღაზი მიხვდა, რომ ეს დილა მისთვის უკანასკნელი იყო.“

გვის თვალბით შეხება ჯარისკაცებს, დაეარდა მიწაზე და აღიარდა. საკვირო შეიქნა დამხმარეთა გამოძახება. ღაზი კოლზობებს თავს ურტყამდა, ჯარისკაცებს ფეხზე ეხვეოდა... ოთხმა ჯარისკაცმა ძლიერ შეეშინებინათ იმ ადგილამდე, სადაც იდგა მწყობრი, რომელსაც განაგებდა მისი კონტრაქტორი. აქ ღაზი თითქოს დამშვიდდა. ჩატუქდა და მწყობრს მიაჩერდა. კაცის თვალს რომ შეეძლოს დაინახოს რა ხდება სხვის ტვინში და გულში, ღაზი დაინახავდა, თუ როგორ სტანჯავდა ჯარისკაცებს სიკვდილის შიშისაგან ნაღვლიან ჰკეული ადამიანის გამოხედვა. მაგრამ მათ მოღუშულ სახეზე ღაზი მხოლოდ იმას ხედავდა, რომ არ დაინდობდნენ. როცა ერთმა ლონიერმა ჯარისკაცმა ხელი წაავლო და ხისკენ წაათრია — ღაზი ისევ აღრიცხდა. ხისკენ გათრეული — კორძს წამოედგა, ფეხებით ჩაებღაუბა და სანამ კონდახები არ დაუშინეს, ფეხები კორძს არ მოაშორა. ხესთან მითრეული კი უცქრად დამშვიდდა, მოსხლტა და გაყურდა. როცა წამოაყენეს ხეზე მისაკრავად, დაინახეს, რომ უკვე მკვდარი იყო. ოფიცერის ბრძანებით მკვდარი ხეს მიაკრეს, ღაზის ცივი თვალი ახლა დამშვიდებით იყურებოდა. ყოველი ჯარისკაცი გრძობდა, რომ ეს თვალი, მკვდრის თვალი მასზე იყო მიჩერებული... მკვდარი რატომღაც უფრო შესაბრალოს შეიქნა, რატომღაც საშიში, რატომღაც უფრო ძნელი იყო მკვდრისათვის სროლა. უფროსის ნიშანზე სროლა ვაიძმა... ხეს მიკრული მკვდარი სიერცემი დამშვიდებით იყურებოდა.

„ფერფლის“ ავტორმა დამაჯერებლად ჩავახედა მსოფლიო ომში მონაწილე ჯარისკაცების სულში. მწერალა გვიხატავს მათი ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებსაც კი, რათა კონტრასტების ძალით მეტი გავლენა მოახდინოს მკითხველზე. თითოეული დეტალი ჩვენს თვალწინ ხორცს ისხამს და მკვდრეთით დგება, როგორც მეტყველი საგანი. იგი ძალიან ბევრ რამეს ეუბნება ჩვენს სულს, ამიტომ გვაჯადოცებს და გვბიზლავს.

განა შეიძლება აულელებლად წაიკითხოს ადამიანმა მოთხრობის ის თავები, სადაც გადმოცემულია სხეულის დამახინჯების შემადრწუნებელი, რაღაც კოშმარული ისტორია? გაუგონარი უბედურებით გატანჯულ გლეხებს აღარ სურდათ მსოფლიო ომის მიერ დანთებულ ხანძარში ცოცხლად დაწვა. იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ომის ველზე გასვლა, სოფლის გლეხური ახალგაზრდობა მიმართავს უკიდურეს ზომას — საკუთარ სხეულის საშინელ დამახინჯებას ექიმბაშების საშუალებით. მსოფლიო ომის წლებში ეს მოვლენა მართლაც ტრაიური იყო. ეს მომენტი კარგად არის დახატული „ფერფლში“. გაიხსენეთ მოთხრობაში ზაქრო. შესანიშნავი ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც ექიმბაშის ხელით იღუპება საკუთარი საცოცხლის გაფურჩქენის მიჯნაზე. ზაქრომ ექიმბაშს მიმართა არა იმიტომ, რომ მხდალი იყო და ეშინოდა ბრძოლისა, არა, მისი სატყავარი სულ სხვაა. იგი, როგორც მშრომელი ადამიანი, ალღოთი გრძობდა, რომ მისი დაღუპვა ბრძოლის ველზე არავითარ სარგებლობას არ აძლევს მის ოჯახს, მის ქვეყანას. მან კარგად იცის, თუ ვის სჭირდება და ვის ემსახურება ეს ომი. როცა ექიმბაშში აფრთხილებს, რომ ამ საქმეს შეიძლება კატასტროფა მოჰყვესო, ზაქრო უბასუხებს ერთი სიტყვით: „ჯანდაბას“, ბოლოს ეს ამბავი მართლაც კატასტროფით დას-

რულდა. სოფლის ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა ხნავა გამოსავალი არჩია, იგი ტყეს შეეხიზნა. ასე ნადგურდებოდნენ ხალხის ისიცოცხლო ძალები, ასეთი უღმობელი იყო ომის ლოგიკა.

სერგო კლდიაშვილის „ფერფლში“ განსაკუთრებული მნიშვნელობით ძალით მოსწიანს მსოფლიო ომის ეპოქა თავისი განცდებით, ფიქრებით და ტანჯვით. აქ ყოველ სიტყვაში აღბეჭდილია გარდასულ დროთა თალხი კოლორიტი: კონტრასტების მეთოდის საშუალებით ავტორი ლამაზად გადმოგვცემს იმ განწყობილებებს, რომლებიც მას ცხოვრებისაგან მიუღია.

საშუუხაროდ, „ფერფლში“ ერთ ადგილას ავტორი ამოვარდნილა მხატვრულ კალაპოტიდან და გადასულა მისთვის უცნობ და სრულიად შეუფერებელ თეორეტიულ მსჯელობათა სფეროში: ყველაფერა ეს ერთი გვერდის მანძილზე ხდება. მაგრამ ამ ერთ გვერდზე, რამდენი წინადადებაც არის, იმდენივე შეცდომაა დაშვებული. აქედან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება მხოლოდ: რამდენადაც სერგო კლდიაშვილი ძლიერია, როგორც მხატვარი, იმდენად იგი სუსტია როგორც თეორიული მოაზროვნე.

თეორიული დებულების წამოყენებას სერგო კლდიაშვილი იწყებს მოთხრობის შეოცე თავიდან და აგრძელებს ერთი გვერდის მანძილზე. სერგო კლდიაშვილი შემდეგი სიტყვებით იწყებს ამ თავს: „ისტორიის შორეულ მანძილზე დანახული მოვლენები ხშირად გვიტაცებს თავის გრანდიოზულობით, დრო მათ აკლას მრავალ სისაძაგლეს და ხანდინახ რომანტიულ სამოსელში ხვევს. მხოლოდ რომანტიკა გვაბრმავეებს და ველარ ვამჩნევთ მილიონთა წამებას“. არა, ეს არ არის მართალი. შეიძლება რომანტიკა მართლაც აბრმავედეს ადამიანების ერთ ნაწილს, მაგრამ შეუძლებელია მსოფლიო ომმა, როგორც გარკვეულმა მოვლენამ, თავიდან მოიშოროს დაღი, რომელიც მას დაასვა მილიონთა წამებამ.

არ შეიძლება დავეთანხმოთ კლდიაშვილს, როდესაც იგი სწერს: „ბრძოლა და მისი უსასტიკესი სახე — ომი მაინც არ ისპობა, იცვლება ისტორიის სახე და მასთან ერთად ომის ახალი მიზეზები ჩნდება“. აქ მხოლოდ შედეგია ახსნილი და არა მოვლენის წარმოშობი მიზეზი. ასეთ ახსნაზე უარს არ იტყოდა ცნობილი მალტუსი, რომელიც პროდუქციის ნაკლებლობის შიშით ომიანობასა და ადამიანთა ელეტას ქადაგებდა. ზემოთ მოყვანილ ციტატებში ისტორიულა პროცესი წარმოდგენილია მხოლოდ ევოლუციურ პროცესად, სადაც ერთნაირი ოდენობით მეორდება მოვლენათა რიგი. ომს სველის მშვიდობაიანობა, მშვიდობაიანობა — ომს, და ასე დაუსრულებლივ. ეს მალტუსისებური დიალექტიკაა, რომელიც რადიკალურად ეწინააღმდეგება არა მარტო მარქსის დიალექტიკას, არამედ თვით ჰეგელის დიალექტიკასაც კი. „როცა უნდათ გაიგონ რაიმე მოვლენის აღორძინება, — სწერდა ჰეგელი „ლოლაის“ პირველ ტომში, — ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ერკვევიან საქმეში

ასეთ აღორძინების თუ მოსპობის თანდათანობის წარმოდგენის საშუალებით; მაგრამ მყოფობის ცვალებადობა სწარმოებს არა მხოლოდ ერთი რაოდენობას მეორეში გადასვლით, არამედ თვისებით. კერძოდვე უნდა აღინიშნოს რაოდენობაში გადასვლითაც და პირიქით — იმ გადასვლებში, რომლებიც თანდათანობას სწყვეტს და ერთი მოვლენის ადგილს მეორე იკავებს.“ ამჟამად საკითხზე მარქსი სწერდა: „ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე მხარის (ამ შემთხვევაში ომი და მშვიდობიანობა. — დ. ბ.) თანაარსებობა, მათი ბრძოლა და მათ ახალ კატეგორიად (ესე იგი ამ შემთხვევაში რევოლუცია. — დ. ბ.) შედუღება შეადგენს დიალექტიკურ მოძრაობას“.

სერგო კლდიაშვილი განაგრძობს: „მაგრამ არც ერთი ომი, რა მიზეზიც არ უნდა ჰქონოდა მას, ისე ცინიკური, მახინჯი და სასტიკი არ ყოფილა, როგორც უკანასკნელი. როგორადაც არ უნდა შეაფასოს იგი მომავალმა, დრო მაინც თავისას იზამს და დააცხრობს ტკივილებს, რომელიც ჯერ ვერ გადაგვიტანია. ისტორიის თვალეზი ჩვენ მკრთალ სისხლისაგან დაცლილ სახეებს ვერასოდეს დაინახავს.“

პირიქით: მოწინავე კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს „სისხლისაგან დაცლილ სახეებს“. მათი ხსოვნა ყოველთვის მოაგონებს ადამიანებს იმპერიალისტური ომის საშინელებას და აამხედრებს მათ შუგარი ომის განმეორების წინააღმდეგ. ზემომოყვანილი ციტატით მთავრდება ის თეორიული გვერდი, რომელიც ინკოგნიტოდ დართული აქვს „ფერფლს“.

„ფერფლის“ ავტორს სრულიად არ სჭირდება მშრალი პუბლიცისტური, თეორიული მსჯელობა მხატვრულ ნაწარმოებში, იგი უნდა უსმენდეს თავის მოწოდების ხმას, ჩვენ ამ ხმას პატივს ვცემთ და არ გვინდა მასში ყალბი ტონი შეიპაროს.

სერგო კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედების გზაზე „პროვინციის მთავრის“ შემდეგ „ფერფლი“ მეორე მძლავრი რეალისტური ნაწარმოებია. როგორც ზემოთ განვაცხადეთ, „ფერფლი“ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში მოცემულია მსოფლიო ომის დროინდელი სოფლის სურათი, მეორე ნაწილი შეიცავს უცნობი ჯარისკაცის დღიურებს. თუ პირველ შემთხვევაში სერგო კლდიაშვილი მოვლენათა აღწერის დროს — შესანიშნავ რეალისტად რჩება, მეორე შემთხვევაში რომანტიკოსია. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ „ფერფლში“ ეს ორი სტილი (რომანტიული და რეალისტური) რაღაც მეტანიკურ ნარევს წარმოადგენდეს ანდა თითქოს ამ ორ სტილს შორის იყოს რადიკალური წინააღმდეგობა. ჩვენის აზრით, სერგო კლდიაშვილი ერთგვარ შეხამებას ახდენს ამ ორი სტილისას, ან, უკეთ: ისინი ორგანულ მთლიანობას წარმოადგენენ და ხელს უწყობენ მწერალს ტიპების სრულყოფილად ჩამოყალიბებაში. ამ დებულებას ბრწყინვალედ ადასტურებს „სენური ნოველები“.

„სევანური ნოველები“ თითქოს ერთი მძლავრი მხატვრული ამოსუნთქვაა. როცა ვკითხულობთ „ლაშხეთის ბატონს“, ჩვენს თვალწინ დგას დიდი ხელოვანი, რომელსაც აქვს უნარი ექვს გვერდზე, სტაქვას ყველა სათქმელი. დევლეთ ყიფიანი თათქოს მარმარილოდან ნაქმნა ყველა — თავისი ადათებით, ყოფით, ტრადიციებით. აჯანყებული ყმების მუქარას გაექცა დევლეთ ყიფიანი და რამდენიმე ერთგული მცველით შეეხიზნა კოშკს. აჯანყებული სევანები გარს შემოერთყენენ ბატონის უკანასკნელ თავშესაფარს. დევლეთ ყიფიანი ფიქრობდა, რომ დროთა განმავლობაში ხალხს შურისძიების გრძნობა დაუყუჩდებოდა, მაგრამ მოსტყუვდა ბატონი. ხალხს, რომელსაც ყიფიანმა მიგზავნილი ვაჟაკები დაუბოცა, სწყუროდა სისხლი და შურისძიება. ვინაიდან დევლეთმა საკუთარი ნებით არ ისურვა დანებებოდა ხალხს, ხალხი დაბანაკდა კოშკის გარშემო. როდესაც კოშკში მყოფ ადამიანთა ფიზიკურმა ტკივილებმა (შიშშილისა და წყურვილის ნიადაგზე გამოწვეულმა) დასძლიეს ვაჟაკობას, დევლეთ ყიფიანმა ისურვა ხალხთან მოლაპარაკება, მაგრამ ბატონის სურვილს ხალხმა ყვარილით უპასუხა: „სიკვდილი დევლეთს!“ დევლეთი მიხვდა, რომ მართლაც ერთად-ერთი გამოსავალი სიკვდილი იყო, მაგრამ სიცოცხლესთან გაყრის პროცესი, დევლეთის აზრით, სამარცხვინოდ არ უნდა ჩატარებულიყო; იგი იძრობს ხანჯალს და ესერის მოხუც სევანს, რომელსაც ყველაზე მეტად აწუხებდა შურისძიებას გრძნობა და პირველს უნდოდა ბატონის სიკვდილი. ბოლოს დევლეთ ყიფიანის ტანი აღიმართება კოშკის კედელზე: „პარჯვარი სწრაფად გადაისახა, ჩახვდა მუქარაზე ამართულ წვეტიან შუბებს და გადახტა... ტანი შუბებზე წამოგებული დასტოვეს ცისკარამდე, სანამ ღრეობას გაათავებდნენ“. რა თქმა უნდა, ეს სქემატიური გადმოცემა ნოველის ჩონჩხისა არ იქნება სრულყოფილ წარმოდგენას ამ ნაწარმოებას მხატვრულ საძლიერებზე, მაგრამ აქ მაინც ჩანს მწერლის ძალა.

კონტრასტი წარმოადგენს სერგო კლდიაშვილის მხატვრულ ხერხს ტიპების მოცემის დროს. კონტრასტების გზით შემომქმედი ჰქმნის სოციალურ და ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობათა გამძაფრებას. ამავე ხერხით, სიტყვის ეკონომიით სერგო კლდიაშვილი ჰქმნის ძარღვმავარ ეფექტს, ხოლო თვით ტიპში — ნებისყოფის სიმტკიცეს და ვაჟაკობას.

ეს მხატვრული ხერხი შესანიშნავად არის გამოყენებული მეორე ნოველა „ნაბრალში“. ამ ნოველის კითხვის დროს ჩვენდა უნებურად გვაგონდება პროსპერ მერიმეს „მატეო ფელკონე“. შეიძლება მერიმეს დასახელებული ნაწარმოები გახდა სტიმულის მიმცემი „ნაბრალისათვის“, მაგრამ ეს ზელს არ უშლის სერგო კლდიაშვილს დაიჩიეს ორიგინალურ თხრობაში და გმირების მოცემაში. საერთოდ ლიტერატურის გავლენის გარეშე შეუძლებელია მწერლობის არსებობა, მაგრამ ყოველი ჭეშმარიტი შემომქმედი მასალის დამუშავების სპეციფიკით სპობს გავლენის უშუალო კვალს. განა აღექანდრე ყაზბეგის „ხევის ბერი გოჩა“ იმავე

პროსპერ მერიმეს შორეული შთაგონებით არ არის დაწერილი. მაგრამ ამით არა მცირდება ამ ნაწარმოების მნიშვნელობა. საკითხის მთელი სიმძიმე მასალის სპეციფიკაზეა დამოკიდებული და თვით მწერლის ნიჭზე. ამ აზრით „ნაპრალი“ ერთი ძლიერ ნაწარმოებია კერძოდ სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში და საერთოდ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

„ნაპრალი“ კლდიაშვილმა მოგვცა ძმადშეფიცულთა ქეშმარიტი ვაჟეაცობა, გამტანობა და თავდადება. ეს თვისებანი მწერლის მიერ გარედან თავზე მოხვეული კი არ არის გმირებისათვის, არამედ მათი შინაგანი რწმენაა, ვაჟეაცური სულის მოთხოვნილება. ბოლშევიკი პარტიზანი ბასკაია მენშევიკურ ჯართან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. დასახმარებლად მიმართვა მეგობარს გიერგილს. მიუხედავად იმისა, რომ ბასკაიას შენახვა საკუთარ სიცოცხლედ უჯდება სვან მეგობარს, იგი მაინც მიიღო თავის კარზე. მაგრამ გიერგილას ძმამ იარაღის გულისთვის უმუხთლა ბასკაიას: ბოლოს გიერგილა საკუთარი ხელით ჰკლავს მეგობარის მოღალატე ძმას.

როგორც ხედავთ, მწერლის წინ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა იყო დასახული. მხატვრული ძალით უნდა გადაეწყვიტა ეს რთულ ფსიქოლოგიური პრობლემა, რომ მკითხველისათვის დამაჯერებელი ყოფილიყო სიყვარული მეგობრისა და ამ ნიადაგზე ძმის ხელით ძმისავე სიკვდილი. სერგო კლდიაშვილის, როგორც ხელოვანის სასახელოდ უნდა განეცხადოთ, რომ ნაწარმოებში მიზანი მიღწეულია და „ნაპრალი“ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში დარჩება როგორც უქკნობი სიმღერა ძმობაზე, ვპირობაზე, ვაჟეაცობაზე.

სერგო კლდიაშვილის შემოქმედების შეფასების დროს გვერდს ვერ აუხვევთ მოთხობა „მურზაყანი“. ამ მცირე მოცულობის ნოველას გადაყვევართ ტრადიციათა ქვეყანაში, სადაც ადამიანთა შეგნება ჯერ კიდევ ემორჩილება მამა-პაპათა მიერ შემუშავებულ ადათებს. ამ მოთხობის მთავარი გმირი, მოხუცი მურზაყანი თავის „მე“-ში აერთიანებს არა მარტო იმას, რაც კარგი და მისაღები იყო სვანების ძველ ყოფაში, არამედ იმასაც, რაც უარყოფითად მოქმედებდა თითონ სვანების ცხოვრებაზე. მოხუც მურზაყანის შვილი ბეჭირბი მუხანათურად მოკლა გვირგვინთა გვარის წარმომადგენელმა. მოკლულს დარჩა მცირეწლოვანი შვილი, რომელსაც არ შეეძლო სამაგიეროს გადახდა. ადათის ძალით კი შვილს უნდა აეღო სისხლა. სწორედ ამ შეგნებით ზრდიდა მოხუცი მურზაყანი შვილიშვილ ყასბულათს. მაგრამ ბედმა უმუხთლა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ყასბულათი გამოესალმა საცოცხლეს შვილიშვილის სიკვდილის შემდეგ მურზაყანი განადირდა; იგი ვერ იტანდა ქალების მწარე მოთქმას დაკარგულ ყასბულათზე. ქოხმა მხოლოდ დასაძინებლად შევიდოდა, ყანბულათის საფლავი იყო მისი ბინა, ამ მღუმარე საფლავს შესწიოდა მურზაყანი თავის უძღურებას.

მოხუც მურზაყანს ხშირად ეჩვენებოდა გარდაცვლულ შვილისა და შვილიშვილის მწუხარე სული, რომელიც მოითხოვდა სასხლეს შურისძიებისათვის. მაგრამ ამ საქმის შესრულება მურზაყანს აღუკვეთდა: მას არ მოსდევდა ღონე, რომელიც აუცილებელია იარაღის ხმარებისათვის. მოხუც მურზაყანს თავისი უძლეურობას შეგნება ყველაზე მეტად სტანჯავდა, როგორც ადამიანს. მას თავიდანვე ვერ მოუცილებია კოშმარული აზრი სისხლის აღებისა. სისხლა იყო მისი სტიქია. გარდაცვლულთა ხმა ხარბვით რეკდა მოხუც მურზაყანის ყურში და მოუწოდებდა შურისძიებისაკენ. მურზაყანმა გადასწყვიტა განზრახვის სისრულეში მოყვანა. შურისძიებას დროც დადგა. ერთხელ მურზაყანი ეკლესიიდან ბრუნდებოდა, ბილიკზე გელა გვირგვინი შეზდა. გელა გვარში სანაქებო ფაქაცი იყო. ყასბულათს რომ დასცლოდა დაეფაქაცება, საბედისწერო შეზვედრა, ალბათ, გელასთან ექნებოდა. ასე ფიქრობდა მოხუცი მურზაყანი. გელამ, როგორც უმცროსმა, გზა მისცა მურზაყანს, მოხუცმა წუთით მიიხედა უკან, ხარბი თვალთ გაზომა გელას განიერა მხარბეკი და შეჰკვილა: „ფაქაცი ხარ!.. მხოლოდ შენი სისხლი დაამშვიდებს ბეჭირბის!“ ორივემ თოფი გადმოიღო, ელვის სასწრაფით ორი ცეცხლი აგარდა. მოხუცა მურზაყანის ხარბმა თვალმა კარგად დაინახა, როგორ დაეცა მიწაზე მკედარი სხეული.

მურზაყანმა თოფი გადაჰკოცნა და ეკლესიისაკენ გაიჭრა შვილის საფლავის სანახავად. იგი მუხლმოყრილი დაემხო საფლავზე და ნახევრად ყრუ ხმით ჩასძახოდა გარდასულ სულს:

„გისისხლე... გისისხლე ბეჭირბი“.

ამის შემდეგ მოხუცმა მურზაყანმა იგრძნო სულიერი დამშვიდება. შან დაწყნარებით უამბო სასამართლოს ყველაფერი. როდესაც გელას შირისუფლები ანგარების მიზნით უარყოფდნენ მურზაყანის ხელით გელას შველულობას, მოხუცი ბებერი ლომივით აღრიალდა: „ხალხს კითხეთ, თეში იტყვის!“ მაგრამ არავინ გამოესარჩლა მურზაყანს, არა იმიტომ, რომ ვევი ეპარებოდათ გელას მკვლელობაში, არამედ მხოლოდ იმ აზრით, რომ ხალხს ენანებოდა მოხუცი მურზაყანის ციხეში სიკვდილი. ხალხის არასამართლიანად განსჯამ მურზაყანი საშინლად ააღელვა. „მურტალი ხარ, ხალხო! რად მარცხენთ ქვეყანაში? სიმართლეს რად ფარავთ? ნამუსი რამ ავხადათ? გელა მე მოვკალ! ვინ მხდის ლაჩრად, ვის უნდა ჩემი შერტენა? ალებულ სისხლს რად მართმევთ?!“

მურზაყანი ემუდარებოდა მსაჯულთ, რათა იგი დამნაშავედ იცნონ. სასამართლომ მართლაც სცნო მოხუცი დამნაშავედ. მურზაყანი სიკვდილშისჯილივით უცდიდა განაჩენის წაკითხვას. განაჩენის წაკითხვაზე მას თვალეზი სიხარულით აენთო, გამარჯვებულის გრძნობით გახედა ხალხს. ბოლოს პირი ეკლესიისაკენ იბრუნა და ხმამაღლა დაიძახა: „ბეჭირბი,

მწვიდად იყოს შენი სული“. მეორე დღეს მურზაყანმა, როცა იგი ქალაქისკენ მიჰყავდათ, მიიხმო ცოლი, მიუალერსა თვალცრემლიან დედაბერს და გაამხნევა. „მხიარულება გმართებს, ჯამურჯამ! ანუ უბედურნი ვყოფილვართ... მიპატიებია, გუშინ რომ იტრფე, ჩვევქნეს ხარ, ბევრი არ მოგეთხოვება. ვახსოვდეს, როცა მოვკვდე, სული აქეთ გამოითხოვე, ბარში არ დამტოვო“. მოთხრობა „მურზაყანის“ ფაბულა მეტად მარტივია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს მოთხრობა უდიდესი მხატვრული ღირებულების შემცველი ნაწარმოებია. აქა ჩანს ადამიანის სულის ცოდნა. ამ სულის უმნიშვნელო მოძრაობაც კი არ რჩება მწერალს შეუმჩნეველი. დრომ და პირობებმა ტრადიცია და ადათი გადააქცია რაღაც ბედის წერად. მურზაყანის გლეხურ ტყინში საუკუნეთა ტევრში გამოვლილი წინაპართა ნაანდერძევი ჩვეულება და ადათი ჩამჯდარი იყო იმავე ძალით, როგორც ანტიური ადამიანის თავში ბედისწერა. მოხუც მურზაყანისათვის წინაპართა ხმა რაღაც სასწაულებრივი მოწოდების ზარი იყო. ეს ცხოვრება, მოხუცის წარმოდგენით, შეერთება იყო ჩვევებისა, ტრადიციებისა, ადათებისა. სწორედ ამიტომამა მისთვის საყვარელი ეს ცხოვრება. სხვა დანაშაულებას ვერც კი ხედავს მურზაყანი. შეილისა და შვილიშვილის შემდეგ მურზაყანის სულმა ობლობა იგრძნო. მისთვის ეს ქვეყანა უზარმაზარი ტაძრის თაღებს დაემსგავსა, სადაც სულს ევიწარვება ცხოვრება. მურზაყანის აზრით, მხოლოდ შურისძიება განათავისუფლებდა ამ მდგომარეობისაგან. როგორც დავინახეთ, მურზაყანმა განზრახვა სისრულეში მოიყვანა, მაგრამ საკუთარი თავიც დაღუბა. ამ მოქმედებისათვის დამნაშავეა არა თვითონ მურზაყანი, არამედ ის დრო და პირობები, რომლებშიაც იგი აღიზარდა.

მოთხრობა „მურზაყანში“ მომხდარი ამბის კონტრასტს წარმოადგენს ნოველა „მტრებში“ მოთხრობილი ამბავი. ამ ნოველაში ორი მოსისხლე გვარის წარმომადგენელი — ოთარი და ომანი ერთმანეთს ხედებიან არა როგორც, შურის მაძიებელი ადამიანები, არამედ როგორც გულთბილი მეგობრები. ეს მეგობრული გრძნობა მათ შევნებაში დანერგა სტალინის დიადმა ეპოქამ.

სერგო კლდიაშვილი, როგორც საბჭოთა მწერალი, ხედავს, რომ ხელისუფლებისა და პარტიის ბრძნული პოლიტიკის წყალობით ისპობა სისხლის აღების ტრადიციულად მიღებული წესი. რომელიც ანადგურებდა მოსახლეობას. სვანეთის ახალგაზრდობა ერთი მიზნით, ერთი იდეით გატაცებული ხელს უწყობს ამ კომარული ტრადიციების მოსპობას. ყოველივე ეს ზერელედ, აგიტაციის ფორმით კი არა აქვს მოცემული მწერალს, არამედ ქეშმარიტი მხატვრული გრძნობით.

ასეთია ზოგად ნაზებში კლდიაშვილის მხატვრული შემოქმედება დღეს.

რა ადგილს იკვრს სერგო კლდიაშვილი თანამედროვე საბჭოთა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში? რა ახალი სიტყვა უთხრა მან ქართულ პროზას და როგორია მისი მომავალი პერსპექტივები?

თავის დროზე მოხუცი გოეთე ხშირად უსაყვედურობდა ხალხს თავის თანამედროვე, მოდაში შესულ კრიტიკოსებს აჩქარებასა და ნაადრევ დასკვნას სიტყვის ოსტატების შესახებ. ვეიმარტლმა შემომქმედს კრიტიკოსების საყურადღებოდ მოჰყავდა ლესინგის მოსწრებული სიტყვა, რომელიც წარმოთქმული იყო ჰამბურგის ერთ-ერთ ლიტერატურულ სალონში: „თქვენ მეკითხებით, როგორი იქნება ამა და ამ შემომქმედის მომავალი ბედი. თუ უდროო სიკვდილის შიშს გამოვრიცხავთ მსჯელობიდან და მოვლენას პირდაპირ შევხედავთ, მე შემიძლია გიპასუხო ჩვეულებრივ: რომელთა შესახებაც თქვენ მეკითხებით, ყველას საკუთარი თავი მხცოვანი ჰგონია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ბევრს სიმწიფის ასაკი ჯერ კიდევ არ დასწყება, მე რომ მკითხონ ისევე დროზე მოხუცებული სჯობია, უდროოდ დაბერებულს“.

ეს სიტყვები სულ სხვა გარემოებაში და სხვების მისამართით ითქვა, მაგრამ არა მგონია, იგი მნიშვნელობას იყოს მოკლებული ჩვენი დროის მწერლებისათვის. ლესინგის ეს შესანიშნავი რჩევა მოვიყვანეთ არა იმიტომ რომ ჩვენი კრიტიკის ობიექტს ვუსაყვედუროთ მოუმწიფებლობა, არამედ იმ აზრით, რომ სერგო კლდიაშვილის შემოქმედების მწვერვალში მომავალშია და არა წარსულში.

ჰარმონიული, პლასტიკური ნაგებობა სტილისა, ლაკონიზმი თხრობისა, სისადავე და სიღრმე მხატვრული ფრაზისა და, რაც მთავარია, ჩვენი დიდი სტალინური ეპოქის იდეების თვალსაზრისზე დგომა სერგო კლდიაშვილს, როგორ შემომქმედს, აყენებს თანამედროვე ქართველ საბჭოთა ბელეტრისტების მოწინავეთა რიგებში. სერგო კლდიაშვილს აქვს ყველა საშუალება დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელად — ჩვენი უძლეველი სოციალისტური სამშობლოს ცხოვრების მასალაზე ჩვენი დროის გმირი მის წმომქმედებაში ახალი ძალით უნდა ამეტყველდეს, სადაც შემომქმედის თითოეული სიტყვა უნდა ცოცხლობდეს მოწინავე იდეის, კომუნიზმის იდეის გამარჯვების რწმენით.

ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე არა ერთი და ორი მონუმენტალური ძეგლი შეიქნა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მაგრამ არადა, არც ერთი დროის შემომქმედის წინაშე არ იყო გახსნილი ისეთი უზარმაზარი შესაძლებლობანი მწერლისათვის, როგორიც არის საბჭოთა ხელოვნულების პირობებში, რადგან ჩვენი სამშობლო არის ავანგარდი კაცობრიობის ახალი ისტორიისა.

ბელადის მითითებით საბჭოთა მწერალი ადამიანის სულის მშენებელი უნდა იყოს; ეს როლი მძიმეა, მაგრამ მისი შესრულება ყოველი ნიჭიერი საბჭოთა მწერლის საპატიო მოვალეობას შეადგენს.

ივ. ჯავახიშვილი

ქართული ძველი ნარეკთული, საერო და მღვდელმთავრული საეკლესიო მუსიკა და ბრძოლა მათ შორის¹

ისევე, როგორც ყველა ერების, ქართული მუსიკის დასაწყისიც, ვითარცა უხსოვარი დროინდელი ამბავი, წყველიადით არის მოცული. ყველა წინასწარ განსახილველი საკითხების გარჩევის შემდგომ, ამ დასაწყისის მთავარი საფეხურების გამორკვევასაც შევეცდებით, მაგრამ უნდა ვათვალისწინებულნი გვქონდეს, რომ არამც თუ დასაწყისი ხანის, არამედ ისტორიული ხანის ქართული მუსიკის განვითარების მთლიანი სურათის აღდგენაც-კი, ქართული მუსიკის ჯეროვანად შეუსწავლელობის გამო, შეუძლებელია. ამიტომ ეხლანდელ პირობებში ქართული მუსიკის განვითარების მხოლოდ მთავარი საფეხურებისა და ზოგიერთი საკითხების გამორკვევა ხერხდება.

ბერძენთა ცნობილი ისტორიკოსის ქსენოფონტეს თხზულებიდან ჩანს რომ წარმართობის ხანაშიც, IV ს. ქ. წ. ქართველურ ტომთა შორის საერო მუსიკა, მაგ. სამხედრო და საცეკვაო სიმღერები, ძალიან გავრცელებულყოფილა. ქანების ტომები ომსაც-კი თურმე საომარი სიმღერაც-კვეთ იწყებდენ. უეჭველია, საერო მუსიკა ასევე დანარჩენ ქართველურ ტომებსაც უნდა ჰქონოდათ და ჰქონდათ კიდევაც. ეს ცხადად მტკიცდება თუნდაც დღევანდლამდე დაცული არაერთი წარმართული ხალხური სიმღერით, რომელთა ჰანგებიცა და სიტყვებიც უხსოვარი დროის ანარეკლს შეიცავს.

ამ წარმართული საერო და სარწმუნოებრივი მუსიკის ბუნებრივს განვითარებას ქრისტიანობამ დაუდგა საზღვარი, რომელსაც, ახალ რწმენასა და მსოფლმხედველობასთან ერთად, საქართველოში წირვა-ლოცვის ახალი ჰანგებიც შემოჰყვა.

კარვად ცნობილია, რომ ქრისტიანობამ ებრაელთაგან წირვა-ლოცვაში ერთბაშად გააღობა შეითვისა, რომელიც, დას. ევროპის კათოლიკური და

¹ ამოღებულია წიგნიდან: „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“.

ქართული ეკლესიების გარდა, დღევანდლამდე ერთხმობისადაც შერჩა ბერძნულს, სომხურსა და ასურულ ეკლესიებს. მე-10 ს-მდე თვით რომის ეკლესიასაც ერთხმობიანი გალობა ჰქონდა. ცხადია, რომ ქართულ ეკლესიასაც თავდაპირველად და უძველეს ხანაში ერთხმობიანი საგალობლები უნდა ჰქონოდა.

ზემოაღნიშნულზე მეტის თქმაც-კი შეიძლება: რამდენადაც ქრისტიანობა საქართველოში ორი გზით, — დასავლეთითგან, საბერძნეთითგან ერთი მხრით და სამხრეთითგან, პალესტინა-სომხეთის მხრითაც, — არის შემოსული, იმდენადვე უძველია, რომ ქართ. საეკლესიო გალობაც უძველეს ხანაში იმავე ებრაული გალობის ტრადიციებისა და ჰანგების დამცველი უნდა ყოფილიყო, რომელიც ზემოდასახელებულ ქვეყნებში იყო გაბატონებული. ქართ. საეკლესიო მუსიკის თავისებურების გაჩენის საკითხი უპირველესად ამ ტრადიციისა და ჰანგებისაგან თავის დაღწევის ხანის საკითხია. როდის უნდა იყოს ჩამოშორებული ქართ. გალობა და საგალობელი ებრაულ-ასურულ-სომხურსა და ბერძნულ გალობა-საგალობლებისაგან და განსხვავებულ ოდენობად იყოს ქცეული?

ცხადია, რომ ებრაულ-ასურულ-სომხურ გალობა-საგალობლებთან კავშირი, თუ ამაზე უწინარეს არა, მაინცდამაინც უკვე VII-ის დამდეგითგან უნდა შეწყვეტილიყო, როდესაც ქართ. და სომხ. ეკლესიებს შორის სარწმუნოებრივი ერთობა საბოლოოდ შეწყდა. უფრო ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია, კავშირი საბერძნეთ-ბიზანტიასთან. ამიტომაც ქართულ სასულიერო მუსიკის თავისებურების ჩამონაკვითლობის ხანის განსაზღვრისათვის უნდა ვიცოდეთ, თუ როდის უნდა დაშორებოდა ქართ. გალობის წესი და საგალობელთა ჰანგები ბერძნულ წესსა და ჰანგებს.

როდის დაიწყო ქართულად და ბერძნული გალობის განკერძოება, ამის გადასაწყვეტად ჯერ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ, როდის არის ქართული გალობა და საგალობლები უკვე ბერძნულისაგან დამოუკიდებელ შემოქმედებად ქცეული, ამის გამორკვევის საშუალებას მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა ცნობილი კრებული გვაძლევს. ამ დიადი ნაშრომითგან უცილობლად ჩანს, რომ მეთათე საუკუნეში უკვე ბერძნული და ქართული საგალობლები ცალცალკე ერთეულებად ითვლებოდა. აი სახელდობრ რა აქვს საგალობელთა კრებულში მიქაელ მოდრეკილს თავის ნაშრომზე ნათქვამი: „მე... მიქაელ მოდრეკილმან... ვილუაწე და ყოვლით კერძო შრომა ვაჩუენე უზემთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულსმოდგინედ ძიებითა შეეკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთათა, — მებურნი, ბერძნული და ქართული, — სრულნი ყოვლითა განგებითა, და დაეწერენ წმინდასა ამას შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და კვშმარტებითა და ესრეთ განვაწესე თავით თვისით და უმჯობეს ვყავ... რამეთუ ყოვლისა კმასა პირველ უფალო ღალადმე-

ტყვისა“ ძლისპირნი დაწერენ და შემდგომად „ვალობათიანი“ ოვნიერ
„ქერაბიშისა“ და ყოვლითურთ სრულ იქმნა მუშაკობა ესე“ ^{ო.}

მიქაელს ამ კრებულში აღდგომის საგალაღობელი შეუ-
ტანია: „შევერიბენ საგალაღობელი ესე წიხნსაჲსაჲსაჲსა-
ნი, რომელნი ვბოვენ ენითა ქართველთაჲთა, მეხურნი,
ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა გან-
გებითა... სიწმიდით და სიმართლით სისწორითა
კილოსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა“ (ქტბნი,
I, 112).

შემომოყვანილი ცნობებითაგან ცხადი ხდება, რომ უკვე მიქაელ
მოდრეკილამდე, ე. ი. X საუკუნემდე, „ენითა ქართველთაჲთა, იყო
ძლისპირნი და საგალაღობელი, როგორც „ბერძულნი“. ისევე ქართულნიც
ამნაირად, ბერძულსაგან განსხვავებული ქართული შემოქმედება საეკ-
ლესიო მუსიკის სფეროში მეთავე საუკუნეზე უწინარესაც ყოფილა.

პროფ. კ. კეკელიძეს გამოკვლეული აქვს, რომ ქართ. ჰიმნოგრა-
ფიული საგალაღობის შემოქმედება უკვე VII ს.-მდე უნდა იყოს გაჩენი-
ლი, იმ ხანაში, როცა ჯერ კიდევ ძველებურად ლეთისმსახურების გა-
ლობაში ფესალმუნები სჯარბობდა. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საგალაღო-
ბის ჰანგებს აქვს მნიშვნელობა. შემომოყვანილი ცნობის მიხედვით-კი
იმის გადაწყვეტა, ჰქონდა, თუ არა, ქართ. ეკლესიას თავისი საკუთარი
ჰანგებიც უკვე VII ს.-მდე, შეუძლებელია.

მხოლოდ მიქაელ მოდრეკილის შემომოყვანილი ანდერ-
ძითგან ირკვევა, რომ X ს.-მდე ქართულად საკუთარი სძლისპირნი, ვალო-
ბანი და სხვადასხვა საგალაღობელი ყოფილა, თავისი განსხვავებული სა-
გალაობო ნიშნებით ჰქონიათ ქართველებს და მუსიკის ერთგვარი თეო-
რიაც არსებულა. მეორე გარემოებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ-კი
მესამე გარემოებაზე უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

თუ მიქაელ მოდრეკილის შემოგანწილული ცნობა ვის-
თვისმე საკმარისი არ აღმოჩნდა იმიტომ, რომ შესაძლებელია ვინმემ იქ
ქართული ჰანგი-კი არა, არამედ მხოლოდ სიტყვები იკულისხმოს, ე. ხ. უ-
ცეს-მონაზონის ამ მხრივ სრულებით მკაფიო ცნობა მაინც ყოველ
სკეპტიკოსსაც დააჯერებს.

ამ ისტორიკოსს მოთბრობილი აქვს, რომ საქართველოთგან ისევ
ათონის ქართველთა მონასტერში მიმავალს გიორგი მთაწმი-
დელს თან სამშობლოთაგან წაყვანილი, თავისი განსწავლული, მოწა-
ფეები ჰყოლია. კონსტანტინეპოლში თავისი მოწაფეების გუნდი ბიზან-
ტიის კეისრისთვის წარუდგენია. ისტორიკოსი ამბობს, ე. მთაწმი-
დელმა რომ კეისარს თხოვნა მიართვა, „მაშინ უბრძანა მეფემან, რა-
ფა ეამობაჲ ათქმიოს ობოლთა შათ თვსთა“—ო. „ხოლო მან.. სვეონ მო-
ხუცებულისა ვალობაჲ გვბრძანა ვალობად, რომელ არს ესე: „მჯდომარე

მტლითა ქერაბინითა, მეუფე“... და „აწ განუტევე მეუფე“... სილო, ვითარცა ვთქუთ ვალობაჲ იგი, დიდი მადლი უბრძანა მეფეჲს... ზედა მას, ფითარმედ „განგისწავლიან ბერძულსა გუარსა“ ზედა კეთილო ბერო, „შენნი ოზოლნი“ და ბძანა ათასი აფურა მიტეხეს მათსა“-ო¹.

ისტორიკოსის მთელი მონათხრობის სისწორით გასაგებად, უნდა გავიფიქროთ, რომ გ. მთაწმიდელს ბიზანტიის კეისართან სათხოვსაგებად მას თავისი ნორჩი მოწაფეების გუნდი წინასწარ გაუწრთენია ვარაჲ ჰქონია. თხოვნის ასრულების გასაადვილებლად და კეისრის გულის და რამდენიმე ბერძული საეკლ. საგალობელი დაუსწავლებია. კეისრის სიტყვითგან ჩანს რომ მას ბერძული და ქართული საეკლესიო მუსიკის განსხვავებულობა კარგად სცოდნია, რომ ქართული ვალობის გვარი და ბერძული ვალობის გვარი სხვადასხვა იყო. გ. მთაწმიდელის მოსაზრება, რომ ბერძულს გუარზე ვალობით კეისრის გულს აამებდა, სრულებით სწორე გამოდგარა. ეს ამბავი ქართ. მუსიკის ისტორიისათვის იმ მხრივ არის ძვირფასი, რომ ამით ვალობის ქართული და ბერძული განსხვავებული გვარის არსებობა XI ს-ში მაინც უცილობლად მტკიცდება. კეისარს სცოდნია, რომ ათონის ქართველი ბერები თავიანთ მონასტერში ქართულსა „გუარსა ზედა“ ვალობენ და ის ბერძული გვარი ვალობა, რომელიც გ. მთაწმინდელმა მოასმენინა, პირადად მის საამებლად იყო მოწყობილი.

ცნობილია, რომ ბერძული საეკლესიო და საერო მუსიკა ერთხმიანი იყო და ისიც, რასაც განსწავლული ქართველი ობლების გუნდი უვალობებდა კეისარს, უმკველია, ერთხმიანი იქმნებოდა. მაგრამ ვალობის გუარობის განსხვავებულების უცილობელი გარემოება თავისთავად, რასაც ვიწველია, იმის დამამტკიცებელ საბუთად ვერ გამოდგება, რომ ქართული ვალობა უკვე მაშინვე მრავალხმიანი იყო: განსხვავება ერთხმიანობაშიც არსებობდა და არსებობს ეხლაც. სპარსული მუსიკაც ერთხმიანია და ბერძულიც, მაგრამ მათ შორის მაინც განსხვავება იყო. სამაგიეროდ ქართულ საეკლ. მუსიკაში უკვე X ს-ში ორხმეანობის არსებობის ერთგვარი ანარეკლი შესაძლებელია იდამიანმა იმ ცნობაში განკვერიტოს, რომელიც მიქაელ შოდრეკილს თავის საგალობელთა კრებულის წინდერძში მოეპოვება, სადაც მას ერთი მნიშვნელოვანი განმარტება აქვს დართული „საყუარელნო, უკუეთუ ერთსა ძლისპირსა ზედა რომელიმე კილოჲ ერთი ორ-გუარად იყოს აღნიშნულ, ნუ უტხო-გინნ, ნუცა ურთო-ერთას წინააღმდეგომ, რამეთუ რომელიმე მრავალისა ძლისპირისა ერთი კილოჲ ორ-გუარად არს მეზურად, ხოლო შენ რომელი-მე გინებს, ბრძანე, რამეთუ ორივე კეშმარიტ არს“-ო².

¹ ე.ვ. ი. მთაწმინდა, ათონ-ს კრებულები, 2. ჯავახიშვილის გამ. გვ. 355.

² კბი I, 112.

ზემომოყვანილი სიტყვებითგან ცხადი ხდება, რომ მრავალს/ერთსადამივე ძლისპირებს „კილოა ორ-გუარად“ ჰქონია. რატომ და რისთვის უნდა ყოფილიყო ერთი საგალობელის ორი პარალელური პანგი, აქ ხომ ორ ხმაზე არ არის საუბარი? შენახული ცნობისდა მიხედვით მუქმღებელია იმის გადაწყვეტა, თუ რატომ და რისთვის უნდასქონილიმქონიარად წოდებულ ძლისპირთა მრავალრიცხოვან ჯგუფს ორი პარალელური კილო, მაგრამ მაინც ვერც მიქაელ მოდრეკელის ეს განმარტება გამოდგება ქართ. საეკლესიო მუსიკაში ორხმიანობის უკვე არსებობის საბუთად. მიქაელს რომ დამატებული არ ჰქონდეს „ხოლო შენ“, მკითხველო და კრებულის გამომყენებლო, ამ ორთაგანი „რომელი-მე გინებს, ბრძანე, რამეთუ ორივე ჰეშმარიტ არს“-ო, რომელიც გინდოდეს იგალობო, მაშინ, უეჭველია, აქ ორხმიანობის უცილობლად დამამტკიცებელი გარემოება გვექმნებოდა დაცული, მაგრამ მიქაელ მოდრეკელის ამ განმარტებითგან ჩანს, რომ ასეთი საგალობლის ორი კილო ერთსადამივე დროს გალობისთვის-კი არ ყოფილა განკუთვნილი, არამედ მგალობელს მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი უნდა ემღერა. ამნაირად აქ მხოლოდ მელოდიის ორ-ორი ვარიაციის არსებობის დამამტკიცებელი ცნობაა. რასაკვირველია, ესეც ფრიად საყურადღებო გარემოებაა, მაგრამ მაინც ეს მრავალხმიანობის საკითხთან უშუალოდ დაკავშირებული არ არის და ამ ცნობის გამოყენება უკანასკნელი საკითხის გამოსარკვევად მართებული არ იქმნებოდა.

ცხადია, რომ ახლად ვაბატონებულს ქრისტიანობასა და წარმართობის შორის უეჭველად ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო. ამ ამტყრად ბრძოლას უნდა ვალობაშიც ეჩინა თავი. ხალხი მიჩვეული იყო ძველ წარმართულ სიმღერებს, რომელსაც ლხინისაცა და ჭირის დროსაც ამზობდენ ხოლმე. ვითარცა წარმართულ რწმენასა და ცეკვა-გასართობებთან უმჭიდროესად დაკავშირებულს, ამ საერო სიმღერას ახალი სარწმუნოებისათვის ძლიერი მეტოქეობის ვაწევა შეეძლო, ამიტომაც ყველგან ქრისტიანობის მესვეურნი წარმართული სიმღერის ასეთი გავლენის ყოველგვარი საშუალებით ჯერ შესუსტებას, ხოლო შემდეგ მის სრულიად მოსპობასაც ცდილობდენ. გამოჩენილი ასური მოღვაწის ბარდესანის ბიოგრაფიითგან ვიცით, რომ წარმართობისათვის თანემემამულეთა შორის წიადაგის გამოსაცლელად, მან წარმართული პანგები და ცეკვა-კი ვაშოიყენა, ოღონდ წარმართული სიტყვების მაგიერ ქრისტიანულ ლოცვადგებრებას ათქმევინებდა ხოლმე.

ასეთი ბრძოლა, უეჭველია, საქართველოშიც უნდა ყოფილიყო. ამის დამადასტურებელი ორი სრულებით მკაფიო ცნობა ძველ წყაროებში დაცული გვაქვს კიდევაც. სახელდობრ პეტრე ქართველის ცხოვრების ასურულს ტექსტში ნათქვამია, რომ, თუ ბევრ დიდებულებს დროს გასატარებლად მგოსან კაცთა და ქალთა სიმღერების მოსმენა ჩვეულებად აქვთ, არჩილ მეფემ ამის მაგიერ, დავით მეფის მსგავსად, საეკლესიო საგალობლების მავალობები გაიჩინა, რომელნიც პურისჭამისა და ყოველ სხვა

დროსაც ღმრთის წმინდა სიტყვებს ვალობდენ, ისე რომ მის სასახლე ეკლესიისაგან არაფრით არ განსხვავდებოდაო¹.

საფიქრებელია, რომ პეტრე ქართველის ბიოგრაფს პიროველ ქართველ ქრისტიან მეფეთა სახელის წინაშე მოწიწების გამო აწინასწარმანდაპირ ნათქვამი, რომ არჩილ მეფის წინამორბედნიც პურობისს ღმრთისს ტახტსართობების დროს ქალ-ვაჟ მგოსანთა სიმღერებს გულთანად ეტანებოდნენ. ამიტომ ამ შემთხვევაში არჩილ მეფეს მიზნად ქართ. წარმართული მუსიკის განდევნა და ქრისტიანული საგალობლების გაბატონება უნდა პქონოდა დასახული.

ზემომოყვანილი ცნობითგან ჩანს, რომ მე-5 ს-ში საქართველოში ბრძოლა წარმართული ქართ. მუსიკის წინააღმდეგ უკვე დაწყებულია და სასახლითგან იგი არჩილ მეფეს განუდევნია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ერთი შემთხვევის მიხედვით ქრისტიანული გალობის საეროზე საბოლოო გამარჯვებამდე მსჯელობა არ შეიძლება. უეჭველია, ამას ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდებოდა, მეტადრე ხალხში, სადაც სიმღერა მის მთელ ყოფაცხოვრებასა და საქმიანობასთან უმჭიდროვებსადა იყო დაკავშირებული.

ვინც გ. მერხულის გრ. ხანძთელის ვრცელ ცხოვრებას გულდასმით გადაიკითხავს, ის შეამჩნევს, რომ ასკეტიკოსთა თავდადასავალსა და მოღვაწეობის ამ მომთხრობელის თხზულებაში საერო ყოფაცხოვრებისა და გრძნობის მონაბერი უკვე საკმაოდ არის შეჭრილი, ამის დასარწმუნებულად საკმარისია თუნდაც აშოტ კურაპალატის სიყვარულის ამბავი გავიხსენოთ. ეს ძეგლი ხომ მეთათე საუკუნის შუა წლებისაა. მე-თერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული ხომ ქართ. საერო მხატვრული მწერლობაც ჩნდება, ჯერ ნათარგმნ-გადმოქართულებული, შემდეგ ორიგინალურიც. ამგვარად საერო სულისკვეთება და თავისუფალი აზროვნება მაშინდელის საქართველოში უკვე ძლიერ ნაკადად მოჩანს. საერო მსოფლმხედველობა უკვე საეკლესიოზე უფრო ძლევამოსილი და საბოლოოდ გამარჯვებულია.

განა შესაძლებელია ასეთ პირობებში, ქართ. საერო მუსიკას, რომელსაც, წინა საუკუნეების განმავლობაში. საეკლესიო მესვეურთაგან დევნის გამო, თავისუფალი, ბუნებრივი განვითარების გზა და საშოქმედო ასპარეზი უაღრესად შეზღუდვილი პქონდა, ჯერ კვლავ გამოცოცხლება არ დასტყობოდა, ხოლო შემდეგ უკვე მისი ცხოველყოფელი ვაფლენაც-კი საგრძნობი არ გამხდარიყო?..

ძველი ქართ. წარმართული მუსიკის დამცველი სწორედ ხალხი იყო და მისი ძველი მარაგი ხატობა-დღეობებთან დაკავშირებულ სიმღერა-გასართობების წყალობით იყო ვადარჩენილი. მაგრამ ქრისტ. ეკლესიის მესვეურნი ცდილობდენ აქეთგანაც ამოეფხვრაით. 1103 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მონასტრების დღესასწაულების დროს ყოველივე

¹ იხ. R. Raabe, Petrus der Iberer. ასურ. ტექს. გვ. 11, 7 და გერმ., თარგ., გვ. 9.

საერო ზნეჩვეულებების გამოხატულების წინააღმდეგ გალაშქრდა და აკრძალა: „ნუღარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერითგან ნუცა მონასტერთა შინა შექმნაჲ სავაქროთა ერის კრებათა, ნუმცა რაჲ ჭეუყუჭეუმოქალაქოჲ და სასოფლოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა რვეტსი რასჲსა სლოტველთა მათ ადვილთა ქუაბ ავაზაკთა შექმნითა“ არ წარსწყმდეთო¹. ამნაირად, ხატობა-დღეობებთან დაკავშირებული ბაზრობის („სავაქრო ერის კრებაჲ“) აკრძალვასთან ერთად ყოველნაირი „სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი“-ც არის დაგმობილ-განდევნილი. ცხადია, რომ აქ დღეობის დროს ჩვენში მიღებული ხალხური სიმღერა-გასართობი იგულისხმება.

ასეთ დადგენილებების დაწერა ადვილი იყო, განხორციელებით-კი დასახული მიზნის სრულად მიღწევა მეტად ძნელი იქნებოდა: თუ ხალხის მთელი ზნეჩვეულებების გადასაქმნელად შესაფერისი პირობები არ არის, დადგენილება დადგენილებად დარჩება და ცხოვრება თავისს გაიტანს. აქაც საჭმე ასევე დატრიალდა. მაგრამ ეკლესიაც მარტო ზემომოყვანილი დადგენილებით არ დაკმაყოფილებულა. უეჭველია, ამავე წრეების ზეგავლენით, ხალხური წარმართული სიმღერა ჯარშიაც აუკრძალიათ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამბობს: ამ მეფის დროს „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება, ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მათთა“-ო².

რასაკვირველია, საეშმაკოდ აქ წარმართულია ნაგულისხმევ-სახელდებული. მაშასადამე, არჩილ მეფითგან მოყოლებული ბრძოლისდა მიუხედავად და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების აკრძალვისა და დაგმობის შემდგომაც ქართ. წარმართული სიმღერები და სხვადასხვაგვარი გასართობი ხალხს მაინც შენარჩუნებული ჰქონია და მხოლოდ ლაშქარში მოუხერხებიათ მათი მოსპობა.

მაგრამ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზემომოყვანილი ცნობაც წარმართულ ქართ. სიმღერა-სახიობათა ლაშქარში მოსპობის შესახებ რომ გადაჭარბებული უნდა იყოს და რომ მათ აკრძალვას მაინცდამაინც ვერც დიდი შედეგი მოჰყოლია და ვერც ხანგრძლივი აღმოჩენილა, ეს თუნდაც „ხელმწიფის კარის გარიგებითგანაც“ ჩანს. ცნობილია, რომ ნაღარობა ძველ საქართველოში ლაშქრობის ბეგრის აუცილებელსა და სავალდებულო ნაწილს წარმოადგენდა, ლაშქარნადირობა საბუთებშიც ყოველთვის ერთად იხსენიება ხოლმე. ამ ძველში-კი ნათქვამია: თევდორობის „ორშაბათს მეორეს ლაშქარს მონადირენი შეიქმენ, მეფეს წინაშე მიიღებენ და ცოლსა მეფისასა და შვლთა და ვაზირთა... მიართმევენ“. ხოლო შიშავე ლაშქარს ანთებულსა ჰეარსა შეიღებენ, გგრე მრგვალს დააბმენ“ და ვინც „პურად ავაღია (ე. ი. ძუნწი), ავინებენ და რაც უარესია“, გაღეკსვის დროს აკადრებენო³.

¹ ქტი II, 65.

² ცა მეფისა დავითისი.

³ § 20, გვ. 11-12.

მაშასადამე, XIV ს. პირველ ნახევრამდე საქ. სამეფო კარში „ლამპრობა“ და „რგვალი“, ე. ი. ფერხული სიმღერა-შაირობითურთ იმდენად ურყევ წესად ყოფილა განმტკიცებული, რომ ხელმოკერე და დაღუპვი ხელისუფლებსაც კი არ ინდობდენ თურმე და შაირობებსაც არ ინდობდენ და დასცინოდნენ. ასეთ შემთხვევაშიც მათ მიიწი არაფრის თქმა არ შეეძლოთ და ეს ხალხური ჩვეულებით დაწესებული მისაგებელი თურმე უსიტყვოდ უნდა მოეთმინათ. ცხადია, რომ იმ ბრძოლაში, რომელსაც ეკლესია წარმართულ ქართულ სიმღერა-გასართობთან საუკუნეთა განმავლობაში აწარმოებდა, სწორედ წარმართულს და ხალხურ საერო მუსიკას იმ მხრივ გაუმარჯვნია, რომ ეკლესიის მესვეურთა და საეკლ. მუსიკას მისი მოსპობა ვერ მოუხერხებია.

ამნაირად ცხადი ხდება, რომ, თუ გაბატონებულ ქართულ საეკლესიო მუსიკას კარვად ჰქონია უკვე ფესვი მომაგრებული, წარმართობის დროთგანვე მომდინარე დევნილი ქართული საერო მუსიკაც ღონემიხდილი არ გამომდგარა, ერთიკა და მეორე გარემოებაც შესაფერისი პირობებისა და სათანადო ორგანიზაციის, განსწვალისა და ხელმძღვანელობის გარეშე გაუგებარი იქმნებოდა. ამიტომაც საჭიროა, რომ შეძლებისდაგვარად ვცადოთ გამოჩვენება, თუ როგორ იყო მუსიკის ხელოვნება ძველ საქართველოში მოწყობილი და რა მოძღვრება არსებობდა მაშინ ამ დარგში.

მხენია სიხარულიძე

ქართული ხალხური ლირიკის სიმბოლიკის საკითხები

თანამედროვე მეცნიერების მიღწევების საფუძველზე არავისთვის სავკვო არ არის, რომ ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ უხსოვარ დროიდან მომდინარეობს. დიალექტურ მეთოდით შეიარაღებულ კრიტიკულ აზროვნებას არ ეუცხოვება ჩვენს ენაში, ჩვეულებებში, წარმოდგენებში და სხვაში შორეულ წარსულიდან გამოყოლილი ელემენტების დანახვა.

დღევანდელი ცხოვრების ფორმათა ასახსნელად მეცნიერება განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ძველი კაცობრიობის ცხოვრების შესწავლას. ამ მხრივ ფოლკლორისა და კერძოდ ხალხური პოეზიის შესწავლა მეტად საინტერესოა. ეს ხალხისა და ბუნების უშუალო ურთიერთობის პროცესში იშვიათად. პოეტური ფოლკლორის განვითარება ყოფიერებასა და ეკონომიკაზე და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრების ევოლუციაზეა დამყარებული. მისი საფუძვლიანად ათვისება დიდ დახმარებას გაუწევს კაცობრიობის ისტორიას მთელი რიგი ჯერ კიდევ სიბნელით მოცული პრობლემების ამოსაცნობად. ხალხური ლირიკის სიმბოლიკის საკითხიც, რომელაც პოეტური ფოლკლორის კვლევის სფეროდანაა, წარსული ყოფაცხოვრებისა და უძველესი დროიდან მომდინარე წარმოდგენების, ენის ჩვეულებებისა და სხვათა შესწავლის საფუძველზე ამოიცნობა. ამდენად ის საინტერესოა თანამედროვე მეცნიერებასათვის და კერძოდ-კი კულტურის ისტორიისათვის.

პოეზიისათვის დამახასიათებელ ახალი ურთიერთობის ნიშანზე შექმნილ მხატვრულ ხერხებისა და ფიგურების გვერდით არიან ბევრი უძველესი დროიდან მომდინარე ფორმები, შემუშავებული უძველესი საყოფაერო პირობებით, შექმნილი პირველყოფილ ადამიანის განუვითარებელი აზროვნებით, მათ თანდათან დაკარგეს რეალური მნიშვნელობა და ისტორიის მანძილზე იქცნენ ესთეტიურ სამკაულად, მხატვრული შემოქმედების საშუალებად.

ხალხური პოეზიის საერთოდ და კერძოდ ლირიკის სიმბოლიკა, რომელიც დღეს მეტწილად შემოქმედების ტექნიკურ ხერხად ქცეულა, ხშირად წარსულის ნამსხვრევებს ფარავს.

პოეზიის სფეროთა შორის ლირიკა ყველაზე უფრო ადამიანთან. ის პიროვნების გრძნობათა გამოთქმაა, პერსონალური გამოცდირობის ამსახველი. აქ შემოქმედის სულიერ განწყობილებებთან, გრძნობებთან, შეხედულებებთან, მისწრაფებებთან გვაქვს უშუალო ყველაზე ჭეხად ქმნის ადამიანში განწყობილებას და ახდენს მასზე გავლენას. ამგვარად ლირიკა პოეზიის ის სფეროა, რომელიც ერთის მხრივ სუბიექტის გრძნობებისა და ემოციების გადმოშლაა, მეორეს მხრივ ემოციების გამომწვევი.

დამოუკიდებელ პოეტურ სახედ განვითარებულმა ლირიკამ პოეზიის სხვა სახეთა მსგავსად ახალი ურთიერთობის ნიადაგზე შექმნილ ხერხებსა და სტილის გვერდით შეინახა უძველეს დროიდან მოძინარე სახეები. ყველა ამათ განკუთვნილი სოციალური ფუნქცია და რეალური მნიშვნელობა ჰქონდათ, რომელნიც განვითარების მანძილზე შემოქმედების ტექნიკურ ხერხად იქცნენ. როცა სამბოლაკის საკითხს ვეხებით, უმთავრესად ესა გვაქვს მხედველობაში, რომ ყოველ სიმბოლოს საფუძვლად რეალიებია, რომ მის შექმნაში მთავარი ფაქტორი იყო და არის სოციალ-ეკონომიური ყოფა.

დღეს სოციალიზმის ხანაში, როცა ადამიანი გაბატონებულია ბუნებაზე, ბუნების მოვლენები და თვით ჩვენი სულიერი სამყაროც ამოუცნობ საიდუმლოებას აღარ წარმოადგენენ. სპეციალისტ მკვლევარს არ გაუძნელდება პოეტურ ხერხებში და კერძოდ სიმბოლიკაში დაფარული წარსულის ნამსხვრევების ამოცნობა. ყველაფერი ეს დაგვანახებს და გვაცნობს იმ უხსოვარ დროს. შორეულ წარსულს, როცა ფოთლის შრიალი, მდინარის ხმაური, ცის ქუხილი, წვიმა და სხვა ასეთი მოვლენები სიკაცხლის ნიშნების მატარებლად იყო მიჩნეული, როცა პირველყოფილი ადამიანს გულუბრყვილო რწმენით გადაქონდა მათზე ცხოვრების თვითმეგრძნობა. პირველყოფილი წარმოდგენებით შეტოლებულია ერთის მხრივ ადამიანის და მეორეს მხრივ ბუნების მოძრაობისა და მოქმედების ნიშნები.

ანიმისტური მსოფლმხედველობით ის მოვლენები და ობიექტები, რომელთაც მოძრაობა ახასიათებთ, ენერჯის და სიკოცხლას ნიშნების მატარებლები იყვნენ. პოეტურ სტილში შენახულია ადამიანური ცხოვრებისა და ბუნების მოძრაობისა და მოქმედების ნიშნით შეტოლება. აკად. ა. ნ. ვესელოვსკი წერილში „Психологический паралелизм и его формы в отражениях поэтического стиля“, მთელი რიგი მაგალითებით ასაბუთებს, რომ პარალელიზმი მოძრაობისა და მოქმედების ნიშნით შეტოლებაა ერთის მხრივ ადამიანური ცხოვრების და მეორეს მხრივ ბუნების: რომ ობიექტისა და სუბიექტის მოძრაობისა და მოქმედებას კატეგორიით შეტოლების დროს ობიექტებად იყვნენ ცხოველები, სადაც ცხოველთა აპოლოგიის შორეული ფსიქოლოგიური საფუძვლია. ობიექტებად იყვნენ მცენარეებიც, რომელნიც აღმოცენდებიან, აზრდებიან, ჰქნებიან, ქარის ძალით იხრებიან და სხვა.

საეკლესიო ნიშნებს ხედავენ აგრეთვე მნათობებში (მზე-მთვარე, ვარსკვლავები), ქარში, ელვაში, ცეცხლში და სხვა. ერთი სიტყვით, არაორგანული, უმოძრაო სამყარო გაცოცხლებული და სიცოცხლის რით-რეული იყო პარალელური მემების რიგებში.

დღესაც ჩვენი სიტყვის ცალმხრივ განსაზღვრას საფუძვლად უდევს ძველი გულუბრყვილო სინკრეტული წარმოდგენა ბუნებისა, რომელიც განმტკიცდა უძველესი ყოფიერებითა და მასზე დაფუძნებული რწმენით. დღეს ჩვენს ხალხურ პოეზიაში მრავლად მოგვეპოვება ამ ნიადაგზე განმტკიცებული პარალელის ერთი წვერის დამახასიათებელი ნიშნის მეორეში გადატანა. ეს არის ენას მეტაფორა. მდინარეს ფეხები, მკლავები, თვალები აქვს:

„ლიახემ სთქვა ავდიდდები,
 არავეს არ დაეუდარები,
 მოვალ, მოვხუი თაედაბლა,
 ფეხებს არ მინდა ნალები.
 ქურთაში ჩამოვიარე,
 მომაქვს ოსური ტყავები,
 აქებდენ ლიახვის ხიდსა,
 ზედ გადავხვიე მკლავები,
 ისე მოვხადე ჭვევრები,
 არ მოვანდომე ჩარები,
 პატრონი ვორაზე მირბის,
 იქ მაინც დავიმალები
 ჭალაქს მივეიდე მებალეს —
 ფეშანგიშვილის ღარები.
 მტებითს ხიდთან რო მივედი,
 შორს მივაბჯინე თვალები.
 (ტყ. თაყ. „ხალხ. სიტყვ.“ წ. I. გვ. 330).

ყანას ყელი აქვს:

ბიჭებიც აქ არიანო,
 სიშღერა დავაგუგუნოთ,
 ნამგლევი ავაფორიალოთ.
 ბიჭო გამოჰყარ მარავი,
 აახმაურე ხელიო,
 რკინის უღელი გადასდე,
 ყანას გამოსჭერ ყელიო“...
 (ჩაწერილი ქართლში).

მთას წვერი აქვს:

„იმ წვეულმა იალბუშმა
 ვადაიფარცხნა წვერია“...
 (ე. თ. „ხ. ს.“, ნ. I. გვ. 329).

მოვიყვანოთ მავალითები საბჭოთა ფოლკლორიდან, ბუნება გამოცოცხლებულია: მზე ცოცხალი არსებაა, მთვარეს პირა აქვს, ღრუბელ ტირის და სხვა:

„შემ დიხურა პირბადე,
შთვარე მბურავს პირსაო.
მალღა ღრუბელი ატრდა,
ცრემლი ჩამოსდის ძირსაო“.

(ლენინის გარდაცვალებაზე).



საქართველოს
მწიგნობართა
კავშირი

ან

„დაბნელდა მთელი ქვეყანა
შვი ჩიიცვა ცამაო“ (იქვე).

მსგავსად ამ მაგალითისა დღეს უამრავი ბუნების სურათები, რომელსაც იყენებს, როგორც ხალხური, ისე ინდივიდუალური პოეზია, ოდესღაც სახიანი აყო. დღეს ის გამოყენებულია ისე, რომ ვეღარ ვგრძნობთ მის საბეობრივობას. სინამდვილეში-კი ეს საბეობრივობაა. პოეტური ენა აცოცხლებს უსულო საგნებს და როცა ძირითად პარალელს შექსა ჰფენს, ხაზს უსვამს ადამიანობის ელემენტს.

პოეტურ სტილში შემონახული ძველი წარმოდგენები ყოველთვის მკაფიოდ არა სჩანს, ის ხშირად ბუნდოვანია. ძველი განსახიერების იდეა წაშლილი ან გაუფერულებულია. საწარმოო ძალთა განვითარებამ, გარე სამყაროს ამოცნობამ, ადამიანის თვითშეგნებისა და ცოდნის გაღრმავებამ გარკვეული საზღვარი დასდო ადამიანსა და ბუნებას შორის. მიუხედავად ყოველივე ამასა ხალხურმა პოეზიამ, ხალხურმა სიმბოლიკამ წვენამდე მოიტანა ძველი წარმოდგენები, ძველი რწმენა, სადაც ხშირად განსახიერების იდეაც არის. მაგალითად არაქაული ლექსი:

„წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტავ დედა რაო?
იღვის ხე რომ წამოიქცა,
ნეტავ დედა რაო?
— შეილო, შენი ტანი არის
ვაჰ, შენ დედასაო!
იმას ტოტები ემტვრევა,
ნეტავ დედავ რაო?
— შეილო, შენი მკლავებია,
ვაჰ, შენ დედასაო...“

(სიზმარი).

ჩვენ არ გამოვედგებით სიზმრის მნიშვნელობის ახსნას, როგორც სწამდათ ის ძველად. ვატყვით მხოლოდ, რომ ის მიჩნეული აყო უტყუარ წინათგრძნობად. აქ მოცემული გათანაბრებანი: იღვის ხე — ტანი, ხის ტოტები — მკლავები და სხვა, შეიცვალა შედარებით; ჩვენს ხალხურ ლირიკაში უამრავი მაგალითები გვაქვს ასეთი შედარებისა, ქებას, ხოტბის მიზნით:

მაგალ.:

„ქალო, გეგბარ იღვის ხესა,
ბაღრაშია დანერგულსა“.

„ტანადა ქვევზარ ნამყენსა
ამოსულს ალვის ხისაო“

და მრ. სხვა.



დღეს სიმბოლიკა შემოქმედების მხატვრული ხერხების სიმბოლიკა ვულისხმობს კაცშარს ორ წარმოდგენისა, სიმბოლონსა და გასიმბოლოებულს შორის. სიმბოლიზაცია მარტო ხალხური შემოქმედების თავისებურება არ არის. ის თითქმის ყველა სფეროში გვხვდება. მაგალ., ჯვარი ფეოდალური რელიგიის სიმბოლო იყო; ღერბი — გარკვეული წოდების; ანბანი სიმბოლოა ბგერების და ჩვენს დროშაზე ჩაქუჩი და ნამგალი სიმბოლოა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების.

სიმბოლოს საფუძველად აქვს რეალური სახე. მისი ბაზა სოციალური გარემოა.

პარველყოფილი ადამიანი მისთვის უცნობ მოვლენას ხსნადა იმ ნაცნობით, რაც მის თვალწინ და მის გარშემო იყო. ამიტომ ხალხურ სიმბოლიკაში მოცემულია სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილებები. ამდენად მისი შესწავლა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საინტერესო მასალას იძლევა ძველი ყოფისა, წარმოდგენებისა და სხვათა გასაცნობად და შემოქმედების მხატვრული ხერხების წარმოშობისა და განვითარების გასარკვევად.

ჩვენი ხალხური პოეზია ამ მხრივ მეტად საინტერესო და მდიდარ მასალას იძლევა. ჩვენი ხალხური პოეზია სავსეა მზა ფორმლებით.

განვიხილოთ ხალხური ლირიკის სიმბოლიკის ზოგიერთ საკითხს.

ა. ნ. ვესელოვსკი წერილში „Из истории эпитета“ (ტ. D ფურების სიმბოლიკასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მწვანე ფერი ჩრდილოეთის ლიტერატურაში არის ამედისა და სიხარულის ფერი, წინააღმდეგ რუხისა.

ა. ნ. ვესელოვსკი თავის წიგნში „любовная лирика XIII в“ აღნიშნავს, რომ მწვანე ხე იწვეის წარმოდგენას მზიარულს, ჯანსაღს, ის შეტოლებულია ახალგაზრდობასთან. მოყავს მაგალითი:

„Вишенька зелененька—матушка веселенька

Что ты, ивушка, не зелена стоишь,

Что ты девица, не весело сидишь.

(იხ. წიგნი, გვ. 31).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგა მკვლევარი, მაგალითად ელ. კარპოვი, არ სთვლის საჭიროდ ამ სიმბოლოს წარმოშობას საფუძველი შორეულ წარსულში ეძიოს.

რა თქმა უნდა, პარველყოფილი წარმოდგენები დღემდე მოღწეულ ლექსებში და სიმღერებში გაუფერულებულია. მაგრამ სიმბოლო ბალა მიღებულია უძველესი დროიდან და დღემდე გარკვეული სახეა, დაკავშირებული მზიარულ წარმოდგენებთან და მეტწილად სიყვარულთან. მაგალითები ვნახოთ ჩვენს მასალაზე. ბალს აშენებს ტურფა, ის დაკავშირებულია მზიარულებასთან:

„ტურფმა ბალი ააგო,
შეგ ჩაურიაგ ხილნარი,
თურმე იქ კაცი ვერ შევა
დაღრეჯილ, გაუცინარი“

(ექ. თაყ-ლი, „ხ. ს.“, წ. I, გვ. 326) **სიმბოლო**



ქართული
სიმბოლო

ბალი და მისი ვარიაციები, — ქალა, ბაღა და სხვა, — ასოციაციული
სიყვარულთან:

„ასე ესტქვი ქალას ჩავედო,
ჩავეკრიფოთ მარგალიტები,
ლაშაშმა ქალმა ჩაგვასწრო,
კარს წაუყარა კლიტები.
ბროლისა ხელი გამოყო,
მარგალიტისა თითები,
შეგნიდან გამოშეხიდა:
შენგნით არ გაველიტები“

(ექ. თაყ. „ხ. ს.“, წ. I, გვ. 306).

ვარიანტში (იგივე წიგნი გვ. 394) ქალის მავიერად ნახსენებია ბაღა.
სიყვარულის გრძნობას უკავშირდება ეს სახე აგრეთვე ლექსებში:

„მინდორში ბალი ვაშენე,
ლოზე ჩაველე ჯალჯისა,
დაეთესე ოქროსა კიტრი,
ლოშიო მარგალიტისა“... და სხვა.

(ე. თ. „ხ. ს.“, წ. I, გვ. 284).

მოყვანილ ლექსებში ბალის გარდა საინტერესოა სხვა სახეებიც: 1) მარგალიტის აკრეფა, 2) კლიტე, 3) თესვა, 4) მოწყვეტა ან მოგლეჯა.

„მარგალიტის დაფანტვა“ და „მარგალიტის აკრეფა“ ეს არის სიმბოლო ნაანდერძივი მითოლოგიური ტრადიციით. ოქრო, ზურმუხტი, ლალი, მარგალიტი და სხვა ძვირფასი ქვები ერთი და იგივე სიმბოლოებია. ისინი წარმოადგენენ მზის ატრიბუტებს; ამას შესაბამის ქვემოთ მზის სიმბოლიკის განხილვის დროს გვექნება საუბარი.

ჩვენს მიერ მოყვანილ ლექსებში „მარგალიტის ჩაკრეფა“ გულისხმობს სიყვარულის გრძნობის დაკმაყოფილებას. ეს სახე ასეთი მნიშვნელობით გვხვდება სხვა ერთა ხალხურ პოეზიაშიც.

ზევით ვნახეთ, რომ მარგალიტის სახე შეტოლებულია სხვა წარმოდგენებთანაც.

მარგალიტი ცნობილია, როგორც ცრემლის სიმბოლო.

ასეთი მნიშვნელობითაა ეს სახე ჩვენს ხალხურ ლექსებში:

„ხარმა შესტირა გამჩენსა,
მარგალიტისა ცრემლითა“.

(ჩაწ. შესტეთში, ს. ტოლოში).

ქართულ ზღაპარში ხშირად ვხვდებით მოტივს, სადაც ქალის ცრემლები მარგალიტებად იქცევა. მაგალითად ზღაპარში „სასწაულოვანი ქალი“ (რუსთ. ინსტ. ფოლკ. რიგ. კატ. № 80) საგულისხმოა ჩვენამდე

მოსულა ხალხური რწმენა, რომლითაც სიზმარში მარგალიტის ნახვა ნიშნავს ცრემლებს.

მარგალიტი სიმბოლოა ქალის:.

„ობოლი მარგალიტი ხარ,
ფერსა ვერ გიცვლის ზამთარი“.



ან კიდევ:

„ობოლი მარგალიტი ხარ,
ჯერ ძაფზე აფეხებელი...“

მარგალიტი შეტოლებულია აგრეთვე კბილებთან; შვილი ნახავს სიზმარს, რომლის მნიშვნელობასაც ხსნის დედა:

„შეგ რო ვერცხლის თასი იყო,
ნეტავ დედავ რაო?
— შეილო შენი სახე არის,
ვაპ შენ დედასაო!
— ზედ რომ მარგალიტი ჰყრია,
ნეტავ დედავ რაო?
შეილო შენი კბილებია,
ვაპ შენ დედასაო!“

(„სიზმარი“).

ან კიდევ:

„კბილ-მარგალიტი აფრქვევდა
შუჭურს მიდამოს და ველსა“.

კლიტეც უძველესი სახეა — ეროტიული სიმბოლო.

ა. ვესელოვსკის მოყავს მაგალითი სახაროვის წიგნიდან: „ქალი-შვილი კარგავს ყუთის კლიტეს და პირობას დებს ცოლად გაყვეს მას, ვინც იპოვის კლიტეს. პოულობს ბებერი, რომელზედაც ქალი არ თხოვდება“ (ზემოდალნიშნული წიგნი, გვ. 43); კლიტე ასეთი მნიშვნელობით ბალთან ერთად ჩვენს ლექსებში კიდევ გვხვდება:

„ტურფა ბალი და წალკობი
კლითა ვინმე შესარა,
რკინისა კარი შეება,
კლიტე მე მომცა, შენ არა,
სიკვდილსა შენსა სანაცვლოდ
თავსი მე მივეცემ, შენ არა,
ვაპ თუ ზედ ისიც დამერთოს,
მე მიყვარდე და შენ არა!“

(ჩაწერილი ქართლში).

ვფიქრობთ ასეთივე მნიშვნელობით უნდა იყოს ეს სახე ლექსებში:

„ეო, მეო,
აქეთ მომხედო,
მთვარე ნათელი, ცხოველო
ჩისთვის დამჩაგრეო,“

მარგალიტის კლიტბუ ვიხოვე,
 ვიან შეიტყუო,
 ასე ვითქვამს — იღარ მივცემ
 ახლა ვაგლახ შო,
 ხელსახოცი ამოიღე,
 ცრემლი შემაშრევ“.

(ხაწერილი ქართლში).



თესვა-სიყვარული ა. ნ. ვესელოვსკის თქმით ხალხური პოეზიის ცნობილი ფორმულაა. მისი აზრით ქალიშვილი მოქმედებს კატეგორიით სწორედ აქედან შეუტოლდა ბაღის, ვარდის და სხვა სახეებს (А. Н. Веселовский. — Псих. пар. и его Формы в отраж. поэт. стиля, т. I).

ვლ. კარპოვი შემდეგნაირად ახასიათებს დათესვის სიმბოლიკას: „პოეტური ხერხის ძალით რაც ითესება, მთესავას სიმბოლოა; თუ ითესება სელი, სელი — ქალიშვილია“.¹

ჩვენ მიერ მოყვანილ ლექსებას მიხედვით სთესავს ვაჟი და კრეფს ქალი; აქ საფულისხმოა აქტი დათესვის. ძველ ფორმულას თესვა-სიყვარულა, როგორც ვხედავთ დღემდე იყენებს ხალხური პოეზია.

„ვაჯავს სხვისა ცოლთან წოლა
 ჰგონავ კარგი ნამუსია;
 ეშმაკისა მუშა ხდება,
 სთესავს სხვისა მამულშია“.

თესვა გამოყენებულია ეროტიული მნიშვნელობით. (იხ. Вл. Карпов — „Техн. приемы творчества в великорус. народ...“.

მოკრეფა, მოგლეჯა, მოწყვეტა, მოჭრა და სხვა ამის მსგავსი სახეები გავრცელებულია ყველა ერას ხალხურ პოეზიაში და სიმბოლოა სიყვარულის, ქორწინების, შეერთების, შეუღლების.

ლიტვიურ სიმღერაში:

„Много в деревне клетей, а в клетях девушек; какая из них красивее, ту я за себя возьму.“

„Много яблоней в саду, а на яблонях яблوك; какое из них порумянее,—я себе сорву“ (А. Н. Веселовский.—Псих. пар. и его формы в отраж. поэт. стиля, т. I).

ვაშლის მოწყვეტა შეტოლებულია ქალის წაყვანასთან. ამის მაგალითებს ქვემოთ ვნახავთ ვაშლის, ვარდის და სხვა სახეების განხილვის დროს. ვაშლის ხე, ვაშლი — სიმბოლოა მზიარულების, კმაყოფილების, ბედნიერი ცხოვრების; მეტწილად კი — ახალგაზრდა ქალისა და სიყვარულის.

ავტამანოვი ვაშლას სიმბოლიკის განვითარებას ამგვარად ხსნის:

„Весной все усыпанные слегка розоватыми или совсем белыми цветами, эти деревья должны были производить на человека впечатление чего-то чистого, девственного, и в силу этого, стали обозначать первоначально, повидимому, именно девушку“ (Автаманов — Символика раст. Ж. М. Н. Пр. 1902 г. В. 63).

ვაშლის ტკბილ ნაყოფსაც უნდა მოეხდინა გავლენა ამ ხალხის შექმნაზე. ჩვენს მასალებში ქალის ასეთ შექმნას ვხვდებით.

„აქეთ იქით ლოცები ვაქვს,
საკმეჩები ვაშლისა“.

ქართული
სიმბოლიკისათვის

(ჩაწერილი კახეთში).

ჩვენშიაც გვხვდება ვაშლი ნიშნობისა და ქორწილის რიტუალებში. ფშავში, როცა ნეფე-დედოფალი ნეფის სახლში შედიან „მათ წან მიუძღვის მეგვარე ხელში ხონჩით, რომელზედაც ჯვრიანი მრგვალი პური და თავლიანი ჯამი. ჯვარი ვაშლებითაა შემკული“ (ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 133); „ნეფის დამ ან მისმა ბიძაშვილმა ნეფე-დედოფალს „მაშხალა“ უნდა მიართვას. მაშხალა პატარა ხის სუფრაზეა გამართული. მაშხალის წვერზე ჯვარია გამოსახული, ტოტებზე წამოცმულია წითელი კვერცხები და ვაშლები...“ (იჭვე, გვ. 138).

ვაშლი გავრცელებული სიმბოლოა. ველიკორუსიის ხალხურ სიმღერებში ხშირია ეს სახე.

„Не дали груше вырасти,
Не дали яблоне выцвести,
Не дали яблочку вызреть“.

ამბობს ნაადრევად გათხოვებით უკმაყოფილო ქალი (Шейп. — Велико-русс в своих песнях, обрядах, обычаях и. т. п. т. I. № 2275).

ვაშლი, როგორც სიყვარულის სიმბოლო, ცნობილია საბერძნეთში. გუნის წიგნში „Культурная раст. и дом. жив.“ აღნიშნულია, რომ

„Плод, посвященный Афродите, употреблявшийся во всевозможных любовных играх девушек и служивший свадебным подарком, был не что иное, как золотистое ароматное квинтовое яблоко“.

„Солон издал закон, что невеста во время свадьбы, перед вступлением в брачный покой, должна съесть кидонское яблоко“ (Автаманов. — Симв. раст. — Ж. М. Н. Пр. 1902 г. В. 128—129).

საინტერესოა აგრეთვე სერბებს შორის გავრცელებული ჩვეულება: „როცა ქალი მოეწონებათ საცოლედ, შუამავლის ხელით გაუგზავნიან ვაშლს; თუ ქალიშვილი მიიღებს ვაშლს, ეს ნიშანია თანხმობისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმრომ უნდა ეძიოს სხვა საცოლე“ (Афанасьев — поэт. возр. слав. на прир. В. 317). ავტამანოვის ზემოთ აღნიშნულ წერილში და ვოდარსკის წერილში — Символика вел. нар. песен (Р. Ф. Б. 1916 г. № 3 — 4) მთელი რიგი მაგალითები მოყავით, სადაც ვაშლის მოწვევბა, შექმა სიყვარულს ნიშნავს:

„Два яблока сорвала,
С того время любить дружка начала“.

ამბობს შეყვარებული ქალიშვილი (ზემოთ აღნ. ვოდარსკის წერილი, Р. Ф. Б. № 4, გვ. 121);

დაკრეფა მისი და სატრფოსადმი მიძღვნა — ნიშანი *გაბრიელისა*:

„Я с тех деревь яблочки брала, ეკრებულნი
Я рвала, брала—милому дарила; გიბეჭდოვნივე
Я с тех пор сударышкой слыла“.

(ვოდარსკის აღნიშნული წერილი P. Ф. В. № 4, გვ. 121).

ჩვენს ლექსშიც „ახმეტური პატარძალი“, ვაშლის ქამა დაკავშირებული უნდა აყოს საქორწილო წესთან:

„...შუა გზაში რომ მივედი,
ვაშლი გავებიჩეო...“

საერთოდ ჩვენს ხალხურ ლირიკაში ხშირია ეს სახე, სადაც ლაპარაკია სიყვარულზე და ქორწინებაზე. ვაფი აწედის ქალს ვაშლს:

„აჰ, ქალო ვაშლი, რა ვაშლი,
უბეს ნადები, ნასეტყვი!
ამაღამ შენთან წამოვალ,
გულის კირიმე, რას მტყვი?
(ექ. თაყ. „ხ. ს.“, წ. 1, გვ. 127).

არას შემთხვევა, როცა ქალი სთავაზობს სატრფოს ვაშლს:

„შვეარდენი გადმოფრინდა
თაფის ოქროს ბუდიდამა,
გადმომიგდო ქალმა ვაშლი,
ამოიღო უბიდამა.
— ჩემულად შეინახე
არ გადმიგდო გულიდანა“
(იქვე, გვ. 361).

ქალი არ ლებულობს ვაფისაგან ვაშლს:

„ჩაფიარე ბაზარშია,
ქალი იჯდა ჩარდახშია,
ქალსა ვაშლი გადავუგდო
ქალმა ვაშლი არ ინდომა...“
(იქვე, გვ. 345).

ვაფი სტაცებს ქალს ვაშლს და გარბის მისგან:

„იქით ვეცო, აქეთ ვეცო,
ცუცხლზედ მივაყუდე ძეცო,
გოგომ ვაშლი გადმომიგდო,
მოვსტაცე და გავიპეცი“
(იქვე, გვ. 294).

სიყვარულის გრძნობასთან თამაშს უკავშირდება ვაშლის სახე ლექსში:

„სათამაშო ვაშლი მქონდა,
შენსკენ გადმომიფარდა,
შე თუ გჭლევარ, სხვა თუ გიყვარს,
ფესვი ამოგივარდა“.

ვაშლის სახე ანდაზებშიაც გვხვდება: „თურაშაულის პატრონე ტყეში დაეძებს კენელსა“; ან კიდევ რუსული: „Яблочко от яблоньки не далеко откатывается“.

ვაშლის გარდა ჩვენს ხალხურ პოეზიაში ასეთივე მნიშვნელობით გამოყენებულია თითქმის ყველა ხილისა და საკმელის სახე, რომელთა თვისებასაც სიტყბო შეადგენს.

ყურძენი, ვენახი და ვაზი საერთოდ, როგორც სიმბოლო კმაყოფილების, სიმდიდრის და მხიარულების ცნობილია სხვა ერთა ხალხურ პოეზიაშიც.

ჩვენს მასალაში გვხვდება ვენახი სიმდიდრისა და სიხარულის მნიშვნელობით:

„სიდედრო, შევეკრეშანობით
არ დაიწუნო სიძეა,
სოფელში მოდი, იკითხე
გძელი ვენახი ვისია“
(ჩაფ. კახეთში).

ვაზი, ვენახი დაკავშირებულია მხიარულ წარმოდგენებთან, ბედნიერებასთან და სიუხვესთან. ასეთივე მნიშვნელობით არის გამოყენებული ეს სახე საწესო სიმღერაში, რომელიც ახალი წლის მოლოცვას წარმოადგენს:

„ახალ წელიწადს წლის თავსა
გივლევ ვაზისა რკითამცა,
შენიმცა სახლი ამილა
ტყავ-კაბა ზარბაზითამცა,
ცხენზედაც შავისხდებიან
შშვილდ-ისრიანი ხმლითამცა,
კარზედაც მოგადგებიან,
ცხენ-ჯორი მათრაშითამცა,
ტახტზედაც დაგიდგებიან,
თავ-ოქრო გვირგვინითამცა,
მტერი სულ დაგიბრმავდების
ეშმაკი — ხმელით — ცითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს
მოყვარე მრავალ გზითამცა,
პური-ღვინო უღეველი
ვით მონადირე წყლითამცა.
სიცოცხლე გახარებული
მოუწყინარი დღითამცა,
ასრე დასტები ამ ქვეყანას
ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა,
უხვადაც მოგვეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა“

(„ივერია“, 1899 წლ. № 1).

ეს სახე გავრცელებულია რუსულ საწყესო სიმღერაშია (КОЛЯДКИ); მეტწილად ყურძნის დაკრეფა და მისი ჭამა დაკავშირებულია სიყვარულთან; ვაჭი ეპატივება ქალს:

„— სადაური ხარ, სად მიხვალ,
საითკენ მივშურები?
შობრძანდი, ყურძენი ჭამე,
თითა და ბუდეშურები.
— არ მინდა, შენი ჭირიმე,
მივალ, გზას მივეშურები“
(ე. თ. „ბ. ს.“, წ. I, გვ. 126).

უკმაყოფილო ვაჭი ამბობს:

„გოგონა ქალაქს წავიდა,
ყურძენი მოიტანა
მე ყურძენი არ მაჭამა...“ და სხვა
(ჩაწერილი ქართლში).

ხალხურ შემოკმედებაში ძალიან იშვიათად შევხვდებით ყურძნის და საერთოდ ვაჭის სახეს, შეტოლებულს მოწყენასთან, მწუხარებასთან.

საინტერესოა სიზმრას ახსნა ჩვენში. ძველი წარმოდგენათ სიზმარში ყურძნის ნახვა, ან მისი ჭამა, სინამდვილეში ნიშნავს ცრემლებს, ან წვიმისა და თოვლის მოსვლას. ჩვენს ზემოთ დასახელებულ არქაულ ლექსში „სიზმარი“ ვაჭის ფოთლების ცვენა შეტოლებულია მკვდრის თიბებთან.

„...ვახს რომ ფურცლები სცვივოდა,
ნეტავ დედავ რაო?
— შეილა შენი ქოჩორაჲ
ვამ შენ დედასაო.“
(ჩაწერილი ქართლში)

— მოსთქვამს დედა, რომელიც ახსნას იძლევა შვილის მიერ ნახულ სიზმრისას.

მეტწილად, როგორც აელნიშნეთ, ყურძენი, ვენახი, ვაჭი — სიმბოლოა სიმდიდრის, საუხვის, სიყვარულის. ის დაკავშირებულია მზიარულ, ნათელ წარმოდგენებთან.

ჩვენს ხალხურ ლირიკაში სიყვარულთან დაკავშირებულია ბროწეულის სახეც:

„ადი ქალო, მალლა ხესა,
გადმოჰყარე ბროწეული,
ერთი აქეთ გადმომიგდე
შენის ხელით მოწეული“
(ეჭ. თაყ. „ბ. ს.“, წ. I, გვ. 287).

ასეთივე მნიშვნელობით ბროწეულთან ერთად გვხვდება ჩვენშიც:

„შენ ია გამოგვგზავნა,
მე ბროწეული, შენ შინდი,
ამ ჩემსა საწოლს დევხსენ,
ნუ იარები, შეშინდი“.

ქართული
სიმბოლიკა

(იქვე, გვ. 305).

გვხვდება თითქმის ყველა ხილი, რაც ჩვენშია გავრცელებული. ხილის გვერდით როგორც ავლნიშნეთ, გვხვდება საკმელების სახეც:

„ადგა ქალი, დაძრა ტანი,
დადგა გობი, ზედ საცერი,
ფქვილი სცრა და გრბო ზილი,
აქხო მისი ქაღალური,
თვითონ სჭამა, მეც მაჭამა,
მით აქბონა მამის სული“.

(იქვე, გვ. 290).

მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ესეც კმარა.

საერთოდ როგორც ზევით იყო აღნიშნული, მოჭრა, მოწყვეტა, დაკრეფა, ჭამა და სხვა, ეს არის უძველესი წარმოდგენებით მიღებული ერთიანი მნიშვნელობის სიმბოლოები.

საინტერესოა ხალხურ ლექსებში წყლის დაღევა. ესეც ცნობილია, როგორც სიყვარულთან შეტოლება. ა. ნ. ვესელოვსკი შეტოლებას утолить любовь — утолить жажду, напиться (ტ. I, გვ. 159) ასაბუთებ, პარალელიზმის მაგალითით თურქული საზღვრიდან:

Катится ручьей, волна за волной, вода утолила мою жажду.

(ა. ნ. ვესელოვსკი, ტ. I, გვ. 151).

ასეთ დაკავშირებას და შეტოლებას ვხედავთ ჩვენს ხალხურ ლირიკაშიც:

„წყალი მწყურთან, წყალს დაქლავ,
დავეწადები გუბესა,
წყალ და ჩავეხუტები
ღამაში ქალის უბესა“.

(ტ. თ. „ხ. ს.“, წ. I, გვ. 132).

ხშირად გვხვდება მარტო წყურვილი. აქ საქმე გვაქვს სიმბოლოს გართულებასთან, მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ იქ ქალვაცას ურთიერთობა დინახო, ვაეი სთხოვს ქალს წყალს:

„ერთსა ქალსა წყალი ვთხოვე,
წყალი იყო მეტად ძვირი,
გაუციენე, გამოციენა,
გამოუჩნდა ბროლის კბილი.
მოდო ჯვარი დავიწეროთ,
შევერთოთ ერთად გული,
სხეთსა ადვილს წაგიყვან“.

რომ ყვაოდეს ხილი-ხედი,
ქვეშ წყარო გამოდიოდეს,
ჩვენ გვეძინოს ტკბილი ძილია“.

(ე. თ. „ხ. ს.“, წ. I, გვ. 301)

ქართული
საბჭოთაო

ან კიდევ „მოხევის სიმღერა“:

„ქალს სიღამაზე ხილადა
ეთხოვე — არ დამაძლეინა!
დავღონდი, წყალი მომწურდა,
წვეთი არ დამაძლეინა!
მომხედა, თოლნი შემყარა,
ნაწინწყლებ წამაურეინა,
დამრცხო, ავინთე, გავწითლდი,
თავი ძირს დამაბრეინა.
სიტყვები გადამავეწყა,
ენა სულ აბარეინა.
არც მითხრა, მოდი, არც წადი,
არც თავი დამახეფეინა.
ტიალი, რაი ყოფილა,
თავზედი დამაწვეინა,
დაბე წვეულსა დიაცსა,
რა დღემდე მომადწვეინა!“

(ჩაწერილი ქართლში).

ხალხურ ლექსებსა და სიმღერებში გვხვდება აგრეთვე წყაროც, როგორც მოქმედების დეკორაცია. წყაროსთან ხედებიან შეყვარებულები. ეს გავრცელებული მოტივია. ჩვენ მიერ მოყვანილი ლექსი (ე. თ. „ხ. ს.“ გვ. 301) ამის მაგალითს წარმოადგენს!

წყარო სატრფოს სამყოფი აღდილა:

„მალა ცაშია წყარო დის,
ნარინჯის ფერად გამოდის,
ლამაზი ქალი გვერდთ უზის,
მუშკაბის სუნი ამოდის“.

(ე. თ. „ხ. ს.“, წ. I, გვ. 302).

ჩვენს ხალხურ პოეზიაში გავრცელებულია ვარდისა და ყვავილას სიმბოლიკა, მრავალფეროვანი ვარიაციებით. ეს სიმბოლო სხვადასხვა ერშიც აგრეთვე მრავალი ვარიაციებით არის ცნობილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა სამაისო დღეობა რომელიც მე-20 საუკუნემდე გავრცელებული იყო ევროპაში. პირველ მაისის შესახებედრად, აპრილის ბოლო რიცხვებში, ვაჟები ყვავილებითა და ხის ტოტებით რთავდნენ იმ სახლ-კარს, რომელშიაც მათი სატრფო ცხოვრობდა. ევროპის ზოგაერთ ქვეყნებში ეს წესი დღემდე არის შენახული. ეს მოტივი უნდა ჩანდეს ჩვენს ხალხურ ლექსში:

„ნეტავი რათმე მაქცია,
 ბულბულად გადამაქცია,
 ბულბულის ენა მასწავლა,
 ბაღებში შემომამჩვია,
 დაეკონო ოჭროს კონები,
 დავერო ვერცხლის წყალშია,
 საღამო ხანზე ვიახლო
 ჩამოგიყარო ბანშია,
 დილით რო გამოსულიყო,
 შიგ გაგებვიოს კავშია“.

(ჩაწერილი ქართლში).



წესის თანახმად, თუ ქალი მიიღებდა ვაჟისაგან ვარდის კონას, პასუხს აძლევდა მის გრძნობებს. ეს გვაგონებს ზემოთ აღნიშნულ ჩვენში, მთაში გავრცელებულ ჩვეულებას, რომელიც ვაშლის სიმბოლიკის განხილვის დროს მოვიყვანეთ.

ჩვენს ხალხურ ლირიკაში ვარდასა და საერთოდ ყვავილების სახე დაკავშირებულია ლამაზი ქალის ან სატრფოუსა და სიყვარულის წარმოდგენებთან.

ჩვენში ვარდის სიმბოლოს ფართოდ გავრცელება, აიხსნება, სხვათა შორის კლიმატური პირობებითაც. რეალური პირობები მნიშვნელოვანი ფაქტორებია შემოქმედების ხერხების შექმნაში. ხალხი სახედ იყენებს მას, რასაც ხედავს და რაც თვალწინ აქვს.

ქართულ ხალხურ ლირიკაში ვარდი, ია და სხვა ყვავილები შეტოლებულია ქალთან:

„წიგნი დავწერე მოგართვი
 ვარდო გაშლილო ველადა...“

„მოვიდე ველს მოგებვიო,
 თავ-გაუშლელსა იასა...“

განსახიერების გარდა უხვად არის შედარებანიც:

„ვარდა ვამსგავსე გაშლილსა,
 ვით რო ედემის ხეაო...“

(ე. თ. „ხ. ს.“, წ. 1, გვ. 296).

მრავლად გვაქვს ვარდის სახე დაკავშირებული სიყვარულთან, ქალი-საგან გაწილებული ვაჟი ამბობს:

„ქალო ვარდი მოგიკრეფამ,
 ხელთ გიჭირავ კალათითა,
 ერთი გთხოვე და არ მომეც,
 დაჯექმ მაგის შარაქითა“

(ე. თ. „ხ. ს.“, წ. 1, გვ. 293).

შეყვარებული ქალი სატრფოს მიმართავს:

„რალი არ მინახებარ,
დიდი ხანი გამოსულა,
ხეს ფოთოლი გაცვენია,
ზელაბალი გამოსულა,
მე და შენსა სასთუმალ ქვეშ
ია-ვარდი ამოსულა,
თუ ჩემი ხარ, ჩემთან მოდი,
თვარა სული ამოსულა!...“

(ე. თ. „ხ. ს.“, წ. I, გვ. 32).



სიყვარულის გრძნობასთანაა დაკავშირებული ია და ვარდი ლექსებში:

„საყვარელსა ეძინაო,
გულზე ვარდი ეფინაო...“

(იქვე, გვ. 28).

„ქალო, ამო-ბაშაო,
წამწამ გიშურო, თმა შევო!
საწოლი შენი მასწავლე,
ია და ვარდი გავშალო!“

(იქვე, გვ. 28).

და მრავალი სხვა.

ცეცხლი — ძველი სახეა. ის შეტოლებულია სიყვარულთან. სიყვარული — სინათლეა, დღე, ცეცხლი, მზე, ცეცხლი ანათებს, ათბობს, სწევას.

ზოგა მკვლევარის აზრით ცეცხლი წითელა ფერისაა, ეს ფერი ქალიშვილის სახეა და აქედან შეიქმნა ის სიყვარულის სიმბოლოდ; ჩვენის აზრით, აქ უფრო საგულისხმოა ცეცხლის სხვა თვისებები: სინათლე და სითბო. ცეცხლი ანათებს, სწევას, სიყვარულიც სწევას: ჩვენს ხალხურ ლირიკაში მრავალი მოგვეპოვება მაგალითები, სადაც ცეცხლის სახე გამოყენებულია ასეთი მნიშვნელობით.

ვაფი ასე მიმართავს ქალს:

„...ცხელმა ნიემმა დამქროლა,
გზად შენკენ დამატრიალა,
გულს ცეცხლი შემოაყარა
და ჩაღად ამატრიალა“.

შეყვარებულის გული დამწვარია:

„...იარე და მოდი მნახე,
თან წამალი მომიტანე,
მოგკედე, ტკბილად დამიტირე,
ცხარე ცრემლი დამეყარე,
შენი ქოჩრის მონაგლეჯი
დამწვარ გულზე დამეყარე“.

(ე. თ. „ხ. ს.“, წ. I, გვ. 297—298).

ან კიდევ:

„ხეობაში ხე გამხმარა,
ვილა გაუნდღღებს ძირსა?
ამ ჩემს დამწვარ-დადაგულსა
ვილა გაუმთელებს გულსა“
(იქვე, გვ. 292).



შეცვარებული ქალი მიმართავს სატრფოს:

„მე შენ ხელსახოცს მოგართევმ,
ოქრო შვერდით მოჭარგულსა,
შიგ გაგიხვევ ჩემსა გულსა
შენთვის დამწვარს-დადაგულსა“
(იქვე, გვ. 303).

ცეცხლმა — საყვარულმა იცის ლახვარი, მახვილი, ისარი. ასეთი წარმოდგენით შეიქმნა მითი ამურის შესახებ. ამურის ლახვარმა შექმნა გულის ტკივილი, კრილობა.

ამური — კუბიდონი, რომელაც უმიზნებს ისარს, დაიჩრდილა ისრის სახით და უმიზნებს მას ის, ვინც სიყვარულის გამომწვევია. ჩვენ ხალხურ ლირიკას ჭოგობებმა ეს სახეები, როგორც სიყვარულის სიმბოლო.

ლამაზი ქალი დახასიათებულია ამგვარად:

„ისარს დაესობ გულს მნახველს,
ხელად გარბოდეს ტყე-ველსა“
(„თემი“, 1913 წ. № 118).

საყვარულის გამომწვევე, თითონ არის გულის ლახვარი:

„სად მიხვალ, სად იარები,
შენ ჩემო გულის ლახვარო?“
(ე. თ. „ზ. ს.“, წ. I, გვ. 286).

მიჯნურს დაშორებული გული ლახვარზე უგია:

„სამსალასა ვსვამ თასითა,
გული ლახვარზედ მიგია,
რაც შენ გავშორდი, მიჯნურო,
საკუთრად ეს მამიგია.
მაცვია ნავთის პერანგი,
ზედ ცეცხლის კილო მიგია...“
(იქვე, გვ. 310).

ბოლოს ისარ ა, მახვილი იცვლება ზმნით: დაჭრა, ჩხვლეტა და სხვა; შეყვარებული კაცი ამბობს ქალზე:

„იმან მიხვლიტა გულშია,
ზედ დამრბა ორიე თვალიო,
თუ ცოლად არ წამამყვება
სხვა ნუ შეღირსოს ქალიო“.
(იაწერილი ქართლში).

ასეთი სახეები გვხვდება სხვა ერთა ხალხურ პოეზიაშიც, როგორც:

„He strela serdce poranila. Levnica proshается“ (Сбор. вел. песен. А. И. Соболевский, т. II, № 274; А. А. Бессоновский. Люб-
бовная лирика. XVIII в. В. 43).

არის შემთხვევა, როცა ცეცხლის სახე გვხვდება ტანჯვისა და მწუხარებას მნიშვნელობით. მაგალითად, ხევსურული ლექსი:

„კაც მაგათ ხელში ნამყოფი სრუ დაწულ-დადაგულია,
ომში მიუღდის სალდათი, იწვების დედის გულია“.

(ა. შანიძე, „ხ. პ.“, გვ. 187).

ცეცხლი შეტოლებულია მრინხანებასთანაც:

„გიწერა, გაჯავრდა პეწენიკ,
ცაში აუშვა ალია...“

(ე. თ. „ხ. ს.“, წ. I, გვ. 356).

ან კადევ:

„...მიენ გაჯავრდა აბეზართ,
გაყარა ცეცხლის ალია“.

(იქვე, გვ. 336).

საგულისხმოა ხალხური გამოთქმაც, გაბრაზებულზე იტყვიან: პირი-
დან ცეცხლსა ყრისო.

ჩვენს ხალხურ პოეზიაში ფართოდ არის გავრცელებული მნათობთა
(მზე, მთვარე, ვარსკვლავები) სახე. დღეს მას იყენებენ ქება-დიდებას
მიზნით. ეს სახე ძველის-ძველია. მომდინარეობს იმ უხსოვარ დროიდან,
როცა პირველყოფილი ადამიანის განუვითარებელი წარმოდგენით არა-
ორგანული სამყარო ცოცხალ არსებად იყო მიჩნეული. შესავალ-
ში აღვნიშნეთ, რომ ასეთ წარმოდგენების წყალობით მოვლენები და საგ-
ნები, რომელთაც მოძრაობა ახასიათებს, სიცოცხლის ნიშნების მატარებ-
ლად იყო მიჩნეული. მზე მოძრაობს და იტყირება დედამიწაზე. პირ-
ველყოფილი ადამიანის აზროვნებას ის ცოცხალ არსებად წარმოუდგენია.
ამ რწმენის კვალი შეინახეს უამრავმა მოთხრობებმა, გადმოცემებმა,
ზღაპრებმა და ლექსებმა. ბერძნული ჰელიოსი (მზე) ცოცხალი არსებაა,
ადამიანური თვისებებით. ბლაკის გადმოცემით, ბუშმენები ამბობენ,
რომ მზე ოდესღაც ადამიანი იყო; მისი საშუალებით მისი სახლის ირგე-
ლივ გავრცელდა სინათლის გარკვეული რაოდენობა. ბავშვებმა ისრო-
ლეს ის ცაში და დღემდე იქ ანათებსო...; ახალ ზელანდიაში და ჩრდ.
ამერიკის ზოგ ხალხში მზეს, თვლიან დიდ ცხოველად, მონადირეებმა
დაიჭირეს ერთხელ და ჯოხით სცემეს... ეგვიპტური მითოსის თანახმად,
მისი სისხლი აურიეს თიხას და შეაქმნა ადამიანი. ავსტრალიაში მთვარე
ითვისება ბორცვ არსებად; მოგზაურობს დედამიწის ირგვლივ და აკე-

თებს ყოველგვარ ბოროტებას და სხვა (Э. Лапг. — Мифология пер. Н. П. и В. Н. Харузиных. В. 176).

ჩვენს ზღაპრებში და თქმულებებში საგრძნობი რეკტორულ-მღვდლოვება ასეთი რწმენის კვალი: მაგ., ზღაპარა „მეფის გაყვებში“ ვხვდებით ხოვს მზეს არ ჩავიდეს ყანის მომკამდი. მზე თხოვნას არ უსრულებს და ჩადის. გადის ზანი, ვაჟი ცოლად ირთავს ქალს, რომელიც მზის და გამოდგება. ხელმწიფეს განზრახული აქვს ვაჟს ცოლი წაართვას და ავალებს ქნელ საქმეს — საკვირველი ჩონგურის გაკეთებას. ვაჟი დახმარებას თხოვს მზეს. მზე აკეთებს ჩონგურს სამა დღის განმავლობაში. მზის მაგიერად სამი დღე დედამიწას გარს უვლის ვაჟი. შურისძიების მიზნით (მზემ რომ თხოვნა არ აღსრულა და ყანის მომკამდი ჩავიდა) სწავს მზის ბაღს. მზეს ვაჟი მოეწონება და გაუკეთებს ისეთ ჩონგურს, რომელიც გასქდება და დახოცავს მეფესა და მის ამაღლას (რუსთვ. ინსტ. ფოლკლ. რიგ. კატ. № 279), როგორც ვხედავთ, მზე ზღაპრის მთავარ პერსონაჟია, ასულდგმულეზული.

ზღაპარში „მეფის ქალი და მზის დედა“ ხელმწიფის ქალი დახმარების სათხოვნელად მიდის მზის დედასთან. მზის დედა ქალს მალავს შეილებისაგან, რომელთაც ქრისტიანის სუნი სცემთ და სხვ. (რუსთვ. ინსტ. ფოლკლ. რიგ. კატ. № 112).

ზღაპარში „ხელმწიფის შეილი“, ხელმწიფის რძალი შობს მზე-ვაჟს და მთვარეს ქალს და სხვა... (რუსთვ. ინსტ. ფოლკლ. რიგ. კატ. № 260).

თქმულებებში, მითოებში, ზღაპრებში და სხვ. მზეცა და მთვარეც ორივე სქესით არის წარმოდგენილი, მექსიკელების წარმოდგენით ორივე მნათობი მამაკაცია; ადამიანის კუნძულზე მცხოვრებთა რწმენით, მზე მთვარის ცოლია; ძველი გერმანელები მზეს ქალად თვლიდნენ, მთვარეს — მამაკაცად, ინდოეთის ერები მთვარეს მზის ცოლად თვლიან. (Э. Лат. Мифол., გვ. 170 — 171).

ჩვენს მასალებში მზეცა და მთვარეც წარმოდგენილია ქალადაც და მამაკაცადაც. ზემოთმოყვანილი ზღაპრების მიხედვით მზე მამაკაც, მთვარე — ქალი. სენატური თქმულების თანახმად მზე და მთვარე ძმები არიან. გამოცანაში:

ერთ ქვეყანას ორთა ძმათა,
ორთავ ერთი ფერი აქვთო.
ერთი მულამ სიყრმეზე დვას,
ერთს სიბერე ახლო აქვსო.
ერთს ჯარი ჰყავ უთვალავი.
ერთს — კი მარტო ტახტი აქო.

მზეცა და მთვარეც მამაკაცები არიან.:

ზღაპარში „სიზმარა“ ვაჟი ნახულობს სიზმარს:

„მზე იქით მიდგა, მთვარე აქეთა, შუქურ-ვარსკვლავი ხელ-პირს მამანინებდა“ მას ეს სიზმარი ასე აღსრულდა:

შეერთო ორი ცოლი, მზე და მთვარე და ოქროს-ქოჩიანი შვილი —
 შექურ-ვარსკვლავი (თ. რაზიკ. „ხ. ზღ.“, გვ. 35). როგორც ვხედავთ,
 ჩვენში მზეცა, და მთვარეც ორადვე სქესით ყოფილა წარმოდგენილი.
 ხალხურმა ლირიკამ ჩვენამდე მოიტანა მზის ამოსვლის შემწვანე უდი-
 დესი მითოსის კვალი. ლექსი „ქალი ხვარამზე“ მზის ამოსვლის მითოსის
 მახეწებელია:

„ამოსავლეთით ამოჩნდა
 ოვალად ღამაში ქალი,
 ამოჰყვა საყურ ბეჭედი,
 უფლიალებდა ქარიო,
 თან მოჰყე ამიყოლა,
 წათლად ეღება ფარიო“.
 — აჟოცეთ ქალსა ხვარამზეს,
 შე ვარ ამ ქალის ქმარიო...“ და სხვა
 (ღმწავში ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ).

ხვარამზე-ამომავალი მზეა, წარმოდგენილი ხორციელი ქალის სახით.

„ზეცის ვიყავ, ზეცა ვნახე,
 ვარს ელაფეხსაც დავენახე,
 მთვარემ კაცი მომიგზავნა,
 თუ აქ იყავ, რად არ მნახე;
 შენი შიშით, მორიდებდი,
 ვერ მოვედი და ვერ ვნახე“.

რომელიც საწესო სიმღერაც არის და უბრალო საჩონგუროც (გუ-
 რიაში ჩემი ჩანაწერის მიხედვით), მითოსის კვალია შემონახული; ზევით
 აღვნიშნეთ, რომ ზესტრალიაში მთვარე ბორბოტ არსებად ითვლებოდა, რო-
 მელიც დედამიწის ირგვლივ ბორბოტებას ავრცელებს. ამიტომ მას ერი-
 დებოდა, მისი ეშინიათ.

მეტწილად მნათობების სახე, ჩვენს ხალხურ ლირიკაში პოეტური
 ხერხია, ქება-დიდების მიზნით დაპირისპირებული ქალთანაც და ვაჟთა-
 ნაც. ამის უამრავი მაგალითი გვაქვს: ქალი ვარსკვლავიანი ცაა, დღის
 მზე:

„ცაე წმინდაე, ვარსკვლავიანო,
 მზეე, დაფენილო დღითა“.

ის მზეც არის და მთვარეც:

„ქალო, ეშხითა მორთულა,
 დღისით მზეე, ღამით მთვარეო“.

ვაჟაკა მზისა და მთვარის მსგავსია:

„მე მინდა ვაჟაკეთ-ვაჟაკი
 არ მზისა დასარიდია...
 რა დაწვეს, ამას იტყოდე,
 მზე ჩაესენა ბინდია,
 ადგების ამოესვენოს,
 მთვარე გეგონოს მშვიდია“.

ვარსკვლავის სახეც ქალთან და ვაჟთან არას შეტრფობული:

„ზეცას შენ, შეჭურ-ვარსკვლავო,
მნათობო ზმელეთისაო,
ივამ შენ ქალო ლამაზო...“

ქართული
სიმბოლიკა

„ევაჟო, დედის ერთო,
გაზრდილო მინდორ-ველთაო,
ოქროს შიბაის ნავლეჯო,
წამოსარტყმელო წელთაო,
მასკვლავო შარავანდედო
მიფარის ნაქერო ხელთაო...“ (ჩაწერილი ფშავში).

მნათობებთან დაკავშირებით საინტერესოა ოქროს, ვერცხლის, ბროლის, ზურმუხტის და სხვა ძვირფას ქვების სიმბოლიკა. ამათი სათავეც უხსოვარ დროშია. მითოლოგიური ტრადიციით ოქრო და სხვა ძვირფასი ქვები მზის ატრიბუტებია. ქალებს, რომლებიც მზეს ანსახიერებენ, ოქროს თმები აქვთ. ეს არის მზის სხივების სიმბოლო. ჰანდურ ლაკშმას, გერმანელ ფრეას, სლავურ ზარნიცას და სხვ. ოქროს თმები აქვთ (Афанасьев — поэт. возр. е.л. пр. т. I, გვ. 601 — 603). ბერძნული ჰელიოსი (მზე) ოქროს თმიანი. ოქროს მთესავი ქალიშვილი — მზის სიმბოლოა.

პირველყოფალ ადამიანს ძვირფასი ქვების სახით მნათობები ერგენებოდა, რომელნიც ცის სამყარულს შეადგენდნენ. ჩვენმა ხალხურმა პოეზიამ დღემდე მოიტანა ეს უძველესი წარმოდგენები. ამის საუკეთესო ნიმუშია „იავ-ნანა“, სადაც გვხვდება „ოქროს აკვანი“, „ოქროს ქოჩორი“, „ლალის ჩანჩხურა“, „იავუნდის მარანი“ და სხვა, ხალხური ლირაჟა საესე ასეთი სახეებით. დღეს ისინი ესთეტიკურ საშუალებებს წარმოადგენენ. ლამაზი ვაჟი ჩვენი ხალხური ლირიკის ენით „ოქროს შიბაის ნავლეჯია“. სატრფო ლვინოს „ოქროს თასით“ სვამს (ე. თ. „ხ. ს.“, გვ. 300); სამი ლამაზი და „ოქროს ლოგინში“ წევს (იქვე, გვ. 393); სატრფო „ოქროს მილით“ ნადენი უკვდავების წყაროა და მრ. სხვ.

ლამაზი ქალი „იავუნდი“ და „ზურმუხტია“ ე. თ. „ხ. ს.“, გვ. 294) „ბროლი“ და „ლალი“, მათ „ბროლის“ ყელ-ყური აქვთ (იქვე, გვ. 19), „ბროლას პირი“, „ბროლის თითები“ (იქვე, გვ. 24, 27; ე. თ. „ხ. ს.“ გვ. 26, 286, 306, და სხვ.); „ბროლის მკერდი“ (ე. თ. გვ. 297 და სხვა). „ბროლის კბილი“ (ე. თ. გვ. 292, 299); მას „მარგალიტის კბილები“ აქვს (ე. თ. 296, 297, 306).

როგორც ვხედავთ, ეს სახეები ფართოდ არის გამოყენებული ჩვენს ხალხურ ლირიკაში.

ხალხური პოეზია ხასიათდება უძველესი ანტითეზებით სინათლისა და სიბნელის, კეთილისა და ბოროტის, სითბოსა და სიცივის, რომელთაც გარკვეული როლი ითამაშეს მითოლოგიურ წარმოდგენებში. მხარულდება ყოველთვის სინათლესთან, მზესთან, სითბოსთან არის დაკავშირებული. მნათობი № 6.

ლი; მოწყენა და მწუხარება — სიბნელესთან, ღრუბლებთან, სიჩვეესთან და სხვა. ჩვენი ხალხური ლირიკა საესეა ასეთი დაპირისპირებით:

„შენსა მოსვლსა მზე მოპყვა,
შენს წასვლას შავი ღრუბელი“.

(ე. თ., გვ. 309).

„ეს ჩემი გული ორია,
ერთში სწვიმს, ერთში დარია,
იეტრდე — შევეყრი ღრუბელსა,
რომ გავიცინო დარია...“

(ჩაწერილი ქართლში).

ღრუბლის ვარიაციაა ნისლი:

„დაუქარ, ჩემო ჩონგურო,
ამოიღე ხმაო,
გულს ნისლი შამომწოლია,
ლეჭი უნდა ეთქვაო“.

(ჩაწერილი იქვე).

საყვარელი აღმჩინის მოსვლა სიბნელეს ფანტაგეს:

„ინდი მიწდი, ფერად შინდი,
ფრთა გაშალე, გამოფრინდი,
გამოყევი, გამობრწყინდი,
განმინათე თვალთა ბინდი.
შენთვის სიკვდილს არ შევეშინდი,
უკვდავების წყაროთ მიწდი“.

კარგ განწყობილებას უპირისპირდება მოწმენდილი ცა:

„აგეთი გჭონდეს გუნება,
ეთ მოწმენდილი ცა არი“.

სიკვდილი უპირისპირდება მზის დაბნელებას, დაცხრომას, გამჭრალ სინათლეს, ავდარს:

„... ჩემ შეველს ხმლით; იმას (მოტითა,
დღე დაუღამდათ მზიანი“ (ლეჭი მოყმისა და ვეფხისა).

„ხოგაის მიწდი კედებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ქექდა, მიწა გრგვინაედა...“

სიზმარში სანთლის გაქრობა, ქმრის სიკვდილით ასრულდა:

„ქალმა სთქვა, ენაზე სიზმარი
დამდეგს ენკენის თვისასა,
ცა წითლად-ყვითლად ელაგდა,
სეტყვას ისროდა ქვისასა.
ბაღში მიმტყრედა ხეხილსა,
დარგულსა აღვის ხისასა,
ხელში მიჭრობდა სანთელსა
ჩამოქნილს კელეპტრისასა.
თავზე მაქცევედა ჩარდახსა,
დახურულს ყავარისასა,

ენახე და კიდევ შევესწარ
სიკვდილსა თაღის ქმრისასა“
სიაწერილი ფშავში თ. რაზიკაშვილის



ქართული
ლირის სიმბოლიკა

საკვდილი თვალეზში გაავდარებას ნიშნავს:

„საკვდილი ვზაში მიყელებს,
თვალეზში გაავდარებას“. და სხვა.

ხალხური სიმბოლიკას კვლევა, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ბევრის მხრივ არის საინტერესო. ეს მეტად რთული და სერიოზული საკითხია. ჩვენ მოკლეთ განვიხილეთ რამდენიმე სახე, გავრცელებული ჩვენს ხალხურ ლირიკაში. ვიმეორებთ, დღეს ისანი შემოქმედების მხატვრული ხერხია, ესთეტიკური სამკაული, რომელთაც ერთ დროს რაციონალური შინაარსი ჰქონდა, რეალური საფუძველი. სიმბოლოს შექმნაში მთავარი ფაქტორი იყო და არის რეალური პარობები, სოციალური გარემო. მათი შესწავლის გარეშე ძნელია მათი გარკვევა. ხალხური გაგება ხილული ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის. ძალიან ბევრი რამ შემოქმედების მხატვრული ხერხებიდან, როგორც ენახეთ, მიღებულია პირველყოფილ ადამიანთა და ბუნების ურთიერთობის ნიადაგზე, რომელიც თანდათან განმტკიცდა მზა ფორმულებად. ჩვენ მიერ განხილული სახეები, როგორც მრავალჯერ აღვნიშნეთ, დღეს მხოლოდ მხატვრული შემოქმედების საშუალებაა.

გ ე რ ო ნ ტ ი შ ი შ ო ძ ე

ს ე რ გ ე ი მ ე ს ხ ი

(გარდაცვილებიდან 55 წლისთავის გამო)

როცა თოთხმეტი წლის განუწყვეტელი, ძალღონის გამომცლებელი მუშაობის შემდეგ სერგეი მესხი იმდენად დაიქანცა და დაავადმყოფდა, რომ 1883 წლის მაისში იძულებული გახდა „დროების“ ხელმძღვანელობა ენო მახაბლიყათვის გადაეცა, ის სწერდა: „დღეს იმის თქმა თამაშად შემიძლიან, რომ მე ულაქო, შეუშწიკველეს, პატიოსანს გაზეთს ვაბარებ ახალს რედაქციას. დღეს ავადმყოფობის, დაუძღვრების გამო, საუბედუროდ იძულებული ვარ მივატოვო და გამოვესალმო ჩემს თოთხმეტი წლის ნაამაგარ, საყვარელ გაზეთს და იმის მკითხველს. ყველა გაიგებს თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილკაცობის ძალღონე, ჩემი ჭკუა-გონება და, ერთი სიტყვით, მთელი ჩემი არსება შევეწირე“... სერგეი მესხის წერილს უშუალოდ მისდევს ენო მახაბლის წერილი, სადაც ის სწერს: „ჩვენ ვკიდებთ ხელს სერგეი მესხისაგან დატოვებულ გაზეთს, მაგრამ დღეს საზოგადოებასთან სალაპარაკოდ არ გვცალიან. ამ წერილით გვინდა მხოლოდ საზოგადოების წინაშე მივცეთ პატიოსანი სიტყვა სერგეი მესხს, რომ მისგან უდროოდ დაობლებულს გაზეთს დედინაცვლობას არ გავუწევთ და შეძლებისამებრ ჭირში აღზრდილს, ბოლოს მაინც მზიარულებას ვაჩვენებთ“ („დროება“, 1883 წ. №85).

ორმოცდა თხუთმეტმა წელმა განვლო ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ, მაგრამ დღესაც შეუძლებელია მათი აულელევებლად წაკითხვა. მებრძოლ ჯარს მხნედ წინ მიუძღვება ახალგაზრდა შავვრუზა თმიანი, ლურჯთვალეზიანი, ვარდისფერლოყებიანი მედროზე. ის რამდენიმე ადგილას იქრება, ნელ-ნელა სისხლიდან იცლება, ფითრდება და სუსტდება; ბოლოს მიწაზე ეცემა არაქათგამოცლილი. მაგრამ დროშის ალაში მაინც მალლა უჭირავს ხელში რათა ის მტერსა და ტალახში არ დაისვაროს. და აი მასთან მორბის მეორე ახალგაზრდა მეომარი, ხელიდან დროშას ართმევს და იმედინად წინ მიდის ახალი გამარჯვებისაკენ.

დღეს, როცა ცენტრალური ქართული გაზეთის ტირაჟი ასი ათას ცალს აღწევს, ხოლო მის რედაქციაში რამდენიმე ათეული თანამშრომე-

ლი მუშაობს, ძნელია იმ პირობების წარმოდგენა, რომელშიც სერგეი მესხს უხდებოდა გაზეთის ხელმძღვანელობა. „დროების“ ხელიმწიფრთა რიცხვი იშვიათად გასცილებია ოთხასს-ხუთასს, მისი ტირაჟი კი არასოდეს არ ყოფილა ათას ორასზე მეტი. სერგეი მესხი თანდათან ჩიდად ბედნიერათ სთვლიდა, რომ შესაძლებლობა ჰქონდა „ქვემოთ“ ერთხელ რამდენსამე ათასს თუ არა, რამდენსამე ასს კაცს მაინც ერთად გამოლაპარაკებოდა“. არაერთად სუბსიდი, რასაკვირველია, გაზეთს არ ჰქონია. მხოლოდ სერგეი მესხის შეძლებული მეგობარი სტეფანე ზარაფოვი აწვევდა მას დროგამოშვებით ცოტაოდენ თანხას. როცა 1869 წლის გაზაფხულზე სერგეი მესხმა „დროება“ მისი პირველი რედაქტორის, გიორგი წერეთლისაგან ჩაიბარა, გაზეთი კვირაში ერთხელ გამოდიოდა, ყოველდღიურ გაზეთად ის მხოლოდ 1876 წელს იქცა. მაგრამ თავდაპირველად გაზეთს არა თუ მუდმივი თანამშრომლები, უბრალო ხეირიანი კორესპონდენტიც კი არ ჰყოლია. ყოველივე შავი საჩუქრით სარგებდებოდა თვით რედაქტორს აწვა მზრებზე. სერგეი მესხი „შეფრედაქტორიც“ იყო, როგორც თვითონ სწერს ირონიით, განყოფილებათა ხელმძღვანელიც, სტილისტიც, კორექტორიც, კანტორის გამგეც, გაზეთის გამომშვებიც და სხვ. პირველ წელიწადს ის მათემატიკის გაკვეთილებსაც კი აძლევდა თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელში, იმიტომ რომ რედაქტორის ჯამაგირი, 40 მანეთი თვეში არ ჰყოფნიდა. მართალია, „დროებას“ დიდს შეღავათს აძლევდა სერგეი მესხის ცოლისძმა, სტეფანე მელიქიშვილი, რომელიც, როგორც გამომცემელი და სტამბის პატრონი, გაზეთს თითქმის სრულიად ათავისუფლებდა სასტამბო ხარჯებისაგან; მაგრამ არც ეს შეღავათი, არც ის ზნეობრივი და ლიტერატურული დახმარება, რომელსაც გაზეთს სხვადასხვა დროს ეპიზოდურად გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ი. ჭავჭავაძე, იონა მეუნარგია, კირილე ლორთქიფანიძე, დავით მიჭელაძე, ბოლოს თვით სერგეი მესხის ცოლი — ეკატერინე, — უწყევდნენ, საკმარის არ იყო, რომ ერთს კაცს ასეთი მძიმე ტვირთი აეტანა ხანგრძლივად, რა რიგ გულგაუტეხელი და ხერხემალმაგარიც უნდა ყოფილიყო იგი.

სერგეი მესხს განსაკუთრებით მკვეთრად ახასიათებს ის სტოიციზმი და ზნეობრივი იდეალიზმი, რომლითაც ასე გვიხილავს ზოგიერთი ძველი ქართველი მოღვაწე. „მე მინახავხარ ისეთ გაჭირებულშიც, როდესაც გათოშულ თითებს ილხობდი პირის ორთქლით, რომ გაგეგრძელებინა წერილი და მახსოვს, რომ ამავე დროს მთელი შენი აზრი მიპყრობილი ყოფილა გაზეთის ქალაქის ფულის შოვნისათვის... ამხანაგო! საუკეთესო დრომდის, იმ დრომდის, როდესაც კიდევ ერთად შევეუდგებით საერთო გუთანს!“ ამ სიტყვებით მიმართავდა ალექსანდრე ყაზბეგი სერგეი მესხს „დროების“ იმავე ნომერში, სადაც ამ უკანასკნელის გამოსათხოვარი წერილი იყო დაბეჭდილი. „ძნელი გზა ღიმილით გაიარა და გაზეთის გამოტანასთან იმავე ღიმილით დალია სული“ სწერ-

და პეტრე უმიკაშვილი სერგეი მესხის გარდაცვალების გამო („ივერია“, 1883 წ. № 7, 8). „გაზვიადებული არ იქნება მოგახსოვრო, რომ ყველა ნომერში „დროებისა“, რაც კი მის რედაქტორებზეთ ვამოხსოვლა, თითო წვეთია ჩასხმული მისი არსებითის ძალისა. ასე, თითო წვეთად დაშრა, თავს შემოველო და მტლედ დაედო ჩვენს საზოგადო საქმეს უბედური სერგეი“, — ამბობდა დავით სოსლანი (დ. კეხელი) სერგეი მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში („დროება“, 1883 წ. № 144).

სერგეი მესხი თითქო სრულიადაც ასეთი მარტილობისათვის არ იყო გაჩენილი. როგორც მისი პირველი ბიოგრაფი პეტრე უმიკაშვილი მოგვითხრობს, ის დაიბადა 1845 წ. სოფ. რიონში, ისლით დახურულ სახლში, კერასთან, ლარიბი აზნაურიშვილის ოჯახში. ბავშვობა ქუთაისში გაატარა, ბაგრატიის ტაძრის მახლობლად, უჭიმერიონის ნაწილში, სადაც მისმა დედამამამ პატარა სახლი შეიძინა. ანბანი დედისგან ისწავლა, საწულაო სასწავლებლის კურსი კი ქუთაისის გიმნაზიაში განვლო, სადაც განსაკუთრებული ინტერესი ბუნებისმეტყველებისადმი გამოიჩინა და პირველი ბოტანიკური და მინერალოგიური კოლექციები შეაგროვა სასკოლო კაბინეტისათვის. 1867 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი დაასრულა და სახელმწიფო სამსახურში შევიდა ქუთაისში, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ სამსახურს თავი დაანება.

როცა 1869 წელს წერეთელმა „დროების“ რედაქტორობას თავი დაანება, რათა „სასოფლო გაზეთის“ ხელმძღვანელობა ეკისრა, „დროებას“ სათავეში სერგეი მესხი ჩაუდგა. თოთხმეტი წლის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ მისცა თავს ნება ცოტათი დაესვენა. 1873 წლის ივლისში ის დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა, სადაც დრო უმთავრესად პარიზში დაჰყო. „ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები“, რომელიც 1874 წლის „დროებაში“ დაიბეჭდა, საუკეთესო მასალას იძლევა ს. მესხის პიროვნების და სოფლმხედველობის დასახასიათებლად.

აკაკიმ სთქვა, უმჯობესია კაცი იერუსალიმს გზაბნევიტ მიდიოდეს, ვიდრე ქაბას პირდაპირი გზითო. სერგეი მესხი პარიზს ქაბად სთვლიდა, მაგრამ იქ ისეთი მოკრძალებით მიემგზავრებოდა, როგორცაც ძველი ქართველი ქრისტიანები იერუსალიმში მიდიოდნენ. მას გზა არ აბნევია. ის ევროპიდან ისეთივე პრინციპიალურ ქართველ პატრიოტად და დემოკრატად დაბრუნდა, როგორც იქით წავიდა. „შე არ ვიცი რა ემართებათ და როგორი გრძნობით შედიან მაჰმადის თავყანისმცემლები თავის წმინდა ქალაქს — ქაბაში, მაგრამ მგონია, რომ იმათი გრძნობა ძალიან უნდა გვანდეს აღმოსავლეთიდან პარიჟში პირველად შემომავალი კაცის გრძნობას“, სწერს ის „ხამი მოგზაურის შენიშვნებში და ფიქრებში“.

ს. მესხის ყურადღებას განსაკუთრებით ორი ქვეყანა იპყრობს დასავლეთ ევროპაში: შვეიცარია, თავისი ბუნების მშვენიერებით, თავისი მხნე და სამშობლოს მოყვარე ხალხით და საფრანგეთი, თავისი აქტიური და მღელვარე პოლიტიკური ცხოვრებით. ის ფიქრობს, რომ ევროპის

ცხოვრება, „ნამდვილად რომ განსაჯოს კაცმა, მთელი მსოფლიოს ცხოვრებას შეადგენს“, ხოლო საფრანგეთი თავის მხრით საუკეთესო წარმომადგენელია ევროპის ცხოვრებისა“. მას არ მოეწონებოდა ვერსალონის დიპლომატიური პირისსახის, ლუდით გაბერილი და მხანგრამი მიხვრა-მოხვრის გერმანელი, რომელიც „უკანასკნელი (ე. ი. 1871 წლის) ომის შემდეგ ტრაბახობს, რომ ევროპაში პირველი ალაგი მე მიქირავსო“.

როცა ს. შესხი პარიზში ჩაეხიდა, საფრანგეთი დიდ პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. საფრანგეთს ჯერ კიდევ დაშუშებული არ ჰქონდა ომის მიერ დაქდობილი ქრილობები, პარიზის ქუჩებსა და მოედნებზე ჯერ კიდევ გამშრალი არ იყო კომუნარების სისხლი. ვერსალის ნაციონალური კრება უმთავრესად რეაქციონერებისაგან შესდგებოდა: საფრანგეთი მონარქიის აღდგენისაგან იხსნა მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ კონტრრევოლუციური ფრაქციები ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ ტახტის პრეტენდენტის კანდიდატურაზე. ჩვენი პუბლიცისტი დიდი სიძულვილით ლაპარაკობს როგორც „ვერსალის ნაციონალური კრების კონსერვატორულ უმეტესობაზე“, ისე მის მიერ პრეზიდენტად დასმულ „უმნიშვნელო, უნიჭო და პოლიტიკურ საქმეებში უმეცარ მაკ-მაჰონზე“. მაგრამ დიდად დამახასიათებელია, რომ ამ თავის თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების უკან ს. შესხი ცდილობს დასაველეთი ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერება აღმოაჩინოს.

მისი წერილები ამტკიცებენ, რამდენად ფხიზელი და კრიტიკულად განსხვავებული იყო ს. შესხის პოლიტიკური აზროვნება. მისი სოფლმხედველობა სრულიადაც შებოქილი არ ყოფილა ბურჟუაზიული დემოკრატიის ფეტიშიზმით. ამას მოწმობს მისი წერილი პარიზიდან მოწერილი მისი საცოლის — ეკატერინე მელიქიშვილის ქალისადმი, რომელიც იმ დროს ციურხის უნივერსიტეტში სწავლობდა. „რა სიკეთე მოუტანა, მართალი ვთქვათ, ჯერჯერობით საფრანგეთს ამ რესპუბლიკამ? დაამშვიდა საფრანგეთი? გააცოცხლა ვაჭრობა? ერთი ხეირიანი კანონი ან განკარგულება მაინც გამოსცა ნამდვილი ხალხის და არა ბანკირების სასარგებლოდ? მუშებისთვის რა ჰქნეს? არც ერთი, არც მეორე. მაშ რათ უნდა უყვარდეს ხალხს ეს რესპუბლიკა, თუ იმისათვის არაფერი სიკეთე და სარგებლობა არ მოუტანია?“ („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, თბილ. 1935, 510 გვ.).

1874 წლის გაზაფხულზე პოლიტიკური ბრძოლა ფრანგ რესპუბლიკელებსა და ბონაპარტელებს შორის განსაკუთრებით გამწვავდა. რესპუბლიკელების ლიდერმა ლეონ გამბეტამ პალატის ერთ სხდომაზე მონარქისტებს უბადრუკები უწოდა. ამას მოჰყვა ის, რომ ვილაც მონარქისტმა გამბეტას ქუჩაში სილა გააწნა. ამ შემთხვევის გამო ს. შესხი თავის საცოლეს იმავე წერილში სწერს: „გამბეტას გულგრილობა მაკვირვებს; ვერ წარმომიდგენია, როგორ მოითმინა, რომ კაცმა სახეში შემოჰარტყა და იმან კი სერჟანტს მიმართა: „ხომ ნახე, რომ შემომარტყა! დაიჭიროე!“

„აკმა შემომარტყას და იქვე სული არ გავაგდებინო? რათ მინდა ამის-
თანა სიცოცხლე?“

საერთოდ ს. მესხის წერილები, საცოლისადმი მიმართული საუბრო-
ვო ლიტერატურულ დოკუმენტს წარმოადგენს მათ შორის მსგავსი გულ-
წრფელობისა და ადამიანური ღირსების შეგნების გამო. მათში ბევრი
რამ პიროვნულია, ბევრი რამ ისეთია, რაც მხოლოდ ახალგაზრდა შეყ-
ვარებულ ქალვას აინტერესებს. თერამეტი წლის „ბუტია კეკე“ ძალიან
გულუბრყვილო და გამოუცდელია, საქმროს მოშორებით ცხოვრება მას
ძალიან უმძიმს. მას სურს ყოველდღე წერილი მიიღოს სერგეისაგან.
მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ უკანასკნელს ხანდახან დრო არ აქვს;
ერთხელ მარკის ფულის უქონლობასაც უჩივის. ერთხელ, ვენეციაში თუ
პარიზში ყოფნის დროს, სერგეის შემთხვევით ზედმეტი ასიოდე ფრანკი
ჩაუვარდება ხელში, პატარა საათს ყიდულობს და საცოლეს უგზავნის.
ამ საჩუქრის მიღებას ახალგაზრდა ქალი დიდი ხანია ნატრულობდა. მაგ-
რამ საუბედუროდ აღმოჩნდება, რომ ამ საათს ყველა ღირსება აქვს,
გარდა მთავარისა: ის არ მუშაობს. სერგეი ქალს მაინც სთხოვს ის გულზე
ატაროს მის სამახსოვროდ.

ახალგაზრდა ქალი თავის საქმროს ავტორიტეტს სცნობს მეცნიერე-
ბისა და პოლიტიკის დარგში, მაგალითად ეკითხება, ამიხსენი, რა განსხ-
ვებება ეკონომისტსა და სოციალისტს შორისო, რაზედაც მცირეოდენი
განმარტების შემდეგ ლებულობს მითითებას, მილლის „პოლიტიკური
ეკონომიის საფუძვლები“ წაიკითხე, ჩერნიშევსკის „შენიშვნებითო. მაგ-
რამ ახალგაზრდა ქალი სრულს დამოუკიდებლობას იჩენს ლიტერატურის
საკითხებში. მაგალითად, მას არ მოსწონს ი. ჭავჭავაძის „გლაზის ნაამ-
ბობი“, განსაკუთრებით მღვდლისა და გლაზის იდეალიზაციის გამო,
სერგეი კი მოხიბლულია ამ მოთხრობის „შშვენიერი ტენდენციებით და
კიდევ უფრო უშვენიერესი ენით“. კეკეს არც თავისი საქმროს „ხაში
მოგზაურის“ შენიშვნები და ფიქრები“ მოსწონს. ნიკო ნიკოლაძის ზო-
გიერთი პუბლიცისტური წერილების დაფასებაში კი საერთოდ ერთმა-
ნეთს ეთანხმებიან: ბუნდოვნად და ნაკლებ ორიგინალურად მიაჩნიათ
ისინი.

ყველა ის რჩევა-დარიგება, რომელსაც ს. მესხი ათის წლით მასზე
ახალგაზრდა საცოლეს აძლევს, ნაკარნახევია სამშობლოს ინტერესით.
ის მასში ხედავს არა მარტო სატრფოს, არამედ მომავალ თანამებრ-
ძოლს. ის ოცნებობს, რომ მას რომელიმე განყოფილების ხელმძღვანე-
ლობას ჩააბარებს რედაქციაში. მან უნდა შეისწავლოს არა ვიწრო სპე-
ციალობა, არა „მუშლისა და ხოჭოების“ ცხოვრება, არამედ ფართო
საზოგადო განათლება უნდა მიიღოს. ეროვნული ბრძოლის გმირების,
ვილჰელმ ტელის, კოშუტის, გამბეტას, მაძინის, ხოლო განსაკუთრებით,
გარიბალდის — აი ვისი ბიოგრაფიების შესწავლა და გადმოქართულე-
ბაა საჭირო. თვითონ ის ვატაცებით კითხულობს და სატრფოსაც ურჩევს

წაიკითხოვ ვიქტორ პიუგოს რომანი „ოთხმოცდაცამეტი“: პარიზში ყოფნის დროს ის ოცნებობს არა მარტო ლიტერატურულად, არამედ რეალურად განიცადოს რევოლუცია, „რათა თავის კვარტალში საუკეთესო ბარიკადა გამართოს“. მაგრამ საქართველოს პირობებში ეს წინააღმდეგია „ყოველი აჩქარებული, ყოველი თავხედური მოქმედებისა“, რომლის წყალობით შეიძლება ჩვენი „წარსული შრომაც გაფუჭდეს და მომავალსაც დაბრკოლება მიეცეს“. თუმცა ის „ვისრამიანის გმირივით ფიქრობს, რომ „ვისაც ქალის სიყვარული არ შეუძლია, ის სრული ადამიანი, სრული კაცი არ არის“, მაგრამ თავის უმთავრეს ღირსებად მაინც ის მიიჩნია, რომ სატრფოზე მეტად „მშვენიერი და დატანჯული სამშობლო, ბუნებით მდიდარი, მაგრამ კაცისაგან გაოხრებული და გაღარიბებული საქართველო უყვარს“.

თავისი წრის მოქმედების პროგრამა სერგეი მესხს საცოლისადმი მიწერილ წერილებში უფრო გარკვეულად და მკაფიოდ აქვს გამოთქმული, ვიდრე „დროების“ ფურცლებზე შეეძლო გამოეთქვა იმდროინდელი მძიმე ცნობიერი პირობების გამო. აქ გულახდილად და ლაპარაკი გარუსების საფრთხესა, ენის, ზნეჩვეულების, ეროვნული ხასიათის, მიწაწყლის დაკარგვისა, საზოგადოდ მთელი ერის კრიტიკულ მდგომარეობაზე. ის ხედავს, რომ ეროვნულ განმანთავისუფლებელი იდეისათვის მებრძოლთა რაზმის მდგომარეობა მეტად მძიმეა, რომ მას გაუტკეპნელი გზით მოუხდება სიარული, რომ მას გრძობადი („ცხოველური“, მისი სიტყვით რომ ეთქვას) სიამოვნებანი არ ელიან მომავალში, მაგრამ ის ენერჯიას პოულობს ადამიანური და მოქალაქეობრივი ვალდებულების ასრულების შეგნებაში.



თუ თავის კერძო მიწვდომობაში სერგეი მესხს გულისხმიერ და მგრძობიარე ადამიანთან უხდებოდა საუბარი, რომელსაც ყოველი მისი ნანიშნები სიტყვა ესმოდა, იგივე არ ითქმის იმ დროინდელ ქართველ საზოგადოებაზე, რომელსაც იგი მიმართავდა თავისი საგაზეთო წერილებით. დღეს ჩვენთვის ძნელია იმის წარმოდგენა, რა ბეჩავ მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართველი ერი ამ სამოციოდე წლის წინათ, და რა თავგანწირული მუშაობა უხდებოდა სერგეი მესხს და მის თანამებრძოლებს, რათა უმეცრების, გულგრილობის და მტრობის კედელი გაერღვიათ. „ისევ ის მიძინებული საზოგადო ცხოვრება, ისევ ძველებური წერილმანი, კერძო სარგებლობისათვის და ინტერესებისათვის თავგანწირული ბრძოლა; ისევ ძველებური უთანხმოება, შფოთი და განხეთქილება თანამომხმეებსა, თანამემამულეებს შუა. საზოგადო სამშობლოსა და საზოგადო საქმეების ზრუნვის მაგიერ — პიროვნებითი სარგებლობის

სამსახური, სიყვარულის მაგიერ — საძულელი, შრომის მაგიერ — უზრუნველობა, იმედის მაგიერ სასოწარკვეთილება! („საქმე“, ნაწერები, 210 გვ.).

აი როგორი ატმოსფერო დახვდა სერგეი მესხს უცხოეთში გაქართველობაში დაბრუნების შემდეგ. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ყველაფერი, რაც ქართულ ენაზე გამოსულა და გამოდის, იბეჭდება იმ ერთი მუკა თავადაზნაურობისათვის, რომელიც ჩვენს მკითხველს საზოგადოებას შეადგენს. მაგრამ იქვე ზნეობრივი კმაყოფილებით უმატებდა, რომ „ცისკარს“ ვარდა, ვერც ერთ ქართულ ჟურნალსა და გაზეთს ვერ შესწამებენ, რომ ამ მიზეზის გამო ოდესმე საკმეველი ეკმით თავადაზნაურობისათვის (იქვე, 296 გვ.).

თუ ნახევრად გადაგვარებული ქართველი არისტოკრატია მებრძოლი პატრიოტის თვალსაზრისით არაფერს წარმოადგენდა საწუგეშოს, თითქო არც იმ დროის დაბეჩავებული სოფლის და ქალაქის დემოკრატია იძლეოდა საფუძველს ოპტიმიზმისათვის. რამდენად ჩამორჩენილი და ცრუმორწმუნე იყო ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში, სჩანს იქიდან, რომ დროგამოშვებით, ნაწილობრივ ბოროტგანმზრახველების შთაგონებით, ვრცელდებოდა ხმები ებრაელებსა, კუდიანებზე, ჯადოქრობაზე და სხ. 1881 წელს მთელ საქართველოში გავრცელდა ხმა, რომ გიორგობისთვის 12 წარღვნა უნდა განმეორდეს და ქვეყანა დაიქცესო. ამას ალაგ-ალაგ მოჰყვა შიშით სიკვდილი, ორსული ქალების ნადრევი დალოგინება, ვაქრობასა და საქმიანობაზე ხელის აღება. ზოგი სულის საქმეს შეუდგა, ზოგი კიდევ ქეიფსა და დროსტარებას. ვილაყამ რიონში დაიღრჩო თავი რადგან, ეტყობა, იმედი არ ჰქონდა, რომ წარღვნის დროს ნოეს კიდობანში მოხვდებოდა სათესლედ გადარჩენილ ადამიანებსა და მხეცებს შორის. ასეთ პირობებში „დროებას“ დიდი გამანათლებელი მუშაობის წარმოება უხდებოდა. ის ებრძოდა ველურ ანტიემპირიზმს, ველურ ცრუმორწმუნეობას. ხშირად იგი პოლიტიკური გაზეთის კი არა, პირველდაწყებითი სკოლის როლს ასრულებდა. „ბევრმა ჩვენგანმა, რომელნიც ჩხირით ძლივს არჩევდნენ ნაწერს ასოებს, ახლა შეიყვარა გაზეთი: „ადრე საქართველოს კუთხეებიც არ ვიცოდით. ახლა მთელს ქვეყანას ვიცნობთ“, — სთქვა ქუთაისიდან ჩამოსულმა ცერცვაძემ სერგეი მესხის დასაფლავებაზე.

— რამ მოკლა „საქართველოს მოამბე“, „კრებული“ და „მნათობი“, თუ არ საზოგადოების გულგრილობამ? რა ქადაგება შეიძლება, თუ ხალხი ტაძრიდან გარბის ჯამბაზის საყურებლად? ჰკითხულობდა „დროების“ მეთაური (1879 წ. №21). უბედურება ის იყო, რომ „ტაძრიდან“ მარტო ხალხი კი არა, ქართველი ინტელიგენციის ნიჭიერი და მომზადებული წარმომადგენლებიც გარბოდნენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გამოჩენილი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც სანამ ჯერ რუსულ გაზეთს „ობზორს“ დააარსებდა, ხოლო შემდეგ „ნოვოე ობოზერ-

ნიეს“ ხელმძღვანელი გახდებოდა, უდიდესი როლი შეასრულა ქართული პრესის განვითარებაში. „დროებას“ 1869 წელს სათავეში სერგეი მესხი ნიკო ნიკოლაძის რჩევით ჩაუდგა, პირველ წლებში ეს უკანასკნელი გაზეთის ყველაზე აქტიური თანამშრომელი იყო. მანამდე მთავარად თანამშრომლობა და მეგობრობა შეუძლებელი იყო მთლიანად წინააღმდეგობის რიგორისტ მესხსა და ოპორტუნისტს ნიკოლაძეს შორის.

თავის „ხელნაწერ პორტრეტებში“ სერგეი მესხმა ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძის საუცხოვო სურათი მოგვცა. „ერთი შეხედვის მეტი არ გინდათ, რომ გამოიცნოთ, რომ ამ შავ-ყვითელს, ნაღველ ჩაქცეულიანი პირისახის, სათვალეებიდან გამოშვებავ, მაყვალისით შავთვალეებიანს, წმინდა ტუჩებიანს და გამხმარ-გაწვრილებულ კაცს ლომობირება და სისხლის მსმელი ინსტიქტი ორივე ერთად აქვს შეზავებული, რომ ის არის ერთსა და იმავე დროს ავი და კეთილი, მგელი და ცხვარი, ვნებით სავსე და მშვიდი, მხდალი და გამბედავი. ეს სახე გეუბნებათ, რომ იმისგან როგორც სიტკბოს, ისე სიმწარესაც უნდა მოელოდეთ, რომ ის მზათაა კაცი გასრისოს და, თუ საჭიროთ დაინახავს, თვითონაც შენთვის მოიკლავს თავს. ამგვარ სახის გამომეტყველების წყალობით არის, რომ ნიკო ნიკოლაძე ქალებთან ხშირად იმარჯვებს ხოლმე: სახეზე რომ ხედავენ რაღაცა უცნაურს, საშინელ მოქმედებას მოელოან იმისგან, მაგრამ რომ გაიცნობენ და ნახვენ, რომ ისე უეცრად და ისე საშინელის სითამამით არ იქცევა, რომ ბევრის მაგივრათ ცოტა რამ მოითხოვა, თანხმდებიან და მოსწონთ... ერთობ მგრძნობიარე ნერვების პატრონია, ერთობ უდულს მარღვებში სისხლი, ერთობ სწრაფად დნება, და ეს საზოგადო კანონია, რომ ამგვარ ბუნების კაცს ხანგრძლივი, სისტემატიური, გამტანი მუშაობის ძალა და ენერჯია არა აქვს“ (ნაწერები, გვ. 392).

ასე გამოიყურებოდა ის მაძიებელი სულის პატრონი კაცი, რომელიც ახალგაზრდობაში ჩერნიშევსკისა და გერცენს მეგობრობდა, ხოლო სიმწიფის ასაკში საქმეებს აწყობდა მინისტრებთან და კაპიტალისტებთან, ახალგაზრდობაში უანგაროდ ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებას უწევდა აკაკი წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს და სერგეი მესხს, ხოლო სიმწიფის ასაკში შუამავლის როლის შესრულებას ლაშობდა რუს ნაროდოვოლცებსა და ალექსანდრე მესამის მთავრობას შორის. სერგეი მესხი გაცხარებით ებრძოდა ნიკო ნიკოლაძის იდეას, რომ ქართველმა ინტელიგენციამ რუსეთის საზოგადოებას და მშრომელობას თავისი ვინაობა და საჭიროებანი რუსული პრესის საშუალებით უნდა გააცნოსო: მას ქართველების მიერ რუსული ეურნალ-გაზეთების დაარსება მავნებლად მიიჩნდა ისედაც გადაგვარების და გარუსების გზაზე დამდგარი ქართველი ხალხისთვის. „ქართველი ყველაზე პირველად ქართულად წერის მოვალეა, ისე როგორც ფრანგი ფრანგულად წერისა, რუსი რუსულად, ინგლისელი ინგლისურად და სხ. მაგრამ „დროება“, მეორე მხრით არასოდეს არ ყო-

ფილა იმ ვიწრო აზრის მიმდევარი და თავყანისმცემელი, რომ ჩვენი წვეყანა „ჩინეთის კედლით შემოეზღუდოთ“ (ნაწერები, 416 გვ.).

სერგეი მესხს კიდევ უფრო აშფოთებდა ის ათეულსწინება, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე ხანდახან რუსულ პრესაში იხდებდა. მწერლობისა და ჟურნალ-გაზეთებისადმი. „ობროზის“ 1878 წლის ერთერთ ნომერში ნიკო ნიკოლაძე, სხვათა შორის, სწერდა: „ერთი მითხარით, ვის უფრო ადვილად და მოხერხებით შეუძლიან ყოველგვარი აზრის წარმატება და კითხვების შეხება. იმ ჟურნალისტს, რომელსაც წინამორბედათ ვოლტერი, დიდრო, ლესინგი, ბერნე, ბიერკი და სხ. ჰყავს, თუ იმას, რომელთაც წინამორბედები ბატ. კერესელიძე და სიმონიანი არიან“. ამ შეკითხვაზე სერგეი მესხი სრულიად მართებულად უპასუზებდა: „თუ თქვენთვის, რუსული „ობროზის“ რედაქტორი, უფ. ქართველო ნ. ნიკოლაძე, დიდრო, ლესინგი და სხვა ფრანცუზისა, ინგლისისა და ნემეტის მწერლები წინამორბედნი არიან, რატომ ჩვენთვის არ არიან? რატომ ჩვენს ქართველს მწერლებს არ შეუძლიათ ამ მწერლებისაგან გარკვეული გზით ისარგებლონ?“ („დროება“, 1878 წ. № 37).

სერგეი მესხის და ნიკო ნიკოლაძის უთანხმოება, რომელიც ბოლოს ცხარე ლიტერატურული შეტაკებით დასრულდა, ღრმა პრინციპული წინააღმდეგობისაგან გამომდინარეობდა. ნიკო ნიკოლაძე, იმ პერიოდში მაინც, პატრიოტიზმს რამდენიმეთ გონების შეზღუდულობად სთვლიდა, საქართველოს წარსულსა და მომავალს ის სკეპტიკურად უყურებდა. ჯერ კიდევ 1870 წ. „მნათობთან“ პოლემიკის დროს ის სწერდა: „მართალია, რომ ჩვენში მეთორმეტე საუკუნეში დიდებული მწერლობა იყო. მაგრამ უფრო მართალი ისიც არის, რომ ეს მწერლობა საბერძნეთიდან გადმოტანილია და სპარსეთის მასალებით ნაკვებია... არა, ჩვენო, „მნათობო“, საამაყებელი ჩვენ, ქართველებს, ჯერ არა გვაქვს რა, და ამაყობას თავი უნდა დავანებოთ“ (ჩხეული ნაწერები, ტ. 2, 87, 90 გვ.). პესიმიზტური შეხედულება გამოსთქვა ნ. ნიკოლაძემ საქართველოს შესახებ უფრო გვიან, ახალგაზრდა ალექსანდრე ჭყონიასთან კამათის დროსაც: „მე დიდი იმედი არა მაქვს ჩვენი მამულის მომავლისა, მაგრამ ის კი შტკიცედ მწამს, რომ ჩვენი მდგომარეობა ჩვენმა ახალგაზრდობის მტკიცე შეერთებულმა შრომამ უნდა გააუმჯობესოს“ (იქ., 158 გვ.), ამ სპეკტიკიზმით და პესიმიზმით აისხნება, რომ ნიკო ნიკოლაძემ, ს. მენზისა, ი. ჭავჭავაძისა, გაბრიელ ეპისკოპოსისა, დ. ერისთავისა და სხვ. განსხვავებით, თავისი აზრი არ გამოსთქვა გ. მუხრან-ბატონის ცნობილ ბროშურაზე, რომელიც ავტორის დაუსახელებლად ჯერ 1872 წ. „კავკაზის“ დამატების სახით გამოქვეყნდა რუსულ ენაზე, ხოლო შემდეგ ფრანგულად გამოვიდა პარიზში. — მე ამ საგანზე სხვანაირი აზრები მაქვს: არც ბროშურის დამწერს ვეთანხმები და არც „დროებას“, კამათში ჩარევა კი საზიანოთ მიმაჩნია ჩვენი ახალგაზრდობისათვისო, სწერდა ნ. ნიკოლაძე.

სერგეი მესხმა მოკლე, მკაცრი და ღირსეული პასუხი გასცა მუხრან-ბატონს: „პატარა ერები უნდა გაუქმდნენ, იმათევე უნდა მოისპონ და თითონ იმათ დიდი ერების ენა უნდა შეითვისონ! ამერიკის კაცი იფიქრებს, რომ უცნობ ავტორს ხალხი და მათი ენა რომლისამე დეპარტამენტის თანამდებობათ მიაჩნია! თითქოს ხალხისა და ენის გაუქმებისე ადვილი და შესაძლებელი იყოს, როგორც რომლისამე თანამდებობისა დეპარტამენტში!“ სხვადასხვაობა ენასა, ეროვნულ ზნეობებსა, ხასიათსა, სარეთოთ მთელს ცხოვრებაში გამოწვეულია გეოგრაფიული პირობებით, იმ ბუნებრივი ვარემოცვის სხვადასხვაობით, რომელშიაც ერებს უხდებათ არსებობა. ამიტომ შეუძლებელია ეროვნული განსხვავების მოსპობა. თუ წერილი ერების გაქარწყლება ისტორიის კანონია, რად უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლოს რამდენიმე დიდი ერი და მათი ენა გადარჩება, რატომ ბოლომდე ლოგიკურად არ უნდა ემსჯელოთ და არ წარმოვიდგინოთ, რომ ოდესმე დედამიწაზე ერთი ხალხი და ერთი საყოველთაო ენა დამკვიდრდება? მაგრამ ეს არც შესაძლებელია და არც მორალურად სასურველი. შემცდარია ის აზრი, რომ რაც უფრო შრავალრიცხოვანია ხალხი, მით უფრო განათლებული და წარმატებული იგი. შეადარეთ ერთმანეთს დიდი ჩინეთი და პატარა შვეიცარია, ინდოეთი და ინგლისი, იაპონია, და ბელგია, თურქეთი და მისი ქვეშევრდომი ერები და დარწმუნდებით, რომ ერის წარმატება სრულებითაც რიცხვზე არ არის დამოკიდებული. მართალია, კაცობრიობის ისტორიაში ხშირად ვხვდებით, რომ წერილი ერი ძლიერ ერებს დაუპყრიათ და ხანდახან სრულიადაც მოუსპიათ, მაგრამ განა ეს სასარგებლო იყო კაცობრიობისათვის? ძალდატანებით გაკეთებულ საქმეს მკვიდრი საფუძველი არ აქვს. თუ დაზარალებული ერი ფიზიკურ მოსპობას გადარჩა, ის ყოველთვის ვცდება თავისი ვინაობა და იცვას და აღადგინოს (ს. მესხის ნაწერები, 96-102 გვ.).

მუხრან-ბატონის ყალბი-აზრები იქიდან გამომდინარეობდნენ, რომ თავის საკუთარი თავის და თავის თავადაზნაურული წოდების გადაგვარება მას ქართველი ერის გადაგვარებად მიაჩნდა. ასეთი შეცდომა ხშირად ხდება აღმართის გონებრივი შეზღუდულობის გამო. მაგრამ სერგეი მესხს და მის თანამებრძოლებს კარგად ესმოდათ, რომ ქართველი არისტოკრატიის გადაგვარება, რომელიც იქამდე მივიდა, რომ მის დიდ ნაწილს, ილია ზონელის თქმისა არ იყოს, „არავითარი ქართული კალმის ნაწარმოები არ სწამდა, გარდა დარეჯანების მიერ ელისაბედებისადმი მიწერილი მოკითხვის ბარათებისა“, სრულიადაც ქართველი ხალხის გადაგვარებას არ ნიშნავდა: „თავადაზნაურობა აღარ ემსახურება თავის ქვეყანას; მაგრამ ეს ქვეყანა კიდევ ემსახურება თავადაზნაურობას... ჩვენ მუდამ ვხვდებით უკმაყოფილებას თავადაზნაურობასა და გლებებს შორის. მუდამ დღე თანდათან მატულობს გაუგებრობა, განცალკევება, განხეთქილება ამ ორ წოდებას შუა... და დიდის მწუხარებით უნდა ვაღვიძროთ,

რომ ამ განცალკევებაში, ამ განხეთქილებაში ამ საზოგადო საჭიროების და ინტერესის გაყოფაში, ბრალი მხოლოდ ერთს ჩვენს დასაქმებულს აქვს“ (ს. მესხი, ჩვენი თავადაზნაურობა, კავშირები, 1879 წ. №99, 100).

1878 წელს ს. მესხი რუს-ქართველ ჯართან ერთად ახლად დაპყრობილ ბათუმში შევიდა და შემდეგ ბევრი იმოღვაწა გამაჰმადიანებულ ქართველობაში ეროვნული თვინობიერების გასაღვიძებლად. ის თავგამოდებით იბრძოდა, რომ ნახევრად დაცარიელებული აფხაზეთი ქართველი გლეხკაცობით დასახლებულიყო. 1880 წლის ზაფხულში მან კახეთში იმოგზაურა. სიღნაღის ციხიდან გადახედვამ მასში განამტკიცა მისი თანდაყოლილი ოპტიმიზმი: „როდესაც გადახედავ ამ თვალუწვდენელ შემუშავებულ ხეობას, როდესაც ჰხედავ ასე მკიდროდ დასახლებულ ქართველ ხალხს, როგორღაც სასიამოვნოთ ვიწყობს გული ძგერას და რაღაც იმედი გეძლევა, რომ ის ხალხი, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში აქ უცხოვრია და ახლაც აქ ცხოვრობს, დედამიწის ზურგიდამ გასაქრობი ხალხი არ უნდა იყოს: იმედი გეძლევა, რომ ამ ხალხს მომავალი ექნება“ (სამი კვირა კახეთში, „დროება“, 1880 წ. № 150).

ამ ჯანსაღი ოპტიმიზმისთვის სერგეი მესხს არ უღალატნია არც კარგად ყოფნის, არც ავადმყოფობის დროს, ის მან თან ჩაიტანა საფლავში. 1882 წელს მას ფილტვების და გულის ავადმყოფობა გამოაჩნდა, რომელიც თანდათან გაძლიერდა, ისე რომ შემდგომი წლის გაზაფხულიდან იძულებული გახდა მუშაობაზე სრულიად ხელი აეღო. დიდ გამოსათხოვარ ბანკეტზე, რომელიც მას მისმა პარტიისმცემლებმა გაუმართეს ვერის ბაღებში, მრავალი სიტყვა წარმოითქვა. გამოიჩინა, რომ ახალგაზრდობის უფრო ზომიერი ნაწილი, პ. უმიკაშვილი, ვლ. მიქელაძე და სხ. მას ახალი და ძველი თაობის შემარიგებელ ძალად სთვლიდა, ხოლო იმდროინდელი შემარცხენები — ნ. ურბნელი, ბოსლეველი და სხ. სწორედ მისი რადიკალიზმისა და შეურიგებლობისათვის აფასებდნენ. ჩვენ გვგონია, რომ პირველნიც მართალნი იყვნენ და მეორენიც: მხოლოდ ორი რაინდის მსგავსად, ისინი ერთსა და იმავე ფარს ორი საპირდაპირო მხრიდან. ე. ი. წალმიდან და უკუღმიდან უტკეროდნენ.

მართალია, ს. მესხი ფიქრობდა, რომ „გაზეთი, რომელსაც მოწინააღმდეგე არა ჰყავს, რომელიც არავის არ სძულს, რომლის აზრებსა და მიმართულებას ყველა ეთანხმება, ის გაზეთი ან მკედარ საზოგადოებაში უნდა გამოდიოდეს და ან თვითონ უნდა იყოს მკედარი; რა კაცია ის კაცი, რომელიც ყველას მოსწონს, რომლისაც ყველა კმაყოფილია? (ნაწერები, 406 გვ.). მაგრამ როდესაც პლატონ იოსელიანი გარდაიცვალა, რომელიც ცნობილი იყო თავისი კონსერვატიული კლერიკალური შეხედულებებით, მან განაცხადა, რომ ახალი თაობა მზადაა კაცს ბევრი შეცდომა და ნაკულღოვანება მიუტეოს, თუ მას ცოტაოდენი რამ მაინც

უკეთებია „ჩვენი დაცემული ლიტერატურის და ხალხის ხალხმწიფობათ და გასაღვიძებლათო“ (იქ. 322 გვ.)

აბასთუმანში, სადაც სერგეი მესხი სამკურნალოდ წავიდა, მისი წლის იელისის დამდევს, მას დიდხანს აღარ უცოცხლია. „ამჟამად მისი ზრდაც... გული გასქდა...“ შესწივლა მან თავის უმცროს ძმას სიკვდილის დღეს, 21 იელისს. როცა ექიმმა ჩვეულებრივი პალიატივების გამოყენება განიზრახა, მან დაიყვირა: „თავი დამანებეთ, მაცალეთ მოვკვდე“-ო.

ასე მოკვდა ოცდათვრამეტი წლის ასაკში ეს ადამიანი, რომელიც ღირსეულად გვერდს უმშვენებს მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს ქართველ მწერლებს — აკაკი წერეთელს და ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართველი ინტელიგენციის სინიდისის და ქართველი ერის თვითცნობიერების საუკეთესო გამომხატველი.

გიორგი ლომინძე

ხსოვრება ფიროსმანისა

(დღიურიდან)

5 სექტემბერი 1922 წელი

აი, რა მდიდარია ტფილისის დუქნები ფიროსმანის ნახატებით, — ეს სია მარტო დღეს შევადგინე სადგურის რაიონში:

1. ჩუღურეთში ბეგო ეგვიეს აქვს ფიროსმანის 7 სურათი
2. 19 თებერვლის ქუჩაზე (№ 76) პატარქალიშვილს 5 სურათი;
3. ვოვზლის ქუჩაზე შავრობაშვილს 2 სურათი;
4. მებურეს საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქუჩაზე 2 სურათი;
5. სასტუმრო „ფშაველში“ 2 სურათი;
6. : : 10 სურათი;
7. „ავქალის მოედანზე“ ოზმანაშვილს 16 სურათი;
8. იქვე იმედაშვილს 2 სურათი
9. სადგურთან მარკოზაშვილს (დუქანი) 4 სურათი;
10. ნაძალადევის ხიდქვეშ, მალაკნის შესახვევთან 2 სურათი;
11. სოზაშვილს მალაკნის ქუჩაზე 1 სურათი და 1 აბრია;
12. იქვე სომეხ მებურეს 2 სურათი;
13. იქვე, მესხიშვილის დუქანში 2 სურათი;
14. ამას გარდა გადმომცეს, რომ გორში ფიროსმანის მეგობარს ივან პარტნოვს რამდენიმე სურათი აქვს.
15. ზესტაფონში დუგლაძეს აქვს რამდენიმე სურათი, მასთან ფიროსმანი თურქე მუშაობდა 1918 წელს ზამთარში (იანვარ-თებერვალში).
16. დამისახელეს ფიროსმანის სურათის რამდენიმე მეპატრონე კოჯრის გზაზე, საბურთალოში, ნაძალადეგში, ორთაქალაში და თელავში.

მედიოგა ოზმანაშვილი.

„ნიკალა ტანშალალი და ხმელი კაცი იყო. ძალიან ლოთი. სადაც რასმე გააკეთებდა, საღებავის ფულს აიღებდა და იქვე „შესჰამდა“. დღიოდ ჩამოგლეჯილ ტანისამოსში, ჩამოუხატულ ქუდში და გატილბულ ფეხსაცმელებში, ლაპარაკი უყვარდა. ხუთი წუთი რომ გავიღოდა,

თითო არაყი უნდა დაეღია, ღუქნებში დატოვებოდა და ქუქნებში ეძინა. არეკილი კაცი იყო. მე თითონ მედროვე ვარ და ჩვენთან ს/შირათ დადიოდა. ასე 50 წლის იქნებოდა, რომ მოკვდა.

ოზმანაშვილის (ძმის) ღუქანში ეკიდა შემდეგი სურათები:

1. ქალი კვერცხებით ხელში,
2. დაჭრილი სალდათი,
3. მოწყალების დაი,
4. მ ე ლ ა,
- 5.—6. კურდღლები,
7. დათვი,
8. ყოჩი,
9. ბავშვი ჯორზე,
10. შოთა რუსთაველი,
11. დედოფალი,
12. ქართველი დედაკაცი ბავშვით,
13. ფური ტაგანით,
14. ძროხა სარძეულით,
15. ვ ე რ ძ ი,
16. ლომი ირანისა,
17. ქ ი რ ა დ ი.

ვსთხოვე სურათები მოეყიდა, მაგრამ ღიდათ იუარა: მე ნიკალის მამაკვრათა მაქვს. ფულში ვერ გავცვლიო.

გოგინთაშვილის საფალაქო (საპოთა ჭ. № 97).

ფიროსმანის გახარებული მეგობრები შემომხევივნენ და მესაუბრებინან. გადმომცემენ, რომ ნიკალაი უნდა ყოფილიყო კახეთიდან, მოკვდა სამი-ოთხი წლის წინათ, არ იციან, სადა ჰპარხია, რისგან მოკვდა. ღიშლით მეუბნებიან, რომ ღვინო უყვარდა, ქალები ეჯავრებოდა. იყო ზღმიწვენით პატიოსანი კაცი, მთხოვენ, მალე „ჩავაგდო წიგნში“ მისი ამბავი. „არც იზარალებ, სულ ჩვენ დაეიტაცებთო“. სადალაქოში მოთავსებულაია: 1. გიორგი სააკაძე, 2. ანაბაჯი, 3. ბავშვი თევზით, 4. თამარ მეფე და რუსთაველი, 5. ბოლნისის დღეობა, 6. შოთა რუსთაველი, 7. გიორგი სააკაძე ებრძვის შტერს.

სურათების გაყიდვაზე გოგინთაშვილმაც უარი მითხრა, თვცა მოიფიქრებს, შეიძლება ვაპყიდოს. იქვე ყასაბ მარტიაშვილს უყიდა სურათები: „დიდი მარხვა საქართველოში“, „კინტოს შვილი“, „ქალი ფერადი ბუშტით“, ვყიდულობ პირველ სურათს.

გოლა მივინამე (სასტუმრო „არარატი“, საპოთა ჭ. № 60).

„მე მქონდა ფიროსმანაშვილის 15 სურათი. დამეკარგა. თავათ ნიკოს კარგად ვიცნობდი. მოვიღოდა ღუქანში, დამხატავდა და აქვითებდა ღვინოზე, არაყზე. მის სურათებს ახლა უფრო გორში იპოვით. მრავალია 12. მათობი № 6.

აგრეთვე ღრმა ლელეში, საბურთალოსზე. ნიკალა იყო პატრონის კაცი. უბინაო, ავადმყოფი, ღარიბი. ბევრჯერ მიჰმეცია საწულისათვის პური. დაგლეჯილი დადიოდა. უყვარდა ლექსები. საიდან ხყო, ვერ ვიტყვი. გუშინაც კი მომავონდა: „ახ, ნეტავი ჩენი ნიკალა უნდა იყოს, ამ გამონგრეულ კედელს დამიხატავდა და იაფათ გამომიყვანდა შეთქი“.

სოხობაშვილი (სალხინო „ფშაველის“ პატრონი სადგურთან)

ოღონდ არაყი დაგლეჯინებინა—და რასაც გინდა, საჩქაროდ დაგიხატავდა. მეტად პატრონისანი კაცი იყო“.

უკიდია სურათები:

1. მწვეელი ძროხა, 2. ლომი ირანისა*),

ვახლო შამკობაშვილის ფშანანი:

1. „კამლადების უბანი სოფ. სვირში“ (მე შევიძინე),
2. „დავით ზურაბიშ მარკოზაშვილი თავის აფსონებით“.

დაპარბული

31 ავგუსტო, 1922 წელი.

დანამდვილებით არაეინ იცის, სადაურია ფიროსმანაშვილი, ვინაჲ ჰყავს ნათესავეები და თვისტომები. მგონია არც ნათესავეებმა უნდა იცოდნენ მისი არსებობა. ასეთი „დაკარგვა“ აღამაინისა ჩენს ქვეყანაში პირდაპირ აუხსნელია.

ფიროსმანის ბოლო.

4 სექტემბერი, 1922 წელი.

მეტად მწუხარე ყოფილა ფიროსმანის უკანასკნელი დღეები. თითქმის ნახევრად შიშველი, ჩამოგლეჯილი და უბინაო, ერთი დღეიდან მეორეში გადადიოდა. ახლა უკვე აშკარად ემდუროდა ბედს დღემდის გაუტეხელი და ამაყი ნიკალა, მხოლოდ ბოლო დღეებში მიხვდა, რომ უსიხარულოდ თავდებოდა მისი ტანჯული სიცოცხლე. ამ ხანებში მას პატრონი აღარეინ ჰყავდა. მხატვართა საზოგადოებიდან აღარ ანუ ვეღარ ჰხედებოდნენ. მხატვართა საზოგადოებამ ვერ შესძლო მისი ამოყვანა ქუჩის უფსკრულიდან. ეს გარემოება დღესაც აკვირებს მხატვრის შეგობრებს მდამიო წრიდან. მათი სიტყვით, სულ მცირე იყო საჭირო, რომ ნიკალას დასასრული მწარე არ ყოფილიყო.

მაგრამ აღარც ნიკალას ჰქონია თურმე ხალისი „საზოგადოებასთან“ კავშირის დაკერისა. საბოლოო მიზეზი „კონფლიქტისა“ იყო კარიკატურა უბასუხისმგებლო მოხალისისა, რომელიც 1917 წ. მოთავსდა გაზეთ „სახალხო ფურცლის“ დამატებაში. ამ კარიკატურამ თურმე საშინლად გაამწარა გულუბრყვილო, ეკვიანი ფიროსმანი.

*) ორივე სურათი შემდეგ დაიღუპა (ივტ.)

— მაშ მასხრათ მიგდებენ? — ეკითხებოდა თურმე „შვიგრობარ“ მიკიტნებს.

ისინიც ერთი ორად უღვივებდნენ სიმწარის ცეცხლს. უკანასკნელ შემთხვევაში შეეძლოთ სხვანაირი განმარტება მიეცათ და უკვირდებოდა, რომ იმავე გაზეთმა ამაზე წინათ სრულიად სერიოზულად დაბეჭდა მისი პორტრეტი?

უკანასკნელ ხანებში ნიკალას ვერავენ ხედებოდა. მისი ნაცნობი მიკიტნები მიაშობენ, რომ ბოლო წელიწად-ნახევარში ნიკო გაჰჭრა, რამდენჯერ მისი პოვნა დაგვეკირდა, ველარ ვიპოვეთო. თებერვალში, ზესტაფონში ვილაცა დუგლაძესთან უმუშავნია.

სიკვდილის წინა კვირებში თავის კერას—ვოგზლის რაიონს დაუბრუნდა, სადაც მალაკენბის ქუჩაზე ვინმე აბაშიძისაგან იშოვნა პატარა სამუშაო. აქ მოუსწრო სიკვდილმა (მის მოხატულ დუქანში ეხლა კერძო ხალხი სცხოვრობს. კედლებზე კიდევ მოსჩანს ხომალდები თეთრი იალქნებით).

ფიროსმანის უკანასკნელი დღეების მოწმე — მეჩექმე არჩილ მაისურაძე, რომელიც 24 აგვისტოს გავიცანი, მომიყვა მის საშინელ ცხოვრებას:

„ერთად ერთი პატრონი მე და ვიყავი, მაგრამ თავათ წვრილშვილს და უფებოს, რა შემეძლო? ამას დაუმატეთ ისიც, რომ ნიკალასთანა კაცისთვის დახმარების აღმოჩენა მეტად ძნელი იყო. ამაყი, მოხატობული, ის არ მიიღებდა არც ფულს, არც შეგზავნილ კერძს. მაგრამ ტკბილი სიტყვით ბოლოს დავიპალოვე და ისიც შემეთვისა. ბევრი რამ ვიცი მის ცხოვრებიდან, მისივე ნათქვამით. გთხოვთ, როდისმე თავისუფალი დრო მოიგდოთ ხელში და ჩემთან მობრძანდეთ ყველაფერს გიამბობთ.

ოთხი წლის წინათ (1919 წ.), როცა მე ამ სახლების მოურავი ვიყავი (მალაკენის ქ. № 29), ნიკალა აქვე, აბაშიძის დუქანში ჰხატავდა სურათებს. უკანასკნელად, სმისგან ავად გამხდარიყო და თითქმის ნახევარ გონებაზე მყოფი ბნელ საკუქნაო-სარდაფში დაწოლილიყო ცოც მიწაზე. ორი-სამი დღის შემდეგ შემთხვევით ჩაველი შიგ და თითქმის წყვედიადმი წავაწყდი. ვილაც მწარედ კენესოდა. მე შევეკრთი და შევეძახე:

— ვინა ხარ?

— მე ვარ! — გაისმა კენესით და ხმაზედ მაშინვე ვიცანი ნიკალაი. მან კი ველარ მიცნო. მხოლოდ ძლივს მოახერხა რამდენიმე სიტყვის თქმა: — ცუდათ გავხდიო, სამი დღეა აქ ვწევარ და ველარ ავდექიო.

მე მაშინვე ეტლი მოვიყვანე და რაკი თითონ არ მეცალა, ეტლში ჩაუჯდა განსვენებული ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი და წაიყვანა მიხეილის თუ არამიანცის (არ ვიცი) საავადმყოფოში: ეს კია, საწყალი დღე-ნახევარში გათავებულიყო“.

შემდეგ არჩილ მაისურაძემ ჩაგვიყვანა პატარა სარდაფში, სადაც ჩვეულებრივ მდგმურები შეშას ან ნახშირს ინახავენ. სარდაფი ერთ-ნახევარი კვადრატული საეენის მოცულობისა იყო. საფლავივით ბნელი

და ნავაგით სავსე. როცა ასანთი გავყარით, საშინელო შპროს სუნი გვეცა. ირგვლივ ეყარა აგურის ნატეხები, მათულები ნაწვეტები და ღორღი. აქ, ამ ადგილას, სასიკვდილო აგონიას ებრძოდნენ ქართველი ოსტატი, ტფილისის გენიალური მხატვარი. შიშაქროთვე

რომელ წელს გარდაიცვალა ფიროსმანი?

აჩილ მაისურაძემ დაბეჯითებით გადმოგვცა, რომ ეს ამბავი მოხდა 1918 წელს, ზედ აღდგომა ღამეს.

მისი სიტყვით და მრავალთა დამოწმებით, ფიროსმანი დამარხულია უპატრონო მკვდართა შორის კუკუის ნინოს სასაფლაოზე.

ფიროსმანის დაბადების დათარიღებისათვის.

7 ოქტომბერი, 1930 წელი.

როდის დაიბადა ფიროსმანაშვილი?

მისივე დის ფეფე ბარამაშვილის ცნობით, ნიკა დაბადებულა 1866 თუ 1867 წელს¹.

უპრავლესობა მისი ნაცნობებისა და მეგობრებისა თავის წლოვანებასთან „შედარებითი“ მეთოდით მიმტკიცებენ, რომ ფიროსმანი 1858—1859 წლებში უნდა დაბადებულყო (დიმიტრი ასულიშვილი, ოზმანაშვილი, ბეგო ეგვივი, გოლა ქიქინაძე და სხვები). იმავე თარიღს გვიდასტურებენ ფიროსმანის ხელში გაზრდილი მოქ. სოლომონ ხინულამოვი. მისი ცნობით, 1882 წელს ნიკო 23—24 წლისა იყო.

დაბადების თარიღის საბოლოო დადგენისათვის მე შევმართე მირზანის ეკლესიის „მეტრიკულ ამონაწერების დავთარს“, 1860—1872 წლებისას, მაგრამ ამ წლებში ნიკოს დაბადება არსად არ არის მოხსენებული²).

აი ეს ამონაწერები, სადაც დასახელებულია რამდენიმე სხვა ნიკო ფიროსმანაშვილი (მირზანაში მთელი უბანი ფიროსმანიშვილებისაა) და არა მხატვარი, შვილი ასლანისა და თეკლესი.

1. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი: დ. 1860 წ.

დედა: ირინე აბრამის ასული შამა; დავით ძე ზაქარაისი.

2. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი: მამა: ზაქარია გრიგოლის ძე დედა: ბარბარე გიორგის ასული. დაიბადა: 1869 წ. აგვისტოს 5-ს.

3. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი: მამა: დიმიტრი ივანეს ძე დედა: თამარა გიორგის ასული დაიბადა: 1871 წ. 27 ივნისს.

4. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი: მამა: სვიმონ დიმიტრის ძე დედა: ატატო ბასილის ასული დაიბადა: 1872 წ. 20 იანვარს.

ამნაირად, მხატვრის ნიკოლოზ ასლანის ძე ფიროსმანაშვილის დაბადება არა სჩანს 1860—1872 წლებში. მაშ რომელი წლით შეიძლება დავათარილოთ მისი დაბადების წელი?

¹) იხ. გაზ. „პატრიონი“, 1922 წ. № 10. ცნობა ჩისწერა შ. დადიანმა.

²) ამონაწერები დავთრიდან ვადმოგვცა მსახ. ვ. აღუღიშვილმა, რისთვისაც დიდ ვმადლობ.

რაკი ყოველად შეუძლებელია თარიღი 1872 წლის აქვე გატევილით, ამიტომ სარწმუნოა ხდება თარიღი, ნაგარაუდვეი მისი მეგობრებისა და მით სუმეტეს მოჭ. ხანკალაშვილისა, რადგან მან, როგორც ინტელიგენტმა, დოკუმენტალურად იცის თავისი „სასწავლებლის პედაგოგიკის შესახებ“ სასაბურის თარიღები. თავის მოგონებაში კი ნიკოს წლოვანებას თავის თარიღებთან შეფარდებით ანგარიშობს (იხ. მისი მოგონება, ვ. ბ.-ლის ჩაწერილი. „დროშა“, 1925 წ. № 1) და რადგან „დაეთარში“ ფიროსმანის დაბადება 1860—1872 წლებში არა სჩანს, ხოლო შეუძლებელია 1873 წლის შემდეგ ან 1857 წელზე ადრე, ამიტომ 1857—1859 წლებს უნდა მივაკეთოთ. დაახლოებით მართლდება თითონ ფიროსმანის ცნობა, რომელიც 1916 წელს მისცა მან მხატვართა საზოგადოებას: „მე ეხლა სამოცზე მეტისა ვიქნები“ (იხ. ვახ. „ბაბტრონი“, № 9). აშნაირად, 1922 წელს ჩვენ შევეცდით, როცა ფეფე ბარამაშვილის ცნობაზე დაყრდნობით ფიროსმანის დაბადების თარიღად 1860—1868 წლები გამოვაცხადეთ (იქვე, № 10). მაშასადამე, ფიროსმანი სამოც წელს გადაცილებული მომკვდარა.

პარტვილ მხატვართა საზოგადოების ოქმებიდან.

მაისის 15, 1916 წ.

1. საკითხი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების გამოძგნა-შეძენისა; მისი ბინადრობის აღმოჩენისა და ცნობების შეკრებისა.

გამგეობა საყურადღებოთ სცნობს ნ. ფიროსმანაშვილის ნახატებს და აუცილებელ საჭიროდ მიიჩნია მათი აღმოჩენა, შეძენა. რადგანაც საზოგადოებას ამჟამად ფული არ მოეპოვება, ამიტომ წინადადებით მიმართოს საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, შეიძინოს ეს სურათები, როგორც სახალხო ნაწარმოები. შთა აღმოჩენა-შეკრეფაში გამგეობა დახმარებას აღმოუჩენს; გაიმართოს ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების კოლექტიური გამოფენა.

შეიკრიფოს ცნობები, თუ სად იყოფება ეხლა ფიროსმანაშვილი. თუ ცოცხალია, მატერიალურად დახმარება აღმოუჩინოს. მიღებულ იქნეს ზომები მისი ცხოვრებიდან ბიოგრაფიული ცნობების შესაკრებად. ამისი შესრულება დაევალოს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ლადო გუდიაშვილი, იოსებ გოგოლაშვილი, მოსე თოიძე და გიორგი ზაზიაშვილი.

ოქმი მაისის 24-ისა.

ა) მოხსენება ფიროსმანაშვილის შესახებ:

ხარჯები ფიროსმანაშვილის მოძებნისა და დახმარების აღმოჩენისათვის გაწეული, იკისროს საზოგადოებამ.

გამგეობამ საყურადღებო პიროვნებად სცნო ფიროსმანაშვილი, როგორც მხატვარი. ამიტომ საჭიროდ სცნო დამატებითი ცნობების შეკრება, რაც მიენდო მოსე თოიძეს და გიორგი ზაზიაშვილს. უკრძნუნული

ბ) ფიროსმანაშვილის სურათების შეკრება: გიგაიძისთვის
საჭიროა კოლექციისათვის რამდენიმე საუკეთესო სურათის შექმნა. სურათების დათვალიერება მიენდო მოსე თოიძეს და ალ. მრევლიშვილს.

გ) ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენის საკითხი:

გამოფენის გამართვა ჯერჯერობით საჭიროდ არ იქნა ცნობილი. საზოგადოებას არ შემჭვრის ამითი დაიწყოს გამოფენის საქმე (კურსივი ჩემია. ვ. ლ.)

„გრაფი“

23 ოქტომბერი, 1922 წელი.

დღეს ველაპარაკე ღვინის ვაჭარ სოზაშვილს. მან, სხვათა შორის, გადმომცა, რომ თავმოყვარე ფიროსმანს გამკილავი მუდღუნეები ირონიით „გრაფს“ ეძახდნენო. სწყინდათ, რომ, ღარიბი და მშვიერი, სხვა ქუჩის მხატვრებივით ლუკმა პურისათვის ფეხქვეშ არ ეგებოდათ და მათ კაბრიზებზე არ იყო დამოკიდებული. პირიქით, ნიკალაის ყოველთვის ამაყათ ეჭირა თავი პირადი ღირსების შეგნებით. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა მისი დამკვეთელი-მუდღუნეები ჩაერეოდნენ მის სამხატვრო საქმეებში. ის მაშინვე სტოვებდა არა მარტო პონორარს, სამუშაოს, არამედ თავის სამხატვრო იარაღებსაც და მთელი წლოვით აღარ გაეკარებოდა იჭაურობას.

აი რას მიაშობს ნიკო სოზაშვილი:

„1915 — 1916 წლებში ნიკოს შეუკვეთე დიდი სურათი რთველის დახატვა. როგორც მუშაობის დაწყებაში გამოჩნდა, ნიკოს რთველი არასოდეს არ ენახა, რადგან სოფელს ზავშვობიდანვე დასცილებოდა. სხვა გზა არ იყო, სურათი ჩემი განმარტებით უნდა დაეხატნა. მე შევატყე, რომ ასეთ პირობებში მუშაობა მეტად ეძნელებოდა, მაგრამ ხათრით უარი ვეღარ მითხრა. მუშაობა დაიწყო.“

მე ყოველ წერიმალს ვუხსნიდი, ის ხატავდა. მაგრამ მე გადავაპარბე ყველაფრის დატევა მინდოდა ტილოზე, რაც კი რთველის სურათიანობას შეეხებოდა. ამიტომ ყველა წერილმანში ვერეოდი, ვუხსნიდი, გულუბრყვილოდ ვუწუნებდი ზოგიერთ ნაწილებს და ჩემებურად დამყავდა მისი ფუნჯი. დიდხანს მითმინა, ბოლოს, როცა ურემში შებმული ხარების ტანადობაც დაუწუნე, აიძვრა, მრისხანედ მომადახა. „შენ რა გემოვნება გაქვს, ვაჭარი ხარ, დახლში დაჯექიო!“ და გაქანდა კარში. ორი კვირა აღარ შემოუხედიო...“

მაგრამ მხატვარს უმეტესად კომპრომისებზე წასვლა და შემკვეთელის კონტროლს ქვეშ უხდებოდა მუშაობა. ნ. სოზაშვილი გადმომცემს:

„თავმოყვარე ნიკალაი, საერთოდ ამაყი კაცი არ იყო. არასოდეს არ ვაგროძნობინებდა, რომ ის კარგი მხატვარი იყო. საკუთარ თავზე დაპაარაკი არ უყვარდა. სხვა მხატვრებისაგან კი ყურები გვეჭონდა, გამოჭედული. ამას ვინ ჩივის, საწყალობა არც თავისი შრომის დაფასებულს ვუგვიფიქრებდა სურათს და გვეტყოდა — რაც გინდათ მომეცით, ფულს იქვე დახლში სტოვებდა.

მიჯდებოდა ჩემი სარდაფის კუთხეში, მოითხოვდა არაყს, მწვანის და დიდხანს იჯდა ჩუმად. ხშირი ყოფილა, დუქანში მყოფ მოქიფეებს შეუპატიენიათ, სუფრის „დალოცვა“ უთხოვნიათ, ჭიქის გაწოდებით. ნიკო ერთს კი ეტყოდა ზრდილობიანად უიარს, მერე თუ ჭირვეულად ჩააცვებდებოდნენ, უწყენდა. მთელი წლების განმავლობაში მე ნიკო-სხვასთან მჯდომი სუფრაზე არ მინახავს, ეს იცოდა ყველამ და მოკრძალებით ეტყოდნენ.“

როგორც პროფესიანალურ ლოთს, ნიკალას ყოველ დღე უნდა ესვა, ამიტომ ყოველდღეც უნდა ეხატნა, ემუშავა, რომ ღვინის ფული ეშოვნა. სოხაშვილი ამბობს: „ჩამოვიდოდა, დუქნის კარებთან დადგებოდა და კიბიდანვე ღიმილით მეტყოდა:— „რა გინდა დაგისატოო“. დუქანში ყოველთვის გამოჩნდებოდა ვინმე ერთეული, ან შეზარხოშებული კოლექტივი, მოსურნე თავის ანაკრონტულ მომენტის აღბეჭდვისა საშვილი-შვილოდ... ან თითონ მედუქნეს დასჭირდებოდა აბრის გამოცვლა, ან ჩანესტიანებული კვდლის შელამაზება. ერთი სიტყვით ნიკო საჭირო კაცი იყო.

მაგრამ სხვა მხატვრებივით ფიროსმანი ფულზე არ მუშაობდა. თავის შრომას ის სცვლიდა მხოლოდ პურსა და ღვინოზე ნატურალური წესით. მოკლედ: ერთ ღარიბ სადილზე და ერთ ჩარეჭა ღვინოში.

„ისევე ჩვენ თუ ვუყიდლით ხანდახან ჩვენი სინდისით საცვალს, ხალათ-შარვალს, — დასძენს მოჭ. სოხაშვილი, — ღვინო და სასმელი კი გამოუღვეელი ჰქონდა, არ დაუჭერდო.“

მაშასადამე, „საწყალი ნიკალაი“ მუშაობის დროს უზრუნველი იყო მართო სასმელით, რადგან მისი მომხმარებლები მტკიცედ ასრულებდნენ ძველ ქართულ ტრადიციას. ასევე იყო ძველად ჩვენში: სამეფო კარის მხატვრებიც უმეტესად ნატურით იღებდნენ თავის ჯამაგირს.

12 მარტი 1930 წ.

„ნიკალაი დღიური კაცი იყო, მუდმივი არ იყო... სმაშიც. Штучный! Постаканчик! — მეუბნება ნამიკიტნარი ალექსა კიკინაძე: — ხატვაც ხელხელად უყვარდა, სმაც! დღეში ორ საათს მუშაობდა, მეტი არ შეეძლო. სიფხიზლით იშვიათად თუ მხატვავდა. სასმელი თუ ნაკლები ჰქონდა, ნამუშევარიც ნაკლები გამოდიოდა. ფუნჯითა სკამდა პურსა! დილიდანვე ჩამოივლიდა ღვინის დუქნებს, თუ ვის ჰქონდა დასახატი. მეც თუ გუნებაზე ვიყავი, ვეტყოდი:

— აბა, დამიხატე მცხეთა, ტყე, არაგვი, მინდორი, ^{უცნაური} თუ კამპანიაში ვიყავით, კამპანიას დავახატინებდით: ეს გოკი, ეს ქათამი, მწვანელი, ეს ფრთიანი ორაგული, ხილი, ღვინო; მეარსნე ^{ქანდაკის შუაგულში} დაბანდებით“.

— დარდი ნუ გაქვს, გენაცვალე, ყველაფერი შიგ იქნება, ოღონდ ერთი მანეთი მომეცი, საღებავები ვიყიდა.

მოიტანდა კვარტიანით საღებავს, სამზარეულოში გააწყობდა, წაგლე-სავდა ფუნჯზე. შემოგვხედავდა, დალევდა. ისევ ფუნჯს წაუსვამდა, კიდევ გადაკრამდა, კიდევ ფუნჯს შეატრიალებდა, სურათიც მზათ იყო. მისი ნახატის მაზანდა 1—2 მან. იყო. შევაკრება არ იცოდა. ან ფული რათ უნდოდა? ცოტა პური, ცოტა სასმელი, ეს იყო მისი საზრდო“.

მხატვმარ კირილე ზღანეშიძის აღიშრიდან

იანერის 27, 1913 წ.

დღეს დილით ჯერ გავემგზავრე მესხიშვილთან (ჩერქეზიშვილის ქ., № 70), რომლისგანაც ბავშვის პროტრეტი ვიყიდე. იქიდან ნიკოსთან წავედი. ნიკო იჯდა, ჩემს პროტრეტს ჰხატავდა. გამომკითხა ნაყიდი სურათის შესახებ. პროტრეტი დაწყებულია, ირემი უკვე დახატულია (მეორე სურათი ჩემთვის); ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ფონის გარდა, შესრულებულია დიდებულად.

სიკომ პირველად კუთხეში გამიხმო და მკითხა, თუ როდის იქნება გამოფენა?

— ჩემთვის რომ სამუშაო ოთახი და ტილო მოეცათ, ერთს თვეში ათ-ხუთმეტ სურათს დავიხატავდით, უფრო უკეთესს, ვიდრე მაქვს, და „შერემეტევის ბაღის“ უმჯობესსო.

შემდეგ მან დაჟმარა:

— აი, ყველა ჩემს სურათებს მიფუქებენ. მაგალითად, ამ სურათზე კურდღელია დახატული. აბა, რაღა უსათუოდ კურდღელი? მაგრამ მთხოვეს: „ჩვენი პატივისცემისათვის დახატეო“. რა გქნა? ვხატავ, რომ არ დამემდურონ. ამნაირად ყველა სურათს მიფუქებენ.

ჩემს შეკითხვაზე, ჰხატავდა თუ არა როდისმე ხატებს, მიპასუხა: „ხატის ოსტატი სხვაა, მხატვარი და მალიარი — კიდევ სხვა. ხატებს არა ვხატავდი, მხოლოდ ერთხელ დავხატე წმ. გიორგი. მხატვრები ასოებს აკეთებენ, ისინი სურათებს ვერა ჰხატავენო“. მერე შემომჩივლა საშინელი სიღარიბე, უტანისამოსობა, შემეკეთლების სიბრძოვე და შველა მთხოვა. ოთახის შესახებ გამაფრთხილა, რომ მდღუქნესთან არაფერი წამომცდენოდა. „ოთახი ნათელი უნდა იყოს, აქ კი ბნელია“. როდესაც ჰხატავს, მარცხენა ხელით იჭერს მარჯვენას, რომ ძალიან არ აუკანკალდეს. რუსული ლაპარაკი თითონ უსწავლია. „ვიყიდე ქართული წიგნი რუსულად გადათარგმნილიო“.

„აქ მუშაობა შეუძლებელია, ძალათ გასმევენო“. თურმე ჰქონია ერთი ავტოპორტრეტი“ ჯარჯ ტანისამოსში, ასე დახეული კი არ იყო“. მაგრამ სურათი ვიღაცას მიჰყიდა.

გუშინ მითხრა: „სურათები სხვა და სხვანაირია. შეიძლება პატრო მთელი თვე ანუ მთელი წელიწადი და სახატავი კი მუდამ იქნება“. შემდეგ დაუმატა: „ძიძიშვილისეულ სურათებზე უნდა გითხრა, რომ თვედ მე არ მომწონს. მე შემიძლიან უკეთესები დავხატო“.

უკეთესები
განჯიხიყიყი

იენისის 28.

დილას ვიყავი ნიკოსთან. ნასვამი იყო. პორტრეტს მიხატული აქვს ხე, ირემს ბალახი. ნიკომ მითხრა, რომ ის ჩემზე გაჯადებულია ჩემი დავგიანებისთვის — ეხლა მიიღო შეკვეთა, რაზედაც იმუშავებს. ზედ სამი აბაზიც ჩაიბარა. ვეკითხები: რა სამუშაოა? მიჩვენა ქუჩის ფანარი, რაზედაც წარწერა უნდა იყოს. ესეც შეკვეთაა.

— მაშ როგორ? თუ ჩვენ დაბალ სამუშაოზე არ ვიმუშავეთ, დიდ სამუშევარს როგორღა გავაკეთებთ?

უნებურად დავეთანხმე. სადილის წინ შეორედ შევიარე სარდაფში, მაგრამ ველარა ვნახე. ნიკოს ეძინა. წაველ იაქსიევთან (ბეგო ეგვივი. — გ. ლ.), რიყის ქუჩაზე, № 40. ვიყიდე ნატურმორტი 1 მან. 50 კაპეიკად, იქიდან ისევ ნიკოსთან წაველ. სარდაფის პატრონმა მითხრა, რომ ასეთ სურათში ის შაურსაც არ მისცემდა. მერე ველაპარაკეთ ნიკოზე საერთოდ. სანდრომ, სხვათა შორის, სთქვა: ნიკოს უნდოდა დავხატა ხის ბუჩქი, ზედ ვითომ ხელები და წიგნები უნდა დავეწყოთ, მაგრამ მე მაგიდის დადგმა ვუბრძანე. რაც შეეხება ირემს, ხეზედ მიყუდებული უნდა დაიხატოსო.

მე უპასუხე: ნიკომ ისე უნდა ჰხატოს, როგორც თითონ სურს და მისთვის ბრძანების მიცემა მე არ შემიძლიან-მეთქი.

მერე იმ სურათზე ილაპარაკეს, რომელსაც მე საჩუქრად მაძლევენ. სანდრო ყოველ ნაირად აქებდა და ამბობდა: საუკეთესო სურათი იქნება თქვენს გამოფენაზეო. სურათზე გამოსახულია ერთი თავადი, რომელსაც შეუძლიან თურმე სადილად სამი ვედრო ღვინო გამოცალოსო.

ნიკო გააღვიძეს. მოვიდა და მითხრა: მე არაქათი გამომელია თქვენი ლოდინით, მე დილით გელოდით, თქვენ კი დაიგვიანეთო. ორი მანეთი მთხოვა. „ნატურ-მორტი“ პნახა: „მახსოვს, — როგორ არა, — ეს, ჩემი ერთი საუკეთესო სურათია. დავხატე ჩემთვის. არა უშავს რა, რომ პატარაა — თამამად ღირს ათი თუმანი“.

იენისის 29.

ვიყავი-დილით და პოზაში ვიდექ. ირემი მზადაა. ნიკო ბეგო იაქსიევთან უფასოდ მუშაობდა, მარტო ჭამაში გამოდიოდა (15 სურათი დაუხატა). მისი სურათები ინახება კიდევ თეთრ ღუქანში, მანვლისის შარაზე, და ჭალაქის განაპირა ღუქანებში.

სანდრო კოკლაშვილი მუდამ ერევა საქმეებში და თხოულობს ხან ხის, ხან ფოთლების და სხვათა დახატვას. ძლივს ვარიდებ. საერთოდ, როგორც ეტყობა, ნიკო ვერ ახერხებს რომელიმე სურათი თავისუფლად, სხვის ჩაურევლად დახატოს.

— ათი თუმანი რო მქონოდა მინც, ჩავიცვამდი რიგინას დაეჭირავებდი ოთახს და მაშინ რიგინად ვიმუშავებდი.

მე გადავეცი, რომ მაზედ გაზეთში დაწერეს. გამოქვეყნდა: მითხრა: შემოიარეთ, შემდეგ ყვავილებს დაეხატავო.

მერე დაუმატა:

— საუკეთესო დაკვეთა მომცა ბაქოს რკინის გზის სადგურის უფროსმა ყიფიანმა. სამი თუმანი მომცა. ხანდახან მემანქანეები და მეწვრილმანეები მიკეთავენ. საზოგადოდ კი კამაზე ვმუშაობ.

ივნისის 30.

დღეს დილით მოიტანეს სურათი „სამი თავადის ქეიფი“, სურათზე ერთი დავიდარაბა ატყდა. სანდროს ნაცნობებს არ უნდოდათ მისი მოცემა. ჩარჩოზე ნიკომ სთქვა:

— თუ კედელი ნათელია, შავი ჩარჩო გაუკეთე, თუ ბნელი — ღია ფერისა, თორემ ცუდათ გამოჩნდება.

„სამი თავადის“ ხატვას ცხრა დღე მოუწდა. ეს არის თავადი გულბათი და მისი ბიძაშვილი — ქვეყნაძეები. ჯავრობდა, რომ გაუპარსავი იყო და სახის დამსგავსება ძნელდებოდა. მერე ვილაც უცნობი შემოვიდა და შეეკითხა, რამდენად დაუხატვენ პორტრეტს. ნიკომ სამი თუმანი სთხოვა. დაახატინა. სახე ძალიან ჰგავს. ხვალ დაასრულებს ხატვას. უთხრა: „მოსკოვში“ ყველა „ბუფეტჩიკი“ იყიდის, მხოლოდ მცირე ფასი არ დაადოო. თუ იქნება რამე საჭირო, მომწერეთ, გამოგიგზავნითო.

მერე წავედი სხვა დუქნებში სურათების დასათვალიერებლად. „ვარიავში“ „თამარ მეფე“ გვაძლიეს სამ მანეთად.

სალამოთი ვიყავ ნიკოსთან. როცა მივედი, ის იჯდა დუქნის სიღრმეში სკამზე და ცეცხლზე ხელებს ითბობდა.

ჩვენს ლაპარაკში ჩაერია სანდრო და დავა აუტეხა სახისა და ირმის გამო. ამტკიცებდა, რომ საჭიროა მთვარის ჩამატება. ნიკომ განაცხადა, რომ მთვარე საჭირო არ არის და გაჯავრდა. მთხოვა ფუნჯების მიტანა.

ივნისის 31.

ნიკოსთან ვიყავი დილას და დავახატინე პორტრეტი. თითქმის მზათაა. ირემს მოუხატა ლავეარდი. მალე მე წაველი რედაქციაში, გასაგებად, მიიღეს თუ არა დასაბუქლად ჩემი წერილი. მითხრეს, სახვალით იქნებაო. იქიდან ისევ ნიკოსთან წავედი. მხატვარმა მიამბო თავისი ცხოვრება, სამსახური, ვაჭრობა, ვალარიბება. 1904 წელს მან თურმე დაიჭირავე ოთახი. ეხლა ცხრა წელიწადია აღარც ისა აქვს. მხატვრობით ცხოვრობს. „აი, წინათ მდიდარი ვიყავი, ეხლა კი ტანისამოსიც არ მაქვია“.

კახეთში თურმე მამული აქვს, მაგრამ ცხოვრებით იქ არ ცხოვრობს, რადგან მიწის მეურნე არ არის.

როცა გამოვდიოდი, ვილაკებდი მოვიდნენ და სურათს უჩვენებდნენ მოჰყვენენ. ნიკომ მითხრა: ყურს ნუ უგდებთ, ესენი არაფერი არიან, არაფერი ესმითო.

1-ლი თებერვალი.

დილას ნიკოსთან ვიყავ. სურათი დამთავრებულია. გულბაათის სურათში სანდროს უნდა ორი მანეთი გადაუხადო, რომელიც თითქოს ამხანაგების დასამშვიდებლად დახარჯა. ნიკომ სიტყვა გამიკრა თავისი თხოვნის შესახებ (დაკვეთა მოსკოვში).

სალამოთი ვიყავ ეურნალისტ-მხატვარ ტ-სთან ერთად. ნიკოს სურათები დავათვალიერეთ. მხატვარმა სთქვა: სპარსულ მხატვრებს მაგონებს, მაგრამ უფრო ტლანქია, არავითარი ფერი არა აქვს, საერთოდ არაფერი საყურადღებო არ არისო.

2 თებერვალი.

წამოვიღე პორტრეტი და ირმის სურათი. ნიკომ პროტესტი გამოაცხადა: „ირემში“ ნურაფერს ნუ მომცემთ, მეყოფა, საკმაოაო. თუ მოსკოვში დაკვეთას მიშოვნით, მომწერეთო.

ჩემმა სიტყვებმა, რომ მისი სურათები მოსკოვში გამოფენაზე იქნება, დაამედინანეს და გაახარეს. ვეშვიდობები ყველას, მივდივარ სადგურზე-მატარებელი დაიძრა. იქ, კი დიდი ქალაქის სიღრმეში, ჩაფერფლილ ცეცხლთან ზის ადამიანი, სევდიანი გამოხედვით, მარტო, დიდი მხატვარი, რომელმაც ჩემზედ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა.

ეხლა, ნიკოს გაცნობის შემდეგ, მე ვიცი, რა არის ცხოვრება...“

სამშობლო სოფელში

2 აგვისტო, 1930 წ.

„ივერიის“ ძველ, ქიზიყელ კორესპონდენტს ეგნატე მენთეშაშვილს ესთხოვე, ქიზიყში რამე ცნობები შემიკრიფე-მეთქი ფიროსმანის შესახებ. დღეს მისგან მომივიდა წერილი ქიზიყიდან.

მირზაანი მოზრდილი, ათას კომლამდე, კობტა, თვალის წარმტაცი მდებარეობის სოფელია. გაშენებულია ცივ-გომბორის შთის მალლობზე. მირზაანსა და ქიზიყის სულ ბოლო სოფელ ოზაან-კლუკანს ჰყოფს უზუნდარის (თათრული სიტყვაა, ნიშნავს გრძელს) ხევი, რომლის იქით იწყება შირაქის მინდვრები.

სოფელი მირზაანი მთლად ბალ-ვენახებშია ჩამჯდარი. მირზაანის ჰავა განთქმულია ქიზიყში. ერთ-ერთ ჯანმრთელ სოფლად ითვლება. ხოლერობის დროს 1892 წელს აქ ამ სენით არც ერთი მეკომური არ გამხდარა ავად, არც სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდის მირზაანი — წყაროები საკმარისია, მოსავალიც უხვი, ბარაქიანი იცის. მირზაანელებს სახნავ-სათესი მიწები შირაქის მინდორში აქვთ. გარდა ხვნა-თესვისა-

აქაური მცხოვრებნი მესაქონლეობასა და მევენახეობას მისწავნი, საერთოდ შეძლებული სოფელია.

ამ სოფელში დაბადებულია ნიკო. მისი მამა ღარიბაშვილია. წერა-კითხვა ამავე სოფლის პირველდაწყებით სასწავლებელში შეწავლია. ნიკოს პატარაობაშივე გადასცვლია მამა. დედა შულავერში გათხოვილა. ნიკოც თან გაჰყოლია დედას შულავერში. იქ ნიკოს სომხური კარგად, ზედმიწევნით შეუსწავლია. ნიკოს შირზაანში დაუტოვებია და ფეფე, რომელსაც ნიკო სიკვდილამდე არ ივიწყებდა. როდესაც ნიკოს კოტაოდენი ქონება შეუძენია, თავისი დის ფეფესთვის შირზაანში ქვით-ტყირის სახლი აუშენებია და იმ დროისთვის არაჩვეულებრივი სახურავით, თუნუქით გადაუხურვინებია. ნიკოს და ორი-სამი წელია, რაც გადაცვლილა. ამჟამად ცოცხლები არიან მხოლოდ ნიკოს დაცოლშვილიანებული დისწულები.

ნიკოს ტფილისში გაჩაღებული საბაყლო დუქანი ჰქონია, შუბაბაზარში, მაგრამ, ამხანაგის ვერაგული ღალატის გამო, საბაყლოს უზარალნია და ნიკოს იგი მიუკეტნია. ამ გარემოებას ნიკოზე ცუდად უმოკმედნია, ამის გამო ნიკოს უზომო სმა, ქეიფი და დროს-ტარება დაუწყია, თუმცა თავის საყვარელ მხატვრობას არ ღალატობდა, ყალამს ხელიდან არ ავლებდა...

ალალი ბიძაშვილი.

28 სექტემბერი.

ევნატე დამპირდა, ფიროსმანის ნათესავს ვაგაცნობო, და მართლაც, დღეს წამიყვანა ვოგხალში, სადაც ტფილისის სადგურზე საბარჯო საწყობის მკველად მსახურობს ფიროსმანის მკვიდრი ბიძაშვილი — მოსე ფიროსმანაშვილი, ხანში შესული, ცხოვრება-გამოვლილი, შრომაში ნატანჯი და პატიოსანი ადამიანი. თუმცა იგი ბავშვობიდანვე განზორებია სოფელს, მაგრამ ქიზიყური აქცენტი მაინც შეუნარჩუნებია. 1877 წ. დაბადებულია, ნიკაზე პატარაა, ოცდა ხუთი წელი ტფილისის სასაკლაოში მუშაობდა ყარაულად. მერე მსოფლიო ომში მონაწილეობა მიუღია. დინჯად ლაპარაკობს.

მისი სიტყვით, ნიკა ჩემი, წყნარი ადამიანი იყო. ბევრი ლაპარაკი არა ჰყვარებია, მუდამ ფიქრებში ყოფილა გართული. ხათრიანი და შემბრალებელი ყოფილა. თავის ნაცვამ შემოხეულ ხალათსაც სხვას მისცემდო. მოსე ძალიან იშვიათად ხვდებოდა ნიკოს, ამიტომ ბევრი ამბის გადმოცემა მას არ შეუძლიან.

მას ახსოვს ორი ამბავი: 1905 წელი, აღფრთოვანება, წითელი დროშები. ნაძალადევი ყაზახების მიერ გარეკილი მიტინგი. ნიკაც იქ იყო. სარდაფში რომ დაბრუნდა, სადაც იგი შეკედლებული იყო, შედუქნეს ფული სთხოვა მუშაობისა და საღებავის სასყიდლად. ეშმა მოუარაო, ფიქრობს შედუქნე. რამდენიმე საათის შემდეგ ნიკო შეუდგა მუშაობას.

მაგრამ ქეიფისა და სუფრის მაგივრად დახატა იმ დღის მატინე იაპლა-დეში: ხალხი დროშებით, „მესკამურე ქადაგა“ (ორატორი სემზე), ეს სურათი დიდხანს ჰქონდა იმ სარდაფის პატრონს.

ერთხელ კიდევ, რევოლუციის დროს, — მოსე მანუჩიანი სცხოვრობდა, მამუკას მოედანზე, — ნიკოს ნავთლუხის სასაფლაოდან მოსეს სახლში შეუვლია. იმ დღით ვიღაც „პარტიელი“ დაესაფლავებინათ. ნიკო ისეთი დარდიანი ყოფილა, დანა პირს არ უხსნიდაო, ამბობს მოსე, ხმა არ ამოუღია, ისე წაეიდა თავაქინდრული და გაფითრებული, ათი წუთი ვერ დარჩა, ამხანაგებს ვერ დავშორდებო. მოსემ არ იცის, რაში იყო საქმე, ან ის „პარტიელი“ ვინ იყო.

მოსეს სიტყვითვე, ნიკოს ბოლო ხანებში ნამეტანი ნერვიულობა დასჩემებია და ხშირი სტუმარი გამხდარა ვოვზლის ახლომახლო მდებარე სარდაფებისა, სადაც პატრონების დავალებით ნიკო ხატავდა ტილოებსა და კედლებზე.

ტფილისი

6 აპრილი, 1930 წ.

მე და მხატვარი ლადო გუდიაშვილი შევედივართ ბეგოსთან. საღამოს ხუთი საათია. ბეგო თურმე დილიდანვე სეამს. სმა ხომ მისთვის სათნობაა.

ბეგო მოკრძალებულია და თავაზიანი. მას თან ახლავს ვიღაც ჩიკრიკული ისაკია შემწვანებული სახით, გადღვრინული ცხვირით. ისაკას უკვირს ჩვენი გარჯილობა „პატარა საქმეზედ“, და გააბა გულის გამლეველი ლაპარაკი, რომელიღაც თავის ამხანაგ მხატვარზე, რომელიც თურმე „ნიკალას არ ჩამოუვარდებოდა“. ბეგომ ჯერ ითმინა, ბოლოს გააგდო ეს „კეთილის ცარიელი“.

ბეგომ გვიჩვენა ფიროსმანის ნაოთახარი თავისი ყოფილი დუქნის დერეფანში. ნაოთახარის სიგრძე მეტრ-ნახევარია, სიგანეც შეფარდებით. გვიკვირს, როგორ იბრუნებდა სულს აქ ფიროსმანი. მუშკოვას შეუკეთებია ბეგოს დუქანი და რემონტს ფიროსმანის ოთახი უმსხვერპლია, გაუნგრევია ეს ადგილი, რომელიც ეხლა სანაგვეა. ბეგო დაჰყურებს დანგრეულ ოთახს: თითქოს ფიროსმანის საფლავს დასცქერისო.

ერთად ესაძილობთ მე, ლადო, ბეგო და საიდანღაც გამოჩენილი ჯუღელღოვი. ბეგო თამადაა. ჯუღელღოვი მოკრძალებით ზის და ყურს უგდებს უფროს ამხანაგს.

— თქვენ ამხანაგები ხართ? — ეკითხება ლადო.

— დიახ. — უპასუხებს ჯუღელღოვი. — მეც ვაქარი ვიყავი, ეხლა ორივე გავლარიბდით, ერთმანეთს ვანუგეშებთ: ქვრივმა ქვრივს მიუტრია, მე-რე ერთმანეთს გული დაუდესო. სოვდაგარი ვიყავ, ეხლა ვშრომობ: პურს უთქვამს, მე პირს არ მოეძებნი, თუ თითონ არ მომძებნისო.

კიდევ ჩამოვაგდე ლაპარაკი ფიროსმანზე.

ბეგო ილიმება:

— ნიკალაზე სათქმელი ჯერ კიდევ ბევრია. არათუერთი ხელმწიფე ნიკალასთან ლაპარაკს, რო იტყვიან, პირზე ტკბილი წყარო გადის... ისე იყო მისი საქმე. შეტად საყვარელი იყო.

— აბა, დაკითხეთ ვინც ვინდა მისი ნაცნობი, თუ ვინმეს ნიკალას წყენა მოაგონდეს? მაგრამ თუ ხატვაში ხელს შეუშლიდი, წაგეკიდებოდა, დავიტევდა, ვაგავდებდა, ვერ მიეკარებოდი... კაი ლექსები იცოდა, ანდაზები...

ბეგო მოღლილია... არც ჩვენ ვატანთ ძალას. ლადო ჩუმად იხატავს ბეგოს პროფილს თავის უბის წიგნში.

უსათუოდ, უსათუოდ წამოეგება ბეგო ლადოს ფუნჯზე!

2 იანვარი, 1931 წელი.

ზდანევიჩის დღიური ვადმოგვეცემს და სხვებმაც მიამბეს: უკანასკნელი სიმწარე ფიროსმანს ნოე ძიძიშვილმა შეესვაო, სემინარიისეული შენობის მოიჯარადრემ.

ეს ამბავი თურმე 1915 — 1916 წ. წ. მოხდა: ძიძიშვილმა დიდის სურვილით დაიბარა მხატვარი რესტორანის (დღეს „პალას“ის) მოსახატავად. მორიგდნენ კიდევ, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მაგრამ დაპირებულ დღეს ნოემ ცივი უარით გაისტუმრა, იძვრა და თურმე მხატვრობაც არ დაუჯერა.

ეს ამბავი თვით ძიძიშვილისაგან მინდოდა გამეგო. ამას წინათ ბედზე ქუჩაში შემხვდა ქუთაისიდან ჩამოსული (იქა სცხოვრობს). გამოვეკითხე და ლაპარაკში შევანაწე ფიროსმანის დიაგვრა. ნოემ ჯერ გაიკვირა, მერე „შუბლში იტკლიცა“ ხელი და აღშფოთდა. რადგან ქუთაისში მიეჩქარებოდა, წერილობით პასუხს შემპირდა.

3 თებერვალი, 1931 წელი.

მცირე შეგვიანებით ნოემ მაინც გამომიგზავნა თავისი რეაბლიტაცია. ებეჭდავ ამ აღსარებას უცვლელად:

„დიდათ პატივცემულო გიორგი!

„ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დღემდე არა მქონდა საშუალება შემესრულებია თქვენი თხოვნა—ნიკო ფიროსმანაშვილის გაცნობის შესახებ ცნობები მომეწოდებინა. ეხლა ვასრულებ ამას და დაშერწმუნეთ, მიუხედავად იმისა, ვინ რას იტყვის, გაძლევთ ცნობას, რომელიც სრულ კემშარიტებას წარმოადგენს:

„1915 წელს, თვე არ მახსოვს, ჩემთან გიმნაზიაში, პუშკინის ქუჩაზე, ძველი სემინარიის შენობაში მოვიდნენ ნიკიტინი („Черный“), პუბლიცისტი ჩემი პირადი ნაცნობი, და მას მოყვა უცნობი ნიკო ფიროსმანაშვილი. ნიკიტინმა გამაცნო ნიკო ფიროსმანაშვილი, როგორც ნიკიერი მხატვარი, მაგრამ ყოველ ცხოვრებას მოკლებული. გარეგნული შეხედულება

ნიკოსი ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. ფეხზე დაგლეჯილი ფეხსაცმელი ეცემა. ტანზე არ იყო ჩაცმული სეზონის მიხედვით. ზამთარი იყო და პალტოც არ ეცემა. ნიკო ხმას არ იღებდა. იჯდა დარცხვენად. ესეა პირველი გაგონება იყო ჩემი ნიკო ფიროსმანაშვილის არსებობაში. მისი მარჯოს ნიკიტინმა მოხოვა. გამეწვია მისთვის მატერიალური დახმარება. მე პირადად ნიკიტინს დაუჯერე და გულში გადავწყვიტე ასი მანეთის მიცემა, რომ ტანსაცმელი მაინც შეეძინა. იქვე მივეცი 25 მანეთი და ვსთხოვე მეორე დღეს შემოსულიყო: ფულს კიდევ მოგვემ თქვა, — უთხარი. დიდი მადლობა მიძღვნა და ორივე გამომეთხოვნენ სრულიად კმაყოფილნი.

მესამე დღეს მეწვია თითონ ნიკო ფიროსმანაშვილი. მივეცი მას 50 მანეთი. მას ისე ვაეხარდა, დამპირდა კარგი სურათის დახატვა და ჩემთვის მოძღვნა. მე მადლობა გადავუხადე სურათისათვის წინათვე და ვსთხოვე თავი არ შეეწუხებინა. ფიროსმანაშვილი დიდის კმაყოფილებით გამომეთხოვა და წავიდა. ეტყობოდა, ასე მცირე დახმარებასაც მოკლებული იყო.

მეორე დღეს ჩემმა მოსამსახურებმა მითხრეს, რომ თქვენი ფული იმ უცნობმა ნიკიტინთან ერთად აქვე დატოვა „პადვალში“ და ერთი მეორეს აყენებდა, ისე მთვრალები იყვნენო, მსახურები ნიკიტინს იცნობდენ და არა ნიკოს. ძალიან მეწყინა ეს ამბავი და გადავწყვიტე შემდეგ აღარ მიმეცა მათთვის ფული. ამის შემდეგ ნიკო ჩემთან აღარ მოსულა. თითქმის თვეზე მეტი გავიდა.

ერთ დღეს ის მოულოდნელად გაჩნდა ჩემთან და დაპირებული სურათიც ხელში ეჭირა. ნიკომ მომმართა: მიიღეთ დაპირებული სურათიო და ვადამიშალა მაგიდაზე. სურათი იყო თეთრ ტილოზე ქალაღად გადაკრულზე შესრულებული. სიმაღლით 1,5 მეტრი და განივი 1 მეტრი. წარმოადგენდა ნაძვის ტყეს, შუაში პატარა მინდორი, იქვე იდგა დიდი ქვა ძეგლის მზგავსი, ზედ იჯდა ბერი, გძელ თეთრწვერა ლამაზი მოხუცი. მოშორებით ცხვრის ფარა, შუაში ახალგაზრდა მწყემსი. სურათი იყო ზეთის საღებავებით შედგენილი.

ვარგუნულად ვერ ახდენდა კარგს შთაბეჭდილებას, მეტადრე ამ სურათებში გაურკვეველ ადამიანისათვის.

ამ სურათის მოტანის შემდეგ მე ჩავარდი უხერხულ მდგომარეობაში. დავაპირე სურათის დაბრუნება; მაგრამ უცებ ეს გადაწყვეტილება შეეცვალა. სურათი დავიტოვე და მას მივეცი 125 მანეთი. ნიკოს სახეს უცებ დიდი კმაყოფილება დაეტყო. რამდენიმეჯერ გაიმეორა თავისი უღრმესი მადლობა და გამომეთხოვა. ამის შემდეგ ის ჩემთან ორ-სამჯერ ყოფილა, მაგრამ მე არ ვიყავი თბილისში და როცა დაებრუნდი ექვსი თვის შემდეგ, მე ის აღარ მინახავს. ამით გათავდა ჩემი ნიკოსთან ნაცნობობა. არავითარი თხოვნით იმას ჩემთვის არ მოუმართავს. შეიძლება მან ჩემს სახეზე წაიკითხა უკმაყოფილება, ვინაიდან ის ნასევამი მოვიდა ჩემთან. რომ ის ფეხზელი მოსულყო, მიუხედავად ცუდი ენებისა, მას უფრო უხვად დაეაჯილდოებდნენ, მაგრამ ეს მცირედი შეწირულებაც წყალში გადაყრილი მიმაჩნდა.

ახლა საინტერესოა, რა ბედი ეწვია ნიკო ფიროსმანაშვილს სურათს. რა გასაკვირია, რომ მე ვერ დავაფასე ნიკოს სურათი, როცა მის სტოცხ-ლეში არავის არ დაუფასებია.

ნიკოს მოძღვნილი სურათი მივიტანე სახლში. ჩემმა ჩუქურბაშვილმა გა-მოიჩინა მხატვრული ნიჭი და უარი გამოცხადა, ზალაში სხვა სურათებთან სამასხაროთ მისი ჩამოკიდება. ასე მტრულად შეხედენ სხვა ნაცნობებიც და მეგობრებიც. ეს სურათი ეგდო უყურადღებოთ კორიდორში. ბავშვებს კიდევ გაეხიათ. ეს სურათი ჩემმა ოჯახობამ მომიტანა გიმნაზიაში და დასტოვა იქ. ვინ წაიღო ამის შემდეგ გიმნაზიიდან, ან სად არის ეხლა ის, არ ვიცი. მე თვითონ ვეძებ და ვნანობ რომ დავკარგე, საჭიროა, მივიღოთ ყოველივე ღონისძიება, რათა ვიპოვოთ. მე მგონია, ნიკოს ასეთი კარგი სურათი არც კი დაუხატავს. ეს სურათი იქნება მისი გალერეის დამამშვე-ნებელი. ვეცდები მივიღო ყოველივე ღონისძიება და ეს სურათი ვიპოვო-ამით ვათავებ ნიკო ფიროსმანაშვილზე მოგონებას.

ეს არის სრული კეშმარაიტება.

ბოდიშს ვიხდი დაგვიანებისათვის ამხანაგო გიორგი, მაპატიეთ!
თქვენი პატივისმცემელი ნოე ძიძიშვილი.

ქუთაისი, 30 იანვარი, 1931 წელი.

23 მაისი

ღრმა ღელეში მიმასწავლეს: იქაურ დუქნებში ბევრი სურათი არის ფიროსმანისაო, წავედი, მაგრამ ვერავეითარ სურათს ვერ მივაგენი. 1918 წ. შემშლილობას, სურათები ავკალელ და გლდანელ გლენებისათვის პურზე გადაუცვლიათ. დუქნების მოხატულ კედლებზე კი ცარცი წაუსვამთ.

ერთმა მედუქნემ მიგვითითა ბევრი ნახატი აქვს აქვე ახლოს მიხას აისორსაო. კითხვის-კითხვით მიველ, დავეღირე. მიხა ჯერ უარზეა, მე-რე გეთანხმდება, თუ პატიოსან სიტყვას მივცემთ და არ ჩამოვართმევთ. მე ფულს ეპირდები, მაგრამ საქმე მქონია კურიოზთან: უღარიბეს ქობ-ში კედელზე ჰკიდია კალენდრის შილერი და მის გვერდით მიხას ცოლი-სა და შვილის გაკვერტლული ფოტო-სურათი. სიცილე წამსკდა. მიხა გაკვირვებულია, რაზე გავამასხარავე? მე საქმის გარემოებას ვუხსნი. მიხა მხრებს იჩეჩავს: რა იცის, თუ რა სურათები მინდოდა. სურათი სურათია! ყველას ფოტოგრაფი იღებს, ხელით დახატული კი მას არც უნა-ხავს, არც გაუგონია, საიდან ექნება? შეიძლება მადლობელიც არის, რომ გადარჩა მოსალოდნელ „რეკვიზიციას“.

24 მაისი.

მეგობარმა შირჩია: საბჭოთა ქუჩაზე უსათუოდ მენახა ვინმე ზეინკლი მღებარი, ფიროსმანის ნამეგობრალი. ზედ დაატანა: მხოლოდ ისეთი დრო შეურჩიე, შთერალი არ იყოს და თან ჩამაწერინა ზეინკლის „სი-ფხიზლის საათები“:

დილის 11 — 12 ს.

სალამოს 7—8 ს.

მეორე დღით თერთმეტ საათისათვის წამომყვა მეგობარი, თითონ დაწინაურდა ზეინკლის მდგომარეობის დასაზვერად, შევადგინებოცნის ვიცაე-დუქანი ქუჩის პირზეა. შორიდანვე უიმედოდ მისწავს სსკს მეგობარი:

— მთვრალია! წინეთ ამ დროს ფხიზელი იყო, ახლა რა დაემართა?

ასეთ დროს თურმე ზეინკალს კაცი ვერ მიეკარება ათსართულიანი გინების გამო. ფხიზელი კი წყნარი და პატიოსანია.

დღეს „ნავსი დღეა“. უკან ვბრუნდები. ზვალ სალამოს 7—8 საათზე უნდა ვინახულო. მეზობლებმა ამ საათებში მიჩაიეს.

25 მაისი

ზეინკალთან მივედი 7 საათზე. ზაგრამ ისევ მთვრალია, მეზობლები ჰკვირობენ: ამ დროს ყოველთვის ფხიზელიაო, რაღა დღეს მოუვიდაო. თურმე ფხიზელი რა ყოფილა:

— მტრედივით...

— გვრიტივით...

27 მაისი, 1930 წ.

მხატვარმა გიორგი ზაზიაშვილმა მიახმო:

ნიკო 1882 წელს გაიციანი, როდესაც ნიკო ჯერ ისევ ჭიანჭველავებთან ცხოვრობდა. მაშინვე დაემეგობრდით და გადაეწყვიტათ მხატვრობის შესწავლა და თან სახელოსნოს გახსნა, რომ ლუკმა პური გაგვჩენოდა.

თქმა იყო და შესრულება. ერთ დღეს ყოფ. ველიამინოვის ქუჩაზე გაეხსნათ პატარა სახელოსნო. შალი დარბაზში გამოჩნდა ჩამდენი, ნახატი და ერთი აბრა რომელიღაც მეთევზისა, რომელიც დიდხანს იდო ჩვენს სახელოსნოში ფულის ვადუხდულობისა და პატრონის საიდუმლო გაქრობის მიზეზით.

ასე მიდიოდა დღეები. „თავნი“ უკვე შემოგველია, — საცოდაობით, „შეგირდობაში“ და „პოერობაში“ ნაშოენი გროშები. რაკი საქმემ ვერ გაიმარჯვა, ამხანაგობა დაიშალა და პატარა კერა ვაცივდა.

შემდეგ ნიკოს გამოუჩნდა ახალი კამპანიონი გეზერჩიძე. ახლა მათ ორთ მოაწყეს სახელოსნო, მაგრამ ნახატებს ბაზარი არა ჰქონდა, ნამუშევარზედ მოთხოვნილება არ არსებობდა, და ერთ დღეს ნიკომ და მისმა ამხანაგმა დამშვიდებული სინდისით აუგდეს დარბაზები თავიანთ სამხატვრო სახელოსნოს. ამნაირად, ტფილისმა თავისი სუსხი უჩვენა ახალგაზრდა გულს...

გიგო ზაზიაშვილი იგონებს:

საწყალს მუდამ განზე ეკირა თავი. ძალიან უყვარდა საქართველომ ცხოვრება... გაყოლებული სევამდა. რამ ბიძულა, არაფერს არ ამბობდა თავისს წასულზე. თუ ფული არ ჰქონდა მიკიტნები ვტყოდნენ:

— ვაქვს ფული, ნიკალაი?

— არა?

— შენზე იქნება!

— ნიკო, როგორ არის შენი საქმე? ვალი გედგმისა?

— კარგი, ერთ რამეში გამოვალ.

მეორე, მესამე დღეს ის მედუქნესთან მივიდოდა, აბა, რა გინდა დაგხატო. იქვე დაჯდებოდა საღებავს თეფშზე მოლესავდა.

მე და ნიკო რა დავშორდით, მან ვითომც ვაჭრობას მოჰკიდა ხელი. მელიქ-აზარიანცის სახლის პირდაპირ ერთი მაგიდა დადგა, ზედ ერბო, რძე, კვერცხი, თაფლი დააწყო, ტილო გადააფარა და ვაჭრობა გააჩაღა. რამდენიმე წელიწადი ვაჭრობდა. მერე, მგონი, ალექსი პოპიაშვილს შეეამხანავა. სთქვეს, იმ ალექსამ უღალატო. ნიკომ ისევ ხატვას მოჰკიდა ხელი და სწორედ ამ დროს შეეჩვია არაყს. მიკიტნები იქვე შეაჭმევდნენ ხოლმე თავის ნამუშევარს.

— აბა ნიკალა, აბა ნიკალა! — დასძახოდნენ.

ხალისიანი კაცი იყო. არ ეზარებოდა. ერთხელ თურმე მთვრალი მიდის და ლაპარაკობს: ზაზიაშვილის აბრა შეაქვს, კარგად აქვს სუფრა დახატულიო. დაიწყო ყვირილი: ზაზიაშვილი, ზაზიაშვილი! მეც შემიძლიან დაეხატო სუფრა, მარანი, ყურძნის კრეფაო.

ათასში ერთხელ მომაგონდებოდა, ვინახულვდით. სიცილი უყვარდა.

ჭართულ მხატვართა საზოგადოებამ რომ გაიცნო, პირველად მიჰყვა. ერთი თუმანი მისცეს — რაც გინდა დახატეო. იმანაც „ქორწილი“ დახატა და რამდენიმე დღის შემდეგ მიიტანა. გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, ლადო გუდიაშვილი გაიცნო, მაგრამ მალე იმათზე გული აიყარა.

— ერთად მოვგროვდეთო, ერთად დავსხდეთო, ერთად ვხატოთო. მაგათი არაფერი მინდაო.

— ასე მითხრეს: ერთად ვიყოთ, „ზაკონები“ ვხატოთო.

— არა, ერთად არ მინდა, თავი დამანებონ, მაგათი არა მინდა რა!

ზაზიაშვილის მეუღლეც ჩაერია ქმრის საუბარში და ისიც მომიყვა თავის მოგონებას:

— ერთხელ ნასვამი მოვიდა და გიგო იკითხა. მე უთხარი შინ არ არის მეთქი. ძალიან შეწუხდა: უხ! იძახდა.

— რა იყო, ნიკალაი, ეგეთი რა საქმე გქონდა?

— საქმე მქონდაო!

მოვიპატიე — დაიცადე, გიორგი მალე დაბრუნდება-მეთქი.

— არა, მერე მოვალო.

მეორე თუ მესამე დღიას მე და მეზობელი ჩაისა ვსვამდით. დილის ათი საათი იქნებოდა. ნიკალა მოვიდა ჩვენთან ძალიან მთვრალი და გიგო (ჩემი ქმარი) იკითხა. გიგო შინ არ იყო. ნიკო წავიდა, მაგრამ ისევ მობრუნდა და მითხრა:

— ძალოჯან, მაშ გიგოსთან ორ სიტყვას დაგაბარებ. ესე უთხარი: შენ ვენაცვალე, გიგოჯან, როგორც იმ ხალხს (მხატვართა წარმომადგენ-

ლებს. — გ. ლ.) ჩემი სახელი უჩვენე და გადაგიღე, ისე მომავლორე. მაგათი არც ქება-დიდება მინდა და არცა არაფერიო. ვაზეთში გამომიშვეს, გამლანძღესო (ნიკო გულისხმობდა იმ კარიკატურას, რომელიც 1918 წ. დაიბეჭდა „სახალხო ფურცლის“ დამატებაში). ბეჭდის რანსეს დიდ სასახლებს მპირდებოდნენ, მაგრამ როგორც აქამდის მიხნავ და მითესავს, ისე უნდა ვხნა და ეთესოო. თავის დღეში არც ბატონი მყოლია და არც მინდაო. ვაზეთში კატად გამომხატესო!

ისეთი იყო, მკვდარი. არყის სუნი მეცა. მიდის და თან მეხვეწება:

— ძალოჯან, გიგოს შემახვეწე, ჩამამაშოროს ის ხალხი, ჩამამაშოროს! სურათი ვადამიღეს, წამიყვანეს ესე მოგაწყობთო, ესეო, არაფერი მინდა მაგათიო, — ასე ათავენს თავის ნაუბარს გ. ზაზიაშვილის მეუღლე.

— ეჰ, საწყალი ნიკოლა! — უმატებს ზაზიაშვილი. — ერთ ჭიქა არაყზე ყიდულობდნენ იმის ძალონეს... მუქთად ახატინებდნენ. ფულს არ იღებდა. ერთხელ ხმა დაავდეს, მოკვდაო. არა მეთქი, არ დავიჯერე. წავიდეთ, გავივოთო, მითხრა მოსე თოიძემ. მართლა მომკვდარიყო Белая горячка-თი.

ლიმონა

ბ. გორი, 30 მაისი, 1930 წელი.

მირჩიეს, ფიროსმანის ამბები გორში განთქმულს ლიმონას ეცოდინებაო. მეც გორში წასვლა აღარ დავახანე.

ლიმონა ოცდაათი წლის წინათ ერთი დღით ასულა გორში და თუ მართალია გორული თქმულება: ლიხვს ვინც დალევს, გორიდან ფეხს ველარ მოიკვლისო, ეს ლიმონაზე ამხდარა.

ლიმონას თავგადასავალი მოკლედ ასეთია:

ლიმონა ქიზიყელია. ახალბიჭობაში ბიძას გამოჰყოლია თივის ურტმზე ქალაქის დასახედად. ბიძას თივა გაუყიდა და კიდევ გაბრუნებულა, ლიმონას კი უკან წასვლა ველარ მოუხერხებია. ერთი თვის შემდეგ ის უკვე თაბახით ხილს ჰყიდდა ტფილისის ქუჩებში.

თურმე ბოლოს ნაღდი იშოვა და სალონიო სახლი გახსნა. ვაჭრობა მშვენიერი ჰქონდა და მალე ფინანსიური ტუზი უნდა გამხდარიყო, მაგრამ კომერციას გული ვერ დაუდო. უფრო დამნაშავე კი მისი კეთილი გული ყოფილა. „ტკბილ სიტყვებში და სადღეგრძელოებში დუქანი გაცურდა“, როგორც თითონ ამბობს, ე. ი. დახლმა დიდი მასშტაბის პურ-მარილი ვერ აიტანა. ლიმონას დასახჩობი გაუხდა თავი.

გორში, რომელიღაც მეგობარს გაეგო და დარდების გადასაყრელათ ერთი დღით გორში გაეპატივნა. ლიმონას კიდევ ერჯოდა გული ქეიფებისათვის. იმ დღეს არღნებზე იჭეიფეს, „რჯულზე“. მეორე დღეს „ნაბახურეზე“ კიდევ შეაყოლეს. მესამე დილას კი ლიმონა გათენებისას ადგა ტფილისში დასაბრუნებლად, სადაც ამდენი აწეწილი საქმეები ელოდა. მატარებლამდე მან ორი წუთით ხაშზე შეიარა და... მატარებელმა

გაასწრო. ლიმონა სამუდამოდ ჩარჩა გორში, თუმცა მას მერე მილიონმატარებელს ჩაუქროლია ტფილისისაკენ.

ტფილისი ვაგიჟებით უყვარს. მისი ერთადერთი ეხლაც ყურში უდგას. — მთელი ქალაქი მიცნობდა, ეხლაც რომ ჩავიდეს, ეხლაც ვამარჯობას“ მოუნდებია.

მას ჰგონია, რომ ყველა მეგობარი ისევ ცოცხალი და ახალგაზრდა დაუბვდება. ლიმონა დარწმუნებულია, რომ მისი სახელი ტფილისში ეხლაც ცოცხალია.

გორში ჩარჩენილმა ლიმონამ პატარა დუქანი გახსნა. მაგრამ ვერც იქ მოიშალა ხასიათი. მერე კუროპატკინივით ცხინვალისკენ დაიხია. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ცხინვალიდან უკვე ფეხით დაბრუნდა და ისიც გაიგო, რა ძალა ჰქონია შიმშილს. თავი მაინც არ გაიწირა. გარჯას ეცადა. მისი სიტყვით, ნისია ლეინო ორჯერ ათრობს.

ბოლოს გზა მაინც გაიკაფა. სირაჯების წესია, როცა ლეინის სასყიდლად მიდიან, ძაფი და სადგისი თან უნდა გაიყოლონ. ეგების რუმში დაიხეს უხვედრ ალაგას, მაშინ ხარაზი სად იშოვონ? ეს უცაბედი ხელობა ლიმონასთვის საბოლოო გამოდგა. ვაჭირებულმა სადგისს ძაფი გაუყარა და რუმების მაგიერ ჯღანების დაკერება დაიწყო. ხელის გაშვერას ეს არჩია. შემოსავალი დღეში რამდენიმე აბაზი უდგება.

ლიმონა ჰველი ყარაჩოღელის შემონახული ტიპია. ტფილისში აინგრა მათი ბუდე, პერიფერიებში უფრო გვიან კედებიან იწვიითი ეკზემალარება. იქ ჰავე უფრო მყუდროა. ლიმონა — ეს ცოცხალი ანაქრონიზმი — სცოცხლობს.

ლიმონას ყარაჩოღელთა აპოლოგეტი უნდა ელაპარაკებოდეს ამ წუთში და არა მე. მას შეუძლიან დასტკბეს უკანასკნელი მოგიკანის მზერით. მას ალტაცებაში მოიყვანს ამ ეარგონის ფიქსაცია ჩემს დღიურში:

— ორი სახელმწიფო გამოვეცვალე, მაინც ის ლიმონა ვარ, ჩემი დონჯით.

ლიმონას პატარა დუქანი ხიდის ყურზე კლუბია. იქ იკრიბება გორელ ძველ „მოქალაქეთა“ საზოგადოება. დილის ბაზრიდან დაბრუნებული ძველი გორელი მოქალაქე კალათით ხელში შეუვლის ლიმონას, რომ დილის არაყს ლიმონას ფრთოვანი სიტყვაც დააყოლოს.

როცა გორი დასალამურდება, ლიმონას მოწყენილი მოხუცი მეგობრები მოსძებნიან და მოაყოლებინებენ ძველებურ ანეგდოტებს. და თუმცა მრავალჯერ გაუგონიათ, მაინც იცინიან და იწურავენ გულის ნალევს.

ხშირათ ლიმონას სადილად ჰპატივობენ ერთი სიტყვით, უყვართ. თვით გორიდან გადაყვანილი ზოგი მისი პატივისმცემელი მოსამსახურე არ ივიწყებს ლიმონას და შორიდან უგზავნის მოკითხვას თუ საჩუქარს. აი დღესაც, როცა მე გორში ვარ, რომელიღაც რაიონის მილიციის უფროსმა, წინათ აქ ნამსახურმა, შმერლინგის „ტფილისური ტიპები“ გამო-



უზავნა. ლიმონა სახარაზოს კედლებზე აკრავს ფერად ლია სურათებს და ყველასთან აქებს საჩუქრის გამოგზავნელს.

უკრძნუნუნ

— იცით, რა ყმაწვილია? ცაში აქვს გონება ასულში! მკაპრისი

ლიმონამ იცის, რომ „ვირის კუდივით მოკლეა წუთისოფელი“, და ყოველდღე სვამს. მას იმდენი ღვინო სჭირდება, რაც ერთ შემქმნელ ოჯახს წყალიო, ამბობენ გორელები. ის ესლაც ჩემს სუფრაზე ილოცება ატენურით:

— პურმარილო, შენი დასწავლა გემართებს უპირველესად, სავსე ქვევრის მადლმა! პურმარილო არ დაძველდე, უშენოდ სიცოცხლე ჩაღაა!

— მარილო, შენი კენიწი ასი თუმანი უნდა ღირდეს; უშენოდ ხომ ვერ დავენახებით ერთმანეთს?

— გაუმარჯოს სენდისს, პატროსნებას, ადამიანობას! მართალი ძუძუთი ნაწოვო, შენ გაიხარე! ვენაცვალე ტკბილ ენას, ჩვენთვის რომ უმუშავნია!

ასეთია ლიმონას მონოლოგი...

ეს უკანასკნელი სიტყვები ფიროსმანის მისამართით არის ნათქვამი, ლიმონას ახლო მეგობარზე. მას მეტად უხარია „ეივაპეა ნიკალას“ მოგონება, როგორც სახსოვარი თავისი ბედნიერი სიჭაბუკისა, და მოჰყვა:

— ნიკალა ჯადოქარი მხატვარი იყო. როცა არავინ ჰყავდა დასახატი, ასანთის ყუთებზე ლომებს ჰხატავდა („ლომი ირანისა“). მთელი ბაზრის საყვარელი იყო. დაჰხატავდა სურათს და დუქან-დუქან ჩამოატარებდა. სიარული დიდხანს არ სჭირდებოდა, რომელიმე დუქანი შეიპატარებდა ყველა სუფრა მისთვის მზად იყო. სურათში ფულს არ გვართმევდა. პურმარილში აქვითებდა. ხან თითონ ჩვენ ვეხატინებოდით. ერთხელ მეც დამხატა ჩემი ამფსონებით. კვირა დღე იყო. ქუჩაში მიმავალი ნიკალა შემოვებრუნეთ. სუფრას სანოვაგე და „მაზა“ მიუმატეთ. სამი დაწინწკლული ხელადა წინ დავიდგით, გარს მწვანელი შემოუყარეთ. დუქანში ბნელოდა, ამიტომ ნიკო კარებთან იდგა და კარის სინათლეზე გვხატავდა. იკლიკანტური სურათი გამოვიდა.

ლიმონას უკვირს, რომ უსწავლელ ნიკალას ასეთი ხატვა შეეძლო. მასაც სწამს ძველი პოეტის სიბრძნე:

„ხელოვანი იმას პქვიან,
უნახავად შექმნა რამე!“

— რა მხატვარი იყო! ახა, ღმერთო ჩემო! — დამატა ლიმონამ.

ლიმონამ ერთხელ „ვირის ხიდზე“ წაიყვანა ნიკალა, ორთაქალაში. მესამე დღეს კი ლიმონამ სურათი მიიღო საჩუქრად. ქეიფი ისე იყო დახატული, რომ გაჰკვირდა.

ლიმონას სიტყვით, ფიროსმანს ერთი მეგობარი ჰყოლია, დროული ჭაცი, „თარიბა“. თითონაც კარგად უყრავდა თარს და საქეიფოდ რომ წავიდოდა, იქაც მეთარეებს დაუძახებდა. აქედან დაერქვა — „თარიბა“. ქეიფში ჰხევდა ოცდახუთმანეთიანებს, ხოლო წითელ თუმნიანებს მტკვარში

თევზებს უყრიდა, ერთხელ თურმე თარია მოკვდა და შესაბამისად დღეს ისევ გაცოცხლდა — საღათას ძილის წყალობით. ალაპი ღებნიდან ვალდებულად თარია თარიანობდა და მეზობლებს საიქიოს ამბებს უყვებოდა.

თარიას თურმე დიდი ზეგავლენა ჰქონია ფიროსმანაშვილზე. ხნით ბევრად უფროსი ყოფილა. მუდამ ჰკვებავდა ნიკოს ძველი ამბებით: ლეკიანობაზე, შამილზე, ბატონყმობაზე და სხვ. ნიკოსაც უყვარდა „ძველი ისტორიები“ და თავადაც ტკბილი საუბარი იცოდა. ძველს ამბებში უფქვამს: თურმე ნიკალას პაპა თუ პაპის პაპა ლეკებს ტყვედ წაუყვანიათ, მაგრამ ალაზნის ბოლოზე მდევარს დაუგდებინებია. ფიროსმანი ცნობილი იყო აგრეთვე როგორც ტკბილი ზღაპრების მთქმელი.

თარია და ნიკო „არსენას წიგნს“ თურმე ეწყობოდნენ და ხშირად კითხულობდნენ, თარიას მამა, ბეკამელი მეტივე, არსენას მეგობარი ყოფილა და თარიას შთაგონებით ნიკოს არსენა დაუხატია (სურათი შემდეგ „პოდოშვა“ ყასაბს ეკიდა დუქანში). ლიმონას სიტყვით, ფიროსმანი „პაქუა ვასო მხატვარმა“ გამოიყვანა ხალხში. ვასო მთელ საქართველოში განთქმული იყო ვინებით და ლოთობით. ლიმონას კარგად ახსოვს, როცა მოხუცებულ ვასოს ნიკალა დუქან-დუქან დაჰყავდა და ყველას ეუბნებოდა, შეუკვეთეთ სურათები, კარგი მხატვარიაო.

ლიმონა ბევრს მიაშობს ფიროსმანაშვილის ცხოვრებიდან ცნობილსა და ჩვეულ ამბებს, ე. ი. ლოთობისა და სიღარიბის ეპიზოდებს და ბოლოს ასეთ აზრს გამოსთქვამს:

— თქვენ ნასწავლი ხალხი თურმე მეტად სწუხართ, რომ ნიკალა ცოცხალი აღარ არის. ჩემი ანგარიშით კი შადლი შოუვიდა, — და ლიმონა ვრცლად ასაბუთებს: — ჩვენებური მეგობრებიც გავნიავდით. ასეთ დროს ან სამუშაოს ვინ მისცემდა, ან სად უნდა ესახლკარნა?

მე ვუპასუხებ:

— ახლა რომ ფიროსმანი ცოცხალი ყოფილიყო, მთავრობა უზრუნველყოფდა ჯამაგირით, ტანისამოსით, ბინით და სამუშაოთი. სამწუხაროა სწორედ ის, რომ ამ დრომდის ვერ მოაღწია.

ლიმონას ჯერ უკვირს: ნუ თუ ნიკალა ასეთი დიდი მხატვარი იყო, რომ მთავრობის ყურადღება შეეჩერებინა? მაგრამ თუნდაც დაიჯეროს, ისევ თავის აზრზეა:

— ლენინის სმას ვერ მოიშლიდა, ბინას ვერ დაიდებდა და მთავრობასთან შერცხვებოდა...

დილას როცა მატარებელზე მივდიოდი, ლიმონა გორის ხიდის ყურში მიცილიდა, ხაშზე დამეპატეა. მაგრამ ლიმონასავეთ სამუდამო ჩარჩენისა შემეშინდა.

გორში შევიძინე ფიროსმანის ნახატი „ორთაქალის ტურფა“ და გადავეცი ეროვნულ გალერეიას.

(გაგრძელება იქნება)

ნ. ვ. გოგოლი — „მკვდარი სულელები“

ამ რამდენიმე ხნის წინად სახელგამის საბავშვო სექტორმა გამოსცა დიდი რუსი კლასიკოსის ნ. ვ. გოგოლის „მკვდარი სულელები“, თარგმნილი დაეით კასრაძის მიერ.

მხოლოდ დიად სტალინურ ეპოქაში გახდა შესაძლებელი დიდი რუსი ზალხის კულტურისა და ლიტერატურის საუკეთესო ძეგლების გაცნობა-დაუფლება. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა მშობლიურ ენაზე წაეკითხნა რჩეული ნაწერები დიდი რუსი კლასიკოსებისა: ა. პუშკინისა, ლ. ტოლსტოისა, შნედრინისა, ლერმონტოვისა, ძველი რუსი ლიტერატურის ძეგლი „იგორის ლაშქრობა“; წაეკითხნა აგრეთვე თანამედროვე საბჭოთა ეპოქის პოეტების ნაწერები.

ნ. გოგოლის „მკვდარი სულელების“ თარგმნა უფრო მეტად აფართოებს ჩვენი მკითხველის ცოდნას რუსული მხატვრული ლიტერატურის დარგში.

გოგოლის შემოქმედებას უდიდესი ადგილი უკიარავს მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურაში. პირველად გოგოლმა დაბატა რუსეთის ბნელი და უსინათლო პროვინციის მივიარდნილი კუთხეები, მიყრუებული და ჩამორჩენილი სამაზრო ქალაქებით, სადაც ცხოვრება საზოგადოების ერთი ნაწილისთვის ჯოჯოხეთს წარმოადგენდა და პროგრესიულ ადამიანებს სევდით ავსებდა.

აი ეს სიბნელე, ჩამორჩენილობა და ბარბაროსობა პირველად გოგოლმა დახატა რეალურ სახეებში, პირველად მან გააშიშვლა, მზის სინათლეზე გამოიტანა მაშინდელი ცხოვრების სიდუხჭირე. აი რას ამბობს გოგოლი თავის თავზე:

„ჩემს შესახებ ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჩემი შთავარი რაობა ვერ გამოარკვეის, იგი ესმოდა მხოლოდ პუშკინს. ის მუდამ მეუბნებოდა, რომ არც ერთ მწერალს არ შეეძლო გამოეტანა სააშკაროზე ისე მკვეთრად ცხოვრების სისაძაგლე, რომ ყველა ის წვრილმანი, რომელიც თვალს გამოეპარება ხოლმე, ყველას ასე დიდად მოხვედრია თვალში“.

აი, ის სიმზინჯე, რომელსაც ააშკარავებდა გოგოლი არა მარტო „მკვდარ სულელებში“, არამედ მთელს თვის შემოქმედებაში.

რუსული მხატვრული ლიტერატურის პროგრესიულ განვითარებაში ნ. გოგოლის შემოქმედება მთლიანად მაჩვენებელია რეალური სინამდვილისადმი იმ კრიტიკული ინტერესის გაძლიერებისა, რამდენადაც მწილტერატურას ყოველთვის ახასიათებდა.

გოგოლის შემოქმედება

გოგოლი კრიტიკოსი იყო უმთავრესად თვითმპყრობელურ-ბატონყმური სინამდვილის ბნელი და მახინჯი მხარეებისა. ამ დიდი მხატვრული კრიტიკის შედეგი იყო ის, რომ 60-ანი წლების რევოლუციურმა ელემენტებმა გოგოლის სახელი, როგორც დიდი მხატვრისა და რეალისტისა, თავიანთ დროშად გადააქციეს.

გოგოლმა, როგორც დიდი მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებულმა შემოქმედმა, რუსულ ლიტერატურაში საბოლოოდ განამტკიცა მხატვრული რეალიზმი და ვაჟ ვაუხსნა ამ რეალიზმის ისეთ დიდ ოსტატებს არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ლიტერატურის მასშტაბით, როგორც იყვნენ: ტოლსტოი, ტურგენევი, დოსტოევსკი, გონჩაროვი და სხვები.

გოგოლმა თავის შემოქმედებით დაიმკვიდრა დიდი მხატვარი რეალისტის სახელი, მთელი მაშინდელი პროგრესიული მწერლობა გოგოლის სახელთან იყო მტკიცედ დაკავშირებული.

ი. ს. ტურგენევი ერთ-ერთ თავის შეგობრისათვის გაგზავნილ წერილში გოგოლის გარდაცვალების გამო სწერდა:

„არ შეიძლება იყოს ისეთი რუსი, რომლის გულიც მწვავე ტანჯვას არ განიცდიდეს. ჩვენთვის ის იყო მეტი, ვიდრე მწერალი. მან თვით ჩვენი თავი გვიჩვენა“.

ამ დიდი მხატვრული შემოქმედების შედეგი იყო ის, რომ გოგოლმა წარუშლელი კვალი დასტოვა რუსეთის ლიტერატურის განვითარებაში.

ისეთი დიდი მსოფლიო ლიტერატურული ძეგლის თარგმნა ქართულად, როგორც არის „მკვდარი სულები“, მისასალმებელია. აღნიშნული წიგნით მკითხველ ახალგაზრდობას საშუალება ეძლევა ქართულ ენაზე გაეცნოს ამ მსოფლიო მნიშვნელობის უდიდეს ლიტერატურულ ძეგლს. ამ წიგნის საშუალებით ახალგაზრდობა გაეცნობა მეფის რუსეთის ბარბაროსულ და ჯანდარმულ წესწყობილებას და ხალხთა იმ საპყრობილეს, რომელშიდაც საუკუნეების მანძილზე იტანჯებოდნენ დედამიწის ერთ მეექვსედზე მოსახლე ხალხები.

თარგმანი დავით კასრაძის მიერ კარგადაა შესრულებული. ვერც ერთ სიტყვას და წინადადებას ვერ შეხედებით, რომელიც აზრს გაუგებარს ხდიდეს. წიგნი თარგმნილია კარგი ქართული ენით. წიგნს დართული აქვს უცხო სიტყვებისა და ტერმინების განმარტება, რაც მკითხველს უადვილებს შინაარსის გაგებას.

წიგნში არის მცირეოდენი კორექტურული შეცდომებიც: მაგ.: გვ. 50 სწერია „ჯუბანამოსხმული“, უნდა ეწეროს „ჯუბაწამოსხმული“; გვ. 276 სწერია: „გაილვიყა“, უნდა ეწეროს „გაილვიძა“; გვ. 280: „პოკურორი“, უნდა ეწეროს „პროკურორი“; გვ. 288: „მთასის თავად“, უნდა

იყოს „თავის თავად“; გვ. 292: „სატსიკი“, უნდა იყოს „სანტსიკი“; გვ. 299: განმარტებაში უნდა ეწეროს „ამნაირი თმის კრეჭა წესად ქონდათ ტრაქტორის მოსამსახურეებს“, სწორია: „ამნაირი თმის ^{წესად} კრეჭა წესად ქონდათ ტრაქტორის მოსამსახურეებს“, და სხვ. გინგლინიანი

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისეთი დიდი ლიტერატურული ძეგლი, როგორც არის „მკედარი სულემა“, არ არის ისე გამოცემული, როგორც მას შეეფერება. წიგნი ჩასმულია უბრალო კარდონის ყდაში და დაბეჭდილია ცუდ ქაღალდზე. არ კმარა წიგნის მარტო დაბეჭვდა, საჭიროა მისი შესაფერისად გაფორმებაც, და რადგან სახელგამმა ამდენი შრომა გასწია, მას შეეძლო ასეთი დიდი ლიტერატურული ძეგლი სათანადოდ გაფორმებული მიეწოდებია მკითხველისათვის.

3 · 8 ·

მარიამ გარიშული — „ანარქლი“

მარიამ გარიშულს ქართველ საბჭოთა მწერალ-ქალებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მისი უკანასკნელი ნაწარმოები, რომანი „ანარქლი“ რომელიც ეხლახან გამოცა „ფედერაციაში“, გვისახტვს ახალი ადამიანების ზრდას საბჭოთა ეპოქის ფონზე. რომანი ძირითადად რეალისტური ნაწარმოებია. მთავარი მომქმედი პირები — თამრო, ნიკა, ტატი, მაკა და სხვები მომსწრენი არიან ძველი დუხჭირი ცხოვრებისა. საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელებს განვითარების ფართო შესაძლებლობა მისცა. გლეხის ქალი თამრო თავიდანვე სულითა და გულით ეგუება ახალ დროებას, აღიჭურვება ამ ახალი დროის შეგნებით. თამრო რომანის მთავარი ტიპია, თუმცა ასახვაში ავტორმა ყველგან ვერ დაიცვა ზომა. ზოგჯერ თავისი ქცევით „სუფრატისტ“ ქალებს გვავტონებს. თამრო ერთხანს ვერ ეგუება ოჯახურ ცხოვრებას, ვერ ათავსებს საოჯახო და საზოგადოებრივ სამუშაოს. მას არ აკმაყოფილებს აგრეთვე კოლექტივის ცხოვრება და სულ კომუნისაკენ იყურება. იგი უარყოფითად უყურებს ბავშვის აღზრდას, ბავშვი თამროს თავისი ცხოვრების ბორკილად მიაჩნია. ამ მიზეზით იგი განშორდება ქმარს და ქალაქს მიაშურებს. თამროს ცხოვრების ეს მომენტები არ არის მოცემული რეალისტური მიდგომით. საბჭოთა ქალი სრულებით არ იყო ისეთი, როგორც თამროს სახით ავტორსა ჰყავს გამოყვანილი. მას მიწერილი აქვს ავტორის ყალბი სუბიექტური შეხედულებები. გრძნობთ, რომ თავდაპირველი კონფლიქტი ნიკოსა და თამროს შორის ხელოვნურად არის შექმნილი. მართალია, ნიკოს დედამ გააღვიძა ეს კონფლიქტი და შვილი შეაგულიანა ცოლის წინააღმდეგ, მაგრამ ნიკო აკი მოწინავე და შეგნებული გლეხია და როგორ მოხდა, რომ ეს მოწინავე ადამიანი თავის ცოლს საზოგადოებრივ მუშაობას უკრძალავს? მკითხველს არა სჯერა ეს.

ქალაქში ჩამოსული თამრო აბრეშუმის ქარხანაში მუშაობს. იგი ბეჯითი მუშაა და მალე სტახანოველიც ხდება. მას ყურადღებას აქცევენ და სწავლის შესაძენად ჰგზავნიან. უკან დაბრუნებულს უწოდებენ. ამ დროს მოხდება ერთი ამბავი, იგი საინტერესო-საინტერესო თვალსაზრისით: შემთხვევით ქალაქის განაპირა უბანში თამრო შეხვდება თავის ქმარს ნიკოს და შვილს ნათელას. ისინი ურმით მიდიან. ნიკო ყურადღებას არ მიაქცევს, ხარებს გარეკავს, და შვილისა-კენ ხელებგაწვდილი თამრო სახტად დარჩება. ეს მომენტი თამროში თავისებურ გარდატეხას იწვევს. ისე ველარ მუშაობს იგი ფაბრიკაში, როგორც წინათ.

თამროს სოფლად მისვლა და შვილის ნახვა, ნიკოს დაჩაგვრა, ღვირით გატაცება, დაავადმყოფება, თამროს ჩამოსვლა და ზრუნვა ნიკოსათვის, ამ უკანასკნელის გამომრთელება, მისი დაქორწილება, თამროს და მისი მშობლების სტუმრობა ქორწილში, თამროს ახლად გათხოვება და სხვა მრავალი ამბავი რომანში დამაჯერებლად არის მოცემული.

რომანის პირველ ნახევარში ზოგიერთი წერილობანი მოცემულია ზედმეტი სიზუსტითა, ნაკლებად მხატვრული ეფექტიანობით. ასეთია, მაგალითად, ტატეს ქალაქში ჩამოსვლა, დაბნევა, გლებთა სახლის აბანოში მომხდარი შემთხვევა და სხვა. სამაგიეროდ ტატეს მიამიტობა ქალებთან დამოკიდებულებაში და მისი ზრდა კარგად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები.

აღნიშნული ნაკლის მიუხედავად, სარეცენზიო რომანი მარიამ გარყულის შემოქმედებაში თვალსაჩინო მიღწევაა და გაბედული ცდა, აგვისახოს ჩვენი ცხოვრების დიადი გარდაქმნა.

ავტორი შემდგომ მუშაობაში უფრო ახლო უნდა მივიდეს თანამედროვე ცხოვრებასთან, უფრო ღრმად უნდა ჩასწვდეს ამ ცხოვრების მეტად მდიდარ შინაარსს, გაიგოს ახალი ადამიანების ცხოვრების მარჯონ-გ. შ.

ა. პრისთავ-ხოშტარია — „პედის ბრიალი“.

ანატასია ერისთავ-ხოშტარია, რომელსაც წელს შეესრულდა დაბადებიდან 80 წელიწადი და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლდან 45 წელიწადი, — ჩვენი ლიტერატურის მნიშვნელოვან დიკტორს წარმოადგენს, იგი თვალსაჩინო ქართველი ბელეტრისტიკა. თავის მხატვრულ ნაწერებში მან საუცხოოდ გამოხატა ძველი ცხოვრების სიღებშირე, გარდასული დროების უმწეობა, სისაწყლე და დაბეზავება, როცა იდამიანის ყველა უფლებანი ფეხქვეშ იყო გათელილი. ჩვენი მწერალი ქალი, მართალია წარმოშობით თავადანაურთა სოციალურ წრიდან გამოვიდა, მაგრამ ამან მას არ შეუშალა ხელი „მიუღვამელ მსაჯულის თვალთ შეეხედა, იმ დაჭიანებულ წოდებისათვის, რომელსაც იგი ეკუთვნოდა“. მწერლის შემოქმედებაში თვალსაჩინოდ აისახა ამ წოდების გახრწნა და ვადგვარება, მისი მატერიალური და სულიერი კრიზისი. მწერლის ყოველი ნაწარმოები ასეთი მიდგომით არის დაწერილი, მათში იგრძნობა თავად-ანაურთა ცხოვრებისადმი მწვავე კრიტიკული დამოკიდებულება და გლებ-

თი სავილალო და უმწეო მდგომარეობისადმი თანაგრძნობა. საგნებისა და მოვლენების სიღრმეში ჩახედვა, დაკვირვების და შეგრძნობის დიდი ალლოპათიისა და ტიპური ხასიათების შეჩვევის უნარი და აღღვლეველი თბურება — ესე იქნება ხასიათების მის შემოქმედებას.

ა. ერისთავ-ხოშტარიას მოთხრობები და რომანები გავრძობილებით თავისი დროის საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრების მაჯისცემის, ის, როგორც ჰერმარტი რეალისტი მწერალი, იძლევა მაშინდელი ცხოვრების ტიპურ ამბებს ტიპურ გარემოებებში? ავტორის სტილი სადა და უბრალოა. ორმოცი წლის წინათ დაწერილი მისა რომანი „მოლიპულ გზაზე“, დღესაც დიდი ხალხით და ინტერესით იკითხება.

„მედის ტრიალი“, რომელიც ახლახან გამოსცა სახელგამმა — ა. ერისთავ-ხოშტარიას რომანებს შორის ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია. „მედის ტრიალში“ მკვეთრად გამოხატულია ძველი ცხოვრების სოციალურ ძალთა დაჯგუფება. თავად-აზნაურობის წოდება მაშინ რღვევის პროცესს განიცდიდა და მისში ჩნდებოდა სხვადასხვა ფენები. ეს დიფერენციაცია ჩანს რომანში; რომანის გმირები: ჭეთევანი და პავლე, როსტომი და ნატალია და გენო და მისი მშობლები, მართალია, ერთი წოდების ხალხია, ერთი სოციალურ წრიდან გამოსულები, მაგრამ ცხოვრებაში უკვე სხვადასხვა მდგომარეობის მჭონეები. სხვადასხვაგვარია ამ ხალხის დამოკიდებულება გლეხობისადმი. დაჩაჩანაცებულ და ვალატაყებულ როსტომს და ნატალიას, განსაკუთრებით კი პავლეს და ჭეთევანს, უკვე აღარ შესწევთ ძალა ძველებურად ითარგ-შონ გლეხების ზურგზე. სამაგიეროდ გენოსა და მისი მშობლებისაგან, — რომლებიც ავსილინი იყვნენ დიდი სიმდიდრითა და დოვლითი, გლეხები დაწოკებული, შევიწროებული და გაჩანაგებული არიან. მათი მოურავები, ჯერ სესიკა და, შემდეგ ილირონი, დღე და დამ გლეხების შევიწროებასა და დაჩაგვრაზე ფიქრობენ. ლალა, სიმოსახლო მიწებიდან აყრა, ტაღ მინდორში გასახლება და სხვა, გლეხთა ცხოვრების უკველდლო მოვლენა იყო.

სარეცენზიო ნაწარმოებში კარგად და რეალისტურად არის ნაჩვენები თავადაზნაურთა ფუჭავატური, გარყენილი ცხოვრება; ავტორი ცდილობს დახატოს აგრეთვე გლეხობის საპროტესტო განწყობილების ზრდა, მათი უკმაყოფილების გაძლიერება, რაც თავდება მემამულეთა დახოცვით. მომქმედი პირები ასახურა მხატვრული ზომიერებით და ამბების განვითარება და კოლიზიების გახსნა მოხერხებულად და ბუნებრივად ხდება.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულია აგრეთვე მეორე ნაწარმოები „ეკლესიის გარშემო“, რომელიც დაწერილია ასეთივე დამაჯერებლობით და ოსტატობით.

ბ. ბ.

შ ა რ ლ კ შ რ ო — ზღაპრები. თარგმანი ფრანგულიდან პერონი ბიჰოძისა, ბ უ ს ტ ა ვ დ ო რ ა ე ს ს უ რ ა თ ი ე ბ ი თ, სახელგამმა. სასაქოლო გიგლიოტიპა, 1938 წ.

შორს პეროს ზღაპრების კრებული საუკეთესო საჩუქარია, რომელიც სახელგამმა მიუძღვნა წელს ჩვენს ბავშვებს. ამ კრებულში შედის პეროს რჩეული ზღაპრები: „პატარა წითელჭუდა“, „ჩექმებიანი კატა“, „ცროდენა“, „ნაცარქექია“, „ქოჩორა რიკი“, „ტყეში მინარე მშეთუნახავი“, „ვირის ტყავი“ და „ლურჯწვირა“. ზოგიერთი ამ ზღაპრებიდან ქართველი მოზარდი მკითხველებისათვის ჯერ კიდევ ადრე იყო ცნობილი (მაგალ: „პატარა წითელჭუდა“, „ჩექმებიანი კატა“, „ცროდენა“ და სხვ.), მაგრამ, როგორც მთარგმნელი იღნიშნავს, ერთ კრებულად პეროს მხოლოდ აქამად გამოდის პირველად და შედარებით სრულ წარმოდგენას იძლევა ავტორის შემოქმედების შესახებ.

ჩვენი ბავშვები საამოვნებით წიკითხავენ და შეიყვარებენ პეროს ზღაპრებს. წითელქუდას თავგადასავალი, ცუდლუტი კატისა და ცეროდინის გონებაჩხვილობა, ბეფის აცინებს და გაამზარულებს პატარა მკითხველებს. ძველი-ძველი რომელიც საღებავად უდევს პეროს ზღაპრების უმეტესობას, არის დანახება იმისა, თუ რა უბრატესობა აქვს პატიოსნებას, მოთმინებას შრომაში, წინდახედულებას და გულმოდგინებას. ჯველა ამ თვისებების ჩანერგვა და გაღვივება ჩვენს ბავშვებში წარმოადგენს, სხვათაშორის, საბჭოთა პედაგოგიის ამოცანას. ამ მიზნის შესრულებაში პეროს ზღაპრები, ცხადია, თავის სამსახურს გაუწევენ ჩვენი ახალი თაობის აღზრდებებს.

პეროს ზღაპრების ღირსებას შეადგენს, სხვათაშორის, ის გარემოება, რომ უმეტეს მითვანს ახასიათებს სალი რეალისტური ელემენტის სიჭარბე და ოპტიმიზმი: უკანასკნელი, ახასიათებს საერთოდ ხალხურ ზღაპარს და კერძოდ ქართულ ზღაპრულ ფოლკლორსაც. ამ მხრივ პეროს ზღაპრებს უმეტესობა ჩვენს ზღაპრებს უახლოვდება.

მთარგმნელის, გერონტი ქიქოძის დიდ ღირსებას შეადგენს მეტად მოზდენილი, სადა და ბავშვებისათვის გასაგები ენა, რომლითაც მის პეროს ზღაპრები უთარგმნია. ეს წიგნი წარმოადგენს მის მთარგმნელურ პრაქტიკაში მორიგ მიღწევას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, სხვათაშორის, რომ მთარგმნელს საესებით მიზანშეწონილად მოუხსნია პეროს ზღაპრებისათვის ლექსად დაწერილი ზნეობრივი დარღვებანი. ეს უკანასკნელი უფრო მოზარდი ასაკის ბავშვებისათვის არიან განკუთვნილნი და სარეცენზიო კრებულის ზღაპრები არაფერს აგებენ მათი მოცილებით.

მთარგმნელს წინასიტყვაობაჲც წარუძღვარება კრებულისათვის, სადაც იგი დიდის ცოდნით, მოკლედ და მოზდენილად გადმოგვცემს პეროს ბიოგრაფიის, მისი შემოქმედების დამახასიათებელ მომენტებს და მოკლე კრიტიკულ ანალიზს ზღაპრებისას; მიუხედავად აღნიშნული ღირსებებისა, წინასიტყვაობა თავის დანიშნულებას ვერ ემსახურება კრებულში: იგი დაწერილია „დიდი“ მკითხველებისათვის და პატარა ბავშვები ვერაფერს გაიგებენ იქიდან. წინასიტყვაობის ერთ ადგილას ავტორი აღნიშნავს, რომ პეროს ზღაპრების დასასრული ოპტიმისტურია, გარდა „წითელქუდასა და ზღაპარიც ამით თავდება. სარეცენზიო კრებულის ზღაპარში კი მიმატებულია ამბავი, საიდანაც ვიკებთ, რომ წითელქუდას და ბებიაშის მგლის მუცლიდან ანთავისუფლებენ გამგელელი მგზავრები, ესე იგი მოცემულია დიამეტრალურად საწინააღმდეგო ხასიათის ფინალი, ვიდრე წინასიტყვაობაშია ნათქვამი, როგორც ჩანს, მთარგმნელს აუღია მშ. გრიშების ზღაპრის ვარიანტის დაბოლოება და კარგადაც უქნია — ასეთი ფინალი უფრო მიზანშეწონილია ამ ზღაპრისათვის.

მთარგმნელის სურვილს და გამოცემლობის მონდომებას უნდა ევმადლოდეთ, რომ წიგნს დართული აქვს დორეს შესანიშნავი ილუსტრაციები. საერთოდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ კლასიკოს ილუსტრატორის შემოქმედების უფრო ფართო მასშტაბით გამოვლინება ჩვენი გამოცემლობების მხრივ (მაგ., დანტეს „ლეთაებრიკ კომედიაში“, სერენტისის „დონ-კიხოტში“).

საბავშვო და ახალგაზრდობის სექტორის მორიგ ამოცანას შეადგენს აგრეთვე ჩვენი ბავშვებისათვის ქართული ზღაპრების გამოცემა.

უიწაა რსი

მხატვრული ლიტერატურა



გალაკტიონ ტაბიძე — აწმყოს დიდება დიდი (ლექსი)	3
ი. გრიშაშვილი — ჯამბულს (ლექსი)	4
კონსტანტინე გამსახურდია — ზოგაის მინდია (ნოველა)	5
კარლო კალაძე — გიორგი (ბალადა)	45
კონსტანტინე ლორთქიფანიძე — უკვდავება (მოთხრობა)	48
ჰაინრიხ ჰაინე — ლექსები (თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა)	61
ალ. ჭეიშვილი — ლელო, რომანი (გაგრძელება)	66

ქართული ხალხის დეკუბატაბი

პროფ. ხიმ. ჯანაშია — ივანე ჯავახიშვილი	94
ბეს. ულენტი — ილო მოსაშვილი	102

კრიტიკა და კუბლიცისტიკა

დიმიტრი ბენაშვილი — სერგო კლდიაშვილი	114
--	-----

ქართული ხელოვნების ისტორიიდან

ივანე ჯავახიშვილი — ქართული ძველი წარმართული, საერო და შემდეგ გაბენილი საეკლესიო მუსიკა და ბრძოლა მათ შორის	133
---	-----

ხალხური უმომკმედეზა

ქსენია ხიხარულიძე — ქართული ხალხური ლირიკის სიმბოლიკის საკითხები	141
--	-----

წარსულიდან

გერონტი ქიქოძე — სერგეი მესხი	164
გიორგი ლეონიძე — ცხოვრება ფიროსმანისა (დღიურიდან)	176

აიბლიოგრაფია

ვ. გ. — ნ. ვ. გოგოლი — „მკედარი სულეები“ ქართულ ენაზე	199
ვ. შ. — მარიამ ვარიყული — „ანარეკლი“	201
გ. შ. — ა. ერისთავ-ხოშტარია — „ბედის ტრიალი“	202
ლ. ა. — შარლ პერო — ზღაპრები	203